



The Book
of Saint Abba Dorotheus of Gaza

Translated from Old Greek into Old Georgian
by St. Euthymius the Athonite
10th century

წიგნი

წმიდისა მამისა დოქოთესი

თარგმნილი წმიდა ეფთვიმე მთაწმიდელის მიერ



გამომცემლობა „ბეთანია“

თბილისი

2018

ტექსტი უძველესი ათონური ხელნაწერების მიხედვით
გამოსაცემად მოამზადეს:

გიორგი ქიტოშვილი
ნონა ნაჭყებია

რედაქტორი: ნათია მიროტაძე

რეცენზენტი: ანა ხარანაული

მხატვარი: მარიამ ჩხაიძე

© გამომცემლობა „ბეთანია“, 2018


© გიორგი ქიტოშვილი, ნათია მიროტაძე

ISBN 978-9941-27-590-6

საძიებელი

წინასიტყვაობა	7
ეპისტოლუჲ ძმისა მის მიმართ	21
ცხორებაჲ ნეტარისა მამისა ჩუენისა დოსითჲსი.....	27
სწავლანი წმიდისა მამისა დოროთჲსნი	
თავი 1. გამოსლვისათჲს სოფლით	40
თავი 2. სიმდაბლისათჲს	62
თავი 3. სჯინდისისათჲს.....	73
თავი 4. შიშისათჲს ღმრთისა	78
თავი 5. რაჲთა არა მივენდვენეთ განზრახვათა და გულისხმისყოფათა ჩუენთა	92
თავი 6. არაგანკითხვისათჲს მოყუესისა	103
თავი 7. თავისა თჲსისა განმართლებისათჲს	112
თავი 8. ძკრისჯსენებისათჲს	121
თავი 9. ტყუვილისათჲს	128
თავი 10. რაჲთა შრომითა ფრთხილითა ვიდოდეთ გზათა ღმრთისათა.....	135
თავი 11. რაჲთა ვისწრაფდეთ მონყუედად ვნებათა.....	145
თავი 12. შიშისათჲს საუკუნოჲსა საშჲჯელისა	157
თავი 13. რაჲთა უშფოთველად და მადლობით მოვითმენდეთ განსაცდელთა	169
თავი 14. აღშჲწნებისათჲს სულისა სათნოებათა	179

თავი 15. რომელსა აქუნდეს მსახურებაჲ ოსტიგნობისაჲ	192
თავი 16. მოსენაკეთა მიმართ	196
თავი 17. უხუცესთა მიმართ მონასტრისათა.....	201
თავი 18. წმიდათა მარხვათათჳს	205
კითხვა-მიგებაჲ ნეტარისა მამისა ჩუენისა დოროთჳსი მამისა იოვანეს მიმართ	210
სიტყუანი	215
წერილები	220
ლექსიკონი.....	228



წინასიტყვაობა

წმ. დოროთე ღაზელი

წმ. დოროთე ღაზელის ბიოგრაფიული ცნობების წყაროს წარმოადგენს მისი სწავლებები, კითხვა-მიგება დოროთესა და მის სულიერ მამებს – წმ. ბარსანოფი დიდსა და წმ. იოანე წინასწარმეტყველს – შორის, ასევე, წმ. დოროთეს პირველი მოწაფის, წმ. დოსითეს ცხოვრება.

წყაროებში არაფერია თქმული წმ. დოროთეს მოღვაწეობის ზუსტი თარიღების შესახებ. მკვლევართა აზრით, იგი დაიბადა მე-6 საუკუნის დასაწყისში ანტიოქიაში (სირია) წარჩინებულ და მდიდარ ოჯახში და მიიღო კარგი განათლება. ფიქრობენ, რომ მისი ერთ-ერთი მასწავლებელი პროკოფი ღაზელი შეიძლება ყოფილიყო. დოროთეს სწავლისა და წიგნის კითხვის მიმართ განსაკუთრებული ინტერესი გამოუჩენია, ისე რომ კითხვაში გართულს, როგორც თავადვე ამბობს, ხშირად ჭამაც ავიწყებოდა და დროს ძილისთვისაც ვერ იმეტებდა. მოგვიანებით, საერო სიბრძნის სწავლაში განვრთნილი ნება მან სულიერი ცხოვრების სრულყოფისაკენ მიმართა და აქაც მსგავსივე გულმოდგინება გამოიჩინა.

წმ. დოროთე ყმანვილობაშივე დაინტერესდა სამონასტრო ცხოვრებით. მონასტერში დამკვიდრებამდე მას წმ. ბარსანოფი დიდთან და წმ. იოანე წინასწარმეტყველთან ჰქონდა მიმონერა, რათა მათგან მიეღო რჩევები, თუ როგორ დამდგარიყო სამონასტრო ცხოვრების გზაზე. მიმონერის საკმაოდ დიდი ნაწილი დღემდე შემორჩენილია და ნათელ წარმოდგენას გვიქმნის წმ. დოროთეს ურთიერთობაზე თავის სულიერ მოძღვრებთან.

წმ. დოროთე მონაზვნად აღიკვეცა ღაზის მახლობლად მდებარე აბა სერიდოსის მონასტერში, რომელიც მე-5 საუკუნის ბოლოს დაარსდა და რომელშიც მისი სულიერი მამე-

ბი, წმ. ბარსანოფი დიდი და წმ. იოანე წინასწარმეტყველი, მოღვაწეობდნენ. აბა სერიდოსის მონასტერში ყოფნისას იგი სხვადასხვა მორჩილებას აღასრულებდა: იყო ქსენოდოქი (მონასტრის მესტუმრე), ებარა მონასტერთან არსებული სასნეულო სახლი, რომელიც მისი ძმის სახმარით იყო დაარსებული, აბა სერიდოსს ეხმარებოდა მონაზონთა სულიერი ცხოვრების წარმართვაში, იყო წმ. დოსითეს სულიერი მოძღვარი და ცხრა წლის განმავლობაში იყო წმ. იოანე წინასწარმეტყველის მსახური (მესენაკე).

მას შემდეგ, რაც აბა სერიდოსი და წმ. იოანე აღესრულნენ, ხოლო წმ. ბარსანოფი სრულ მდუმარებას მიეცა, წმ. დოროთემ დატოვა აბა სერიდოსის მონასტერი და დაეყუდა ღაზის სიახლოვეს. მალე მის გარშემო შემოიკრიბა მრავალი ახალგაზრდა მონაზონი, რომელთაც სურდათ წმ. დოროთეს დამონაფებოდნენ. სწორედ მათ გამო მოუხდა დაეარსებინა მონასტერი ღაზასა და ასკალონს შორის და მას აბა სერიდოსის, წმ. იოანესა და წმ. ბარსანოფის სწავლებათა შესაბამისად განაგებდა. წმ. დოროთეს მონასტერი ბერებმა სავარაუდოდ, 634 წლამდე ცოტა ხნით ადრე დატოვეს, სანამ არაბები ღაზას დაიკავებდნენ და უფრო უსაფრთხო ადგილს შეაფარეს თავი.

წმ. დოროთე აღესრულა მე-6 საუკუნის მე-2 ნახევარში, 560-580 წლებს შორის.

წმ. დოროთე ღაზელის თხზულებათა კორპუსი ბერძნულ და ქართულ ხელნაწერ ტრადიციაში

წმ. დოროთე ღაზელის თხზულებათა კორპუსი მოიცავს უშუალოდ მის ნაწარმოებებს: სწავლანს, ეპისტოლეებს, მოკლე გამონათქვამებს და წმ. დოსითეს ცხოვრებას, რომელთაც ხელნაწერებში თან ერთვის ხოლმე ორი მოკლე

ტექსტი: 1) ორი დოროთესა და ორი ბარსანოფის შესახებ და 2) ეპისტოლე, რომელიც წმ. დოროთეს თხზულებათა შემკრებმა კრებულთან ერთად გაუგზავნა თხზულებათა შეკრების ინიციატორს.

ბერძნულ ხელნაწერთა ძალიან მცირე ნაწილში შესულია აგრეთვე წმ. იოანე წინასწარმეტყველის პასუხები წმ. დოროთეს კითხვებზე, რაც მხოლოდ მოკლე მონაკვეთია დოროთესა და მის სულიერ მოძღვრებს შორის კითხვა-მიგებისა. სრულად ამ პასუხებს შეიცავს „კითხვა-მიგებანი“ – წმ. ბარსანოფი დიდისა და წმ. იოანე წინასწარმეტყველის პასუხები მონაზვნების, სასულიერო პირებისა და ერისკაცების კითხვებზე (სულ 850 პასუხი). აქედან 79 კითხვა-მიგების ქართული თარგმანი შემონახულია სინას მთის მეათე საუკუნის ორ ხელნაწერში (Sin. 34, Sin. 35) სახელწოდებით: „სწავლანი ნეტარისა ბარსანოფისი და იოანესი“. ეს ხელნაწერები უძველესია იმ სხვადასხვა ენოვან ხელნაწერებს შორის, რომელთაც „კითხვა-მიგებანი“-ს ტექსტი შემოუნახავთ.

წმ. დოროთე ღაზელის თხზულებები 200-მდე ბერძნულ ხელნაწერშია დაცული, რომლებიც ორ რედაქციულ ჯგუფს ქმნის: სტუდიურს, რომელსაც ხელნაწერთა უმრავლესობა შეიცავს და ე.წ. იტალიურ-ბერძნულს. რედაქციები ერთმანეთისაგან განსხვავდება უმთავრესად კორპუსის შედგენილობისა და შემადგენელ ნაწილთა თანამიმდევრობის თვალსაზრისით.

წმ. დოროთე ღაზელს, როგორც ავტორს, უკვე წინარეათონურ ეპოქაში იცნობდა ქართველი მკითხველი. მისი ერთი თხზულება სათაურით: *წმიდისა მამისა დორეთეოსისი მორჩილებისათვის და ნებისა დატევებისათვის და ვნებათა და ცოდვათათვის – 907 წელს გადაწერილ სინურ ხელნაწერში – Sin. 35-შია – შესული. თხზულება წარმოადგენს ტექსტის – გამოსლვისათვის სოფლით – გადამუშავებულ ვერსიას.*

ნმ. დოროთე ღაზელის თხზულებათა სრული კორპუსი, როგორც ჩანს, პირველად ნმ. ეფთვიმე ათონელმა თარგმანა მე-10 საუკუნეში.¹ ეფთვიმესეული თარგმანი უფრო მეტად იტალიურ-ბერძნულ რედაქციას მისდევს, თუმცა მნიშვნელოვნად სხვაობს მისგანაც.²

გამოცემაში გამოყენებული წყაროები

ბერძნული ტექსტისთვის ვისარგებლეთ Sources Chrétiennes-ის სერიის შემდეგი კრიტიკული გამოცემით: *Dorothee de Gaza: Oeuvres spirituelles, Introduction, texte grec, traduction et notes par Dom L. Regnault et Dom J. de Préville. Sources Chrétiennes, 92, 575 pp. Cerf, Paris, 1963.*

ძველ წყაროთაგან ნმ. ეფთვიმეს თარგმანს სრულად ორი ათონური ხელნაწერი Ath. 40 (X-XI სს.) და Ath. 41 (XI ს.) შეიცავს. ეფთვიმეს თარგმნილი მხოლოდ ორი თავია (14,15) შესული Sin. 85-ში (XII ს.). ამავე ტექსტს შეიცავს 4 გვიანდელი ხელნაწერიც: A-126 (XVIII ს.), A-146 (XIV ს.), A-1139 (XX ს.), A-1386 (XIX ს.). ამათგან მხოლოდ A-1386-ია სრული, რომელიც ლაკუნებისა და მექანიკური შეცდომების მიხედვით Ath. 41-ის ასლი (ან ასლის ასლი) უნდა იყოს. დანარჩენები ნაკლულ ტექსტებს შეიცავენ.

¹ ნმ. დოროთეს წიგნის ეფთვიმე ათონელისეული თარგმანი პირველად გამოიცა ფოთში 1902 წელს სახელწოდებით: „ღირსისა მამისა ჩვენისა აბბა დოროთესი სულთა სასარგებლო სწავლანი და ეპისტოლენი“. გამოცემაში მრავლადაა ორთოგრაფიული, კორექტურული და სხვა სახის შეცდომები, ხელნაწერისეული ტექსტი ბევრგან შეცვლილია ან შეევსებულია წიგნის რუსული (თუ სლავური) თარგმანის მიხედვით. იგივე ტექსტი განმეორებულია შემდგომ გამოცემებშიც.

² დოროთეს ქართული თარგმანის კორპუსის შედგენილობისა და თანამიმდევრობის მიმართება ბერძნულთან იხ. ქვემოთ, გვ. 14-16.

კიდევ ორ გვიანდელ ხელნაწერში A-57-სა (XVII ს.) და A-116-ში (XVII ს.) შესულია დოროთე ღაზელის სწავლათა ეფთვიმესეული თარგმანის მოკლე ვერსია.

წინამდებარე გამოცემის ტექსტი ძირითადად ეყრდნობა ამ თხზულებათა შემცველ ორ, ყველაზე სრულ და ძველ წყაროს – ათონის ივერთა მონასტერში დაცულ ხელნაწერებს – Ath. 40-ს (=A) და Ath. 41-ს (=B).

Ath. 40 და Ath. 41 ხელნაწერები ერთმანეთისაგან სხვაობენ შემადგენელი ნაწილების თანამიმდევრობით.¹ ორივე ხელნაწერში თავები დანომრილია. ნუმერაცია ცხადყოფს, რომ თავდაპირველი Ath. 40-ის რიგი უნდა იყოს.

A ხელნაწერის ორთოგრაფიული თავისებურებანი

1. ღ-ის მცდარი გამოყენება სახელის ფუძეებში (მაგ., ესადა (16r, 7)).

2. არ იყენებს ღ-ს ე-ფუძიან სახელებში, უფროობითი ხარისხის ფორმებში და ა.შ.

3. ხშირია უ-ს მაგივრად ო-ს გამოყენება (მაგ., შემოსრენ (81r, 6)).

4. ხშირია ო-ს მაგივრად უ-ს გამოყენება (მაგ., ისწაუს (81r, 7); უცთუმელად (133r, 8)).

5. 'თითოეული' ხშირად გვხვდება მცდარი დანერვილობით 'თვთეული'.

6. ხშირია კალმის შეცდომები, ძირითადად დაკლებულია ესა თუ ის ასო. ძალიან იშვიათად შეცდომა გასწორებულია გადამწერისავე ხელით გამოტოვებული ასოს ჩამატებით.

¹ იხ. ქვემოთ, გვ. 14-16.

B ხელნაწერის ორთოგრაფიული თავისებურებანი

1. მექანიკური გამოტოვებები მსგავსი კიდურწერილობის გამო.

2. ორთოგრაფია, განსაკუთრებით ღ-ს გამოყენების თვალსაზრისით, უფრო გამართულია ვიდრე A-ში.

3. ზოგიერთ პოზიციაში (მაგ., ნაპრალოვნების წინა პოზიციაში) პირის ნიშანი ჰ- დაკარგულია.

4. ხელნაწერი ნასწორებია გადამწერისავე ხელით, ამოშლილია დიტოგრაფიები, კალმის შეცდომები, ზოგან აღდგენილია გადანერისას მსგავსი კიდურწერილობის გამო გამორჩენილი მონაკვეთები, თუმცა ამ მიზეზით არსებული გამოტოვებები ხელნაწერში მაინც მრავლადაა.

ტექსტის გამართვის პრინციპები

1. ხელნაწერთა ლექსიკური თუ სხვა ტიპის (კლება-მატება, რიცხვი, ზმნური კატეგორიები) ვარიანტებიდან ვირჩევთ იმას, რომელსაც ბერძნული უჭერს მხარს. გამოცემის აპარატში, უმეტესწილად, სწორედ ეს შემთხვევებია წარმოდგენილი: გამოცემის ძირითადი ტექსტის იკითხვის გვერდით მითითებულია ბერძნული, გამოცემის პარაგრაფისა და სტრიქონის დაზუსტებით და ეს იკითხვის კვადრატული ფრჩხილითაა (]) გამოყოფილი მეორე ხელნაწერში არსებული ვარიანტისაგან (მაგ., მოსლვაჲ $\xi\pi\alpha\nu\alpha\sigma\tau\acute{\alpha}\sigma\epsilon\iota\varsigma$ 3.14] მოსრვაჲ A| – ბერძნულის მომდევნო პირველი ციფრი შეესაბამება პარაგრაფს, ხოლო მეორე (წერტილის შემდეგი) – სტრიქონის ნომერს). გასათვალისწინებელია, რომ ბერძნულ გამოცემაში დანართ ეპისტოლეს, დოსითეს ცხოვრებასა და სწავლანს პარაგრაფების ინდივიდუალური ნუმერაცია აქვთ და ჩვენს გამოცემაშიც

ასევეა მითითებული. შესაბამისად, ესა თუ ის ბერძნული სიტყვა უნდა დაიკებნოს შესაბამისი ტექსტის პარაგრაფების მიხედვით.

2. როდესაც ხელნაწერები სინონიმურ ვარიანტებს გვაჩვენებენ, რომელთა პირველადობის გარჩევა ბერძნულის საფუძველზე შეუძლებელია, ვირჩევთ A-ს ჩვენებას.

3. ხელნაწერებში შეიმჩნევა ძველი ქართული ორთოგრაფიული ნორმების რღვევა. გამოცემულ ტექსტში ძველი ქართულის ორთოგრაფიულ ნორმებს ვიცავთ იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთი ხელნაწერი მაინც იცავს ამ ნორმას (მაგ., ღ-ს დანერილობა, ვ/უ მონაცვლეობა, მეორე სუბიექტისა და მესამე ობიექტის ნიშნები...).

4. ხელნაწერებში არსებულ მექანიკურ შეცდომებს არ ვაფიქსირებთ გამოცემის კრიტიკულ აპარატში.

5. გამოცემის ტექსტში წარმოდგენილია პარალელური ფორმები: მაგ., ესეოდენ – ესოდენ, ეგრევე – ეგრეთვე, ავსოვს – ავსოს (და მისთ.), იპოვა – იპოა (და მისთ.), უჩნს – უჩს (და მისთ.)... არჩევანს „სწორი“ ფორმის სასარგებლოდ ვაკეთებთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთი ხელნაწერი მაინც გვთავაზობს ასეთ წაკითხვას. თუ ორივე ხელნაწერი ერთნაირ „მცდარ“ წაკითხვას აჩვენებს, არ „ვასწორებთ“ და, შესაბამისად, გამოცემაშიც სწორედ ეს (ხელნაწერთა) ვარიანტია დაფიქსირებული.

6. ორივე ხელნაწერი ნაკლულია. ლაკუნები უმეტესწილად ავსებს ერთმანეთს. იმ იშვიათ შემთხვევებში, სადაც ძველი თარგმანი არც ერთ ხელნაწერში აღარაა შემონახული, ტექსტის ფრაგმენტები თარგმნილია ხელახლა. თავის – *თქუმული წმიდისა მამისა ჩუენისა დოროთჳსი, რაათა შრომითა ფრთხილითა ვიდოდეთ გზათა ღმრთისათა* – ნაკლული ნაწილები და ასევე, მე-7 – მე-16 ეპისტოლეები (ბერძნული გამოცემის 192-ე – 201-ე პარაგრაფები), რომ-

ლებიც ათონურ ხელნაწერებში არ არის,¹ გამოცემისათვის სპეციალურად ითარგმნა ძველი ბერძნულიდან ადა ტრაპაიძის მიერ. გამოცემაში ეს ეპისტოლეები მოთავსებულია ნიგნის ბოლოში.²

7. გამოცემის მიზნებიდან გამომდინარე აზრის გასაცხადებლად საჭირო ხდება გადანერის პროცესში დაზიანებული ტექსტისა თუ თარგმანის სტილის გამო ბუნდოვანი პასაჟებისათვის სიტყვისა თუ ფრაზის დამატება. ასეთი მატებანი, რომლებსაც არც ქართული ხელნაწერები უჭერს მხარს და ზოგჯერ არც ბერძნული, გამოცემაში ჩასმულია კვადრატულ ფრჩხილებში.

ზმნური ფორმების ორთოგრაფია

1. რთულ ზმნებს ვწერთ დეფისით. თუ რთული ზმნა გამოყენებულია სახელური ფუნქციით, მაგ., პირიან ზმნასთანაა შეწყობილი დამატებად ან ქვემდებარედ, ვწერთ ერთად.

2. რთულ ზმნისწინებს ვწერთ საკუთრივ ზმნისწინთა მსგავსად, ზმნის ფუძესთან ერთად, უდეფისოდ.

3. შედგენილი შემასმენელის სახელადი და ზმნური ნაწილები დანერვილია ცალ-ცალკე.

¹ ამ ნაწილებს, თარგმნილს სლავურიდან თუ რუსულიდან, შეიცავენ გვიანდელი წყაროები.

² წინამდებარე გამოცემაში არ შედის წმ. დოროთეს მხოლოდ ორი სწავლა (Gr 16,17), ისინი არ გვხვდება არც ერთ ქართულ ხელნაწერში. ამ სწავლებებში განმარტებულია წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველის ის ტექსტები, რომლებიც იგალობება აღდგომისა და მოწამეთა დღესასწაულებზე.

კომპოზიტების ორთოგრაფია

1. ერთცნებიან კომპოზიტებს ვწერთ ერთად.
2. არა- უარყოფითნაწილაკიან სიტყვებს, რომლებიც რეალურად ფუძით გამოხატული ცნების ანტონიმური მნიშვნელობის მატარებელი ერთი ცნებაა, ვწერთ ერთად. მაგ., არაწმიდა, არაკეთილად, არამინდობასა, არაშედეგომასა, არაზრუნვისაგან, არატირილისაგან და ა.შ.

თავების თანმიმდევრობა გამოცემაში:

გამოცემაში თავები თითქმის იმავე თანმიმდევრობითაა წარმოდგენილი, რა თანმიმდევრობაც მათ A ხელნაწერში აქვთ. ერთადერთ გამონაკლის შემთხვევაში ხელნაწერთა რიგით მე-3 (თქუმული წმიდისა მამისა ჩუენისა დოროთქსი, რადთა შრომითა ფრთხილთა ვიდოდეთ გზათა ღმრთისათა) და მე-12 თავებს (გამოსვლისათვის სოფლით) ადგილები აქვთ შენაცვლებული ბერძნული ტექსტის ხელნაწერებსა და გამოცემებში არსებული რიგის შესაბამისად. სულ ბოლოში კი მოთავსებულია ეპისტოლეების თანამედროვე თარგმანი.

1. ეზისტოლჭ ძმისა მის მიმართ, რომელსა ეხოვცნეს პოვნილნი იგი სიტყუანი წმიდისა მამისა ჩუენისა დოროთქსნი¹

¹ თავები განლაგებულია იმ თანმიმდევრობით, რომლითაც წინამდებარე გამოცემაშია წარმოდგენილი. შემდეგ მოცემულია ხელნაწერის ნომერი, რიგით მერამდენა ესა თუ ის ტექსტი ამ ხელნაწერში და რომელი გვერდები უჭირავს. შემდეგ წერია თუ მერამდენა იგივე თხზულება ბერძნული ტექსტის ფრანგულ გამოცემაში (Dorothee de Gaza: Oeuvres spirituelles, Introduction, texte grec, traduction et notes par Dom L. Regnault et Dom J. de Préville. Sources chrétiennes, 92, 575 pp. Cerf, Paris, 1963.), რომელ გვერდებს იკავებს და რომელ პარაგრაფებს მოიცავს.

Ge Ath. 40 – 1: 1r-4v; Ath. 41 – 22: 110v-114r

Gr 1: გვ. 110-121 §§ 1-7

2. წხოვრება ნეტარისა მამისა ჩუენისა დოსითქსი, რომე-
ლი-იგი იყო პირველი მონაფქ წმიდისა და ნეტარისა მამისა
ჩუენისა დოროთქსი, ოდეს ჟერეთ იყო იგი მონასტერსა შინა
მამისა სერიდომსსა

Ge Ath. 40 – 2#: 4v-10v; Ath. 41 – 21: 102v-110v

Gr 2: გვ. 122-145 §§ 1-13

3. გამოსღვისათუს სოფლით [თავი] იწ

Ge Ath. 40 – 12: 75r-94v; Ath. 41 – 10: 42r-55v

Gr 3: გვ. 146-185 §§ 1-25

4. [სიმღაბლისათუს თავი დ]

Ge Ath. 40 – 4#: 11r-20v; Ath. 41 – 2#: 5r-10v

Gr 4: გვ. 186-207 §§ 26-39

5. სუნიდისისათუს [თავი] ე

Ge Ath. 40 – 5: 20v-25r; Ath. 41 – 3#

Gr 5: გვ. 208-219 §§ 40-46

6. შიშისათუს ღმრთისა [თავი] ვ]

Ge Ath. 40 – 6: 25r-38r; Ath. 41 – 4#: 11r-14v

Gr 6: გვ. 220-249 §§ 47-60

7. თქუმული წმიდისა მამისა ჩუენისა დოროთქსი, რადთა
არა მივენდვენეთ განზრახვათა და გულისხმისყოფათა ჩუენ-
თა [თავი] ზ

Ge Ath. 40 – 7: 38r-47v; Ath. 41 – 5: 14v-21v

Gr 7: გვ. 250-267 §§ 61-68

8. თქუმული მისივე, არაგანკითხვისათუს მოყუსისა [თავი] ლ

Ge Ath. 40 – 8: 47v-55r; Ath. 41 – 6: 21v-27r

Gr 8: გვ. 268-287 §§ 69-78

9. თქუმული მისივე, თავისა თუსისა განმართლუებისათუს
[თავი] თ

Ge Ath. 40 – 9: 55v-63r; Ath. 41 – 7: 27r-32v

- Gr 9: გვ. 288-305 §§ 79-88
10. ძვრისვსენენისათვის [თავი] ი
 Ge Ath. 40 – 10: 63r-69r; Ath. 41 – 8: 32v-37r
 Gr 10: გვ. 306-319 §§ 89-95
11. თქუმული მისივე ტყუვილისათვის [თავი] ია
 Ge Ath. 40 – 11: 69r-75r; Ath. 41 – 9: 37r-42r
 Gr 11: გვ. 320-335 §§ 96-103
12. თქუმული წმიდისა მამისა ჩუენისა დორროთქსი, რამათა
 შრომითა ფრთხილითა ვიდოდეთ გზათა ღმრთისათა [თავი გ]
 Ge Ath. 40 – 3#; Ath. 41 – 1#: 1r-4v
 Gr 12: 336-355 §§ 104-112
13. თქუმული მისივე, რამათა ვისწრაფდეთ მონყუდად ვნე-
 ზათა, ვიდრელა იყვნენ მერრე და ვიდრე არლა დაჩუეულ იყ-
 ნენ სულნი ჩუენნი საქმესა მათსა [თავი] იგ
 Ge Ath. 40 – 13: 94v-106r; Ath. 41 – 11: 55v-63v
 Gr 13: გვ. 356-379 §§ 113-123
14. თქუმული მისივე, მამისა ჩუენისა დორროთქსი, შიშისა-
 თვის საყყუნომასა საქუელისა თავი იდ
 Ge Ath. 40 – 14: 106r-117v; Ath. 41 – 12: 64r-71v
 Gr 14: გვ. 380-401 §§ 124-137
15. თქუმული მისივე, რამათა უშფოთველადა და მადლოზით
 მოვითმენდეთ განსაყდელოთა თავი იე
 Ge Ath. 40 – 15: 117v-127r; Ath. 41 – 13: 71v-78r
 Gr 15: გვ. 402-419 §§ 138-148
16. თქუმული მისივე, აღშწნენისათვის სულისა სათნოებათა
 და ვითარ ურთიერთას შენყობვიან იგინი თავი იზ
 Ge Ath. 40 – 16: 127r-139r; Ath. 41 – 14: 78r-86r
 Gr 16: გვ. 420-445 §§ 149-158
17. თქუმული მისივე, რომელსა აქუნდეს მსახურებად ოსტვიგ-
 ნობისად [თავი] იწ
 Ge Ath. 40 – 17: 139r-142r; Ath. 41 – 15: 86r-88r

Gr 22: ებ. 3-6, გვ. 504-512 წგ 188-191

18. თქუმული მისივე, მოსენაკეთა მიმართ, რაჟამს ჰკითხეს მას ურთიერთას მისლვისათვის თავი ით

Ge Ath. 40 – 18: 142r-146r; Ath. 41 – 16: 88r-90v

Gr 20: ებ. 1, გვ. 488-497 წგ 180-183

19. თქუმული მისივე, უხუცესთა მიმართ მონასტრისათა და თუ ვითარ ჭერ-არს შრძანებამ ძმისამ და კუალად მათ ვითარ უვს მორჩილებამ თავი კ

Ge Ath. 40 – 19: 146r-149v; Ath. 41 – 17: 90v-93r

Gr 21: ებ. 2, გვ. 498-504 წგ 184-187

20. თქუმული მისივე, წმიდათა მარხვათათვის თავი კა

Ge Ath. 40 – 20: 149v-153v; Ath. 41 – 18: 93r-95v

Gr 17: გვ. 446-457 წგ 159-165

21. კითხვა-მიგება ნეჭარისა მამისა ჩუენისა დოროთქსი მამისა იოვანეს მიმართ, რომელსა ეწოდა წინამსწარმეტყუელ

Ge Ath. 40 – 21: 153v-157v; Ath. 41 – 19: 95v-99r

Gr –

22. თქუმული მისივე, წმიდისა მამისა ჩუენისა დოროთქსი, სიტყუანი

Ge Ath. 40 – 22: 157v-162r; Ath. 41 – 20: 99r-102v

Gr 21: გვ. 526-531 წ 202

გამოცემაში გამოყენებული პირობითი აღნიშვნები

A – Ath. 40, ათონი, ივირონი, X-XI სს.

B – Ath. 41, ათონი, ივირონი, XI ს.

Gr – ბერძნული ტექსტი გამოცემის – Dorothee de Gaza: Oeuvres spirituelles, Introduction, texte grec, traduction et notes par Dom L. Regnault et Dom J. de Préville. Sources chrétiennes, 92, 575 pp. Cerf, Paris, 1963 – მიხედვით.

] – ლემის ნიშანი, რომელიც ერთმანეთისაგან გამოყოფს ძირითადი ტექსტის იკითხვის (ლემის შიგნით) და ხელნაწერში დადასტურებულ ვარიანტს (ლემის გარეთ).

+ – ემატება ლემაში მოთავსებულ სიტყვასა თუ ფრაზას.

> – ლემაში მოთავსებული სიტყვა თუ ფრაზა აკლია ამა თუ იმ ხელნაწერს.

homoiot(eleuton) – ტექსტის მონაკვეთის კლება ერთნაირი დაბოლოების გამო.

lac – კლება ხელნაწერის მექანიკური ხარვეზის, მაგ., ხელნაწერის ფურცლების დაკარგვისა თუ დაზიანების გამო.

* – ხელნაწერის თავდაპირველი (სწორებამდელი) იკითხვისი.

^c – ხელნაწერის გასწორებული იკითხვისი.

– ხელნაწერი ნაკლულია.

txt – გამოცემის ძირითადი ტექსტი.

app – გამოცემის კრიტიკული აპარატი.

[] – ტექსტი, რომელიც არაა ხელნაწერში და აღდგენილია გამომცემლის მიერ.

ნათია მიროტაძე



ეპისტოლე ძმისა მის მიმართ, რომელსა ეთხოვნეს პოვნილნი იგი სიტყუანი წმიდისა მამისა ჩუენისა დოროთჳსნი

ვაქებ გულსმოდგინებასა შენსა და ვჰნატრი მოსწრაფებასა შენსა კეთილთა საქმეთა მიმართ და კურთხეულსა მაგას სულსა შენსა, არა დიდებისმოყუარესა, არამედ სიმდაბლისმოყუარესა, ძმაო სასურველო. რამეთუ რომელიეგე ესრეთ ტკივილითა გულისაჲთა გამოეძიებ და ყოვლითა გულითა აქებ¹ საქმეთა და სიტყუათა ჭეშმარიტად სანატრელისა და წმიდისა მამისა ჩუენისა, მომცემელსა² ჩუენდა ნიჭსა მას ღმრთისასა. ამიერითგან საცნაურ არს, რამეთუ გიყუარს ღმერთი და ჰზრუნავ შენ საუკუნოჲსა მისთვის ცხორებისა. რამეთუ ვითარცა იტყვს დიდი გრიგოლი: „ქებაჲ სათნოებისაჲ წინამძღუარ არს შურისა, ხოლო შური მოატყუებს სათნოებასა და სათნოებაჲ ნეტარ-ჰყოფს კაცსა“. ხოლო ამისთვის მიხარის და მიხარულ ვარ ეგევითარსა მაგას წარმატებასა შენსა ზედა, რამეთუ მიემსგავსე შენ [მიმბაძველსა]³ მშკდისა მის და მდაბლისა გულითა (მათ. 11,29), რომელმან მიჰხედნა საცნაურსა მას პეტრეს და მსგავსთა მისთა სოფლით განშორებასა. და ეგრეთვე მსგავსად მანცა შიშუელ-ყო თავი თჳსი სიყუარულისაგან ამის სოფლისა და მისცა თავი თჳსი საღმრთოთა მამათა თჳსთა, ვიდრემდე შემძლებელ იქმნა იგიცა კადნიერად თქუამად მაცხოვრისა მიმართ, ვითარმედ: „აჰა, ჩუენ ყოველივე დაუტევეთ და შეგიდევით შენ“ (მათ. 19,27). ამისთვისცა მცირედ ჟამ ღმრთისა მიერ სრულ-იქმნა და აღასრულნა ჟამნი მრავალნი (სიბრძნ. 4,13).

¹ აქებ] ვაქებ A; ἐπαινεῖν 1.4

² მომცემელსა] მომცემ[ელ...] A; მოცემულისა B; φεράσσειν 1.5-6

³ მიმბაძველსა μιμητῦ 1.11] > AB

არა იქცეოდა იგი უდაბნოსა ხილულსა, არცა დიდ უჩინ-
და მას წინამძღურობაჲ ჳორცისმჭამელთა მწეცთაჲ, არა-
მედ ეძიებდა იგი სულისა მეუდაბნოებასა და ჰსუროდა
მას მიახლებაჲ მათათა მათ საუკუნეთა (ფსალმ. 75,5), რად-
თამცა განათლდა იგი მათ მიერ საკვრველად და რადთამ-
ცა დათრგუნნა მან თავნი სულთა მკლველთანი – გუელთა
და ღრიაკალთანი (ლუკ. 10,19), რომელსაცა მალიად მი-
ინია შეწევნითა ქრისტესითა მოკლვითა ნებისა თვისადათა
მონამეთაებრ, რომელიცა წინამძღუარ-ექმნა და მიიყვანა
იგი უცთომელსა მას მამათა გზასა. და დატევეებისა მიერ
ნებისა თვისსა სანატრელი იგი ტვრთი სუბუქი და ტკბილი
იგი უღელი (მათ. 11,30) ტკბილად უჩნდა მას, რომლისა მიერ
ისწავა კეთილი იგი¹ და სიმალლედ მიმყვანებელი გზად სი-
მდაბლისაჲ.

და ისწავა მან სიტყუად იგი მამათად სიტყვოცა და სა-
ქმითცა, რომელსა იტყვან, ვითარმედ: „იქმენ მონყალე და
მშუდ და ამათ მიერ შეიმკო ყოვლითა სათნოებითა“. ამისთვის-
ცა ყოვლადვე ნეტარსა მას სიტყუად იგი ბერთად პირსა შინა
თვისსა ჰქონდა, ვითარმედ: „რომელი მიწვეწულ არს დატე-
ვებასა ნებისა თვისსასა, იგი მიწვეწულ არს ადგილსა გან-
სუენებისასა“. რამეთუ პოვა მან, რომელიცა ღირსად იძია,
ვითარმედ ყოველთა ვნებათა ძირი არს ჳორცთა სიყუა-
რული და არს იგი განზავებულ ტკბილსა ამას და მწარესა
ნებასა ჩუენსა. ამისთვისცა პოვა მან ფიცხელი ესე წამალი
და ამით დააჭვნა ძირთა თანა ბოროტნიცა² იგი რტონი
მისნი. და იქმნა იგი მუშაკ მწნე უკუდავებისა და დაიუნჯა
მან ჭეშმარიტი იგი ცხორებაჲ. და აგარაკსა შინა დამალული
იგი საუნჯე³ კეთილად მოიძია და პოვა მან (მათ. 13,44). და

¹ რომლისა მიერ ისწავა კეთილი იგი] lac A

² ბოროტნიცა იგი რტონი მისნი ... მორჩილებაჲ იგი მისი, სარწმუ-
ნოებითა დამტკიცებული] lac A

მის მიერ განმდიდრდა იგი სიმდიდრითა მით დაუსრულებელითა.

ხოლო მე მინდა, რაფთამცა მისწუთებოდა ენაჲ ჩემი და დაიტევდა გონებაჲ ჩემი, რაფთა წულილ-წულილადმცა აღვწერე ცხორებაჲ მის წმიდისა სარგებელად მრავალთა და სახედ სათნოებისა, თუ ვითარ ვლო ნეტარმან ინროჲ იგი და ფართოჲ გზაჲ დიდებული. ინროჲ ამით – გონებისა მისისა უცთომელობითა და განუბნეველობითა, და ვითარი იგი ვიდოდა კაპანსა ზედა და დაიცვა თავი თჳსი ორკერძოვე გარდაჭრისაგან, რამეთუ ესრეთ დიდი იგი მოყუარჳ ღმრთისაჲ ბასილი გუასწავებს გზასა ამას ინროსა ცხორებისასა. ხოლო ფართოჲ ამით, რამეთუ არა შეკრულ იყო იგი სიყუარულითა ამის სოფლისაჲთა, არამედ იყო იგი მოღუაწეობისა მიმართ ღმრთისა მიერ თავისუფალ. და უფროჲს ყოველისა სიმდაბლჳ იგი მაღალი, რომლითა, ვითარცა იტყჳს დიდი ანტონი, ყოველთაგანვე მახეთა ეშმაკისათა განერა. და მის ზედა აღესრულა ჭეშმარიტად წერილი იგი, ვითარმედ: „ფართო არიან მცნებანი შენნი ფრიად“ (ფსალმ. 118,96). ხოლო აწ საქმესა ამას, ვითარცა შეუძლებელსა, თანაწარგჳდე¹, რამეთუ ვიცი, ვითარმედ შეუძლებელ არს ჩემგან ყოველთა მათ კეთილთა მის ნეტარისათა მითხრობად, რამეთუ იგი, ვითარცა ბრძენი ფუტკარი, კრებდა ყუავილთა² და სადაცა პოვის საწმარი რაჲმე, უზაროდ შეჰკრებენ და ასწავებენ იგი ყოველსავე კეთილსა ჟამსა შინა თჳსსა.

ამისთჳს, ჰ, ბრძენო, დაღაცათუ გონებაჲ ჩემი გულს-მოდგინე არს, არამედ შეუძლებელობაჲ ჩემი არა მიტევებს ჳელისმიყოფად საქმისა ამის, რომელი-ესე მოსწრაფემან და კეთილისმოყუარემან მაგან სულმან შენმან მიბრძანა. ესე მინდობითა ვქმენ, რამეთუ შევშინდი მე სიმძიმისაგან

¹ თანაწარგჳდე ἑπιερίσομαι 4.1] თანაწარგჳდე B; lac A

² ყუავილთა ἀνθιστοῦν 4.4] ყუავილსა B; lac A

ურჩებისა და ფიცხელისა მის ზარმაცობისა კანონისაგან და ამისთვის წარმოვეც თქუენ – ბრძენთა მიმართ ვაჭართა – ტალანტი ესე, რომელი ძეს ჩემ თანა, რომელ არიან სიტყუანი და რომელნიცა გუპონიან ნეტარისა ამის, რომელნიცა მან თვსთა მამათაგან ისნავლნა და მერმე თვსთა მოწაფეთა დაუტევენა, მსგავსად მაცხოვრისა და ღმრთისა ჩუენისა, რომელნიცა ქმნნა და ასნავა (საქმე 1,1). ხოლო დაღაცათუ ყოველთავე თქუმულთა მისთა ვერ შემძლებელ ვიქმნეთ პოვნად, არამედ მცირედნი ესე, რომელნი ვპოვნით, და ესენიცა განთესლებულად მრავალთა ადგილთა და შეკრებულნი მოსწრაფეთა მიერ ნებითა ღმრთისადათა. არამედ კმა არს ესეცა მცირედი შენისა სინმიდისა მიმართ, ვითარცა წერილ არს: „ეც ბრძენსა მიზეზ და უბრძნვს იყოს“ (იგავ. 9,9).

ხოლო ვითარი იყო წმიდად იგი გულსმოდგინებითა, რამეთუ რაჟამს გამოვიდოდა იგი ღმრთისა მიერ სოფლით და გონებისაებრ მისისა მოიგო ცხორებადცა, რამეთუ მამათა მიმართ თვსთა ჰქონდა მას პირველად სრული იგი ყოველთაგან ნივთთა ამის სოფლისათა განშორებად, და მერმე – მარტივი იგი აღსარებად მისი და განუკითხველობად იგი სვნიდისისა მისისა, და უფროდს ყოვლისა – გულისხმისყოფით მორჩილებად იგი მისი, სარწმუნოებითა დამტკიცებული და სიყუარულითა აღსრულებული. ხოლო ძმათა მათ¹ მიმართ, რომელი-იგი ჰქონდა სიმდაბლვ იგი და უკადნიერებლობად და სინწფოებად და უცილობლობად, და აღმოცენებულ იყვნეს მის შორის ძირნი იგი განუკითხველობისანი. და იყო მის თანა უფროდს თაფლისა ტკბილი სიყუარული.

ხოლო მსახურებასა შინა იყო იგი მოსწრაფე და² შეკრძალულ გონებითა და ფრთხილ და უშფოთველ. ხოლო

¹ მათ] > A

² და] > A

ჭურჭელთა ზედა მონასტრისათა იყო იგი მოღუანე და ნმიდა და კრძალულ და არა ფუდულ, და ყოველთა ძმათა განკითხვითა შემნე, და უფროდს ყოველისა – სიმდაბლც და მხიარულებად და სულგრძელებად და წესიერებად და ფრთხილი იგი გონებად მისი და მწურთელი. არამედ რასა თითოეულად ვიტყვ სათნოებათა მათ მისთა? რამეთუ მსგავს ვარ მე კაცსა, რომელი ჰრაცხავნ ნუეთთა ნემისათა, გინა ღელვათა ზღვსათა, ამისთვის ზედადავჰბეჭდო სიტყუად ესე ჩემი. არამედ თქუენ მიგითხრნე ტკბილნი ესე სიტყუანი, რაჲთა იშუებდეთ ამითა და სცნათ, თუ რომლისა ცხორებისაგან და ნეტარისა მოქალაქობისაგან მოვიდა განგებითა ღმრთისაჲთა სწავლად და ზრუნვად სულთა. მოწყალემან მან და შვილთმოყუარემან მამამან (რომელ-იგი ჭემმარიტად ღირს იყო მწყსად სულთა, რომელი-იგი დიდ იყო გულისხმისყოფითა და უზეშთაეს შენდობითა, რომელი-იგი დიდ იყო სიბრძნითა და უზეშთაეს¹ განკრძალვითა, რომელი-იგი მაღალ იყო ხედვითა და უმაღლცს სიმდაბლითა, რომელი მდიდარ იყო ღმრთისა მიერ და გლახაკ იყო სულითა, რომელი ტკბილ იყო სიტყვთა და უტკბილცს შემთხუევითა, ჳელოვანი იგი მკურნალი ყოველსავე სენსა ზედა) რომელმან² მდიდართა და გლახაკთა, ბრძენთა და უსწავლელთა, მამათა და დედათა, ბერთა და ჭაბუკთა, ჭირვეულთა და მხიარულთა, უცხოთა და თკსთა, ერისკაცთა და მონაზონთა, მთავართა და ხელმწიფეთა, მონათა და თავისუფალთა ნმიდად იგი და ღმრთისა მიერ მოცემული სწავლად ასწავა და ტალანტი იგი განადიდა (მათ. 25,14-23) და ყოველთავე ყოვლად ექმნა და შეიძინა მრავალნი (1 კორ. 9,22).

ხოლო ან მოწვევულ არს ჟამი, საყუარელო, ტკბილთა ამათ სიტყუათა შენდა მითხრობად. ხოლო ნმიდად იგი ეგე-

¹ უზეშთაეს GI] + იყო A

² რომელმან] რომელი AB

ვითარი მაღალ იყო სიბრძნითა და სიტყუთა ძლიერ, არამედ მცნებისათჳს ღმრთისა სიმდაბლჳ იჴმია და ყოველნი სიტყუანი მისნი ყვნა ადვილ და არა ღრმა. ხოლო შენ, რომელი ისწრაფე და რომლისათჳს გსუროდა, ჰჳოე. ხოლო სიტყუანი შენნი სიბრძნითა განაშუენენ და მიემსგავსე ცხოვრებასა სასურველისა მის შენისასა და ჩემისა უდბებისათჳს ილოცევდ.

ხოლო ჯერ-არს, რაჲთა პირველად ვთქუა ნეტარისა მის დოსითჴსთჳს, რომელი იყო პირველი მონაფჴ მამისა დოროთჴსი, ოდეს იგი იყო მონასტერსა სერიდოჲსსა და ღუანლსა ქრისტჴს მსგავსისა მორჩილებისასა აღასრულებდა.

**ცხორება ნეტარისა მამისა ჩუენისა დოსითჳსი,
რომელი-იგი იყო პირველი მონაფჳ წმიდისა და
ნეტარისა მამისა ჩუენისა დოროთჳსი, ოდეს ჯერეთ
იყო იგი მონასტერსა შინა მამისა სერიდოჳსსა**

ჭემპარიტად დიდი და ნეტარი მამაჲ ჩუენი წმიდაჲ დო-
როთე გამო-რაჲ-ვიდა სოფლით და იქმნა მონაზონ, მივიდა
იგი მონასტერსა მამისა სერიდოჳსსა და პოვნა მუნ მრავალ-
ნი და დიდნი მოლუანენი დაყუდებულნი, რომელთა შორის
იყვნეს ორნი დიდნი მნათობნი – წმიდაჲ მამაჲ ბარსანოფი
და მონაფჳ მისი და მისთანავე მოლუანჳ მამაჲ იოვანე, რო-
მელსა ეწოდა წინაჲსწარმეტყუელ¹ მაღლისა მისთჳს წინაჲს-
წარმეტყუელობისა, რომელი აქუნდა ღმრთისა მიერ. ხოლო
ამათ ორთავე ბერთა შეჰვედრა თავი თჳსი ყოვლითა გულს-
მოდგინებითა და მამისა მის² სერიდოჳს განზრახვითა. ხო-
ლო მამისა იოვანჳს მსახურებასაცა ღირს-იქმნა.

და მაშინ განიზრახეს წმიდათა მათ ბერთა, რაჲთა აღაშე-
ნონ სახლი სასნეულოჲ, რაჲთა არა იჭირვოდიან ძმანი, რა-
ჟამს დასნეულდენ, გინა მოუძღურდენ სიბერისაგან. და
აღაშენეს სახლი განსასუენებელი უძღურთა და სნეულ-
თაჲ ნებითა ღმრთისაჲთა და თანაშენევენითა ძმისა მამისა
დოროთჳსითა. რამეთუ ესუა მას ძმაჲ ერისკაცი, მოშიში
ღმრთისაჲ და ფრიად მოლუანჳ მონაზონთაჲ. და მისცნეს
მამასა დოროთეს სხუანიცა ძმანი სულიერნი თანაშემწედ
და დაადგინნეს იგინი³, რაჲთა იღუწიდენ ძმათა, რომელნი
იყვნენ უძღურებასა შინა.

ხოლო დღესა ერთსა განგებითა ღმრთისაჲთა მოვიდეს
ვიეთნიმე მოყუარენი მამისა სერიდოჳსნი და მოიყვანეს მათ

¹ წინაჲსწარმეტყუელ Gr] + და A

³ მამისა მის] მამისავე A

⁴ იგინი] იგი AB

თანა ჭაბუკი ერთი შუენიერი ფრიად და მოსილი სამოსლითა პატიოსნითა. და ჰრქუეს მამასა სერიდონს, ვითარმედ: „ჰნე-ბავს ჭაბუკსა ამას, რადთა იქმნეს ეგე მონაზონ შენ თანა“. ხოლო მამამან სერიდონ განიყვანა მამად დოროთე თვსაგან და ჰრქუა მას, ვითარმედ: „ამათ კაცთა მოიყვანეს ჭაბუკი ესე და იტყვან, ვითარმედ ჰნებავს, რადთა იქმნეს იგი აქა მონაზონ. ხოლო მეშინის მე, ნუუკუე არს იგი ჴელმწიფისა ვისმე და ლტოლვილ არს აუგისა რადსათვსმე და გამოცხად-ნეს და ვიპოვნეთ ჩუენ განსაცდელსა შინა, რამეთუ არცა სახც და არცა შესახედავი მისი ჰგავს კაცსა, რომელსა უნებნ მონაზონყოფის“.

ხოლო იყო იგი ჴელმწიფისა ვისმე ფრიად საყუარელი და აღზრდილ იყო იგი მრავლითა შუეებითა და განსუენებითა. და არაოდეს ასმიოდა მას სიტყუად ღმრთისად, გინა უბნობად რადმე სულიერი. ხოლო დღესა ერთსა უთხრეს მას რომელთამე კაცთა იერუსალჴმისათვს და სხუათა მათ წმიდათა ადგილთათვს. და მას გულმან უთქუა მისლვად და თაყუანისცემად აღდგომასა¹ ქრისტჴსსა და წმიდასა საფლავსა მისსა და ევედრა იგი ჴელმწიფესა მას, რადთა წარგზავნოს იგი მუნ. ხოლო მას არა უნდა შენუხებად მისი და პოვა მოყუარჴ თვისი მიმავალი იერუსალჴმს და ჰრქუა მას: „ყავ სიყუარული და წარიყვანე ჭაბუკი ესე შენ თანა, რადთა მოილოცნეს წმიდანი იგი ადგილნი, რამეთუ სწადის“. ხოლო მან თავს-იდვა სიხარულით და წარიყვანა მის თანა და ჰყვა იგი მრავლითა პატივითა და განსუენებითა.

და ვითარცა მოვიდეს იერუსალჴმს, და თაყუანის-სცეს წმიდასა საფლავსა უფლისასა და ყოველთავე მათ ადგილთა წმიდათა. და მოვიდეს გესამანიად და იხილა მუნ ჯოჯოხეთი გამონატვით. ხოლო ჭაბუკი იგი დგა და განიცდიდა მას განკვრევით და მიიქცა და იხილა მდგომარჴ მარჯუენ-

¹ აღდგომასა] აღგომასა AB

ნით მისა დედაკაცი ვინმე, სამოსლითა ისფერითა მოსილი, რომელი უჩუენებდა მას თითოეულსა მას შინა მყოფსა და გულისხმა-უყოფდა მას ძალსა მისსა და ასწავებდა მას სიტყუათა სულისა ცხორებისათა და შიშსა ღმრთისასა. ხოლო ჭაბუკსა მას ესმოდა რად ესე, დაუკვრდებოდა¹ ფრიად, რამეთუ, ვითარცა ვთქუ, არა ასმიოდა მას სიტყუად ღმრთისად და არცალა-თუ არს სატანჯველი. მიუგო და ჰრქუა მას: „დედუფალო, უკუეთუ ესე ესრეთ არს, ვითარ ვინ განერეს სატანჯველთა ამათგან?“ ხოლო მან ჰრქუა მას: „იმარხვედი და ნუ შჭამ ჯორცსა და ილოცვედი ღმრთისა მიმართ, რადთა მიგიძლუეს შენ ცხორებად“. და ვითარცა მისცნა მცნებანი ესე, მიეფარა მისგან.

მიერიტგან იწყო ნეტარმან დოსითე მარხვად და ლოცვად. და არა ჭამდა ჯორცსა და არცა იქცეოდა მათ თანა, ვითარცა იყო ჩუეულებად მისი, არამედ მჭმუნვარედ და გლოვით და ტირილით და დუმილით იყო ყოვლადვე. ხოლო კაცნი იგი მის თანა მყოფნი ხედვიდეს მას და უკვრდა და ევედრებოდეს მას, რადთამცა უთხრა გულისსიტყუად იგი მისი. და ვითარცა გულისხმა-ყვეს საქმე მისი, ჰრქუეს მას: „უფალო, საქმენი ეგე, რომელთა შენ იქმ, არა არიან კაცისანი, რომელსა ჰნებავნ ყოფად სოფელსა შინა და უფროდსად ჴელმწიფეთა თანა. ხოლო უკუეთუ ესრეთ გნებავს ცხორებად, ნარვედ მონასტრად, რადთა სრულიად აცხოვნო სული შენი“. ხოლო მან ჰრქუა მათ: „მაშა ყავთ სიყუარული ღმრთისათვს და მიმიყვანეთ მე, სადაცა იცით“. ხოლო იყვნეს ვინმე მათგანნი მეცნიერნი მამისა სერიდოქსნი, ვითარცა პირველად ვთქუ, და მოვიდეს მონასტრად და მოიყვანეს ჭაბუკი იგი მათ თანა.

¹ დაუკვრდებოდა ფრიად, რამეთუ, ვითარცა ვთქუ, არა ასმიოდა მას სიტყუად ღმრთისად ... ეუბნებოდა და გამოსწულილვიდა მას. და ვითარცა არარაჲ] და lac A

ხოლო ან მოვიდეთ პირველსავე მას სიტყუასა. და ვითარცა ჰრქუა მამამან სერიდონ მამასა დოროთეს, ვითარმედ: „ყავ სიყუარული და წარვედ და გულისსიტყუად ჭაბუკისად მის გულისხმა-ყავ“, და წარვიდა მამად დოროთე და ეუბნებოდა და გამოსწულილვიდა მას. და ვითარცა არარად იცოდა მან უბნობად სამონაზნოდ, არამედ ამას ოდენ ეტყოდა მას, ვითარმედ: „მინებს ცხორების და რაფთა განერეს სული ჩემი სატანჯველთაგან“. მაშინ მოვიდა მამად დოროთე მამისა სერიდონის თანა და ჰრქუა მას: „უკუეთუ გნებავს შეწყნარებად ჭაბუკისად იმის, ნურარას ერიდები მას, რამეთუ არა არს მის თანა ზაკუვად, არამედ ღმერთსა ჰნებავს ცხორებად მისი“. მაშინ ჰრქუა მას მამამან სერიდონ: „უკუეთუ ესრეთ არს, მაშა ყავ სიყუარული და აღილე იგი შენ თანა, რაფთა ცხონდეს, რამეთუ არა მნებავს მისი ყოფად ძმათა თანა“. ხოლო მამად დოროთე ეტყოდა მას სიმდაბლისაგან მისისა, ვითარმედ: „ვერ შემძლებელ ვარ, რაფთამცა ვიტვრთე სიმძიმჴ სხვსად, რამეთუ ჩემიცა ვერ მიტვრთავს“. და მამად სერიდო დაადგრა სიტყუასა მას ზედა და ფრიად აიძულებდა მას.

მაშინ ჰრქუა მას მამამან დოროთე: „მაშა, უკუეთუ გნებავს, მიბრძანე, რაფთა ვჰკითხო მამასა ბარსანოფის“. და ჰრქუა მას მამამან სერიდო: „კეთილ, მაშა მე ვარქუა მას“. და წარვიდა და უთხრა მას საქმჴ ესე, მამასა ბარსანოფის დიდსა. ხოლო მამამან ბარსანოფი ჰრქუა მამასა დოროთეს: „შეიწყნარე ჭაბუკი იგი შენ თანა, რამეთუ ღმერთსა შენ მიერ ჰნებავს ცხორებად მისი“.

მაშინ შეიწყნარა იგი მამამან დოროთე გულსმოდგინებით და უბრძანა მას საქმედ მსახურებად უძლურთა. და ჰმსახურებდა იგი ყოველთა გულსმოდგინედ. და სახელად ერქუა მას დოსითე, რომელ არს თარგმანებით მოცემული ღმრთისად.

და დღესა ერთსა უბრძანა მას მამამან დოროთე, ვითარმედ: „იმარხე მწუხრამდის და ჭამე პური მაძღრივ და მითხარ მე, თუ რაფობი შჭამო“. და მან ყო ეგრე და მოვიდა და უთხრა მამასა დოროთეს, ვითარმედ: „ეჭამე პური და ნახევარი“. ხოლო იყო პურსა მას და ნახევარსა შინა ექუსასის ნონი. და ჰრქუა მას მამამან დოროთე: „ჭამდი პურსა და ნაოთხალსა მეორისასა და მეორეზ ნაოთხალი ორად განყავ და დღითი-დღედ ჭამდი მაგას“. და მან ყო ეგრე. და გამოცა და ჟამი რაოდენიმე. მაშინ ჰრქუა მას მამამან დოროთე: „გშინა შვილო?“ ხოლო დოსითე მიუგო და ჰრქუა მას: „ჰე, მამაო, მშინ მცირედ რადმე“. ხოლო მცირედთა დღეთა შემდგომად ჰრქუა მას: „დაადგერა შიმშილსა მას ზედა?“ მიუგო მან: „არა, ლოცვითა შენითა, მამაო“. მაშინ კუალად ჰრქუა მას: „ალიღე ნახევარი ნაოთხალისად მის“. და მან ყო ეგრე. და მცირედთა დღეთა შემდგომად ჰრქუა მას: „ალიღე იგიცა ნაოთხალი და ჭამდი პურსა ერთსა ოდენ“. და კუალად მცირე-მცირედ მისგანცა დატევებად-სცა და ესრეთ შეწეწითა ღმრთისადათა ექუსასისა ნონისაგან მოიყვანა ოთხმეოცისა ნონსა, რამეთუ ჩუეულებად არს ჭამასაცა შინა.

ხოლო იყო ნეტარი ესე დოსითე ყოველსავე მსახურებასა შინა ფრთხილ და ყოველსავე წმიდად და გულსმოდგინედ იქმოდა და ჰმსახურებდა უძღურთა კეთილად და სარწმუნოებით და ყოველნივე განისუენებდეს მის ზედა. ხოლო უკუეთუმცა განრისხნა და ფიცხელი სიტყუად მიუგო ძმასა ვისმე, მეყსეულად დაუტევის ყოველი და შევიდის საჭურჭლედ და დაჯდის და ტირნ. და მოვიდიან სხუანი ძმანი და ნუგეშინის-სცემდიან მას და ვერ შეუძლიან. მაშინ წარვიდიან და უთხრიან მამასა დოროთეს, ვითარმედ: „ყავ სიყუარული, მამაო, და ნახე ძმად იგი, თუ რად შჭირს, რომელ ესრეთ მწარედ ტირს“. ხოლო შე-რაფ-ვიდის მამად დოროთე, პოვის იგი მდებარეზ ქუეყანასა ზედა მტირალი და ჰრქვს მას:

„რად არს, დოსითე, რადსათჳს¹ ესრეთ სტირ?“ ხოლო მან მიუგის: „შემინდვე, მამაო, რამეთუ განვრისხდი და ვარქუ რისხვით სიტყუად ძმასა“. მაშინ ჰრქჳს მას მამამან დოროთე: „არა გრცხუენიანა, რამეთუ ესრეთ განჰრისხნები და ეტყჳ რისხვით სიტყუასა ძმასა შენსა? არა იცია, რამეთუ იგი არს ქრისტე და ქრისტესა შეანუხებ?!“ ხოლო იგი ტირნ ოდენ და სხუასა არარას იტყჳნ. და იხილის რად იგი მამამან დოროთე, ვითარმედ იტირა ფრიად, მაშინ ჰრქჳს მას: „აღდეგ, შეგინდვენ ღმერთმან! და ამიერთგან ეკრძალე და ღმერთი შეგენოს“. ხოლო მას ვითარცა ესმის სიტყუად მისი, შეინწყნარის სარწმუნოებით, ვითარცა ღმრთისაგან, და აღდგის და სწრაფით წარვიდის თჳსსავე მსახურებასა.

და ცნეს რად ძმათა წესი იგი მისი, ოდესცა იხილიან იგი მტირალად, გულისხმა-ყვიან, ვითარმედ შეცთომილ რასმე არს და უთხრიან ნეტარსა დოროთეს. ხოლო მან ნახის რად იგი, ცნის, ვითარმედ ფიცხელი სიტყუად მიუგია ვისდამე და ჰრქჳს მას: „რად არს, დოსითე, კუალად შეანუხება ქრისტე? კუალად განჰრისხენ ძმისა მიმართ და არა გრცხუენიანა?!“ ხოლო იგი ვერას მიუგებნ მწარისა მისგან და ფრიადისა ტირილისა. და იხილის რად იგი ესრეთ ნეტარმან დოროთე, კუალად ჰრქჳს მას: „აღდეგ, შვილო, შეგინდვენ შენ ღმერთმან და დაინყე პირველითგან და ეკრძალე!“ და კუალად იგი აღდგის და სიხარულით წარვიდის მსახურებასავე თჳსსა.

ხოლო ესრეთ აქუნდა მას ჩუეულეზად აღსარებისად, რომელ უკუეთუ დაუგებნ იგი ლოგინსა უძღურთა და წარმოჰვლინ წმიდად დოროთე, ჰრქჳს მას, ვითარმედ: „შემინდვე, მამაო, რამეთუ მეტყჳს მე გულისსიტყუად ჩემი, ვითარმედ კეთილად დავაგებ ამას“. ხოლო მან ჰრქჳს მას: „ეგე გულისსიტყუად ამჰარტავანებისაგან არს, შვილო, და ცუდად იქმ შრომასა და მსახურებასა შენსა“. და არაოდეს

¹ რადსათჳს ძმე π| 6.12| რადსა A

უტევა მას ყოფად ნებისა მისისა და არცა თუმცა ჰქონდა ჭურჭელი რაჲმე, რომელიმცა უყუარდა მას. ხოლო იგი შეინწყნარებდა ყოველსავე სიხარულით. და ოდეს ნახის იგი მამან დოროთე, ვითარმედ შიშუელ არს, მაშინ მისცის მას სამოსელი და უბრძანის: „აღიდე ეგე, შვილო, და შეკერე¹ და შეჰკაზმე კეთილად და შთაიციუ“. ხოლო მან აღიღის და შეკერის იგი. მაშინ ჰრქვს მას: „რაჲ ჰყავ სამოსელი იგი?“ ხოლო მან მიუგის: „შემიკაზმავს იგი, მამაო, კეთილად, ვითარცა მიბრძანე“. მაშინ ჰრქვს მას: „მიეც იგი მას ვისმე ძმასა!“ ხოლო მან მისცის სიხარულით. და კუალად მისცის სხუად, და ვითარცა შეკერის, კუალად უბრძანის: „მიეც იგი მას ვისმე უძღურსა“. და მან ეგრეთვე სიხარულით მისცის. და არაოდეს იდრტუნა ნეტარმან მან, ვითარმედ მე ოდენ ვიჭირვი და შევჰკერავ და იგი სხუათა მისცემს და მე ესრეთ შიშუელსა დამიტეობს შემდგომად შრომისა ჩემისა. და გულსაცა არა მიუშვს გულისსიტყუად ესევეთარი, არამედ ყოველივე, რაჲცა უბრძანის მას წმიდამან დოროთე, შეინწყნარის მან, ვითარმცა თვთ ღმრთისაგან ესმოდა და არა კაცისაგან.

მოართუა ვინმე კაცმან დანაჲ ნეტარსა დოსითეს, ხოლო მან მიართუა წმიდასა დოროთეს და ჰრქუა მას: „მან ვინმე ძმამან მომცა დანაკი ესე და თუ ჰბრძანო, მქონდის ესე, რამეთუ ფრიად კეთილ არს და ჰკუეთს კარგად“. და იხილა ბერმანცა და შეუყუარდა. არამედ არაოდეს მოიგის წმიდამან ჭურჭელი, რომელი უყუარნ გულსა მისსა და ჰრქუა ნეტარსა დოსითეს: „დოსითე, გნებავსა, რაჲთამცა იყავ მონა დანაკისა ამის და არა ქრისტჳსა? და არა გრცხუენიანა, თუ ამისთვის გეუფლოს² შენ ეშმაკი ანგაჰრებისად, რომელ არს

¹ შეკერე] შეიკერე A

² გეუფლოს შენ ეშმაკი ანგაჰრებისად ... და დაუტევა სრულიად ნებაჲ თვისი ღმრთისათვის, რომლისად არს სუფევად, ძალი და დიდებაჲ უკუნითი უკუნისამდე, ამენ] lac A

კერპთმსახურებაა?!” ხოლო ნეტარი იგი ქუეყანად მიმართ ოდენ იხედავს თავმოდრეკით და ვერ აღიხილავს, რაფთამცა შეხედნა ბერსა. და შემდგომად სიტყუათა ამათ მისცა მას დანაკი იგი და ჰრქუა მას: „ნარიღე ეგე და დადევ სასნეულესა შინა, რაფთა იმსახურებდენ ძმანი. ხოლო შენ ნუ იმსახურებ, ნუცა აღიღებ მაგას“. და ესრეთ დაიმარხა ნეტარმან დოსითე სიტყუად ბერისაჲ, რომელ თუცა სთხოვის ვინ იგი, არა მიყვის ჴელი, რაფთა მისცეს იგი, არამედ უჩუენის ოდენ და ჰრქვს: „ყავ სიყუარული და თვთ აღიღე, ძმაო“. და ყოველნი ძმანი იმსახურებდეს, ხოლო იგი ყოვლადვე არა შეეხებოდა. და არაოდეს იდრტვნა გულსაცა შინა თვსსა, თუ ყოველნი იმსახურებენ და მე ოდენ არა გამწყდების, არამედ ყოველივე, რაფცა ესმინ, სიხარულით ქმნის.

და ესრეთ კეთილად დაყო მცირედი იგი ჟამი, რომელიცა დაყო მონასტერსა შინა, რამეთუ ხუთი ოდენ წელი დაყო. და ესრეთ აღესრულა და მიიწია სიხარულით უფლისა, რამეთუ არა ქმნა მან ნებაჲ თვისი, არცა დიდსა რას ზედა, არცა მცირესა ყოვლადვე, არამედ ყოველსავე ზედა იქმოდა ნებასა ბერისასა სიხარულით და სინრფოებით. ხოლო დასწეულდა იგი სწეულებითა მძიმითა და ფიცხელითა, რომელსაცა შინა შეისუენა, რამეთუ აღმოჰყრიდა იგი სისხლსა. იყო დუბელად სენი იგი მისი და ესმა მას ვიეთგანმე, ვითარმედ კუერცხი ერგების საღმობასა მაგას. და ჰრქუა მამასა დოროთეს, ვითარმედ: „მესმა, მამაო, ვიეთგანმე საქმისა რაფსათვსმე, რომელი საღმობასა ამას ჩემსა ერგების, არამედ არა მნებავს, რაფთამცა მომეც მისგანი, რამეთუ მტანჯავს მე გულისსიტყუად ჩემი მისთვის“. ჰრქუა მას მამამან დოროთე: „მითხარ ოდენ, რაფთა ვცნა, თუ რაჲ არს იგი“. ჰრქუა დოსითე: „მომეც მე სიტყუად, რაფთა არა მცე მისგანი, რამეთუ ფრიად მინებს იგი და გული მითქუამს“. მაშინ ჰრქუა მას მამამან დოროთე: „კეთილ, შვილო, ვითარცა გნებავს,

ეგრეთ ვყო“. მაშინ ჰრქუა მას: „მესმა, მამაო, ვითარმედ კუერცხი ერგების სენსა ამას, არამედ ვევედრები სინმიდესა შენსა, უკუეთუ ჯერ-არს, ნუ მცემ მას გულისტუქუმისა ჩემისათვის“. და ჰრქუა მას მამამან დოროთე: „ნუ გულსა გაკლს, ვინაფთგან შენ არა გნებავს, არა მიგცე. და ღმერთმან შეინირენ ლუანლი შენი“. ხოლო მამად დოროთე ისწრაფდა, რადთამცა სხუად რადმე მისცა მას კუერცხისა ნილ წამალი, სარგებელი უფროფს კუერცხისა.

იხილეთ აწ, ძმანო, რამეთუ ეგევითარსაცა სიმძიმესა შინა საშინელსა ებრძოდა იგი წინააღდგომად ნებასა თვისსა. ხოლო ჰქონდა მას მარადის ჴსენებად ღმრთისად, რამეთუ წმიდასა დოროთეს მცნებად მიეცა მისდა, რადთა მარადის ამას სიტყუასა იტყოდის: „უფალო, იესუ ქრისტე, შემინყალე მე! ძეო ღმრთისაო, შემეწიე მე!“ და ვითარცა დამძიმდა იგი, ჰრქუა მას წმიდამან დოროთე: „იხილე, დოსითე, ნუ-უკუე წარსწყმიდო ლოცვად შენი“. ჰრქუა მას: „ვილოცავ, მამაო, მადლითა წმიდითა შენითა“. ხოლო დამძიმდა რად უფროფსად, კუალად ჰკითხა მას წმიდამან დოროთე: „რად არს, დოსითე, ჰგიესა ლოცვად შენი?“ მიუგო ნეტარმან დოსითე: „ჰე, ლოცვითა შენითა, მამაო, ჰგიეს ჯერეთ“.

ხოლო მი-რად-ვიდა იგი ეგევითარსა სიმძიმესა, რომელ სარეცელსა ზედა თვისსა ვერღარა იძრვოდა, მაშინ ჰკითხა მას მამამან დოროთე: „ვითარ არს ლოცვად შენი, დოსითე?“ მიუგო და ჰრქუა მას: „შემინდვე, მამაო, რამეთუ ვერღარა შემძლებელ ვარ დამჭირვად ლოცვისა“. ჰრქუა მას წმიდამან დოროთე: „განუტევე, შვილო, ლოცვად და ჴსენებად ოდენ ღმრთისად დაიმჭირე და გაქუნდინ ღმერთი წინაშე თუალთა შენთა“.

ხოლო იჭირვოდა რად იგი ფრიად, ჰრქუა მამასა დოროთეს: „უკუეთუ ჯერ-გიჩს, მამაო, არქუ მამასა ბარსანოფის, ვითარმედ: „ევედრე ღმერთსა, რადთა განმიყვანოს მე ამის

ცხოვრებისაგან, რამეთუ ვერღარა შემიძლია“. და უთხრა დოროთე მამასა ბარსანოფის დიდსა და მიავლინა მამამან ბარსანოფი, ვითარმედ: „მოითმინე, შვილო, რამეთუ ახლოს არს წყალობად ღმრთისაჲ“. და შემდგომად რაოდენთამე დღეთა კუალად ჰრქუა მამასა დოროთეს, ვითარმედ: „უკუეთუ გნებავს, მამაო, არქუ წმიდასა ბარსანოფის, ვითარმედ ვერღარა შემიძლია. ევედრე ღმერთსა, რადთა წარმიყვანოს მე“. მაშინ მიავლინა მისა წმიდამან ბარსანოფი: „ან წარვედ მშკდობით, შვილო, და წარმოუდეგ წმიდასა სამებასა და მეოხ-გუეყავ ჩუენ“. ხოლო მაშინ მისცა მან წმიდაჲ სული თვისი უფალსა.

და ესმა ძმათა მის მონასტრისათა სიტყუად დიდისა მის ბერისაჲ, ვითარ-იგი ჰრქუა მას, ვითარმედ: „წარმოუდეგ წმიდასა სამებასა და მეოხ-გუეყავ ჩუენ“, და განუკვრდა ფრიად და რომელნიმე იტყოდეს, თუ: „რად-მე საქმე იყო მის ძმისა თანა, რომელ ეგევითარსა სიტყუასა ღირს-იქმნა ბერისაგან? განალა არას მოღუანებასა შინა ვხედევდით მას, რამეთუ არცა ორ-ორით იმარხვიდა იგი, ვითარ სხუანი ძმანი და არცა უწინარეს ჟამისრეკისა იღვძებდა და არცა სხუად რად მოღუანებაჲ ვიხილეთ მის თანა, არამედ შემდგომად ჟამისრეკისა აღდგის იგი და მრავალგზის ორისაცა კანონისა შემდგომად მოვიდის ეკლესიად, და პურსა დღითი-დღედ ჭამნ, და უკუეთუ დაშთის მცირედ რადმე თევზი უძღურთაგან, იგიცა შეჭამის. და ვითარ ეგევითარსა სიტყუასა ღირს-იქმნა ბერისა მის წმიდისა და დიდისაგან?“ და არა იცოდეს მათ დიდი იგი და შეუოროგულებელი მორჩილებაჲ მისი. რამეთუ დაღაცათუ განცხრომით რადმე არქვს სიტყუად მამამან დოროთე, ეგრეთ შეჰრაცხის მან, ვითარცა ჭეშმარიტი და ვითარცა დიდად სარგებელი სულისა თვისისაჲ. ხოლო დღესა ერთსა ჰრქუა მას წმიდამან დოროთე რეცა განცხრომით, ვითარმედ: „დოსითე, გიჴმს შენ წებული,

მიიღე!“ ხოლო მან შეინყნარა, ვითარცა ჭეშმარიტი და არა-
რად მიუგო სიტყუად, თუ: „არა მინებს“, ანუ-თუ: „რად იტყვ,
ვითარმედ გივმს შენ ნებული?“ რამეთუ ესრეთ ეძლია გონე-
ბისა თქსისადა წმიდასა მას, რომელ ყოვლად არა გამოიწუ-
ლილვიდა სიტყუასა წმიდისა დოროთქსსა, არამედ ყოველ-
სავე ესრეთ შეინყნარებდა, ვითარცა პირისაგან ღმრთისა
სმენილსა, შეუორგულებელად და გამოუწულილველად.
ხოლო ვითარცა ჰრქუა მას წმიდამან დოროთე, ვითარმედ:
„მიიღე ნებული“, მსწრაფლ წარვიდა იგი და შექმნა ნებული
და მოილო და მიუპყრა ბერსა, რადთამცა აკურთხა. ხოლო
წმიდასა დოროთეს ფრიად განუკვრდა გამოუწულილველი
მორჩილება და კეთილი იგი სარწმუნოება და სინრფოე-
ბა. და ჰრქუა მას: „დოსითე, ცოფ ხარ შენ და არა იცი, რასა
იქმ!“ ხოლო ნეტარმან მან დოსითე მაშინლა გულისხმა-ყო,
ვითარმედ განცხრომით მრქუა მე და მოიდრიკნა მუჴლნი და
წარვიდა და ქუე დადგა იგი.

ოდესმე ჰკითხა ნეტარმან დოსითე წმიდასა დოროთეს
სიტყუად რადმე წერილისადა. ხოლო ბერსა არა უნდა, რად-
თამცა ცნა მან იგი და ჰრქუა მას: „მე არა ვიცი ეგე, არა-
მედ ჰკითხე მამასა სერიდოსს“. ხოლო მამამან დოროთე
თქსაგან ჰრქუა მამასა სერიდოსს, ვითარმედ: „უკუეთუ
მოვიდეს დოსითე შენდა კითხვად მის რადსათქსმე სიტყუსა,
შეჴრისხენ მას ფრიად“. ხოლო მი-რად-ვიდა დოსითე მამი-
სა სერიდოსს თანა და ჰკითხა სიტყუად იგი, და მეყსეულად
ინყო შერისხვად მისა მამამან სერიდოსს და ეტყოდა მას:
„იკადროა შენ კითხვად მაგისა? არა ზრუნვიდეა არანმი-
დებათა შენთა?“ და ორჯერ უხეთქნა მას ყურიმალსა და
განუტევა. ხოლო იგი წარვიდა მამისა დოროთქსს თანა და
უჩუენებდა ყურიმალსა თქსსა განწითლებულსა ცემისა მის-
გან. და არა ჰრქუა მას, თუ: „შენ რად არა მამხილე, ვიდრე
მის თანა წარმავლინე?“ და არცა იდრტვინა მან, არამედ

ყოველსავე ზედა უხაროდა და მადლობით თავს-იდებდა, რამეთუ დიდი სარწმუნოებაჲ ჰქონდა მას წმიდისა დოროთჳს მიმართ, რომელ ოდეს ჰკითხვს მას გულისსიტყუად რადმე თვისი, და რად-იგი უბრძანის მან, ესრეთ შეინყნარის, ვითარცა პირისაგან ღმრთისა სმენილი. და ესრეთ დაუვიწყებელად დაიმარხის, რომელ დღეთა მისთა ერთისა გულისსიტყუსათჳს ორჯელ არაოდეს უკითხავს ბერისა თვისისადა.

ხოლო, ვითარცა ვთქუ პირველად, ვითარმედ განუკურდა მრავალთა სიტყუსა მისთჳს წმიდისა ბარსანოფისა, რომელი იგი ჰრქუა მას, ვითარმედ: „წარვედ და წარმოუდეგ წმიდასა სამებასა და მეობ-გუეყავ ჩუენ!“ და იტყოდეს: „რად-მე იყო საქმჳ მისი? რამეთუ არა გვინახავს ჩუენ მის თანა არცა დიდი რადმე მარხვად, არცა ლოცვად, გინა მღკძარებაჲ, და არცა სიმჴნჳ ესევითარი“. ხოლო ამისთჳს ინება ღმერთმან, რად-თამცა გამოაცხადა დიდებაჲ იგი მისი, რომელი განუმზადა მორჩილებისა მისისათჳს და მადლი იგი, რომელი ჰქონდა წმიდასა დოროთეს ცხორებისათჳს სულთაჲსა, რომელმან-იგი ესრეთ მსწრაფლ აცხოვნა და უცთომელად წარგზავნა წინაჲ ღმრთისა. რამეთუ შემდგომად აღსრულებისა მისისა რაოდენითმე ჟამით ინება დიდმან ვინმე ბერმან, რადთამცა იხილნა ძმანი მის მონასტრისანი პირველ დაძინებულნი და ევედრა ამისთჳს ღმერთსა, რადთა გამოუცხადნეს ყოველნი. და იხილნა ყოველნივე ერთბამად დიდებასა შინა დიდსა, და შორის მათსა იხილა ერთი ვინმე მოყმჳ შუენიერი ფრიად დიდითა პატივითა და გვრგვნი ბრწყინვალჳ და პატიოსანი ფრიად ერქუა თავსა მისსა. და ვერ გულისხმა-ყო ბერმან მან, თუ ვინ არს იგი და ჰკითხა ანგელოზსა მას, რომელმან მიიყვანა იგი მუნ, ვითარმედ: „უფალო, ყოველთა ამათ მამათა ჩუენისა მონასტრისათა ვიცნობ, არამედ მიბრძანე მე, თუ მოყმჳ ესე გვრგვნოსანი ვინ არს, რომელი-იგი დგას შორის მათსა“. ხოლო ანგელოზმან მან ჰრქუა მას, ვი-

თარმედ: „იგი დოსითე არს, რომელმან-იგი ილუანა მორჩილებისათვის, და ქრისტწსთვის და სიყუარულისათვის მოძღურისა დაუტევა ყოველი ნებაჲ თვისი“. ხოლო მოიქცა რაჲ ბერი იგი ჩუენებისა მისგან, მოვიდა იგი ეკლესიად და ყოველივე უთხრა მამათა. მაშინ ყოველთავე მათ მამათა დიდითა საკურველებითა მაღლი შეწირეს ღმრთისა.

ხოლო ან იხილეთ, ძმანო, თუ რომლისა ცხორებისაგან რომელსა საზომსა მიიწია. და მცირედთა მათ ჟამთა ლუანლითა მიიღო გკრგკნი დაუჭნობელი და წარუვალი იგი დიდებაჲ ქრისტწსგან, რამეთუ შეიკრძალა მან მორჩილებაჲ და დაუტევა სრულიად ნებაჲ თვისი ღმრთისათვის, რომლისაჲ არს სუფევად, ძალი და დიდებაჲ უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

სწავლანი წმიდისა მამისა ღოროთცხნი
თითოსახენი მოწაფეთა თჳსთა მიმართ, რაჴამს
წარვიდა იგი მონასტრისაგან მამისა სერიღოღსა
და აღაშენა მონასტარი თჳსი ნებითა ღმრთისადთა
შემდგომად აღსრულებისა მამისა იოვანე
წინაღსწარმეტყუელისა და სრულიად დაღუპებისა
წმიდისა მამისა ჩუენისა ბარსანოფისა

თავი 1

გამოსლვისათჳს სოფლით

დასაბამსა, ოდეს დაჰბადა ღმერთმან კაცი, და დაადგინა იგი სამოთხესა შინა და შეამკო იგი ყოვლითა სათნოებითა და მისცა მას მცნებაჲ, რადთა არა ჭამოს ხისა მისგან, რომელი იყო შორის სამოთხესა (დაბ. 2,16-17). და იყოფოდა იგი ყოვლითა შუებითა და ლოცვითა და ყოვლითა კეთილითა და ჰქონდეს მას საცნობელნი თჳსნი წმიდად და იყო იგი ბუნებითა საქმეთა შინა, ვითარცა დაჰბადა იგი ღმერთმან, რამეთუ ხატად თჳსა დაჰბადა ღმერთმან კაცი (დაბ. 1,27). ესე არს, რამეთუ ყო იგი უკუდავ, თვითუფალ და შემკულ ყოვლითა სათნოებითა. ხოლო ოდეს გარდაჰჴდა მცნებასა და ჭამა ხისა მისგან, რომლისა ამცნო ღმერთმან, რადთამცა არა ჭამა მისგან, მაშინ განიძო სამოთხისაგან (დაბ. 3,23-24), რამეთუ დაეცა იგი ბუნებითა მისთა საქმეთაგან და შთავარდა იგი ცოდვასა და დიდებისმოყუარებასა და გემოღსმოყუარებასა ამის ცხორებისასა და სხუათა მათ ვნებათაგან იუფლა, რამეთუ ნებსით დაუმონა მათ თავი თჳსი გარდასლვითა მით მცნებისადათა. მაშინ აღორძნდა უკეთურებაჲ და სუფევდა სიკუდილი და არღარასადა იყო

ღმრთისმეცნიერებად, არამედ ყოველთაგან უგულისხმოებად ღმრთისად. ხოლო მცირედთა ვიეთმე უწყოდეს ღმერთი, რომელთა დაემარხა ბუნებითი იგი შჯული, ვითარ იყო აბრაჰამ და სხუანი იგი მამადმთავარნი: ნოე, იაკობ და ფრიად იშვთნი იყვნეს.

მაშინ ეშმაკმან განჰფინა ყოველივე უკეთურებად თვისი და ეუფლა ცოდვად. მაშინ იწყო კერპთა მსახურებამან და მრავალღმრთეებამან და კაცისკლვამან და გრძნებამან და სხუათა ყოველთა უკეთურებათა სუფევად. მაშინ შეიწყალნა სახიერმან ღმერთმან დაბადებულნი თვისნი და მოსცა დაწერილი შჯული მოსცს მიერ, რომელსა შინა რომელნიმე საქმენი ძაგნა და რომელნიმე აქნა. ხოლო ესე არს, ვითარმედ ამას რასამე იქმოდეთ და ამას რასამე ნუ იქმთ, რამეთუ მეყსეულად იტყვს: „უფალი ღმერთი შენი უფალი ერთ არს“ (2 სჯ. 6,4). ესე თქუა, რადთა გონებად კაცთად განაშოროს მრავალღმრთეებისაგან. და კუალად იტყვს: „შეიყუარო უფალი ღმერთი შენი¹ ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა“ (2 სჯ. 6,5). ყოველგან იტყვს, ვითარმედ: „ღმერთი ერთ არს და არა არს სხუად“, რამეთუ თქუა-რა: „შეიყუარო უფალი ღმერთი შენი“, აჩუენა სიტყვთა ამით, ვითარმედ ერთი ღმერთი არს და ერთი უფალი. და კუალად ათთა მათ სიტყუათა შინა იტყვს: „უფალსა ღმერთსა შენსა თაყუანის-სცე და მას მხოლოსა შეეყო და სახელსა მისსა ჰმონებდე“ (2 სჯ. 6,13). და კუალად იტყვს: „არავინ იყოს ღმერთ შენდა არცა ცათა შინა, არცა ქუეყანასა ზედა“ (გამ. 20,3-4; 2 სჯ. 5,7-8). ხოლო ესე ამისთვის თქუა, რამეთუ მაშინ ჰმსახურებდეს დაბადებულთა და არა – დამბადებელსა, ხოლო სახიერმან ღმერთმან მოსცა შჯული შეწვენად და მოქცევად და განმართლებად, და არავე განემართა. მოავლინნა წინაღსწარმეტყუელნი, და ვერცა

¹ შენი თჳს 1.7] > A

მათ განკურნეს ნყლულებად იგი დიდი, რამეთუ გარდაემატა ბოროტი, ვითარცა იტყვს ესაჲ: „არა არს არცა სენი, არცა მჯდომი, არცა ნყლული, რადთამცა დავასხთ წამალი ანუ ზეთი, ანუმცა შევხვეთ იგი“ (ეს. 1,6). ხოლო სიტყვსა ამის თარგმანი ესე არს, ვითარმედ არა მცირედი არს ბოროტი, არცა ერთსა ადგილსა, რადთამცა განვკურნეთ იგი, არამედ ყოველივე გუამი შეუპყრიეს, რომელ არს სული, და რამეთუ ყოველივე დაუმონებიეს ცოდვასა და ყოველივე დაუპყრიეს მას. და იერემია იტყვს: „ვკურნებდით ბაბილონსა და არა განიკურნა“ (იერ. 51,9). სახელი შენი გამოუცხადეთ და მცნებანი შენნი¹ უთხრენით, ქველისმოქმედებანი და აღთქუმანი უქადაგეთ, მტერთა მოსლვად² წინაღსწარვე მიუთხართ. ესე ყოველი უყავთ ბაბილონსა და არავე განიკურნა. ესე არს, ვითარმედ არა შეინანა, არა მოიქცა უკეთურებისაგან მისისა. და სხუასა ადგილსა იტყვს: „არა შეინყნარეს მათ წურთილებად, არცა სწავლად, არცა მხილებად“ (იერ. 2,30). და ფსალმუნსა შინა იტყვს, ვითარმედ: „ყოველივე ჭამადი მოიძაგა სულმან მათმან და მიეახლნეს ბჭეთა სიკუდილისათა“ (ფსალმ. 106,18).

მაშინ სახიერმან და კაცთმოყუარემან ღმერთმან მოავლინა ძვ თვისი მხოლოდშობილი, რამეთუ ღმრთისა მხოლოდსად იყო განკურნებად ეგევითარისა მის სენისად. და წინაღსწარმეტყუელთა ესე უწყოდეს. ამისთვისცა დავით იტყოდა: „რომელი ჰზი ქერობინთა ზედა, განცხადენ. და აღადგინე ძალი შენი და მოვედ ცხორებად ჩუენდა“ (ფსალმ. 79,2-3). და კუალად იტყვს: „უფალო, მოსდრიკენ ცანი და გარდამოჰყედ“ (ფსალმ. 143,5). და სხუანი მრავალნი ეგევითარნი სიტყუანი თქუნეს ამანცა და სხუათაცა წინაღსწარმეტყუელთა. რომელსამე იტყოდეს ვედრებით, რადთამცა მოვიდა, და რომელსამე

¹ მცნებანი შენნი *τὰς ἐπιτολὰς* 3.12-13] მცნებად შენი A

² მოსლვად *ἐπαναστάσεις* 3.14] მოსრვად A

გულსმოდგინე ქმნულიყვნეს, ვითარმედ მოვალს, და ესრეთ იტყოდეს.

მოვიდა უფალი ჩუენი და ჩუენთჳს კაც-იქმნა, რადთა, ვითარცა იტყჳს ნმიდაჲ გრიგოლი: „მსგავსითა მსგავსი განკურნოს, სულითა – სული და ჳორციითა – ჳორცნი“. რამეთუ, თჳნიერ ცოდვისა, ყოვლითურთ კაც იქმნა, არსებაჲ იგი ჩუენი მიიღო, დასაბამი იგი ცთომილებისა ჩუენისაჲ, და იქმნა იგი ახალი ადამ, ხატად დამბადებელისა¹ მისისა, და განაახლა ბუნებაჲ იგი და განწმიდნა საცნობელნი, ვითარცა იყვნეს პირველად. განაახლა დაცემული იგი კაცი, რაჟამს იქმნა იგი კაც, დამონებული იგი ცოდვასა, განათავისუფლა, მიმძლავრებული იგი მისგან, რამეთუ მიმძლავრებულ და უფლებულ იყო კაცი მტერისაგან და რომელთა არა უნდა ცოდვის, იგინიცა უნებლებით ცოდვიდეს, ვითარცა იტყჳს მოციქული, ვითარმედ: „არა-თუ რომელი მნებავს კეთილი, მას ვიქმ, არამედ რომელი არა მნებავს ბოროტი, მას აღვასრულებ“ (რომ. 7,19).

ხოლო იქმნა რაჲ ღმერთი ჩუენთჳს კაც, განათავისუფლა კაცი მონებისაგან მტერისა, რამეთუ ყოველივე ძალი მისი შემუსრა და სიმჴნჴ იგი მისი მოაუძღურა და მიჴსნნა ჩუენ მონებისაგან მისისა და ჳელთაგან მისთა გამომიყვანნა ჩუენ. და უკუეთუ ჩუენ თჳთ არა გჴნდეს ცოდვის, ვერღარავინ გუჴპატიჴობს, რამეთუ განგუწმიდნა ჩუენ ყოვლისაგან ცოდჴსა ნმიდითა ნათლისღებითა და მოგუცა ჩუენ ჳელმწიფებაჲ დათრგუნვად გუელთა და ღრიაკალთა და ყოველსავე ძალსა მტერისასა (ლუკ. 10,19), რამეთუ ნმიდაჲ ნათლისღებაჲ განგუწმენდს ჩუენ ყოვლისაგან ცოდვისა.

ხოლო კუალად სახიერმან ღმერთმან უწყოდა, ვითარმედ შემდგომად ნათლისღებისა კუალად ვიქმთ ცოდვასა, ვითარცა წერილ არს, ვითარმედ: „გული კაცისაჲ სიწრფოთ-

¹ დამბადებელისა A*B* *κτίστης* 4.16] დაბადებელისა A^cB^c

გან მისით არს მალე ცოდვისა მიმართ“ (დაბ. 8,21). ამისთვის სახიერებისაებრ მისისა მოგუცნა მცნებანი მისნი წმიდანი, რაფთა დაღაცათუ ვცოდოთ, უკუეთუ გვნდეს, შემძლებელ ვართ განწმედად დამარხვითა მცნებათა მისთაფთა, არა ოდენ ცოდვათაგან, არამედ – ვნებათაგანცა. რამეთუ სხუანი არიან ცოდვანი და სხუანი არიან ვნებანი. ვნებანი არიან: გულისწყრომაჲ, ცუდადმზუაობრებაჲ, გემოფსმოყუარებაჲ, სიძულილი, გულისთქუმაჲ ბოროტი და სხუანი ეგევითარნი. ხოლო ცოდვანი არიან, ოდეს კაცმან ვნებანი იგი საქმით აღასრულნეს და ჴორცითა თვისითა ქმნნეს იგინი, რამეთუ მრავალნი არიან, რომელთა ჰქონან ვნებანი, ხოლო საქმით არა აღასრულებენ მათ. რამეთუ მოგუცნა ჩუენ მცნებანი, რომელნი განგუნმედენ ჩუენ ვნებათაგანცა, რომელნი არიან შინაგან ჩუენსა. რამეთუ გვჩუენა ჩუენ გზაჲ ბოროტისა და კეთილისაჲ და გვთხრა ჩუენ, თუ რაჲ მიგვყვანებს ცოდვასა. რამეთუ შჯული იტყვს: „არა იმრუშო“ (გამ. 20,14), ხოლო უფალი იტყვს: „ნუცა გულისთქუმასა შეინწყნარებ“ (შდრ. მათ. 5,28). რამეთუ უკუეთუ გულისთქუმაჲ გაქუნდეს, დაღაცათუ დღეს არა ჰქმნა, არამედ ოდეს იგი შინაგან იყოს, ბოლოდ დაგცემს. უკუეთუ გაქუნდეს გულისწყრომაჲ ძმისა მიმართ შენისა, ოდესმე შთავრდომად ხარ ძკრისზრახვასაცა, და ესრეთ მცირე-მცირედ მოხუალ კაცისკლვასაცა.

კუალად შჯული იტყვს: „თუალი თუალისა წილ და კბილი კბილისა წილ“ (გამ. 21,24; ლევიტ. 24,20), ხოლო უფალი გუამცნებს, რაფთა ოდეს ვინ გუცეს ყურიმალსა, არა-თუ ოდენ მოვითმინოთ, არამედ მეორეცა მიუჰყრათ სიმდაბლით (მათ. 5,39). რამეთუ მაშინ შჯული იტყოდა, რაფთა ამის შიშისათვს არავინ იქმოდის ბოროტსა, ხოლო ან ეძიებს ჩუენგან განძებასა სიძულილისასა, გემოფსმოყუარებისასა და დიდებისმოყუარებისასა.

ხოლო ენება მეუფესა ჩუენსა ქრისტესა, რადთამცა გვ-
ჩუენა ჩუენ, თუ სადაათ შთავვარდით ყოველთა ამათ ცოდ-
ვათა, ანუ სადაათ მოვინიენით ბოროტთა ამათ დღეთა.
პირველად, ვითარცა ვთქუ, წმიდითა ნათლისღებითა გან-
მათავისუფლნა ჩუენ ცოდვათა ჩუენთაგან და მოგუცა ჩუენ
ჴელმწიფებად, რადთა უკუეთუ გკნდეს, არა ვცოდოთ, რა-
მეთუ ან ვერლარა მიგკყვანებს ჩუენ ეშმაკი უნებლებით
ცოდვასა, ვითარ პირველად. რამეთუ მაშინ საბლითა ცოდ-
ვათა ჩუენთაათა შეკრულ ვიყვენით, ხოლო უფალმან მო-
გუცნა მცნებანი თჳსნი, რომელნი განმწმედენ ჩუენ ვნებათა
ჩუენთაგან, რადთა კუალად არა შთავცკვნეთ ცოდვათა მათ
პირველთა. და პირველად გვჩუენნა ჩუენ მიზეზნი, რომელნი
მოგკყვანებენ ჩუენ ურჩებასა და შეურაცხებასა მცნებათა
ღმრთისათა და მერმე გვჩუენებს ჩუენ წამალთა მათ, რომ-
ლითა შესაძლებელ არს განკურნებად მათდა.

ხოლო რად არს კურნებად იგი, ანუ რად არს მიზეზი, რომ-
ლითა მოვალთ შეურაცხებასა მცნებათა ღმრთისათასა? იხი-
ლეთ, რასა იტყვს უფალი: „ისწავეთ ჩემგან, რამეთუ მშკდ
ვარ და მდაბალ გულითა, და ჰპოოთ განსუენებად სულთა
თქუენთა“ (მათ. 11,29).

აჰა ესერა, ძმანო, გვჩუენა ჩუენ ერთითა სიტყვთა ძირი
იგი მიზეზი ყოვლისა ბოროტისა და კუალად გვჩუენა ჩუენ
წამალი იგი მისი, ძირი ყოვლისა კეთილისა და ვითარმედ
სიმაღლემან დაგუცნა ჩუენ და რამეთუ შეუძლებელ არს
სხვთა სახითა პოვნად წყალობისა და გარნა წინააღდგომითა
მით მისითა, რომელ არს სიმდაბლჴ. რამეთუ სიმაღლჴ შობს
შეურაცხებასა მცნებათა ღმრთისათა და ურჩებასა ბო-
როტსა, ხოლო სიმდაბლჴ შობს მორჩილებასა და ცხორებასა
სულისასა. არა სიტყვთ, გინა სახით სიმდაბლესა ვიტყვ,
არამედ ჭეშმარიტსა მას სიმდაბლესა, რომელი დაენერგვის
გონებასა შინა კაცისასა.

ხოლო რომელსა უნებს ცხორებად სულისა თვისაჲდ, ისწავენ სიმდაბლჳ და მაშინ იხილოს, ვითარმედ სიმდაბლესა შინა არს ყოველი განსუენებაჲ და სიხარული და დიდებაჲ. ხოლო ამპარტავანებისაგან იშვების ყოველი ბოროტი, რამეთუ სადაჲთ შთავვარდით ესეოდენთა ამათ ბოროტთა, არა ამპარტავანებისაგან დავეცენითა? არა ურჩებისათჳს ჩუენისა და აღსრულებისათჳს ბოროტთა ნებათა ჩუენთა წარგვეკიდაჲ ესე ყოველი? არა დაიბადაჲ კაცი ყოვლითა კეთილითა? და არა სამოთხესა შინა იყოჲ სიხარულით და განსუენებითა დიდითა და დიდებითა? და ჰრქუა მას ღმერთმან: „ამას რასმე ნუ იქმ!“ ხოლო მან ქმნა. ხედავთა ამპარტავანებასა მისსა? ხედავთა ურჩებასა მისსა? მაშინ ღმერთმან იხილა უგუნურებაჲ მისი და თქუა: „ესე ცოფ არს, და უკუეთუ არა იხილნეს დღენი ბოროტნი, წარწყმდების სრულიად. უკუეთუ არა ცნას, თუ რაჲ არს ჭირი, ვერ სცნობს გემოსა განსუენებისასა“. მაშინ მიაგო მას, რომელსაცა ღირს იყო და გამოჴადა იგი სამოთხით. მაშინ მიეცა ჴორცთმოყუარებასა და ნებასა თჳსსა, რაჲთა ამათ შემუსრნენ ძუალნი მისნი და რაჲთა ისწაოს არა მინდობაჲ თავისა თჳსისაჲ, არამედ – მცნებასა ღმრთისასა, რაჲთა ჭირმან ურჩებისამან მოდრიკოს იგი, ვითარცა იტყჳს წინაღსწარმეტყუელი, ვითარმედ: „მოგწუართოს შენ განდგომილებამან შენმან“ (იერ. 2,19).

ხოლო უფალმან ღმერთმან, ვითარცა ვთქუ, არა უგულვებელს-ყო დაბადებული თჳსი, არამედ კუალად იტყჳს: „მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვრთმძიმენი და მე განგისუენო თქუენ“ (მათ. 11,28). ესე არს, ვითარმედ, აჰა ესერა, დაჰშუერით და გამოიცადენით ნაყოფითა მით ურჩებისა თქუენისაჲთა. ან მოიქეცით და ცანთ უძღურებაჲ თქუენი, რაჲთა მოხვდეთ კუალადცა პირველსა პატივისა და დიდებასა თქუენსა. მოვედით და ცხონდით სიმდაბლითა,

ვინაფთვან მოჰკუედიტ ამჰარტავანებითა, „ისწავეთ ჩემგან, რამეთუ მშვედ ვარ და მდაბალ გულითა და ჰჰოოთ განსუენებად სულთა თქუენთა“ (მათ. 11,29).

ეჰა, ძმანო, რასალა იქმს ამჰარტავანებად, ანუ რად ძალი უც სიმდაბლესა, რამეთუ უკუეთუმცა პირველად დამდაბლებულ იყო და ესმინა ღმრთისად, არამცა შემთხუეულ იყო ესე ყოველი. და კუალად შემდგომად დაცემისა მისცა მას მიზეზი სინანულისად, არამედ ქედი მისი ფიცხელ იყო და არა შეინანა. რამეთუ ჰრქუა მას: „ადამ, სადა ხარ?“ (დაბ. 3,9) ხოლო სიტყვსა ამის თარგმანი ესე არს, ვითარმედ: „რომლისა დიდებისაგან რომელსა სირცხვლსა მოხუედ?“ და მერმე ჰკითხა მას: „რად სცოდე?“ ხოლო ამას ყოველსა ეტყოდა, რადთამცა თქუა, თუ: „შემინდვე“. ხოლო მან არა შეინანა, არამედ სიტყუა-უგო და თქუა: „დედაკაცი ესე, რომელი მომეც მე“ (დაბ. 3,12). და არა თქუა, თუ ცოლმან ჩემმან მაცთუნა, არამედ „დედაკაცი ესე, რომელი მომეც მე“, ვითარმცა განსაცდელი ესე, რომელი მოანიე ჩემ ზედა, დააბრალა ღმერთსა. რამეთუ ესრეთ არს, ძმანო, ოდეს კაცი თავსა თვსსა არა აბრალეზდეს, მოვალს ღმრთისაცა ბრალობასა. მაშინ მოვიდა ღმერთი დედაკაცისა მის და ჰრქუა: „რად გარდაჰვედ შენ მცნებასა ჩემსა?“ (შდრ. დაბ. 3,13) რამეთუ ელოდა, ნუჰკუე ამან თქუას, თუ: „შემინდვე“, რადთამცა შეინყალა იგი, არამედ არა რომელსა მათგანსა თანა იპოვა, ვითარმედ: „შემინდვე“, არამედ მანცა თქუა, ვითარმედ: „გუელმან მაცთუნა მე“ (დაბ. 3,13), ვითარმცა გუელსა ეცოდა და არა მას.

რასა იქმთ, უბადრუკნო? მოიდრიკენით მუჰლნი¹, გულისხმა-ყავთ ცთომად თქუენი, გულისხმა-ყავთ სიშიშულჴ თქუენი! და არავინ მათგანი ღირს-იქმნა თავისა თვსისა ბრალობასა. არავის თანა მათგანსა იპოვა მცირედიცა სი-

¹ მუჰლნი Gr] + და A

მდაბლც. ან იხილეთ, თუ რომელსა საზომსა ანუ რომელსა ბოროტსა მოგკყვანნა თავისა განმართლებამან და თავისა თვისისა მინდობამან და ნებისა თვისისა დამჭირვამან, რომელნი არიან შვილნი მტერისა ღმრთისა ამპარტავანებისანი.

ხოლო სიმდაბლისა შვილნი არიან თავისა თვისისა ბრალობად და არამინდობად თვისსა განზრახვასა და არადამჭირვად ნებისა თვისისა, რამეთუ ამათ საქმეთა მიერ შემძლებელ არს კაცი მიწევნად პირველსა საზომსა დაცვითა მცნებათა ქრისტესთადათა, რამეთუ თვნიერ სიმდაბლისა არა შესაძლებელ არს დაცვად მცნებათად, არცა აღსრულებად კეთილისა რადსამე, ვითარცა იტყვს წმიდად მამად მარკოზ, ვითარმედ: „თვნიერ გულისა შემუხსრვისა შეუძლებელ არს განყენებად ბოროტთაგან და შეუძლებელ არს მოგებად სათნოებისად“. ამისთვის ვიტყვ, ვითარმედ შემუხსრვითა გულისადათა შეიწყნარებს კაცი მცნებათა¹ და განყენების ბოროტისაგან და მოიგებს სათნოებათა და მერმე მოვალს პირველსავე მას განსუენებასა. ესე უწყოდეს წმიდათა და ამისთვის ისწრაფდეს, რადთამცა სიმდაბლითა მით მიეახლნეს ღმერთსა.

რამეთუ იყვნეს ვიეთნიმე ღმრთისმოყუარე, რომელთა შემდგომად წმიდისა ნათლისღებისა არა ოდენ აღსრულებად ვნებათად საქმით მოიწყდეს, არამედ თვთ ვნებათაცა ძლევად ისწრაფეს და იქმნეს უვნებელ, ვითარ იყო წმიდად ანტონი და სხუანი იგი ღმერთშემოსილნი მამანი. რამეთუ² აქუნდა მათ გულისსიტყუად მჭურვალც განწმედად თავთა თვთა, ვითარცა იტყვს მოციქული: „ყოვლისაგანვე შეგინებისა სულისა და ჯორცთადას“ (2 კორ. 7,1). და უწყოდეს მათ, ვითარმედ დამარხვთა მცნებათადათა, ვითარცა ვთქუთ, განწმიდნების სული და ესრეთ გონებად გა-

¹ მცნებათა *τὰς ἐντολάς* 10.14] ვნებათა A; ნებათა B

² რამეთუ *ἐπει ὅτι* 11.7] ხოლო A

ნათლდების და მოვალს პირველსა თქსსა საზომსა, რამეთუ მცნებანი უფლისანი ბრწყინვალე არიან და განანათლებენ თუალთა (ფსალმ. 18,9). რამეთუ გულისხმა-ყვეს მათ, ვითარმედ სოფელსა შინა უკუეთუ იყვნენ, ვერ ადრე ნარ-ჰმართებენ სათნოებათა, და გამონახეს თავთა მათთათკს ცხორებად რადმე უცხოად, რომელ არს მონაზონებად, და იწყეს სივლტოლად სოფლისაგან და ყოფად უდაბნოთა შინა მარხვითა და ლოცვითა და ჴმელსა ზედა ნოლითა და სხვთა მრავლითა მოლუანებითა, და განეშორნეს ყოვლითურთ მამულთა და ნათესავთა და საჴმართა. და რასა მრავალსა ვიტყოდი, ჯუარს-აცუნეს თავნი თქსნი სოფლისა (გალატ. 6,14) და არა ოდენ მცნებანი დაიმარხნეს, არამედ ძღუენიცა შეწირეს ღმრთისა.

და გითხრა, თუ ვითარ მცნებანი უფლისანი თანანადებნი არიან და თანააც ყოველსა ქრისტეანესა დამარხვად მათი, რამეთუ ხარკნი არიან, ვითარცა ხარკი მეფისად, რომელი თანააც ყოველთავე მიცემად. ხოლო ვინ არს, რომელმანცა თქუა, თუ მე მეფესა ხარკსა არა მივსცემ და განერამცა იგი ტანჯვასა? ხოლო არიან სოფელსა შინა კაცნი დიდნი და ბრწყინვალენი, რომელნი არა ოდენ ხარკსა, არამედ ძღუენსაცა შესწირვენ მეფისა და ღირს-იქმნებიან იგინი პატივთა და ნიჭთა დიდთა მეფისაგან. ხოლო ეგრეთვე წმიდათა მამათა არა ოდენ მცნებანი დაიმარხნეს, არამედ ძღუენიცა შეწირეს ღმრთისა. ხოლო ძღუენნი არიან ქალწულებად და უპოვარებად¹, რამეთუ არასადა წერილ არს, ვითარმედ ნუ იქორწინებთ, არცა მოგუცა ქრისტემან მცნებად, თუ განყიდე მონაგები შენი. რამეთუ გულისხმა-ყვეს მათ, რაჟამს მოუჴდა მას შჯულისმეცნიერი იგი და ჰრქუა: „მოდლუარო სახიერო, რად ვქმნა კეთილი, რადთა დავიმკვიდრო ცხორებად საუკუნოდ?“ მიუგო უფალმან და ჰრქუა: „მცნე-

¹ უპოვარებად ἀχρημοσύνη 12.3] მონყალებად AB

ბანი იცნია? არა კაც-ჰკლა, არა იმრუშო, არა იპარო, არა¹ ცრუდ-სწამო“ და შემდგომი ამისი. ხოლო მან ჰრქუა: „ეგე ყოველი დამიმარხავს სიყრმით ჩემითგან“. მაშინ ჰრქუა მას უფალმან, ვითარმედ: „უკუეთუ გნებავს სრულყოფად, განყიდე მონაგები შენი და მიეც გლახაკთა“ (მათ. 19,16-21; მარკ. 10,17-21) და შემდგომი ამისი. აჰა ესერა, არა ჰრქუა მას მცნებად, თუ განყიდე მონაგები შენი, არამედ ვითარმცა განაზრახებდა მას, რამეთუ სიტყუად ესე: „თუ გინებს, ქმენ“, არა ამცნებს, არამედ განაზრახებს.

ხოლო, ვითარცა ვთქუთ, შენირეს წმიდათა მამათა ღმრთისა სხუათა სათნოებათა თანა ძღუენიცა – ქალწულებად და უპოვარებად. ვითარცა პირველად ვთქუ, ჯუარს-აცუეს თავი თვისი სოფელსა² და ისწრაფდეს, რადთა სოფლისათაცა ჯუარს-აცუან თავი თვისი, ვითარცა იტყვს მოციქული, ვითარმედ: „ჩემდა სოფელი ჯუარცუმულ არს და მე – სოფლისა“ (გალატ. 6,14). ხოლო რად არს სიტყუად ესე? სოფელი ჯუარს-ეცუა მის კაცისა, ოდეს განეშოროს მისგან და ყოველთაგან საქმეთა მისთა, მამულთა და ნათესავთაგან, მაშინ ჯუარს-ეცუმის სოფელი კაცისა, რამეთუ განეშორა მისგან. და ესე არს, რომელსა იტყვს მოციქული, რამეთუ: „ჩემდა სოფელი ჯუარცუმულ არს“. ხოლო კუალად იტყვს, ვითარმედ: „და მე – სოფლისა“. ვითარ³ ჯუარს-ეცუმის კაცი სოფლისა? ოდეს შემდგომად განშორებისა გარეგანთა საქმეთაჲსა ისწრაფდეს კაცი, რადთა გულისთქუმადაცა მათ საქმეთად მოიწყდოს და სრულიად დაუტეოს ნებად თვისი და მოაკუდინნეს ვნებანი თვისნი, მაშინ იგი ჯუარს-ეცუმის სოფლისა და ღირს-იქმნების მოციქულისაებრ თქუ-

¹ არა B* იმ 12.9] და არცა A; არცა B^c

² ბერძნ. მიხედვით: ჯუარს-აცუეს თავისა მათისა სოფელი (იხ. ტექსტში ქვემოთ).

³ ვითარ πω 13.12] ვითარმედ AB

მად, ვითარმედ: „ჩემდა სოფელი ჯუარცუმულ არს და მე – სოფლისა“.

ხოლო წმიდათა მამათა ჯუარს-აცუეს თავისა მათისა სოფელი, ისწრაფეს, რადთამცა თავნიცა მათნი სოფლისა ჯუარს-აცუნეს. ხოლო ჩუენ დაუტევეთ სოფელი და მოვედით მონასტრად და ვჰგონებთ, თუ სოფელი თავისა თვისისა ჯუარს-ვაცუთ, ხოლო თავთა ჩუენთა სოფლისა ჯუარცუმასა არა ვლამით, რამეთუ წუთ გუქონან გულისთქუმანი მისნი და გკყუარს დიდებად, ჭამადი და სამოსელი. უკუეთუ რადმე იყოს ჭურჭელი შუენიერი, გვნებს ქონებად მისი და მიუშუებთ, ვითარცა თქუა მამამან ზოსიმე, რადთა მცირემან ჭურჭელმან ყოს ჩუენ თანა ადგილი კინტინარისაჲ. და ვჰგონებთ, თუ დაგვტეობიეს სოფელი და საქმენი მისნი, ხოლო მოვალთ მონასტრად და არარადთა საქმითა აღვასრულებთ სიყუარულსა მისსა. ხოლო ესე არს¹ უგუნურებისაგან ჩუენისა, რამეთუ დაუტევეთ ყოველივე, რადცა გუაქუნდა, გინა-თუ დიდი და გინა-თუ მცირე, და აწ ამით არარადთა აღვასრულებთ გულისთქუმასა ჩუენსა. ხოლო არა ჯერ-არს ჩუენდა ეგევითარისა საქმისა ქმნად, არამედ რადთა ვითარცა განვეყენენით სოფლისაგან და საქმეთა მისთაგან, ეგრეთვე განვეყენეთ გულისთქუმათა და სიყუარულსა მისსა და რადთა ვიცოდით, თუ რად არს გამოსლვაჲ სოფლით და თუ რად არს მონასტერი და რად არიან სახენი ესე ჩუენნი, რომელ გუმოსიან.

ხოლო სახენი ჩუენნი ესე არიან: სამოსელი უსაჯლოჲ და სარტყელი ტყავისაჲ და სქემად და კუკული. ხოლო ესე ყოველნი სახენი არიან ჩუენნი და ჯერ-არს, რადთა უწყოდით, თუ რადსა მომატყუებელ არიან სახენი ესე. რად გუმოსია სამოსელი უსაჯლოჲ, ვინათგან ყოველთა ასხენ საჯელნი? ესე ამისთვის, რამეთუ საჯელნი სახენი არიან ჴელთა. ხოლო ოდეს

¹ ესე არს] ესე A; τῶτο 14.13

მოგვკვდეს გულისსიტყუად ქმნად რადსამე ჴელითა ჩუენითა, ძუელისა მის კაცისა, გინა მოპარვად, ანუ ცემად, ანუ სხუად რადმე საქმჳ, რომელიცა იქმნების ჴელითა, გვკვმს მიხედვად სახესა მას ჩუენსა, ვითარ არა გუასხენ საჴელნი, რომელ არიან სახე ჴელთა, რადთამცა რადმე ვქმენით ძუელისა მის კაცისაჲ.

ხოლო არს სამოსელსა ჩუენსა ზედა სახჳ რადმე ისფერი. და რად არს სახჳ იგი ისფერი? რამეთუ ყოველი, რომელი იყოს მჴედარი მეფისაჲ, სამოსელსა მისსა არს სახჳ რადმე ისფერი ამისთვის, რამეთუ მეფესა ისფერი სამოსელი აცვა, რომელ არს პორფირი, და ეგრეთვე მჴედართა მისთა სახჳ რადმე ისფერი აქუს სამოსელსა მათსა, რადთა მით გამოჩნდენ, ვითარმედ მეფისანი არიან. ეგრეთვე ჩუენ გუაქუს სახჳ რადმე ისფერი სამოსელთა ჩუენთა, რადთა ვჩნდეთ, ვითარმედ ქრისტჳს მჴედარნი ვართ და თანაგუაც მოთმენად ყოველთავე ვნებათა მისთაჲ, რომელ მოითმინნა ჩუენთვის. რამეთუ უფალმან ჩუენმან ოდეს ივნო, პორფირი შეჴმოსეს მას (იოან. 19,2), ერთად, ვითარცა მეუფესა, რამეთუ იგი არს მეუფჳ მეუფეთაჲ და უფალი უფლებათაჲ. და კუალად, რამეთუ ემდერდეს მას უშჴულონი იგი. ხოლო ეგრეთვე ჩუენ გვკვმს მოთმენად ყოველთავე ვნებათა მისთაჲ, რომელთა გუაქუს სახჳ ისფერი. და ვითარცა მჴედარი არა¹ დაუტეობს მჴედრობასა თვისსა და წარვალს და იქმნების იგი მუშაკ ანუ ვაჟარ, რადთა არა დაეცეს პატივისაგან თვისისა, ვითარცა მოციქული იტყვს: „არავინ მჴედარი შეემძჴუალების სოფლისა უცალოებათა, რადთა უფალსა თვისსა სათნო-ეყოს“ (2 ტიმ. 2,4), ეგრეთვე ჩუენ გვკვმს, რადთა ვილუანოთ და უზრუნველ ვიყვნეთ ყოვლისაგან საქმისა, რადთა სათნო-ვეყვნეთ ღმერთსა, ვითარცა წერილ არს, ვითარმედ: „ქალწული იგი არსმცა უზრუნველ და მზა“ (შდრ. 1 კორ. 7,34).

¹ არა ოჲ 15.30] რად A; არად B

ხოლო რად გუარტყია ჩუენ სარტყელი ღუედისად? პირველად, რადთა მზა ვიყვნეთ საქმესა, რამეთუ ყოველი კაცი, ოდეს ლამოდის საქმისა რადსამე ქმნასა, პირველად მოირტყამს წელთა და ეგრეთ ინყებს საქმისა ქმნასა, ვითარცა წერილ არს: „იყვნენ წელნი თქუენნი მორტყმულ“ (ლუკ. 12,35). ხოლო მეორედ ამისთვის, რადთა ვითარცა სარტყელი იგი ჩუენი არს მკუდრისა გუამისაგან, ეგრეთვე ჩუენ მოვაკუდინნეთ გულისთქუმანი ჩუენნი. ხოლო არს სარტყელი ჩუენი წელთა ზედა ჩუენთა და მუნ არიან თირკუმელნი. ხოლო თირკუმელთა შინა არს გულისთქუმა სულისად და ამისთვის იტყვს მოციქული: „მოაკუდინენით ასონი თქუენნი ქუეყანასა ზედა: სიძვაჲ, არანმიდებაჲ“ (კოლ. 3,5) და შემდგომი ამისი.

ხოლო გუაქუს ჩუენ სქემადცა და გარდაკცუამთ მას სახედ ჯუარისა მჯართა ზედა ჩუენთა. ხოლო ესე სახე არს, ვითარცა უფალი იტყვს, ვითარმედ: „აღილე ჯუარი შენი და შემომიდეგ მე“ (მათ. 16,24; მარკ. 8,34). ხოლო რად არს ჯუარისა აღებაჲ და შედგომად უფლისად? სრულიად მოკუდინებაჲ თავისა თვისისად. ხოლო მოკუდინებაჲ თავისა თვისისად იქმნების ქრისტეს მიმართ სარწმუნოებითა, ვითარცა წერილ არს მამათასა შინა, ვითარმედ: „სარწმუნოებაჲ გზასა მას სულიერსა განგვიფართებს, რომელი-იგი მიგკყვანებს ჩუენ მოკუდინებასა თავისა თვისისასა, რადთა მოვაკუდინნეთ თავნი ჩუენნი სოფლისა საქმეთაგან“. და უკუეთუ დაგკტეობიან ნათესავნი, დაუტეოთ სურვილიცა მათი. და უკუეთუ დაგკტეობიან საწმარნი მონაგებნი, რადთა დაუტეოთ სიყუარულიცა მათი. და ესე არს სრული იგი გამოსლვაჲ სოფლით.

ხოლო შევიმოსთ ჩუენ კუკულსაცა, რომელ არს სახე ჩჩკლობისად, რამეთუ ჩჩკლთა უმანკოთა ჰმოსია კუკულები, ხოლო კაცსა სრულსა კუკული არა აცკვა. და ჩუენ ამისთვის

გუაცკა, რადთა ჩჩკლ ვიყვენეთ ბოროტისა საქმეთათჳს, ვითარცა მოციქული იტყჳს: „ნუ ხართ ჩჩკლ გონებითა, არამედ ჩჩკლ იყვენით უკეთურებისათჳს“ (1 კორ. 14,20). ხოლო რად არს სიტყუად ესე? რამეთუ ჩჩკლი უმანკო არს: უკუეთუ იგინოს, არა განრისხნების და უკუეთუ იქოს, არა ამადღედების და არცა თავსა განიმართლებს და არცა ეძიებს დიდებასა. და კუალად, კუკული არს სახც მადლისა ღმრთისად და ვითარცა კუკული დაჰფარავს თავსა ყრმისასა, ეგრეთვე მადლი ღმრთისად – გონებასა ჩუენსა, ვითარცა წერილ არს მამათასა შინა, ვითარმედ: „კუკული სახც არს მადლისა ღმრთისად, რომელი ჰფარავს გონებასა ჩუენსა და დაიცავს სიჩროსა ამას ჩუენსა საღმრთოსა მათგან, რომელნი გუბრძვანან ჩუენ“.

აჰა ესერა, არს სარტყელი წელთა ზედა ჩუენთა, რომელ არს მოკუდინებად გულისთქუმისად, და სქემად მჯართა ზედა ჩუენთა, რომელ არს სახც ჯუარისად, და კუკულიცა, რომელ არს სახც საღმრთოსა მის სიჩროსად. ან, ძმანო, ვიდოდით¹ სახეთაებრ ჩუენთა, ვითარცა თქუეს მამათა, რადთა არა უცხოად სახც² გუემოსოს, არამედ ვითარცა დაუტევეთ სოფელი, ეგრეთვე დაუტეოთ სიყუარული მისი, რადთა სიყუარულმან მცირეთა რათამე და უნდოთა საქმეთამან არა მიგკყვანნეს ჩუენ კუალად სოფლადვე.

ხოლო ან, ძმანო, უკუეთუ გკნებს, რადთა განვერნეთ სიყუარულისაგან სოფლისა, ვისნაოთ დატევებად ნებათა ჩუენთად. ჰ, ძმანო ჩემნო, საყუარელნო, მოვედით და ვისნრაფოთ დატევებად ნებათა ჩუენთა მცირე-მცირედ, რადთა ესრეთ შეწევნითა ღმრთისადთა მოვიდეთ სიძულილსა სოფლისასა და მაშინ დიდთაცა ვნებათა ზედა შეუძლოთ წინააღდგომად და დათრგუნვად ნებათა ჩუენთა, რამეთუ

¹ ვიდოდით πολιτεσάμεια 19.5] ვიდოდეთ A

² სახც σχῆμα 19.6] > A

არარაჲ ესრეთ ერგების კაცსა, ვითარ დატევებაჲ ნებისა თვისსაჲ და ამით წარემართების კაცი უფროჲს ყოველთა სათნოებათასა. ვითარცა კაცი, რომელი ისწრაფინ მისლვად სადამე და იცინ მან გზაჲ მოკლჳ, მიმავალი ადგილსა მას, სადა ჰნებაჲნ მისლვად, და დალაცათუ იწროჲ არნ გზაჲ იგი, არამედ იწროჲთა მით გზითა მსწრაფლ მიიწიის ადგილსა მას ვრცელსა და განსასუენებელსა თვისსა კეთილსა. ხოლო ან ეგრეთვე არს კაცი, რომელმან დაუტეოს ნებაჲ თვისი, რამეთუ ესრეთ მცირე-მცირედ დატევებითა ნებისა თვისსაჲთა მოვალს სიძულილსაცა სოფლისასა და დათრგუნვად ვნებათა დიდთა. და მაშინ მოვალს სისრულედ და გულისხმისყოფად და აღსრულებად ნებასა ღმრთისასა. და უკუეთუ უნდეს კაცსა, ეპოების ყოველსავე ჟამს ჟამი, რაჲთა დაუტეოს ნებაჲ თვისი და ესრეთ მცირე-მცირედ ისწაოს დატევებაჲ ნებისა თვისსაჲ.

და მე გითხრა თქუენ, თუ ვითარ. რამეთუ უკუეთუ ვინმე ვიდოდის და ჰრქუას მას გულისსიტყუამან მისმან, ვითარმედ მიჰხედენ იქი, და არა მიხედნეს, აჰა ესერა, დაუტევა ნებაჲ თვისი. და კუალად, უკუეთუ უბნობდენ ვინმე და ჰრქუას მას გულისსიტყუამან მისმან, ვითარმედ შენცა თქუ რაჲმე სიტყუაჲ, და არა თქუას, დაუტევებიეს ნებაჲ თვისი. და კუალად ჰრქუას გულისსიტყუამან მისმან, ვითარმედ წარვედ და ნახე, თუ რასა-ძი აგბობს დღეს მზარეული, და არა წარვიდეს, დაუტევა ნებაჲ თვისი. და კუალად ჰრქუას გულისსიტყუამან მისმან, ვითარმედ მიხედე გზით კერძო, ნუჟუე მო-ვინმე-ვიდოდის საყუარელი შენი, და არა მიხედნეს, დაუტევებიეს ნებაჲ თვისი. და კუალად იხილოს რაჲმე და ჰრქუას მას გულისსიტყუამან მისმან, ვითარმედ ჰკითხე, თუ ვის მოუღებიეს ეგე, და არა ჰკითხოს, დაუტევა ნებაჲ თვისი. ხოლო უკუეთუ ესრეთ იქმოდის მცირედთა და სუბუქთა ამათ საქმეთა ზედა, დაეჩვოს დატევებასა და

ძლევასა ნებისა თვისასა. მაშინ შეწევნითა ღმრთისადათა დიდთაცა და მძიმეთა საქმეთა ზედა ადვილად სძლოს და დაუტეოს ნებად თვისი, ვინაფთვან ჰქონდის ჩუეულებად. და ესრეთ ყოველსავე ზედა განისუენებს, რაფცა¹ მოინოს მის ზედა. და ყოველივე ჰნებავს და ერთად უჩნს, ვინაფთვან არა იქმს ნებასა თვისსა, რამეთუ რომელმან დაუტეოს ნებად თვისი, რაფცა ვინ ჰრქუას და რაფცა მოინოს მის ზედა, ყოველივე უნებს და ყოველივე ნებად მისი არს. და ამით საქმიითა, ვითარცა პირველად ვთქუთ, მოვალს სიძულილი სოფლისადა და სიძულილითა სოფლისადათა მოვალს სრულსა უვნებლობასა.

და უწყოდეთ, ვითარმედ მცირე-მცირედ დატეევებად ნებისადა დიდსა საზომსა მიიყვანებს. და იხილეთ ნეტარი იგი დოსითე, თუ ვითარისა ცხორებისაგან და ვითარისა ფუფუნებისაგან და შუებისა რომელსა საზომსა მიინია, კაცი, რომელსა არასადა ასმიოდა სიტყუად ღმრთისადა ყოვლადვე. და გასმიოდის მისთვის, ვითარსა მადლსა ღირს-იქმნა, რამეთუ დაიმჭირა მან, ჟამთა მათ მცირეთა, მორჩილებადა და დატეევებადა ნებისა თვისისადა. ხოლო იხილეთ, ვითარ აღიდა იგი ღმერთმან, რამეთუ არა უტევა სათნოებისა მისისა და ვინყებადა და დაფარვად ქუეყანასა ზედა, არამედ გამოუცხადა იგი დიდსა მას ბერსა მდგომარჴ დიდებითა დიდითა შორის წმიდათა სასუფეველსა ცათასა.

და გითხრა თქუენ სხუაფცა საქმჴ განსაკვრვებელი, რომელი-იგი იქმნა ჩემზე, რაფთა გულისხმა-ჰყოთ, ვითარ სიკუდილისაგანცა იჴსნის მორჩილებადა და დატეევებადა ნებისა თვისისადა. რამეთუ ოდეს ვიყავ მონასტერსა შინა მამისა სერიდოფსსა, მოვიდა მუნ მონაფჴ დიდისა ბერისადა, რომელი-იგი იყოფოდა კერძოთაგან ასკალონისათა და წარმოვევლინა ბერსა ძმად იგი საქმედ მამისა თანა სერიდოფსსა.

¹ რაფცა] და A

და მეყსეულად იქმნა ჰაერი ფიცხელი და ნკმა და აღიძრა საშინელად ჴევი იგი, რომელი იყო მახლობელად ჩუენსა. ხოლო ძმა იგი ლამოდა წარსლვასა, რამეთუ შეეთვალა ბერსა მისსა, რაფთა მას მწუხრსა მუნვე მიიქცეს. და ჩუენ ვევედრებოდეთ, რაფთამცა დაადგრა მას მწუხრსა ჩუენ თანა და ვეტყოდეთ მას, ვითარმედ შეუძლებელ არს დღეს განსლვაჲ კაცისაგან მდინარესა იმას. ხოლო იგი არა გუერჩიდა ჩუენ და გუეტყოდა, ვითარმედ: „მამასა ჩემსა უბრძანებეს, რაფთა ამასვე მწუხრსა მუნ მივიდე და ვერ შემიძლია უგულუბელსყოფაჲ სიტყუაჲ მისი, ძმანო“. ხოლო ჩუენ ვიხილეთ, ვითარმედ არა გვსმენს, ვთქუთ, ვითარმედ მიუშუათ ვიდრე მდინარედმდე და იხილოს რაჲ მდინარე იგი, მაშინ ნეფსით თვსით შეიქცეს. და ჩუენ შეუდეგით უკუანა მისსა. და ვითარ¹ მიინია მდინარესა მას საშინელსა, მეყსეულად შთაიგდო თავი მისი მას შინა, ხოლო ჩუენ შევძრწუნდით და უყოდეთ ტირილით, რამეთუ ყოვლად არა ვჰკონებდით განრომასა მისსა. ხოლო იგი მეყსეულად, მსწრაფლ იპოვა იმერსა კიდესა, მოიქცა და მოგვდრიკნა ჩუენ მუჴლნი და გუევედრა ჩუენ ლოცვასა და წარემართა. ხოლო ჩუენ განგკკრდა ძალი სათნოებისა მისისაჲ, რამეთუ ჩუენ ხედვითაცა ზარი დაგუეცემოდა და იგი ესრჴთ უვნებელად განვიდოდა სასტიკისა მისგან მდინარისა შეუორგულუბელისა მის მორჩილებისა მისისათჴს.

და კუალად, ძმა იგი, რომელი წარავლინა მამამან საჴმრისა მათისათჴს მსახურისა მიმართ მათისა, და ოდეს იხილა, რამეთუ ქალწულმან დაჴჴმა კარი მის ზედა, ხოლო მან ესეოდენ თქუა: „ღმერთო, ლოცვითა მამისა ჩემისაჲთა განმარინე მე!“ და მეყსეულად იპოვა გზასა ზედა სკიტიასა მიმავალად მამისა თვსისა. ან იხილეთ, ძმანო, ძალი სათნოებისაჲ ამის, თუ ვითარი შეწვენაჲ აქუს, უკუეთუ ხადოდეს კაცი

¹ ვითარ ზე 22.14] > A

ლოცვასა მამისა თვისასა, რამეთუ ესეოდენ თქუა ძმამან მან, ვითარმედ: „ღმერთო, ლოცვითა მამისა ჩემისაჲთა განმარინე მე“ და ამისთვის მეყსეულად იპოვა გზასა ზედა სკიტისასა, მშკდობით მიმავალი ბერისა თვისისა.

ხოლო ან იხილეთ ორთავე ამათგან კრძალულებად და სიმდაბლჳ, რამეთუ იყვნეს იგინი იწროებასა შინა დიდსა და უნდა ბერსა მას, რადთამცა წარავლინა ძმად იგი მსახურისა მის მათისა, რამეთუ დაეყოვნა მას და არა მოართუა საზრდელი მათი. და იყვნეს იგინი ჭირსა და იწროებასა დიდსა და არა ეტყოდა ბერი იგი ძმასა მას, ვითარმედ: „წარვიდე“, არამედ ამას ოდენ, ვითარმედ: „გინებსა, რადთა წარხვდე?“ და კუალად, ძმად იგი არა იტყოდა, თუ: „წარვიდე“, არამედ იტყოდა: „ვითარცა გნებავს, მამაო, ვყო“. რამეთუ ეშინოდა ორისაგანვე ვნებისა – დაცემისაგან სიძვითა და ურჩებისაგანცა მამისა თვისისა. ხოლო ვითარცა ფრიად მისჭირდა მათ, მაშინ ჰრქუა მას ბერმან მან: „აღდეგ, შვილო, და წარვიდე სახელითა უფლისაჲთა და ვესავ ღმერთსა, რადთა ლოცვითა მამისა ჩემისაჲთა დაგიფაროს შენ“. და არა ჰრქუა მას, თუ „ვესავ ღმერთსა, რადთა დაგიფაროს შენ“, არამედ ესრეთ, ვითარმედ: „ვესავ ღმერთსა, რადთა ლოცვითა მამისა ჩემისაჲთა დაგიფაროს შენ“. და მაშინ წარვიდა ძმად იგი და ვითარცა მივიდა, არა პოვა შინა მსახური იგი მათი. ხოლო ასულმან მისმან დაჰხშა მის ზედა კარი. და იხილა ძმამან მან, ვითარმედ განსაცდელი დიდი მოიწია მის ზედა. ხოლო არა თქუა, თუ: „ღმერთო ჩემო, განმარინე მე“, არამედ ესრეთ თქუა: „ღმერთო, ლოცვითა მამისა ჩემისაჲთა განმარინე მე“, და მეყსეულად იპოვა გზასა ზედა სკიტისასა.

ან იხილეთ, ჰ, ძმანო ჩემნო, ვითარ თითოეული მათი ლოცვასა მამათა მათთასა ესვიდეს და მას ხადოდეს, ოდეს იყვნიან განსაცდელსა შინა. იხილეთლა, ძმანო, ვითარ დააბნეს ერთსა უღელსა მორჩილებად და სიმდაბლჳ და ვი-

თარცა ორითა ფრთითა აღფრინდეს სიმაღლედ განსასუენე-
ბელად სულიერად. ხოლო ვითარცა უჴმან მფრინველსა ორ-
ნივე ფრთენი შეუღლებულად სწორად, რადთა ფრინვიდეს
კეთილად, რამეთუ ერთითა ვერ ფრინავს, ეგრეთვე ორ-
ნივე ესე სათნოებანი სწორად უჴმან მონაზონსა და თვნიერ
ამათსა ვერ შესაძლებელ არს, რადთამცა ცხონდა ვინ, ანუ
განერა სხვთა ღონითა საბრწყეთაგან ეშმაკისათა, უკუეთუ
არა შეაერთოს მორჩილება და სიმდაბლც. ხოლო ვერვინ
მოიგნეს სათნოებანი ესე დიდნი და შუენიერნი და საძირკუ-
ველნი ყოველთა სათნოებათანი, უკუეთუ არა, ვითარცა
ვთქუ, აიძულოს თავსა თვსსა და მისცეს სიკუდილად დატე-
ვებისათვს ნებისა თვსისა.

და კუალად ვთქუათ, თუ ვითარ დაუტეოს ნება და თვსი.
ხოლო მე ამას ვიტყვ, რადთა ყოველითა ძალითა თვსითა
მისცეს თავი თვსი მამასა თვსსა სულიერსა და არარასა ზე-
და ურჩ-ექმნებოდის¹, არამედ ყოველსავე ზედა, ვითარცა
ღმერთსა, ეგრე ჰმორჩილობდეს.

ხოლო მე გითხრა, ძმანო, სხუად სახც მორჩილებისათვს.
რამეთუ წარჰვლიდა ოდესმე წმიდა ბასილი მონასტერსა
ერთსა თვსსა და შევიდა მუნ და მოუწოდა მამასახლისსა და
ჰრქუა მას: „გყავს ვინა, რომელსა უნებს ცხორება და სულისა
თვსისა და ჭეშმარიტად?“ ხოლო მამასახლისმან ჰრქუა მას:
„ჰე, წმიდაო, ყოველთა უნებს ცხორება და ღოცვითა წმიდითა
თქუენითა“. მიუგო და ჰრქუა მას წმიდამან ბასილი: „უნცი,
ვითარმედ ყოველთა უნებს ცხორების, ხოლო მე გკითხავ
მისთვს, რომელსა ჭეშმარიტად უნებს“. ხოლო მაშინ კუალ-
ად გულისხმა-ყო მამასახლისმან, რამეთუ იყო იგიცა ფრი-
ად სულიერი, და ჰრქუა მას: „ჰე, წმიდაო, მყავს, ვითარცა
ბრძანებ“. მაშინ ჰრქუა მას წმიდამან ბასილი: „მომგუარე
მე იგი აქა!“ და ვითარცა უჴმეს და მოვიდა, ჰრქუა მას წმი-

¹ ურჩ-ექმნებოდის მთარგმან 23.31] არა ურჩ-ექმნებოდის A

დამან ბასილი: „მომართ წყალი, რადთა ჴელნი დავიბანნე“. და ვითარცა დაიბანნა ჴელნი წმიდამან ბასილი, აღილო წყალი იგი და ჰრქუა მას: „ან შენ მომიპყრენ ჴელნი, რადთა მე გისხა“. ხოლო მან ყო ეგრე, ვითარცა უბრძანა. და ვითარცა გამოცადა ამას ზედა და პოვა მორჩილად, კუალად ჰრქუა მას: „ოდეს შევიდოდი ჟამისწირვად, მოვედ და მითხარ, რადთა გაკურთხო შენ დიაკონად, და აღმოხვდე ჩემ თანა ჟამისწირვად“. ხოლო იგი მასცა ზედა შეუორგულეებლად დაჰმორჩილდა. და შევიდოდა რაჲ წმიდაჲ ბასილი ჟამისწირვად, ბრძანებისაებრ მისისა მოვიდა ძმაჲ იგი და მოაწესნა მას. ხოლო მან აკურთხა იგი და წარიყვანა იგი და ყოვლადვე ჰყვა მის თანა, რამეთუ კურთხეულსა მას ძმასა ჭეშმარიტად ჰშუენოდა ესევეითარისა ლმერთშემოსილისა თანა ყოფად მარადის.

უწყოდეთ, ძმანო ჩემნო საყუარელნო, რამეთუ რომელსა არა აქუს გამოცდილებაჲ მორჩილებისაჲ შეუორგულეებლისაჲ, მან არა იცის განსუენებაჲ სულიერი და კეთილი. ხოლო მე ოდესმე ვჰკითხე მამასა იოვანეს, ვითარმედ: „რაჲ ვყო, მამაო, რამეთუ მესმის მე წერილთაგან, ვითარმედ მრავლითა ჭირითა უჴმს შესლვად კაცსა სასუფეველსა ცათასა (საქმე 14,22), და მე ვხედავ თავსა ჩემსა, ვითარმედ არარაჲ მაქუს ჭირი და არცა გულისკლებაჲ, არცა რაჲ ზრუნვაჲ“. და ჭეშმარიტად ეგრეცა იყო, არარაჲ მაქუნდა ესევეითარი ურვაჲ. რამეთუ ოდეს მომიჴდის გულისსიტყუაჲ რადმე, მუნთქუესვე აღვიხუნი ფიცარნი და დავწერი, რამეთუ წერით ვეუბნებოდე მას, ოდეს ჯერეთ არა შესრულ ვიყავ მსახურებასა მას მისსა. და ჭეშმარიტსა გითხრობ, ძმანო, რამეთუ უფროდსჯერ ჯერეთ წერილი არა გამესრულის, გულისსიტუაჲ იგი ოდეს მეღბინის. ესევეითარი მაქუნდა სარწმუნოებაჲ ბერისა მიმართ წმიდისა, ვითარცა იყო ჭეშმარიტად. და ვითარცა ვთქუ, ვჰკითხე მას, ვითარმედ:

„მესმის წერილთაგან, ვითარმედ მრავლითა ქირითა უნ-
ებს შესლვად სასუფეველსა ცათასა და მე არარად მაქუს ქი-
რი და ზრუნვად. რად იყოს ჩემდა?“ ხოლო ბერმან მრქუა:
„ნუ გულსა გაკლს, ძმაო, დაიჯერე ჩემი, რამეთუ ყოველ-
მან, რომელმან მისცეს თავი თვისი მორჩილებასა მამათა-
სა, ესევეთარი უზრუნველობად და განსუენებად აქუს მას
შენევნითა ქრისტესითა“. რამეთუ მისი არს დიდებად თანა
მამით და სულით წმიდითურთ ან და მარადის და უკუნითი
უკუნისამდე, ამენ!

თავი 2

[სიმდაბლისათვის]

[თქუა ბერმან ვინმე, ვითარმედ: „უნინარეს ყოვლისა გვკვმს ჩუენ სიმდაბლც, რადთა მზა-ვიყვნეთ ყოველსა სიტყუასა ზედა თქუამად, ვითარმედ: „შემინდვე“, რამეთუ სიმდაბლითა ყოველი ძალი მტერისაჲ და წინააღდგომად მისი დაჯსნდების“. გამოვიძიოთ,]¹ რად არს ძალი ბერისა ამის სიტყუსაჲ, რომელსა იტყვს, ვითარმედ: „უნინარეს ყოვლისა გვკვმს სიმდაბლც“. და არა იტყვს, თუ უნინარეს ყოვლისა გვკვმს შიში ღმრთისაჲ, რამეთუ იტყვს წერილი, ვითარმედ: „დასაბამი სიბრძნისაჲ არს შიში უფლისაჲ“ (იგავ. 1,7; 9,10; ფსალმ. 110,9). და სხუასა ადგილსა წერილ არს: „შიში ღმრთისაჲ მოსდრეკს კაცსა ბოროტისაგან“ (იგავ. 15,27). ანუ რად არა იტყვს, თუ უნინარეს ყოვლისა გვკვმს ჩუენ მონყალეზაჲ ანუ სარწმუნოზაჲ? რამეთუ წერილ არს: „მონყალეზითა და სარწმუნოზითა განწმდებიან ცოდვანი“ (იგავ. 15,27). და მოციქული იტყვს: „თვნიერ სარწმუნოზისა შეუძლებელ არს სათნოყოფად ღმრთისაჲ“ (ებრ. 11,6). ხოლო უკუეთუ ესე ყოველი ეგრეთ არს და „თვნიერ სარწმუნოზისა შეუძლებელ არს სათნოყოფად ღმრთისაჲ“, და უკუეთუ „სარწმუნოზითა და მონყალეზითა განწმდებიან ცოდვანი“, და უკუეთუ „შიში მოსდრეკს კაცსა ბოროტისაგან“, და უკუეთუ „დასაბამი სიბრძნისაჲ არს შიში ღმრთისაჲ“, და უკუეთუ მოლუანეთა მარადის უჯმს მარხვაჲ, რად არა თქუა ბერმან ამათ ყოველთაგანი ერთი, არამედ თქუა, ვითარმედ: „უნინარეს ყოვლისა გვკვმს ჩუენ სიმდაბლც“ [და დატოვა სხვა ყოველივე, ასე საჭირო? ბერს სურს ამით გვიჩვენოს,

¹ სიმდაბლისათვის. თქუა ბერმან ვინმე... მისი დაჯსნდების“. გამოვიძიოთ Gr 26,27-31] lac AB

რომ ვერც თვით შიში ღმრთისა, ვერც მოწყალება, ვერც სარწმუნოება, ვერც მარხვა, ვერც რომელიმე სხვა სათნოება ვერ აღსრულდება სიმდაბლის გარეშე. ამიტომაც ამბობს: „უნინარეს ყოვლისა გვჯმს ჩუენ სიმდაბლჳ¹!, რადათა მზა ვიყვნეთ ყოველსა სიტყუასა ზედა თქუმად, ვითარმედ „შემინდვე“, რამეთუ სიმდაბლითა ყოველი ძალი მტერისა და წინააღმდგომად მისი დაჯსნდების“. აჰა ესერა, იხილეთ, ძმანო, რაფოომი ძალი აქუს სიმდაბლესა და სიტყუასა ამას, ვითარმედ „შემინდვე“.

ხოლო რად ენოდების ეშმაკსა არა ოდენ მტერ, არამედ წინააღმდგომცა? მტერ ამისთვის ენოდების, რამეთუ არს იგი კაცთმოძულე და კეთილისმოძულე და ბოროტისგანმზრახ. ხოლო წინააღმდგომ ენოდების, რამეთუ ყოველსა საქმესა კეთილსა ებრძვის დაყენებად. ოდეს ვის უნდეს ლოცვაჲ, იგი აყენებს ბოროტითა გულისსიტყუთა და წარტყუენვითა გონებისადათა და მოწყინებითა. უკუეთუ ვისმე უნდეს მოწყალებისა ქმნად, იგი ჰბრძავს ვეცხლისმოყუარებითა. უკუეთუ ვის უნდეს მღვდარების, იგი ჰბრძავს დაჯსნილობითა და სიცონილითა. და ყოველსავე საქმესა ესრეთ წინააღმდგების. ამისთვისცა ენოდების მას არა ოდენ მტერ, არამედ – წინააღმდგომცა. ხოლო სიმდაბლისა მიერ ყოველი ძალი მტერისა და წინააღმდგომისა დაიჯსნების.

ჭემმარიტად დიდ არს სიმდაბლჳ და ყოველთა ნმიდათა სიმდაბლითა ვლეს და შრომითა შეამოკლეს გზად მათი, ვითარცა ნერილ არს: „იხილე სიმდაბლჳ ჩემი და შრომად ჩემი და შენ მომიტევენ ყოველნი ცოდვანი ჩემნი“ (ფსალმ. 24,18). ხოლო შემძლებელ არს სიმდაბლჳ მარტოდ შეყვანებად კაცისა სასუფეველსა, არამედ უგვიანესადრე, ვითარცა იტყოდა მამად იოვანე.

¹ და დატოვა სხვა ყოველივე... „უნინარეს ყოვლისა გვჯმს სიმდაბლჳ Gr 26,21-25] lac A; > B: homoiot

ხოლო ან, ძმანო, დავმდაბლდეთ ჩუენცა მცირედ და ვცხოვნდეთ. დაღაცათუ ვერ შემძლებელ ვართ შრომად უძლურებისაგან ჩუენისა, ვისწრაფოთ, რადთა დავმდაბლდეთ. და მრწამს ღმრთისაჲ, რომელ მცირედითა მით, რომელსა ვიქმოდით სიმდაბლით, ვიპოვნეთ წმიდათა მამათა ჩუენტათანა, რომელნი-იგი ფრიად დაშურეს და ფრიად ჰმსახურეს ღმერთსა. ჰე, ვერ შემძლებელ ვართ შრომად, დამდაბლებად ვერ შემძლებელ ვართა? ნეტარ არს ჭეშმარიტად, რომელსა აქუს სიმდაბლჳ, ძმანო, რამეთუ დიდ არს სიმდაბლჳ.

ხოლო ესე არს ჭეშმარიტი სიმდაბლჳ, რომელი თქუა წმიდამან, ვითარმედ: „სიმდაბლჳ არა განრისხნების, არცა ვის განარისხებს“. მრავალთა უჩნს უცხო სიტყუაჲ ესე, რამეთუ სიმდაბლჳ ცუდადმზუაობრებასა ოდენ წინააღუდგების და მისგან ოდენ დაიცავს კაცსა, ხოლო განრისხებჲა მოვალს არა ცუდადმზუაობრებისაგან, არამედ საწმართათკსცა და ნაყროვნებისაგან. ხოლო რად იტყვს, თუ: „სიმდაბლჳ არა განრისხნების, არცა ვის განარისხებს“? ამისტკს იტყვს, რამეთუ სიმდაბლჳ დიდ არს, ვითარცა ვთქუთ, და შემძლებელ არს იგი მოყვანებად მადლსა ღმრთისასა სულსა ზედა. ხოლო ოდეს მოვიდეს მადლი ღმრთისაჲ სულსა ზედა, იგი დაიცავს მას ორთაცა ამათ ვნებათაგან მძიმეთა, რამეთუ რად უმძიმჳს არს, ოდეს კაცი განრისხნეს, ანუ განარისხოს ძმად თკსი? ვითარცა იტყვს ბერი ვინმე, ვითარმედ: „უცხო არს ყოვლადვე მონაზონისაგან რისხვაჲ“. რამეთუ ეგევითარმან მან, უკუეთუ ადრე არა შეიკრძალოს თავი თკსი სიმდაბლითა, მცირედ-მცირედ მოვალს იგი საზომსა ეშმაკისასა შფოთითა და აღძრვითა. და ამისტკს იტყვს, ვითარმედ: „სიმდაბლჳ არა განრისხნების, არცა ვის განარისხებს“.

რად ვიტყვ, თუ ორთა¹ ამათ ვნებათაგან დაიცავს კაცსა? ოდეს იხილნა მამამან ანტონი ყოველნი საფრჳენი ეშ-

¹ ორთა მხო 30.1] არა AB

მაკისანი ქუეყანასა ზედა განფენილნი და ჰკითხა ღმერთსა სულთქუმით, ვითარმედ: „რაჲ-მე თანანარჰჳდეს ამათ?“ მიუგო მას ღმერთმან, ვითარმედ: „სიმდაბლჳ“. და სხუად საკვრველი სიტყუად შესძინა, ვითარმედ: „არცა შეეხნენ მას“. იხილეთ, ძმანო, ძალი სათნოებისაჲ ამის და მადლი იგი მისი. ჭემმარიტად არარაჲ უძლიერჳს არს სიმდაბლესა და ვერცა რაჲ სძლევს მას, რამეთუ რაჲცა რაჲ გულისკლებაჲ მოინიოს მდაბალსა ზედა, მეყსეულად თავსა თვსსა აბრა-ლებს და უხარის და არავის სხუასა აბრალებს, არცა ვის ზე-და დასდებს მიზეზსა. და ამისთვის თანანარჰჳდების ყოველ-სავე უშფოთველად და განსუენებით. და ამისთვის არცა გან-რისხნების, არცა ვის განარისხებს. და ამისთვის კეთილად თქუა ბერმან, ვითარმედ: „უნინარჳს ყოვლისა გკჳმს ჩუენ სიმდაბლჳ“.

ხოლო არიან ორნი სიმდაბლენი და ორნი ამპარტავა-ნებანი. პირველი ამპარტავანებაჲ არს, ოდეს კაცი შეუ-რაცხ-ჰყოფდეს მოყუასსა თვსსა, ვითარცა არარასა, და თავი თვისი უჩნდეს უფროჲს მისსა. ესევითარმან მან, უკუ-ეთუ არა ადრე განიფრთხოს, მცირედ-მცირედ მოვალს მეორესაცა ამპარტავანებასა, რაჲთა თვთ ღმერთსაცა ზე-და ამპარტავან იქმნას და იტყოდის, ვითარმედ თვისითა ძა-ლითა იქმს სათნოებათა და არა შენეენითა ღმრთისაჲთა. ზ, ძმანო, ვიხილე მე კაცი მოსრული, სანყალობელი, სა-ზომსა ამას. ხოლო დასაბამსა უკუეთუმცა ვინმე აქო ძმაჲ მის თანა, მეყსეულად დაჰწერწყუდა მას და ეტყოდა: „არავინ არს დიდ, არამედ ზოსიმე და მსგავსნი მისნი“. და შემდგომად მცირედისა ჟამისა იწყო შეურაცხყოფად მისდაცა და იტყოდა, ვითარმედ: „არავინ არს დიდ, არა-მედ მამაჲ მაკარი“. და შემდგომად მცირედისა ჟამისა იწყო თქუმად, ვითარმედ: „ვინ არს მაკარი? არავინ არს დიდ, არამედ ბასილი და გრიგოლი“. ხოლო შემდგომად მცირე-

დისა ჟამისა იწყო თქუმად: „ვინ არს ბასილი, ანუ ვინ არს გრიგოლი? არავინ არს დიდ, არამედ პეტრე და პავლე“. ხოლო მე ვარქუ მას: „ჭეშმარიტსა გეტყვ შენ, ძმაო, რომელ ეგენიცა შეურაცხყოფად გისხენ“. გრწმენინ, ძმანო¹, ვითარმედ მცირედისა ჟამისა შემდგომად იწყო თქუმად, ვითარმედ: „ვინ არს პეტრე ანუ პავლე? არავინ არს დიდ, არამედ სამებაჲ წმიდაჲ“. ხოლო უკუანაჲსკნელ თვთ ღმერთსაცა ზედა ამაღლდა და სრულიად წარწყმდა. ამის-თვისცა გკვმს ჩუენ, ძმანო, ღწოლაჲ, რაჲთა არა ვიძლინეთ პირველისა ამპარტავანებისაგან, რამეთუ პირველი მიიყვანებს ამპარტავანებასა სრულსა.

ხოლო არს სხუაჲ ამპარტავანებაჲ ერისკაცთაჲ და არს ამპარტავანებაჲ მონაზონთაჲ. ერისკაცთაჲ ესე არს, ოდეს კაცი ამაღლდებოდის მოყუასსა თვსსა ზედა და იტყოდის, ვითარმედ მე უმდიდრე ვარ, ანუ უშუენიერე ვარ, ანუ უფროჲს მისსა მმოსიეს კეთილი სამოსელი. ოდეს ვიხილნეთ თაჲნი ჩუენნი ამათ ესევითართა საქმეთა შინა, თუ მონასტერი ჩუენი უძლიერჲს არს, ანუ მრავალნი ძმანი მყვანან ჩუენ, იციტმცა, ვითარმედ ჯერეთ ერისკაცებრსა ამპარტავანებასა შინა ვართ. ხოლო მრავალნი ბუნებითა საქმეთა ზედა მალლოვიან, გინა ჳმაკეთილობასა ზედა, ანუ-თუ იტყოდის, ვითარმედ კეთილაჲ და წმიდაჲ ვჰმსახურებ მე. ესენი წინაპართა მათ უსუბუქე არიან, გარნა ესენიცა ერისკაცებრისა ამპარტავანებისანი არიან. ხოლო მონაზნური ამპარტავანებაჲ არს, ოდეს ზუაობდეს კაცი მღვძარებისათვს, გინა მარხვისათვს, გინა სხვსა რაჲსამე მოლუანებისათვს. ხოლო არს კაცი, რომელი დამდაბლდების დიდებისათვს. ესე ყოველნი არიან მონაზონთა ამპარტავანებისაგანნი. ხოლო უმჯობჲს არს, უკუეთუ ვზუაობთ, რაჲთა ბარე სამონაზნო-თა საქმითა ვზუაობდეთ და არა საერისკაცოჲთა.

¹ ძმანო Gr] ძმაო A

აჰა ესერა, ვთქუთ ჩუენ, თუ რად არს პირველი ამპარტავანებად, ანუ რად არს მეორე, და თუ რად არს მონაზონთა ამპარტავანებად, ანუ რად არს ერისკაცთად. ხოლო ან ვთქუათ, თუ რომელნი არიან ორნი იგი სიმდაბლენი. პირველი სიმდაბლე არს, ოდეს უჩნდეს კაცსა ძმად თვისი უგულისხმიერეს თვისსა და ყოველსა ზედა უკეთესს, ვითარცა წერილ არს, რადთა „ჰქონდის თავი თვისი ყოველთა უქუე“. ხოლო მეორე სიმდაბლე არს, ოდეს იგონებდეს კაცი, ვითარმედ რასაცა იქმს, შეწევნითა ღმრთისადათა იქმს და არა ძალითა თვისითა. ესე არს სრული იგი სიმდაბლე წმიდათად. ესე ბუნებით მოვალს სულსა ზედა აღსრულებითა მცნებათად. რამეთუ ვითარცა ხესა, რომელსა ჰქონდის ნაყოფი ფრიადი, იგი ნაყოფითურთ დასდრეკს რტოსა მას ქუე, ხოლო რომელსა რტოსა არა ესხას ნაყოფი, აღვალს იგი მართლ ზე. ხოლო არიან ხენი რომელნიმე, და რადომცა ზე აღვიდოდის რტო მისი, არა გამოიღებს ნაყოფსა, და უკუეთუ ვინმე აღილოს ქვად და დაჰკიდოს იგი რტოთა მისთა და დადრიკოს იგი ქუე, მაშინ გამოიღებს იგი ნაყოფსა. ეგრეთვე სული, რადომცა დამდაბლდებოდის, გამოიღებს ნაყოფსა, და რადომცა გამოიღოს ნაყოფი, ეგეზომცა დამდაბლდების, რამეთუ რადომცა მიეახლებიან წმიდანი ღმერთსა, ეგეზომცა უჩნს თავი თვისი ცოდვილად.

მაჯსოს მე, რამეთუ ოდესმე უბნობდით სიმდაბლისათვის და იყო ჴელმწიფე ვინმე ქალაქისა ღაზისად და ესმა ჩუენი, რამეთუ ვიტყოდეთ სიტყუასა ამას, ვითარმედ რადომცა კაცი მიეახლებოდის ღმერთსა, ეგეზომცა უჩნს თავი თვისი ცოდვილად. და უცხო უჩნდა მას საქმე ესე და გუკითხვიდა ჩუენ, რადთამცა უთხარტ მას სიტყუად იგი, თუ ვითარ არს. ხოლო მე მიუგე და ვარქუ მას: „მითხარლა, უფალო, თუ ვითარ გირს შენ თავი შენი ქალაქსა შინა შენსა?“ ხოლო მან მომიგო, ვითარედ: „მიჩს თავი ჩემი, ვითარცა პირველი

და თავი მის ქალაქისად“. ხოლო მე ვარქუ მას: „უკუეთუმცა წარხუედ კესარიად, ვითარ გიჩს მუნ თავი შენი?“ და მრქუა მე, ვითარმედ: „მიჩს თავი ჩემი უქუეს მუნ მყოფთა მათ დიდთა“. და მე ვარქუ მას: „ხოლო უკუეთუ წარხვდე ანტიოქიას, ვითარ გიჩს თავი შენი მუნ?“ ხოლო მან მრქუა მე: „მიჩს მუნ თავი ჩემი ვითარცა ერთი გლახაკი“. ხოლო მე ვარქუ მას: „უკუეთუ წარხვდე კოსტანტინეპოლის, მახლობელად მეფისა, მუნ ვითარ გიჩს თავი შენი?“ მომიგო და მრქუა მე: „მიჩს თავი ჩემი მუნ, ვითარცა ერთი დავრდომილი“. მაშინ ვარქუ მას: „აჰა, ესრეთ არიან წმიდანი, რაჲზომცა მიეახლებიან ღმერთსა, ეგეზომცა უჩს თავი თჳსი ცოდვილად“. რამეთუ აბრაჰამ, ოდეს იხილა ღმერთი, მიწად და ნაცრად უწოდა თავსა თჳსსა (დაბ. 18,27). და ესაია იტყოდა, ოდეს იხილა ღმერთი: „ვაჲ, მე უბადრუკსა, რამეთუ არანმიდა ვარ მე“ (ეს. 6,5). და დანიელ, ოდეს იყო მღვმესა შინა, მწეცთა შორის, და მივიდა მისა ამბაკუმ და მიართუა მას პური და ჰრქუა: „მიიღე პური ესე, რომელი წარმომცა შენთჳს ღმერთმან“, ხოლო მან თქუა: „რამეთუ მომიწესენა მე ღმერთმან“ (დან. 14,36-37). იხილეთ, თუ რომელი სიმდაბლჳ ჰქონდა გულსა თჳსსა, რამეთუ იყო იგი მწეცთა შორის, მღვმესა შინა, და არა ავნებდეს მას, და თვტცა უკვრდა და იტყოდა: „რამეთუ მომიწესენა მე ღმერთმან“.

იხილეთ სიმდაბლჳ იგი წმიდათად, თუ ვითარ იყვნეს გულნი მათნი, რამეთუ მრავალთა წარავლენნ ღმერთი შენევენად კაცთა და მათ არა უნებნ, რამეთუ ივლტიედ იგი დიდებისაგან. რამეთუ ვითარცა კაცსა, რომელსა ემოსის პორფირი, უკუეთუ მივარდეს მის ზედა ძონძი არანმიდად, ივლტის იგი, რაჲთა არა შეიგინოს სამოსელი იგი მისი პატიოსანი, ეგრეთვე წმიდათა, რომელნი შემკულ არიან სათნოებითა, ივლტიან იგინი კაცობრივისაგან დიდებისა, რაჲთა არა შეიგინენ მისგან. ხოლო რომელსა უყუარდეს დიდებაჲ კა-

ცობრივი, მსგავს არს იგი შიშუელსა, რომელი ეძიებნ მცირე-სა ძონძსა, რადთამცა დაიბურა სარცხუნელი თვისი. ეგრეთვე შიშუელი სათნოებათაგან ეძიებს დიდებასა კაცთაგან.

ხოლო წმიდათა, რაჟამს წარავლენნ ღმერთი შეწევნად კაცთა, არა უნებნ მათ სიმდაბლისაგან მათისა. რამეთუ მოსე ეტყოდა ღმერთსა: „გევედრები შენ, მიავლინე სხუად, უძლიერჴსი ჩემსა, რამეთუ მე ჴმანულილ ვარ და ენამძიმე“ (გამ. 4,10). და იერემია იტყოდა: „ჴაბუკ ვარი მე“ (იერ. 1,6). და ყოველთა წმიდათა ესევეთარი სიმდაბლჴ მოიგეს, ვითარცა ვთქუთ, აღსრულებითა მცნებათადათ.

ხოლო სიმდაბლესა ამას სიტყვთ ვერვინ გამოსთარგმნის. ოდესმე მამად ზოსიმე იტყოდა სიმდაბლისათვის, ხოლო იპოვა მუნ ვინმე ფილაფოზი და იწყო კითხვად მისა: „მითხარ მე, ვითარ გიჩს თავი შენი ცოდვილად? არა იცია, ვითარმედ გქონან შენ სათნოებანი? არა იცია, რამეთუ ხარ შენ წმიდად და, აჴა ესერა, ხედავ¹ თავსა შენსა, რამეთუ აღასრულებ მცნებათა? ვითარ გიჩს თავი შენი ცოდვილად?“ ხოლო ბერი ვერ ჰპოებდა, რადმცა გამოუთარგმანა მას, არამედ იტყოდა: „არა ვიცი, თუ ვითარ გითხრა შენ, არამედ ესრეთ მიჩს მე, ვითარმედ ცოდვილ ვარ“. ხოლო ფილაფოზი იგი წინააღუდგებოდა მას, რამეთუ უნდა მას, რადთამცა ცნა, თუ ვითარ არს. ხოლო ბერი ვერ ჰპოებდა, რადთამცა უთხრა მას, თუ ვითარ არს. ჰრქუა მას წმიდითა მით მისითა სინწფოებითა: „ნუ გარდამაქცევ მე, რამეთუ მე ესრეთ მაქუს“. ხოლო მე ვარქუ მას²: „ნუუკუე ეგრეთ არს, ვითარცა საფილოსოფო და ვითარცა სამკურნალოდ? რამეთუ ოდეს კაცი ისწავლიდეს მას კეთილად და შურებოდის მას, იქმნების რადმე ჩუეულება მის შორის და ვერლარა გამოსთარგმნის სიტყვთ, თუ ვითარ იქმნა ჩუეულება იგი მის შორის, რამე-

¹ ხედავ βλέπει 36.5] ვხედავ A; > B

² ხოლო მე ვარქუ მას λέγω απτῷ 36.14] ჰრქუა მას A

თუ, ვითარცა ვთქუ, მცირე-მცირედ მიიღო მან ჩუეულებად იგი უცნაურად ზედადსზედა ქმნისაგან. ნუუკუე ესრეთ არს სიმდაბლცა, რამეთუ აღსრულებიისაგან მცნებათადასა დაენერგვის კაცსა თანა გონებად მდაბალი და სიტყვთ არა ითქუმის იგი“.

ხოლო ვითარცა ესმა ესე მამასა ზოსიმეს, განიხარა და მეყსეულად შემიტკბო მე და თქუა: „ვპოე შენგან, თუ ვითარ არს საქმც ესე. ეგრეთ არს, ვითარცა სთქუ“. ხოლო დაიჯერა ფილოსოფოსმანცა სიტყუად იგი.

მამათა მრავალთა თქუეს, რადთამცა გულისხმა-ვყავთ ჩუენ სიმდაბლც ესე. გარნა თვთ ვითარ არს და ვითარ დაენერგვის იგი გულსა შინა კაცისასა, ვერვინ თქუა. რამეთუ მამად აღათონ ოდეს აღესრულებოდა, ჰრქუეს მას ძმათა: „შენცა გეშინიანა, მამაო?“ ჰრქუა მათ, ვითარმედ: „მე ძალისაებრ ჩემისა ვიღუანე დამარხვად მცნებათა, არამედ კაცი ვარ, რად ვიცი, თუ საქმც ჩემი სათნო-უჩს ღმერთსა? რამეთუ სხუად არს საშჯელი ღმრთისად და სხუად არს საშჯელი კაცთად“. აჰა ესერა, გულისხმა-გკყო ჩუენ ცნობად მისა და გკრუენა ჩუენ გზად მიწვენად მისა. ხოლო თუ ვითარ არს იგი, ანუ ვითარ მოვალს იგი სულსა ზედა, ვითარცა მრავალგზის ვთქუთ, ვერვინ თქუა, ვერმცა ვინ მისწუთა მას სიტყვთ, არამედ მარტოდ სული იგი, რომელი ღირს-იქმნა საქმით მიწვენად და ცნობად მისა.

ხოლო თუ რად არს, რომელი მოიყვანებს მას ჩუენ თანა, თქუეს მამათა. რამეთუ წერილ არს, ვითარმედ ძმამან ჰკითხა ბერსა და ჰრქუა მას: „რად არს სიმდაბლც?“ მიუგო მას ბერმან და ჰრქუა: „სიმდაბლც ღიდი საქმც არს და საღმრთოდ, ხოლო გზანი სიმდაბლისანი არიან: შრომანი წორციელნი გულისხმისყოფით, რადთა ემჭიროს კაცსა თავი თვსი ყოველთა ქუეშე და რადთა ევედრებოდის ღმერთსა მარადის“. ხოლო სიმდაბლც საქმც არს საღმრთოდ და მი-

უნდომელი. და რად იტყვს, თუ შრომანი ჯორციელნი მოიყვანებენ კაცსა სიმდაბლედ? ამისთვის იტყვს, რამეთუ ჯორციელნი შრომანი სათნოებანი არიან სულისანი. ხოლო ყოველთა ქუეშე დამჭირვად თავისა თვისისად, ვითარცა ზემო ვთქუთ, წინააღუდგების იგი პირველსა ამპარტავანებასა, რამეთუ რომელსა ემჭიროს თავი თვისი ყოველთა ქუეშე, ვითარმცა ჰქონდა მას თავი თვისი უფროდს მოყუსისა თვისისა, ანუ ვითარ ვის აბრალებდეს, ანუ ვითარ ვინ შეურაცხ-ყოს მან?

ხოლო ვედრებად ღმრთისა მარადის ამისთვის თქუა ბერმან, რამეთუ წინააღუდგების იგი მეორესა ამპარტავანებასა, რამეთუ რომელი იყოს მდაბალი, მან უწყის, ვითარმედ თვნიერ შეწევნისა ღმრთისა ვერას წარჰმართებს, და ამისთვის ევედრების ღმერთსა მარადის. და რომელი მარადის ევედრების ღმერთსა, უკუეთუ რამე სათნოებად წარჰმართოს, იცის, ვითარმედ შეწევნითა ღმრთისაათა წარუმართებიეს იგი და არა ამაღლდების იგი, არცა იტყვს, თუ ჩემითა ძალითა წარმიმართებიეს საქმე ესე, არამედ ღმრთისაათა. და მას ჰმადლობს და ევედრების ძრწოლით, რათა არა დაუტეოს იგი და გამოჩნდეს უძლურებად და ძალი მისი. და ესრეთ სიმდაბლისა მიერ ილოცავს და ლოცვისა მიერ დამდაბლდების. და რაფომცა დამდაბლდებოდის, უფროდს შეწევნის მას ღმერთი და წარემართების სიმდაბლითა.

ხოლო რად იტყვს, თუ ჯორციელნი შრომანი მიიყვანებენ კაცსა სიმდაბლედ, ანუ რასა შეწევნიან ჯორციელნი შრომანი სიმდაბლესა? რამეთუ სიმდაბლე სულსა შინა კაცისასა არს და ვითარ მოიღებენ მას ჯორციელნი შრომანი? მე გითხრა თქუენ. ოდეს დაეცა¹ სული მცნებისაგან დასაბამსა, დაემონა უბადრუკი იგი თვთრჩულობასა ცთომისასა და გემოფთმოყუარებასა, ვითარცა იტყვს წმიდად გრიგოლი. და შეიყუარა

¹ დაეცა ἐκπεσῖσα 39.3] დაეცეს A

მან ჯორციელი და იქმნა იგი ყოვლითურთ ჯორც, ვითარცა წერილ არს, ვითარმედ: „არა დაადგრეს სული ჩემი კაცთა მათ თანა, რამეთუ არიან იგინი ჯორც“ (დაბ. 6,3). ხოლო სული დაემონა ჯორცთა და იჭირვის იგიცა ჯორცთავე თანა და ნებასა ჯორცთასა იქმს მის თანავე. ამისთჳს თქუა ბერმან, ვითარმედ ხორციელნი შრომანი მოიყვანებენ სიმდაბლესა. რამეთუ სხუად არს სული მრთელისად და სხუებრ – უძლურისად, და სხუებრ არს მადლრისად და სხუებრ – მშვიერისად, და სხუებრ არს ცხენსა ზედა მჯდომარისად და სხუებრ – ვირსა ზედა მჯდომელისად, სხუებრ არს გონებად საყდართა ზედა მჯდომელისად და სხუებრ – ქუეყანასა ზედა მჯდომელისად, სხუებრ არს გონებად, რომელსა ემოსოს სამოსელი კეთილი და სხუად არს, რომელსა ემოსოს ხენგში.

ხოლო შრომად დაამდაბლებს ჯორცთა და და-რად-მდაბლდენ ჯორცნი, დამდაბლდების სულიცა. ამისთჳს მართლად თქუა, ვითარმედ ჯორციელი შრომად მოიღებს სიმდაბლესა. ამისთჳს ბერსა მას ებრძოდა გმობად. იყო იგი გულისხმისმყოფელ და იცოდა, ვითარმედ გმობად მოვალს ამპარტავანებისაგან და ოდეს დამდაბლდენ ჯორცნი, დამდაბლდების სულიცა. ორმეოცსა დღესა არა შევიდა სართულსა ქუეშე, ვითარმედ ჯორცთა მისთა გამოესხა თმად, ვითარცა პირუტყუთა. ხოლო არა გულისსიტკსა გმობისათჳს ქმნა ესე, არამედ სიმდაბლისათჳს. ხოლო კეთილად თქუა ბერმან, ვითარმედ ჯორციელი შრომად მოიყვანებს სიმდაბლესა.

ღმერთმან სახიერმან მოგუეცინ ჩუენ სიმდაბლე, რამეთუ დიდთაგან განსაცდელთა იწსნის კაცთა და დაჰფარავს მრავალთაგან ბოროტთა.

თავი 3

სკნიდისისათვის

ოდეს დაბადა ღმერთმან კაცი, და დასთესა მის შორის წმიდად რაიმე გულისსიტყუად, მწურვალს და განათლებული, მსგავსი ნაკურცხალისად, რომელი-იგი განანათლებს გონებასა და უჩუენებს ბოროტსა კეთილისაგან. ამისთვის ეწოდების სკნიდის, რომელ არს შჯული ბუნებითი. ამისთვის იტყვან მამანი: „ჯურღმულნი, რომელთა წმედდა იაკობ და აღმოავსებდეს მას ფილისტიმელნი“ (დაბ. 26,15). ამით შჯულითა, რომელ არს სკნიდისი, ყოველნი მამადმთავარნი და ყოველნი წმიდანი უწინარს დაწერილისა შჯულისა სათნო-ეყვნეს ღმერთსა. ხოლო ესე რად დაითრგუნა კაცთა მიერ გარდასლვითა მცნებისადათა და ქმნითა ცოდვისადათა, მაშინ გკვმა ჩუენ განსაკურნებელად დაწერილი შჯული და გკვმდეს ჩუენ წმიდათა წინაფსწარმეტყუელთა სიტყუანი და გკვმა ჩუენ თვთ უფლისა ჩუენისა მოსლვად, რადთამცა გამოაბრწყინვა და აღადგინა და განაცხოველა დათრგუნვილი იგი ნაკურცხალი, რომელ არს სკნიდისი, დაცვითა წმიდათა მისთა მცნებათადათა.

ხოლო ან ჩუენ შორის არს იგი. და უკუეთუ გკნდეს, დავსრთგუნავთ მას კუალად, და უკუეთუ გკნდეს და უსმენდეთ მას, ბრწყინვიდეს იგი და განგუანათლებდეს ჩუენ. რამეთუ ოდეს გუეტყოდის ჩუენ სკნიდისი ჩუენი, თუ ქმენ ესე რადმე და ჩუენ არა უსმენდეთ მას, და კუალად გუეტყოდის და უგულებელს-ვჰყოფდეთ მას, მერმე დავსრთგუნავთ მას და ვერღარა შეუძლებს მხილებად ჩუენდა სიმძიმისა მისგან მის ზედა მდებარისა, არამედ ვითარცა სანთელი, რომელი ჰნათობნ ჭიქასა შინა, ეგრეთ იწყებნ ნათობად ჩუენდა უბნელესადრე და არა გკჩუენებს ჩუენ საქმეთა

წმიდად. და ვითარცა წყალსა შინა აღმრღუეულსა ვერვინ ჰნახავს ხატსა თქსსა, ეგრეთვე ვიპოვებით ჩუენცა და ვერლარა გავიგონებთ, თუ რასა გუეტყვს ჩუენ სვნიდისი ჩუენი, და ეგეზომსა სიბნელესა შინა შევვარდებით, ვიდრელა გუეგონოს, თუ ყოვლადვე არა არს იგი ჩუენ თანა. ხოლო არა არს კაცი, რომელსამცა თანა არა იყო იგი, რამეთუ, ვითარცა ვთქუ, წმიდად რადმე არს იგი და არაოდეს წარწყმდების იგი, არამედ ყოვლადვე გუეტყვს ჩუენ კეთილსა, ხოლო ჩუენ, ვითარცა ვთქუ, ჩუენისა უგულისხმოებისაგან ვერ გავიგონებთ, რამეთუ დაგვორგუნავს იგი. ამისთვისცა იგლოვდა წინააღმარმეტყუელი ეფრემისთვის და იტყოდა: „ეუფლა და მძღავრ-ექმნა ეფრემ წინააღმდგომსა თქსსა და დათრგუნა საშუელი“ (ოსე 5,11). წინააღმდგომ უწოდა სვნიდისსა. ამისთვის სახარებად იტყვს: „ეკრძალე კეთილად მსაჯულსა შენსა, ვიდრე ხვდოდი გზასა ზედა მის თანა, რათა არა მიგცეს შენ მსაჯულსა და მსაჯულმან – მსახურთა, და შეგაგდონ შენ საპყრობილესა. ამენ გეტყვ შენ, ვერლარა გამოხვდე მიერ, ვიდრემდის მიაგო უკუანაღსკნელი დანგისა კოტორი“ (მათ. 5,25-26).

ხოლო რად უწოდა სვნიდისსა წინააღმდგომ? ამისთვის ეწოდების მას წინააღმდგომ, რამეთუ იგი მარადის წინააღმდგების ნებასა ჩუენსა ბოროტსა და გუამხილებს ჩუენ, რამეთუ რომელი თანაგუაც ქმნად, არა ვიქმთ. და კუალად, რომელი არა თანაგუაც ქმნად, ვიქმთ. იგი წინააღმდგების ჩუენ და ამისთვის ეწოდების მას წინააღმდგომ და ამისთვის გუამცნობს და იტყვს: „განეკრძალე კეთილად მსაჯულსა შენსა, ვიდრელა იყო გზასა ზედა მის თანა“. ხოლო გზად არს, ვითარცა წმიდად ბასილი იტყვს, სოფელი ესე.

არამედ ვისწრაფოთ, ძმანო, დამარხვად სვნიდისისა ჩუენისა, ვიდრელა ვართ სოფელსა ამას და ნუ უტევებთ მას მხილებად ჩუენდა ნურასა ზედა საქმესა, ნუცამცა

დავსთრგუნავთ მას ყოვლადვე, დაღაცათუ მცირე რაიმე საქმე იყოს.

ხოლო ესე იცოდეთ, რომელ მცირეთა ამათგან, რომელ ჩუენ გვგონია, თუ არარაჲ არს იგი, მოვალთ დიდთაცა. რამეთუ ოდეს იტყოდის კაცი, თუ არარაჲ არს, უკუეთუ ვთქუა ესე რაიმე სიტყუად, ანუ რაჲ არს, თუ შევეჭამო ესე მცირედი რაიმე, ანუ რაჲ არს, უკუეთუ მივხედნე იმას რასამე, ამით საქმით მიიღებს კაცი ბოროტსა ჩუეულებასა და მერმე იწყებს დიდთაცა საქმეთა უგულებელსყოფად და დათრგუნვად სჯინდისისა თვისისა. და ესრეთ ოდეს წარემართებოდის, ცოდვასა შინა დაინთქმის და სრულსა უგულისხმოებასა შინა.

ამისთვის, ძმანო, გვეედრები თქუენ, ნუმცა უდებ-ვიქმნებით მცირედთა ამათ ზედა. არა მცირენი არიან, არამედ ბოროტი ჩუეულებაჲ არს ძნელ.

განვიფრთხოთ, ძმანო, და ვჰბრძოდეთ ცოდვასა, ვიდრელა იყოს იგი სუბუქ, რადთა არა იქმნენ იგინი მძიმე. და სათნოებაცა და ცოდვაიცა მცირისაგან დაიწყების და დიდსა მოვალს. ამისთვის უფალი ჩუენი გუამცნებს დამარხვად სჯინდისისა ჩუენისა და, ვითარმცა პირისპირ ვის ეტყოდა, ესრეთ იტყვს: „იხილე, უბადრუკო, და განეკრძალე მსაჯულსა შენსა, ვიდრე ხარლა გზასა ზედა მის თანა“. და გკთხოვს ჩუენ შიშსაცა მის საქმისასა და იტყვს: „რადთა არა მიგცეს შენ მსაჯულსა და მსაჯულმან – მსახურთა, და შეგაგდონ შენ საპყრობილესა. ამენ გეტყვ, არა გამოხკდე მიერ, ვიდრე მისცე უკუანაღსკნელი დანგისა კოტორი“.

ხოლო, ვითარცა ვთქუ, სჯინდისი ჩუენი გვამხილებს ჩუენ ბოროტსაცა და კეთილსაცა და გკჩუენებს ჩუენ, თუ რაჲ ჯერ-არს ჩუენდა ქმნად. და უკუეთუ არა უსმინოთ მას, იგივე შეგვასმენს ჩუენ დღესა მას. და მისთვის იტყვს: „რადთა არა მიგცეს შენსა მსაჯულსა“, და შემდგომი ამისი.

ხოლო დაცვასა მისსა ფრიადი განყოფად აქუს. უნებს კაცსა დამარხვად სჯინდისი თჳსი ღმრთისა მიმართ და მოყუსისა მიმართ და საჯმართა მიმართ. ღმრთისა მიმართ ესრეთ, რაჲთა არა უგულებელს-ჰყენეს მცნებანი მისნი, არამედ რაჲთა რომელსა კაციცა ვერ ხედვიდეს მას და რომლისათჳს არავისგან ეშინოდის, რაჲთა მას ზედა დაიცვას სჯინდისი თჳსი. ესევეითართა საქმეთა ზედა: ოდეს ილოცვიდეს, უკუეთუ მოუჭდეს მას გულისსიტყუად ბოროტი და არა შეიკრძალოს თავი თჳსი, არამედ დაამტკიცოს იგი. გინათუ იხილოს მოყუასი თჳსი, რომელი იტყუნ რასამე, ანუ იქმნ, და განიკითხოს იგი. ამათ ზედა და ამათა მსგავსთა, რომელთა ვერვინ სცნობს, გარნა ღმერთი, უჭმს დამარხვად სჯინდისისა თჳსისად. ესე არს ღმრთისა მიმართ სჯინდისი.

ხოლო მოყუსისა მიმართ ესე არს, რაჲთა არარად ქმნას კაცმან, რომელსა ზედა იცოდის, ვითარმედ დაჰბრკოლდების მოყუასი გინათუ საქმით, გინათუ სიტყვით, გინა სახით, გინა შეხედვით, რამეთუ იქმნების სახითცა დაბრკოლებად მოყუსისად და შეხედვითცა, და რასაცა ზედა იცოდის, ვითარმედ დაჰბრკოლდების მოყუასი, რაჲთა არა ქმნას იგი. ესე არს მოყუსისა მიმართ დაცვად სჯინდისისად.

ხოლო საჯმართა მიმართ არს, რაჲთა არა უტეოს ჭურჭელისა რაჲსამე განრყუნად, არამედ დაღათუ იხილოს დაგდებული რაჲმე, რაჲთა აღილოს იგი და დადვას თჳსსა ადგილსა, დაღაცათუ მცირე რაჲმე იყოს. და რაჲთა არა განჰრყუნიდეს თჳსსა სამოსელსა, რამეთუ არს კაცი, რომელსა შეუძლია სამოსლისა თჳსისა მოსად სხუასა ხუთსა თუესა და ზედაღს-ზედა რცხითა განსცუეთს მას. და არს ესე სჯინდისისაგან გარეგანი. და კუალად, არს კაცი, რომელსა ეყოფის ერთი სასთაული და იგი ეძიებს დიდსა საგებელსა. და უკუეთუ ჰქონდის სამოსელი ძაძისად და ენებოს მას სამოსელი ახალი ანუ შუენიერი ამჰარტავანებისაგან, ანუ მოწყინებისა.

და ეყოფინ მას ერთი ქილი და იგი ეძიებნ ლანატსა და იქმს მისთვის შფოთსაცა. ხოლო უკუეთუ ინყოს მიხედვად ძმისა თვისისა და იტყოდის, თუ: „მას აქუს ესე რადმე და მე – არა“, ეგვეითარი იგი [არა]¹ სანატრელ არს. და კუალად, განჰფენს კაცი თვისსა სამოსელსა მზესა და უდებ-ჰყოფს იგი მას და დაინუვის, და ესეცა სწინდისისაგან გარეგანი არს. და კუალად, საჭამადსა ზედა შემძლებელ იყოს განძლომად მცირედითა მხლითა ანუ ცერცვთა, გინა მცირედითა ზეთისხილითა და იგი ეძიებნ საჭამადსა უჰამოვნესსა, და ესე ყოველნი სწინდისისაგან გარეგან არიან.

ხოლო თქუეს მამათა, ვითარმედ: „არა ჯერ-არს მონაზონისა, რადთა უტყოს სწინდისსა თვისსა მხილებად მისა რასაცა ზედა საქმესა. ჯერ-არს ჩუენდა, ძმანო, რადთა ფრთხილ ვიყვნეთ ყოვლადვე და რადთა დავიცვნეთ თავნი ჩუენნი ამათ ყოველთაგან, რადთა არა დავინთქნეთ, რამეთუ თვთ უფალი გუამცნებს ჩუენ, ვითარცა ზემო ვთქუთ.

ღმერთმან ღირს-მყუენინ ჩუენ სმენად და ქმნად სიტყუათა ამათ, რადთა არა დასაშჯელად გუექმნენ ჩუენ სიტყუანი მამათა ჩუენთანი.

¹ არა სანატრელ არს *μακάριός οὐκ ἔστι* 45.18^{app}] სანატრელ არს A; *μακάριός ἔστι* 45.18^{ext}; lac B

თავი 4

შიშისათვის ღმრთისა

იტყვს კათოლიკესა შინა წმიდად იოვანე, ვითარმედ: „სრული სიყუარული გარე განაძებს შიშსა“ (1 იოან. 4,18). იხილეთ, თუ რასა იტყვს წმიდად ესე და რომელსა სიყუარულსა იტყვს ანუ რომელსა შიშსა. რამეთუ წინადაწარმეტყუელი ფსალმუნსა შინა იტყვს: „გეშინოდენ უფლისა ყოველთა წმიდათა მისთა“ (ფსალმ. 33,10), და სხუათა ბევრეულთა ეგევითართა იტყვან წმიდანი წერილნი. ხოლო უკუეთუ წმიდათა, რომელთა უყუარს უფალი, მათ ეშინიანცა მისგან, ვითარ იტყვს, თუ: „სიყუარული გარე განაძებს შიშსა“? უნებს წმიდასა ამას, რადთამცა გკჩუნენ ჩუენ, ვითარმედ ორნი არიან შიშნი: ერთი იგი ახალთად და მეორე იგი სრულთად, რომელნი-იგი განსრულებულ არიან და მიწვევულ საზომსა მას სიყუარულისასა. რამეთუ არს კაცი, რომელი იქმს ნებასა ღმრთისასა შიშისათვის სატანჯველთადას. ესევეთარი ესე, ვითარცა ვთქუ, ჯერეთ ახალი არს. ესევეთარი არა იქმს კეთილისათვის, არამედ შიშისათვის წყლულებათადას. ხოლო სხუად არს, რომელი იქმს ნებასა ღმრთისასა სიყუარულისათვის ღმრთისა, რადთამცა სათნო-ეყო ღმერთსა. ამან იცის, თუ რად არს კეთილი, და ესე არს, რომელსა აქუს ჭეშმარიტი სიყუარული, რომელსა იტყვს წმიდად ესე. ხოლო ესევეთარი იგი სიყუარული მიიყვანებს მას სრულსა შიშსა, რამეთუ ესევეთარსა მას ეშინიან ღმრთისაგან და იქმს ნებასა მისსა არლარა შიშისათვის სატანჯველთადას, არამედ, ვითარცა ვთქუ, უხილავს გემოდ სიტკბოებისად მის ღმრთისა თანა ყოფისად და ეშინიან, რადთა არა დაეცეს მისგან. ხოლო ესევეთარი იგი შიში, შობილი სიყუარულისად, განაძებს შიშსა მას პირველსა. ამისთვის

იტყვს, ვითარმედ: „სრული სიყუარული გარე განაძებს შიშსა“. ხოლო შეუძლებელ არს მოსლვად შიშისა მის სრულისაჲ, უკუეთუ პირველად არა მოვიდეს შიში იგი ახალთაჲ.

ხოლო სამნი საზომნი არიან, ვითარცა წმიდაჲ ბასილი იტყვს, რომლითა სათნო-ვეყოფით ღმერთსა: ანუ შიშისათჳს სატანჯველთაჲსა, ანუ მაღლისათჳს, ანუ კეთილისა საქმისათჳს. ხოლო სამთა ამათჳს ვიქმთ მცნებათა. უკუეთუ ვიქმოდით შიშისათჳს სატანჯველთაჲსა, ვართ ჩუენ საზომსა მონისასა. და უკუეთუ ვიქმთ მაღლისათჳს, ვართ ჩუენ საზომსა მუშაკისასა. ხოლო უკუეთუ ვიქმთ კეთილისათჳს, ვართ საზომსა ძისასა, რამეთუ ძჳ, ოდეს მოვიდეს ცნობასა, იქმს ნებასა მამისა თჳსისასა არა შიშისათჳს ცემისა, არცა მისთჳს, რადთამცა აღილო მისგან ფასი, არამედ სიყუარულისათჳს მისისა, რამეთუ დაუმარხავს მას სიყუარული და პატივი, რომელი უწმს ძესა მამისა მიმართ თჳსისა დამარხვად და იცის მან, რამეთუ ყოველივე მამისაჲ მისი არს. ხოლო ესევეითარსა მას არღარა ეწოდების მონა, არამედ ძედ და თანამკვდრად ღმრთისა ქრისტჳს მიერ (გალატ. 4,7). ხოლო ეგევეითარსა მას არღარა ეშინიან ღმრთისაგან შიშითა მით პირველითა, არამედ უყუარს ღმერთი, ვითარცა თქუა მამამან ანტონი, ვითარმედ: „მე არა მეშინიან ღმრთისაგან, რამეთუ მიყუარს იგი“.

და კუალად, უფალი აბრაჰამს ეტყოდა, ოდეს შესწირვიდა ძესა თჳსსა: „ან ვიცი, რამეთუ გეშინის შენ ღმრთისაგან“ (დაბ. 22,12). სრულსა მას შიშსა ოდენ ეტყოდა, რომელი-იგი მოვალს სიყუარულისაგან. ხოლო ვითარ ეტყოდა მას, თუ: „ან ვიცი, რამეთუ გეშინის შენ ღმრთისა“? ეგოდენნი ჭირნი მოითმინნა და ჰმორჩილობდა ღმერთსა და დაუტევა თჳსი ქუეყანაჲ და მივიდა იგი უცხოსა ქუეყანასა და ნათესავსა კერპთმსახურსა, სადა არა იყო კუალი ღმრთისმეცნიერებისაჲ, და ამას ყოველსა ზედა მოითმინა

საქმცცა იგი შვილისა თვისისა დაკლვისაჲ. და ამას ყოველსა ზედა ეტყოდა მას ღმერთი: „ან ვიცი, რამეთუ გემინის შენ ღმრთისა“. საცნაურ არს, ვითარმედ შიშსა მას სრულსა წმიდათასა იტყოდა, რამეთუ წმიდათა არა ეშინის ღმრთისაგან შიშისათვის საშჯელისა, არცა მადლისა მიღებისათვის, არამედ სიყუარულისათვის ღმრთისა, რადთა არაჲ ქმნან გარეგან ნებისა ღმრთისა. და ამისთვის იტყვს, ვითარმედ: „სიყუარული გარე განაძებს შიშსა“ (1 იოან. 4,18), რამეთუ არა შიშისაგან იქმან, არამედ სიყუარულისაგან ეშინიან. ესე არს სრული შიში.

ხოლო სრული იგი, ვითარცა ვთქუე, არა მოვალს, უკუეთუ პირველად არა მოვიდეს მცირე იგი, რამეთუ წერილ არს: „დასაბამი სიბრძნისაჲ არს შიში უფლისაჲ“ (იგავ. 1,7; 9,10; ფსალმ. 110,10). და კუალად იტყვს: „დასაბამი და დასასრული არს შიში ღმრთისაჲ“ (ზირ. 1,14,18). დასაბამად იტყვს პირველსა მას შიშსა, ხოლო დასასრულად – მეორესა მას შიშსა სრულსა ღმრთისასა.

ხოლო შიში იგი პირველი არს საზომისა ჩუენისაჲ, რომელი დასცავს სულსა ყოვლისაგან ბოროტისა, რამეთუ წერილ არს, ვითარმედ: „შიში უფლისაჲ მოსდრეკს კაცსა ბოროტისაგან“ (იგავ. 15,27). ხოლო უკუეთუ შიში საშჯელთაჲ მოსდრეკს კაცსა ბოროტისაგან, ვითარცა მონასა, რომელსა ეშინინ უფლისაგან თვისისა, ამის მიერ მოვალს კაცი კეთილისა საქმესა და მერმე მცირე-მცირედ მოვალს სასოებასა კეთილისა საქმისასა, ვითარცა მუშაკი. ხოლო ოდეს ეშინოდის, ვითარცა მონასა, და ივლტოდის ბოროტისაგან, და კუალად იქმოდის კეთილსა სასოებისათვის, ვითარცა მუშაკი. ხოლო ოდეს ესრეთ დაეყოვნოს კეთილსა შინა, შეეყოფვის იგი ღმერთსა და გემოსა იხილავს კეთილისასა და მერმე ვერღარავინ განაშორებს მას მისაგან, რამეთუ, ვითარცა მოციქული იტყვს: „ვინ განაშოროს იგი სიყუარულისაგან

ქრისტესისა?“ (რომ 8,35) და მერმე მიენევის იგი საზომსა მას ძისასა. და ესე არს სრული იგი შიში.

ამისთვის წინადასწარმეტყუელი გუასწავებს ჩუენ განყოფასა ამათ შიშთასა და იტყვს: „მოვედით, შვილნო, ისმინეთ ჩემი, და შიში უფლისაჲ გასწაო თქუენ“ (ფსალმ. 33,12). გულისხმა-ვყოთ სიტყუაჲ ესე წინადასწარმეტყუელისაჲ, ვითარ თითოეულსა სიტყუასა მისსა აქუს ძალი. პირველად გვწოდს ჩუენ სათნოებისა მიმართ და იტყვს: „მოვედით“, და შესძინა ესეცა, ვითარმედ: „შვილნო“. შვილ უწყობენ წმიდანი სიტყვთა მათითა მოქცეულთა უკეთურებისაგან სათნოებად, ვითარცა იტყვს მოციქული: „შვილნო, რომელთათვის მე ვიჭირვი, ვიდრემდის ქრისტე განბრწყინდეს თქუენ შორის“ (გალატ. 4,19). და მერმე იტყვს, ვითარმედ: „შიში უფლისაჲ გასწაო თქუენ“. ჰხედავთა კადნიერებასა წმიდისა ამისსა? ჩუენ ოდეს რასა ვიტყოდით, ესრეთ ვიტყვთ, ვითარმედ: „გინებსა, რადთა ვთქუათ შიშისათვის ღმრთისა გინა სხვსა რადსათვსმე სათნოებისა?“ ხოლო წმიდაჲ ესე არა ესრეთ, არამედ კადნიერებით იტყვს: „მოვედით, შვილნო, ისმინეთ ჩემი, და შიში უფლისაჲ გასწაო თქუენ. ვინ არს კაცი, რომელსა ეშინის უფლისა და უყუარან მას ხილვად დღენი კეთილისანი?“ ხოლო ვითარმცა ვინმე ეტყოდა, თუ: „მე მინებს, მასწავე შიში უფლისაჲ“, ესრე იტყვს: „დააცხრვე ენაჲ შენი ბოროტისაგან და ბაგენი შენნი ნუ იტყვან ზაკვასა“. აჰა ესერა, გვჩუენა ჩუენ საქმე ბოროტისაჲ, რადთა არა ვიქმოდით მას, რამეთუ „დააცხრვე ენაჲ შენი ბოროტისაგან“ არს, რადთა არა დააბრკოლოს კაცმან მოყუასი თვისი და რადთა არა ძკრი-უზრახოს. ხოლო „ბაგენი შენნი ნუ იტყვან ზაკვასა“ ესე არს, [რადთა არა] ჰზაკოს მოყუასსა თვისსა. პირველად თქუნა ცოდვანი სახელდებით: ძკრისზრახვად და ზაკვად, და მერმე თქუნა ყოვლისათვსვე ცოდვისა, ვითარმედ: „მოიქეც ბოროტისაგან“. ესე არს, ვითარმედ ივლტოდე

ყოველისაგან ბოროტისა და მოიქეც ყოველისაგან საქმისა მომყვანებელისა ცოდვასა. და არა ესოდენ თქუა, არამედ იტყვს: „ქმენ კეთილი“, რამეთუ არს კაცი, რომელი არა იქმს ბოროტსა, არცა კეთილსა. და არს კუალად, რომელი არავის თანა იქმს უსამართლოსა, არამედ არცა მოწყალეებასა. და არს კაცი, რომელსა არავინ სძულს, არცა უყუარს.

ხოლო კეთილად იტყვს წმიდად ესე, ვითარმედ: „მოიქეც ბოროტისაგან, ქმენ კეთილი“. აჰა ესერა, გკრუნა ჩუენ, ვითარ შეუდგა ერთმანერთსა სამნი ესე საზომნი, რომელნი პირველად ვთქუენით, ვითარ შიშითა ღმრთისაჲთა გუასწავებს ჩუენ მოქცევასა ბოროტისაგან, და კუალად გუასწავებს ჩუენ ქმნად კეთილისა, რამეთუ ოდეს ღირს-იქმნას კაცი მოქცევად ბოროტისაგან, მერმე თვთ ბუნებაჲ მისი მიჰზიდავს მას კეთილისა მიმართ.

ხოლო ესე რად გვასწავა ჩუენ წმიდამან ამან (მოქცევად ბოროტისაგან და ქმნად კეთილისაჲ), მეყსეულად იტყვს: „მოიძიე მშკდობაჲ და მისდევდი მას“. და არა თქუა ესე ოდენ, თუ „მოიძიე“ იგი, არამედ ესეცა თქუა, ვითარმედ: „მისდევდი მას“ მსწრაფლ, რადთა მიენიო. გულისხმა-ყავთ სიტყუად ესე წმიდისაჲ მის და იხილეთ გამონულილვად მისი. ოდეს ღირს-იქმნას კაცი მოდრეკად ბოროტისაგან და ქმნად კეთილისა, მეყსეულად მოვლენ მის ზედა ჭირნი მრავალნი და ბრძოლანი მტერისანი, და ამისთვის იჭირვის იგი და დაშურების არა-თუ ამისთვის ოდენ, რადთამცა არა შეიქცა კუალად ბოროტისა საქმესა, ვითარცა ვთქუთ მის მონისათვს, არამედ სასოებისათვსცა მადლისა მიღებისა, ვითარცა მუშაკი. ხოლო ოდეს ჰბრძოდის მტერსა თვსსა და ისწრაფდეს, მერმე იქმს კეთილსა, გარნა ჭირით და ინროებით. ხოლო ოდეს დაეჩვოს იგი კეთილისა საქმესა ღმრთისა მიერ, მაშინ იხილავს გემოსა მშკდობისასა და განსუენებასა მისსა, მაშინ სცნობს, თუ რად არს ჭირი ბრძოლისაჲ, ანუ-

თუ რად არს განსუენებად და სიხარული მშკდობისად, და მა-
შინ ისწრაფის, რადთა მიიწიოს მას და რადთა მოიგოს იგი,
რადთა დაიმტკიცოს იგი თავსა თვსსა შორის. და მიერთგან
იქმნების იგი სანატრელ, რამეთუ რადლამცა უსანატრელეს
იყო მის კაცისა, რომელი ღირს-ქმნულ იყოს მის საზომისა.
ესევეითარი იგი, ვითარცა მრავალგზის ვთქუთ, არს საზომ-
სა ძისასა, ვითარცა წერილ არს: „ნეტარ იყვნენ მშკდობის-
მყოფელნი, რამეთუ იგინი ძედ ღმრთისა იწოდნენ“ (მათ.
5,9). ესევეითარი იგი არღარა იქმს სხვსა რადსათვსმე კეთილ-
სა, არამედ განსუენებისათვს მის კეთილისა. არავინ¹ იცის
სიხარული იგი, არამედ მანვე, რომელმან უწყის და იცნობს
მას. ხოლო მან იცის, თუ რად არს სრული² იგი შიში.

აჰა ესერა, გვთქუამს პირველიცა იგი შიში და მეო-
რეცა და თუ რადსაგან მოგუაქცევს ჩუენ შიში ღმრთისად,
ანუ რასა მოგყვანებს. ხოლო ან ვთქუათ, თუ რადთა მო-
ვალს შიში ღმრთისად, ანუ რად არს, რომელი განაძებს მას
ჩუენგან. თქუეს მამათა, ვითარმედ შიში ღმრთისად მოიგებ-
ვის წსენებითა სიკუდილისადათა და სატანჯველთადათა, და
რადთა ყოველთა მწუხრთა გამოეძიებდეს, თუ ვითარ გარ-
დავლო დღ³ იგი, და ყოველთა დილეულთა გამოეძიებდეს,
თუ ვითარ გარდავლო ღამ³ იგი. და რადთა არა ჰქონდის
კადნიერებად და რადთა შეეყოს კაცსა მოშიშსა ღმრთისასა,
რამეთუ წერილ არს, ვითარმედ ძმამან ჰკითხა ბერსა ვისმე
და ჰრქუა: „ვითარ მოვიგო, მამაო, შიში ღმრთისად?“ ჰრქუა
მას ბერმან: „წარვედ და შეეყავ კაცსა მოშიშსა ღმრთისასა
და ოდეს მას ეშინოდის ღმრთისაგან, შენცა გასწაოს შიში
ღმრთისად“.

ხოლო განაძებენ ჩუენგან შიშსა ღმრთისასა არაწსენე-
ბად სიკუდილისად და სატანჯველისად და რამეთუ არა ვე-

¹ არავინ τίς 51.23] არა A; lac B

² სრული τέλειον 51.25] სიხარული A; lac B

კრძალებით თავთა ჩუენთა, არამედ უნესოდ ვცხონდებით და უნესთა თანა ვიქცევით, და კადნიერებად, რომელი არს სრული წარწყმედად, რამეთუ ესრეთ არარად განაძებს შიშსა ღმრთისასა სულისაგან, ვითარ კადნიერებად. ამისთვის ოდეს ჰკითხეს მამასა ალათონს კადნიერებისათვის, მაშინ ჰრქუა: „მსგავს არს კადნიერებად ხორშაკსა დიდსა, რომელმან, ოდეს იკსინნის, ყოველნი ივლტიედ პირისაგან მისისა და ხეთა ნაყოფი განხრწნის“. ჰხედავა ძალსა ამის ვნებისასა? და კუალად ჰკითხეს მას, ვითარმედ: „ესრეთ ფიცხელ არსა კადნიერებად?“ ხოლო მან თქუა: „არა არს ვნებად, უძკრესი კადნიერებისად, რამეთუ მშობელი არს იგი ყოველისა ვნებისად, რამეთუ იგი განაძებს შიშსა ღმრთისასა“. ხოლო, ვითარცა ნერილ არს, უკუეთუ „შიში უფლისად მოსდრეკს კაცსა ყოველისაგანვე ბოროტისა“ (იგავ. 15,27), მაშინ საცნაურ არს, ვითარმედ, სადა არა იყოს შიში ღმრთისად, მუნ არს ყოველი ბოროტი. ღმერთმან გვწსნენი ჩუენ ბოროტისა ამის ვნებისაგან კადნიერებისა.

ხოლო კადნიერებად მრავალსახე არსო. არს კადნიერებად სიტყვით და ჳელისმიყოფით და შეხედვით. და მოიყვანებს კადნიერებად კაცსა ცუდადმეტყუელებასა და ცუდადუბნობასაცა საერისკაცოსა და სიცილსა უნესოსა საქმესა ზედა. კადნიერებად არს შეხებად ვისიმე თვნიერ ჭირისა და მიყოფად ჳელისად სიცილით, გამოტაცებად რადსამე მეორისაგან, შეხედვად ვისიმე ურცხვნელად. ამას ყოველსა იქმს კადნიერებად. ესე ყოველი ამისგან იქმნების, ოდეს არა იყოს შიში ღმრთისად სულსა შინა. ხოლო ამათგან მოვალს კაცი უგულუბელსყოფასა მცნებათა. ამისთვის ღმერთი, ოდეს მისცემდა მცნებათა შჯულისათა, იტყოდა: „კრძალულ-ყვენიით ძენი ისრაელისანი“ (ლევ. 15,31), რამეთუ, თვნიერ კრძალულებისა, არცა თვთ ღმერთსა ვინ პატივ-სცემს, არცა რას მცნებასა დაიმარხავს. ამისთვის არად უძკრეს არს კად-

ნიერებისა და ამისთვის მშობელი არს იგი ყოველთა ბოროტ-
თაჲ, რამეთუ განაძებს კრძალვასა და შიშსა ღმრთისასა, და
რამეთუ შობს იგი უგულებელსყოფასა მცნებათასა, რამეთუ
კადნიერებისაგან მოვალს ურცხვნიობასა და ერთმანერთისა
ბოროტად ზრახვასა. და კადნიერებისაგან, უკუეთუ ნახოს
ვინმე საქმე რადმე უსარგებლოჲ, მეყსეულად წარვალს და
უთხრობს მას სხუასა ძმასა და არა ოდენ თვთ ივნებს, არა-
მედ ძმასაცა თვსსა ავნებს, რამეთუ ჩაუთესს გულსა მისსა
გესლსა ბოროტსა. და ნუუკუე იყო გონებაჲ მისი ლოცვასა
ანუ სხუასა რასმე კეთილსა და იგი მივალს და შთაუთესს
გულსა მისსა ბოროტსა გულისსიტყუასა, არა-თუ ოდენ
სარგებლისაგან დაახრწევს მას, არამედ განსაცდელსაცა
შეაგდებს.

არარად არს ამის საქმისა უმძიმეს, არცა უბოროტეს,
ოდეს კაცი არა თავსა თვსსა ოდენ, არამედ მეორესაცა
ავნებდეს. გუაქუსმცა კრძალვად, ძმანო, და გუეშინოდენ
ვნებასა თავთა ჩუენთასა და მოყუსისასა, პატივ-[ვ]სცემ-
დეთ ერთმანერთსა, ვისწრაფდეთ არაშეხედვად ერთმანერ-
თისა პირთა ყოვლადვე, რამეთუ ესეცა კადნიერებისა სახე
არს, ვითარცა იტყოდა ბერი ვინმე. და უკუეთუ იხილო
ძმად თვისი ცოდვასა შინა, ნუ უგულებელს-ჰყოფ მას და
თანანარჰვდები, ნუცა კუალად განიკითხავ მას და ძვრსა-
უზრახავ, არამედ სიყუარულითა და შიშითა ღმრთისაჲთა
უთხარ იგი, ვის შეეძლოს განმართლებაჲ მისი, ანუ შენ არქუ
მას სიყუარულით და სიმდაბლით, ვითარმედ: „შემინდვე,
ძმაო, რამეთუ არა კეთილად ვიქმთ საქმესა ამას“. და უკუ-
ეთუ არა გისმინოს შენ, უთხარ, რომლისაჲ იცოდნი, ვი-
თარმედ აქუს გულსმოდგინებაჲ მისა მიმართ, ანუ უხუ-
ცესსა მისსა, გინა-თუ მამასახლისსა, უკუეთუ იყოს ცთო-
მად ეგვევითარი, და უზრუნველმცა ხარ. არამედ, ვითარცა
ვთქუთ, ამით გულისსიტყუთა, რადთამცა განემართა ძმად

იგი, უთხარ ცთომად იგი მისი და ნუ ძკრსა-უზრახავ მას, ნუცა შეურაცხ-ჰყოფ და ნუ გამოსახავ გარეგნით, ვითარმცა გინდა კეთილი მისი და შინაგან გაქუნდეს ვნებად რადმე. რამეთუ დაღაცათუ მოძღუარსა ვინ უთხრობდეს და არა კეთილისათვს მის ძმისა იტყოდეს, გინა თვსსა ვნებასა აღიარებდეს, ძკრისზრახვად არს. არამედ გამოიძიოს გული თვისი და უკუეთუ ბოროტისა რადსათვსმე იყოს გულსა მისსა და მისთვის ლამოდის თხრობასა, ნუ უთხრობს. ხოლო უკუეთუ დასტკრობით იცოდის, ვითარმედ სარგებლისათვს ძმისა ლამის თხრობასა, ხოლო იყოს შინაგან გულისსიტყუად რადმე ვნებული, უთხრას თვისიცა და ძმისაეცა მამასა და ჰრქუას, ვითარმედ: „მენამების მე სვნიდისი ჩემი, რამეთუ სარგებლისათვს მის ძმისა ვიტყვ, არამედ შინაგან ვხედავ, ვითარმედ მაქუს გულისსიტყუად ვნებული. არა ვიცი, თუ ძკრისვსენებად არს, არა ვიცი, თუ ეშმაკისაგან არს, რადთამცა არა იქმნა სარგებელი მის ძმისა“. და მაშინ მამამან გითხრას შენ, თუ ჯერ-იყოს თქუამად, ანუ არა.

ხოლო მრავალგზის უთხრობს კაცი არა კეთილისათვს მის ძმისა, არცა ძკრისვსენებით, არამედ ცუდადმეტყუელებისაგან. და ესეცა რად საჭმარ არს? ნუუკუე ესმეს ძმასა ამას, ვითარმედ თქუა რადმე მისთვის და აღიძრას და იქმნეს საქმე სავენებელი. ხოლო ოდეს იტყოდის სარგებელისათვს, არა მიუშუებს ღმერთი, რადთამცა იქმნა შფოთი, გინა გულისკლება.

ხოლო, ვითარცა პირველად ვთქუთ, ისწრაფეთ დამჭირვად ენისა თქუენისა, რადთა არა ბოროტსა იტყოდით მოყუსისათვს და რადთა არავინ დააბრკოლოთ, ნუცა სიტყვთ, ნუცა სახით, ნუცა ხართ თქუენ უთმინო, რადთა ოდეს გესმეს რადმე სიტყუად ძმისაგან, არა აღიძვროდით მეყსეულად და მიუგებდეთ სიტყუასა ფიცხელსა, ანუ დაადგრებოდით გულკლებულად, რამეთუ ესე საქმენი არა არიან

მოლუაწეთანი, რომელთა უნებს მოგებად შიშისა ღმრთისაჲ, არამედ კრძალულებით შეემთხუეოდეთ ერთმანერთსა და თავთა თქუენტა მოუდრეკდით ურთიერთას და დამდაბლდებოდეთ წინაშე ღმრთისა და ძმისა თქუენისა, და დაუტყობდით ნებათა თქუენტა.

კეთილ არს, უკუეთუ კაცი იქმოდის რასმე და იხილოს ძმაჲ თჳსი, ვითარმედ უნებს საქმჳ იგი, რაჲთა მიეშუას მას. და უკუეთუ ესრეთ ქმნას მან, უფროჲს ირგოს მის ძმისა. მე ვიცი, ვითარმედ კეთილი არარაჲ მიქმნიეს, გარნა ამისგან დაცვულ ვარ მე, რამეთუ არარასა ზედა პატივ-ვეც თავსა ჩემსა უფროჲს ძმისა ჩემისა.

ოდეს ვიყავ მე მონასტერსა მამისა სერიდოჲსსა, დასნეულდა მონაფჳ მამისა იოვანჳსი და მიბრძანა მე მამამან, რაჲთა ვჰმსახურებდე მას*. ხოლო ესევეთარი სარწმუნოებაჲ მაქუნდა მისა მიმართ, რომელ კარსა სენაკისა მისისასა, ვითარცა ჯუარსა, ესრეთ შევემთხუეოდე. რამეთუ ვისმცა არა უნდა მსახურებაჲ ეგვეთარისა წმიდისაჲ?! ხოლო ჰქონდა მას სიტყუაჲ კეთილი. რამეთუ მარადის, ოდეს აღვასრული მსახურებაჲ მისი, და მოუდრიკნი მას მუჳლნი, რაჲთა ვიკურთხო მისგან და წარვიდე. ხოლო ჰქონდეს მას სამნი სიტყუანი კეთილნი და ერთსა მათგანსა მეტყოდა: „ღმერთმან, ძმაო, დაიცვიენ სიყუარული შენი. იტყუან მამანი, ვითარმედ დაცვაჲ სჯინდისისაჲ მოყუსისაგან შობს სიმდაბლესა“. და კუალად მეორესა მწუხრსა მრქეს მე: „ღმერთმან, ძმაო, მოგმადლენ სიყუარული. ივლტოდე კაცობრივისა საქმისაგან და სცხონდე“. და კუალად მეტყოდა მე: „ღმერთმან, ძმაო, მოგეცინ სიყუარული. ერთმანერთისა სიმძიმესა იტკრთევდით და ესრეთ აღასრულოთ შჯული ქრისტჳსი (გალ. 6,2)“. ამათ სამთაგან ერთსა რასმე მეტყოდა ბერი ყოველთა მწუხრთა და მე მაქუნდიან იგინი დასაცველად ცხორებისა ჩემისა.

* მამა იოანეს.

და ვითარცა მქონდა მე ეგევითარი გულსმოდგინებად მისა მიმართ და ესრეთ მინდა მსახურებად მისი. და ოდესმე ვცან ძმისა ერთისათვის, რამეთუ გულს-აკლდა, რამეთუ უნდა, რადთამცა იგი ჰმსახურებდა მას. არამედ არა ინება არცა მამამან, არცა ბერმან, არამედ მე ძალისაებრ ჩემისა პატივ-ვეც ძმასა მას. და დავყავ მონასტერსა მას შინა ცხრად წელი და არა მაწსოს მე, თუ მითქუამს ვისდამე სიტყუად ხენემი. და მეპყრა მე მსახურებად.

და გრწმენინ, ძმანო, რომელ ერთსა დღესა სასნეულ-ლოთ ეკლესიადმდე მოვიდოდა ძმად ვინმე უკუანადო ჩემსა და მაგინებდა მე, ხოლო მე არარად მიუგე მას. და უკუანადს, ოდენ ცნა მამამან და უნდა განკანონებად მისი, ხოლო მე დავვარდი პირსა ზედა და ვეტყოდე: „ნუ, მამაო, ღმრთისათვის, რამეთუ მე ვსცეთ“. და კუალად, სხუად ძმად, არა ვიცი, თუ ეშმაკისაგან, და თუ სინრფოებისა მისისა, წელიწადსა ერთსა წყალსა თვისსა სასთუნალსა ჩემსა გუერ-დით დასთხევდა, ვიდრელა ლოგინიცა ჩემი დასოვლდებინ. და კუალად, სხუანი ძმანი ვიეთნიმე მოვიდოდეს დღისი და ჭილებსა მათსა კართა ზედა სენაკისა ჩემისათა დაჰბერტყ-დეს, და ვხედვიდი მე კორიდთა სიმრავლესა, რომელნი შევიდოდინ სენაკსა ჩემსა და ვერ ვენიფებოდე კლვასა მათსა სიმრავლისაგან. და ოდეს წარვიდი დაძინებად, შემოკრბიან იგი ყოველნი ჩემ ზედა. ხოლო ფრიადისა შრომისაგან მოვიდის ძილი, არამედ ოდეს აღვდგი, ვპოვი ყოველი გუამი ჩემი შეჭმული და არავის ვარქუ, თუ: ნუ იქმ მაგას და არავისდა მითქუამს სიტყუად შემანუხებელი. ეგრეთვე თქუენცა ისწრაფეთ ტკრთვად ერთმანერთისად, ისწავეთ კრძალვად ერთმანერთისად და უკუეთუ ვისმე თქუენ-განსა ესმეს ძმისაგან თვისისა სიტყუად გულისსაკლებელი, ნუ სულმოკლე იქმნების და მეყსეულად აღიძრვის, რადთა არა იპოოს ლოცვასა შინა დაწსნილ და უძლურ და ვერ თავს-

იდვას და წინააღმდეგეს ერთსაცა გულისსიციყუასა, ვითარცა წესკ, რომელსა უკუეთუ მცირე ჭია მხეახლოს, მეყსეულად იქმნების იგი წყლულება დიდ და დაღპების, არამედ გაქუსმცა გული მყარი და სულგრძელება გაქუნდინ და სიყუარულიმცა თქუენი ურთიერთას სძლევს ყოველსავე.

ხოლო უკუეთუ ვისმე ჰქონდის მსახურება რამე, გინათუ ვისმე ედვას საქმე ჴელოსანსა ვისმე თანა, გინათუ ოსტიგანსა, გინათუ სხუასა ვისმე თანა, ისწრაფსმცა იგიცა, რომელი ითხოვდეს და იგიცა, რომელი მისცემდეს, რაფთა უწინარეს ყოვლისა თვსსა წესსა ეკრძალნენ, რაფთა არა იქმნეს შფოთი და რაფთა არა წინააღმდეგენ ერთმანერთსა, რაფთა არა მიდრკენ მცნებისაგან ღმრთისა, არამედ რაფცა იყოს საქმე იგი, უმჯობეს არს, რაფთა იგი წარწყმდეს, ვიდრე წესი თქუენი, რაფთა არა ევნოს სულთა თქუენტა.

ხოლო რასაცა საქმესა იქმოდით, დაღაცათუ სასწრაფოდ რამე იყოს და საჭიროდ, არა მინებს, რაფთა იქმოდით მას სიტყვსგებით და ცილობით. ხოლო ესემცა უწყით, ვითარმედ, რაფცა იყოს საქმე იგი, გინათუ დიდი, გინათუ მცირე, მერვესა ნაწილსა ეძიებს ღმერთი თქუენგან საქმისა მის, ხოლო დამარხვასა წესისა თქუენისასა შვდ წილ ეძიებს. ხოლო უკუეთუ გინებს სრული სარგებელი, რასაცა იქმოდით, ისწრაფეთ, რაფთა რასაცა იქმოდით, იგიცა აღასრულოთ, და რაფთა თქუენიცა წესი დაიმარხოთ და შეიძინოთ რვა ნაწილი.

ხოლო უკუეთუ კაცმან არა დაიმარხოს წესი თვსი, არამედ ავნოს და ივნოს საქმისა მის აღსრულებისათვს, შვდსა წილსა წარსწყმედს და ერთსა წილსა შეიძენს. და რაფ კეთილი არს ესე? რამეთუ ესე არა არს გულისხმისყოფად, არამედ ანუ ცუდადმზუაობრებისათვს ანუ კაცთმოთნებისათვს იქმს და აცილობს და წინააღმდეგების, რაფთამცა თქუეს კაცთა, თუ: „აჰა, ვერ აჯობა მას მან ვინმე, არამედ

მან სძლია“. ეჰა, საკვრველი! ესე არსა ძღვევაჲ? არა არს ესე ძღვევაჲ, ძმანო. ნუ იყოფინ! არამედ – დაჭირვებაჲ და წარწყმედაჲ. მე ამას ვიტყვ: უკუეთუ ვინმე თქუენგანი წარვიდეს საქმედ რადსამე და იხილოს მუნ შფოთი ანუ ვნებაჲ რადმე სულისაჲ, დაუტევენ საქმჳ იგი და სულსა თვისსა ნუ ივნებნ, ნუცა მეორესა ავნებნ, რამეთუ უგუზნურება არს ერთისა ნაწილისა შეძინებაჲ და შკდისა დაჭირვებაჲ. ხოლო ამას ვიტყვ არა ამისთვის, რადთა სულმოკლე იქმნებოდით და უგულუბელს-ჰყოფდეთ საქმესა მონასტრისასა და დასთრგუნვიდეთ სკნიდისსა თქუენსა, არცა რადთა ურჩ იქმნებოდით და იტყოდით, ვითარმედ ვერ შემიძლია მე ესე საქმჳ, რამეთუ მევენების. და სიტყვთა ამით ვერას მსახურებასა იქმთ და ვერცა აღასრულებთ მცნებასა ღმრთისასა. არამედ რადთა ილუანოთ ქმნად საქმეთა თქუენთა სიყუარულით და სიმდაბლით, ერთმანერთისა თავისა მოდრეკითა, რამეთუ სიმდაბლისა უძლიერჳსი არარაჲ არს.

ხოლო უკუეთუ ვინ იხილოს ძმაჲ თვისი გულკლებულად, დაუტევენ ნებაჲ თვისი, რადთა არა ივნოს¹ სულითა, რამეთუ მრავალჯერ ვთქუ, უმჯობჳს არს, რადთა იქმნეს საქმჳ იგი, არა ვითარცა თქუენ გინდეს, არამედ ვითარცა ჟამმან მოილოს. და თავისა განმართლებისათვის და დაჴსნილობისა ნუ დააბრკოლებთ ერთმანერთსა, რადთა არა დაგჭირდეს შკდი იგი ნაწილი. ხოლო მრავალგზის შკდსა მას წილსა წარსწყმედს კაცი და ვერცა ერთსა მას შეიძენს და ცარიელი დარჩების. ყოველსა საქმესა, რასაცა ვიქმოდით, [ამისთვის ვიქმთ,]² რადთამცა ვირგეთ რადმე მისგან. ხოლო რად ვირგოთ, ოდეს ერთმანერთსა არა დაუმდაბლდეთ, არამედ დავაბრკოლოთ ერთმანერთი. არა იცითა, რამეთუ წერილ არს, ვითარმედ: „მოყუისისაგან არს ცხორებაჲ და სიკუდილი“?

¹ ივნოს] ივნოთ A

² ამისთვის ვიქმთ *ποιούμεν* 60.22] > AB

ინურთიდით სიტყუათა ამათ გულთა შინა თქუენტა, ძმა-
ნო, და ისწრაფდით სიყუარულითა და შიშითა ღმრთისაჲთა
და ეძიებდით სარგებელსა თქუენსა და ერთმანერთისსა,
რამეთუ უკუეთუ ესე საქმე დაიმჭიროთ, რაჲცა მოინოს
თქუენ ზედა, ირგებდეთ და წარემართებოდით შეწევნითა
ღმრთისაჲთა.

და¹ მან, თავადმან ღმერთმან ჩუენმან, კაცთმოყუარე-
მან, მოგეცინ შიში მისი, რამეთუ წერილ არს, ვითარმედ: „გე-
შინოდენ უფლისაგან და მცნებანი მისნი დაიმარხენ, რამეთუ
ჴელთა შინა მისთა არს ყოველი ჴორციელი“ (ეკლ. 12,13).

¹ და ძე 60.32] > A

თავი 5

თქუმული წმიდისა მამისა ჩუენისა დოროთჳსი, რადთა არა მივენდვნეთ განზრახვათა და გულისხმისყოფათა ჩუენთა¹

საყუარელნო ძმანო და მამანო ჩემნო, გულისხმა-ყავთ, ვითარ წერილ არს სიბრძნესა შინა სოლომონისსა, ვითარმედ: „რომელთა არა აქუს მწყემსი, დაცკვენ იგინი, ვითარცა ფურცელნი. ხოლო ცხორებად არს განზრახვითა მრავლითა“ (იგავ. 11,14). იხილეთ, ძმანო, ძალი სიტყუსა მის. იხილეთ, თუ რასა გუასნავებენ ყოველნი წერილნი წმიდანი. უცთომელყოფად ჩუენი ჰნებავს მათ და ფრიად განგუაკრძალევენ, რადთა არა მივენდვნეთ თავთა ჩუენთა და განზრახვათა ჩუენთა, და არა გკჩნდენ ჩუენ თავნი ჩუენნი ბრძენ და არა ვირწმუნოთ გულისსიტყუად ესე ბოროტი, ვითარმედ შეგკძლია ჩუენ თავთა ჩუენთა მწყსად.

უნყოდეთ, ძმანო, რამეთუ გკვმს ჩუენ შეწევენად სხუათაგან და თვნიერ ყოვლისა ცილობისა გკვმს ჩუენ მწყემსი, რადთა გუმწყსიდეს ჩუენ, რამეთუ არად არს უბოროტჳსი და არცა რად არს უფროდს ამისსა ნებად ეშმაკისად, რადთამცა არა გუყვა ჩუენ მწყემსი, რომელ არს მოძღუარი ჩუენი. ხოლო რად იტყვს: „რომელთა არა ჰყავს წინამძღუარი, დაცკვენ ვითარცა ფურცელნი“? გულისხმა-ყავთ ძალი სიტყუსად ამის, რამეთუ ფურცელი პირველად არს მწუანე, შუენიერ და ნედლ, ხოლო მერმე მცირე-მცირედ განწმის და დაცკვის და დაითრგუნის იგი ყოველთაგან. ეგრეთვე არს მონაზონი, რომელსა არა ჰყვეს მოძღუარი და არა შეუდგეს ნებასა მამისა თვისისასა. რამეთუ დასაბამსა არს მწურვალე ლოცვისათვს, მარხვისათვს და ყუდროებისათვს, მღკძარებისათვს

¹ გულისხმისყოფათა ჩუენთა] გულისხმისყოფასა ჩუენსა A

და ყოვლისა საქმისა კეთილისათჳს, და მერმე მცირე-მცირედ მჭურვალებაჲ იგი დაივსების. რომელი შედგომილ იყოს ნებასა თჳსსა და არა ჰყვეს მას წინამძღუარი, რადთანცა კუალად აღანთო მჭურვალებაჲ იგი მისი, ესრეთ უცნაურად განწმების და დაეცემის, რომელი ნებასა თჳსსა მონაზონებდეს, და იქმნების დასათრგუნველ ეშმაკთა.

ხოლო რომელნი შეუდგენ მოძღუართა თჳსთა ნებასა და არა მიენდვენ თავთა თჳსთა, არამედ განზრახვასა და ნებასა მამისა თჳსისასა შეუდგენ, ესევეითარნი არა დაეცნენ, რამეთუ ჴელისამპყრობელი მათი ქრისტე არს. და ვითარცა ვთქუთ, ვითარმედ: „ცხორებაჲ არს მრავლითა განზრახვითა“, არა-თუ ესრეთ იტყჳს, თუ ყოველთა კაცთა განზრახვიდეს, არამედ მოძღუარსა თჳსსა თანა ოდენ განიზრახვიდეს ყოვლისავე საქმისათჳს, და უთხრობდეს მას და აღუარებდეს ყოველთა გულისსიტყუათა თჳსთა, და უფროდსად, რომელი იყოფოდის, გინა ყოფილ-რადმე-იყოს საქმით, ანუ ყოფილ-იყოს ბოროტსა რასმე ჩუეულებასა შინა, ანუ აღზრდილობასა. უკუეთუ არაკეთილად აღიარებდეს ესევეითარი, მაშინ ჰპოებს ეშმაკი ერთსა რასმე ნებასა მისსა და მით დასცემს მას.

უნციითცა, ძმანო, უკუეთუ ნებასა ჩუენსა შეუდგეთ, დაღაცათუ მარჯუენით კერძო ვჰბრძოდით, არამედ ადრე დავეცნეთ, რამეთუ ეშმაკი მანქანაჲ არს და არა გუეტყჳს ჩუენ სიძვისათჳს ანუ ჰარვისათჳს, რამეთუ იცის, ვითარმედ არა უსმენთ მას ეგევეითარისათჳს. არამედ პირველად გუეტყჳს ჩუენ კეთილისა რადსამე საქმისათჳს, რომელი ჩუენცა ფრიად გზნდეს და ესრეთ დაგუაჩუევს შედგომად ნებასა ჩუენსა და მას შინა უეჭუელად დაგუცემს ჩუენ ანუ მარჯუენით, ანუ მარცხენით და უფროდს ხოლო მარჯუენით, ვითარცა წერილ არს, ვითარმედ: „უფროდსად მაშინ იქმს ეშმაკი ბოროტსა, რაჟამს სიმართლცა თანაშეჰრთის“ (იგავ. 11,15).

ხოლო ესე იგი არს, ოდეს შეუდგეთ ნებათა ჩუენთა და თვთ გამოვირჩევდეთ სათნოებათა, რამეთუ ვჰგონებთ, ვითარმედ კეთილსა ვიქმთ, არამედ მაშინ უფროდს ვსცთებთ და სულთა ჩუენთა წარვსწყმედთ. უწყოდეთ, ძმანო, და დაჯერებულ-ყვენით გონებანი თქუენნი, ვითარმედ კაცი, რომელი ნებითა თვისითა მონაზონებდეს და შეუდგეს მას, იგი ნებასა ღმრთისასა ვერ იქმს და შორავს მისგან, და სიტყუასა ამას ჩემსა მენამების წმიდად იგი მამად ჩუენი პიმენ, რამეთუ იტყვს, ვითარმედ: „ნებად კაცისად ზღუდე არს შორის მისა და შორის ღმრთისა“. და კუალად შესძინა და თქუა, ვითარმედ: „კლდჳ არს წინააღმდგომი“.

იხილეთ, ძმანო, ძალი სიტყვსად ამის. იხილეთ და გულისხმა-ყავთ, თუ ვისა წინააღმდგომად იტყვს წმიდად იგი. იტყვს წინააღმდგომად ნებისა ღმრთისა და ყოველთა გზათა მისთა წმიდათა. ხოლო უკუეთუ დაუტეოს კაცმან ნებად თვისი, თანააც თქუმად, ვითარმედ: „ღმრთისა ჩემისა მიერ გარდავკედ ზღუდესა, ღმერთო ჩემო, უბინო არიან გზანი შენნი“ (ფსალმ. 17,30-31). იხილეთ, ძმანო, საკვრველი ესე საქმჳ, იხილეთ და ილუანეთ მისთვის, გევედრები. რამეთუ ოდეს დაუტეოს კაცმან ნებად თვისი, მაშინ იხილავს გზათა ღმრთისათა უბინოდ და წრფელად, და მისთვის შეუდგინა სიტყუად ესე, ვითარმედ: „ღმერთო ჩემო, უბინო არიან გზანი შენნი“.

და კუალად, განმართლებისათვის თავისა იტყვს, ვითარმედ: „უკუეთუ განმართლებად თავისად შეეყოს ნებასა თანა კაცისასა, უწყოდეთ, ვითარმედ კაცი იგი ვერას იქმს კეთილსა ყოვლადვე“. იხილეთ, ჰ, ძმანო, თუ რომელნი ძალნი ჰქონან სიტყუასა წმიდათასა, რამეთუ ჭეშმარიტად სიკუდილ უკუე არს ნებად კაცისად და განმართლებად თავისად, უკუეთუ ერთად შეკრბენ, და დიდი შიში უჭმს კაცსა მას, რომელი იყოს შორის ორთა ამათ ლელვათა ბოროტ-

თა, რამეთუ მაშინლა დაეცემის სრულიად უბადრუკი იგი, რომელი იყოს მოყუარე ორთა ამათ ეშმაკთა, რომელ არიან ორნი ესე ვნებანი, შედგომად ნებისა თვისსა და განმართლებად თავისა თვისსა. რამეთუ ვინლა შეუძლოს მაშინ რწმუნებად მისა, ვითარმედ სცთები მაგას რასამე საქმესა ანუ სიტყუასა? და მაშინ სრულიად შეუდგების უბადრუკი იგი ნებასა და გულისსიტყუასა თვისსა და ესრეთ მიეცემის წელთა ეშმაკისათა შეუწევნელად, რამეთუ პირველად თვთ ექმნა ეშმაკ თავსა თვისსა. უწყოდეთ, ძმანო, რამეთუ ფრიად სძულს ეშმაკსა გზად იგი უცთომელობისა და არა-თუ ეძულების ოდენ, არამედ სახელსაცა მისსა ვერ ისმენს და წმასა მისსა.

ხოლო¹ რად არს უცთომელობად? ესე იგი არს, რადთა არა შეუდგეს კაცი ნებასა თვისსა და ყოველსავე, რასაცა იქმოდის, განკითხვით იქმოდის. და არა ვიტყვ, თუ ქმნას და ეგრეთ ჰკითხოს, არამედ პირველად საქმისა ჰკითხოს, რადთა არა ცნას ეშმაკმან, ვითარმედ იქმს ნებასა თვისსა, რამეთუ ფრიად უმძიმს მას განკითხვად სარწმუნოებით და გამოცხადებად გულისსიტყუათად, და არა-თუ უმძიმს ოდენ მას გამოცხადებად გულისსიტყუათად, არამედ ვითარცა ცეცხლისაგან, ივლტის ადგილისა მისგან სრულიად, რამეთუ ყოველი ძალი მისი დაიწსნების და სირცხვლეულ იქმნების სრულიად გამოცხადებისაგან და აღსარებისა გულისსიტყუათადსა და ყოვლისა საქმისა, რამეთუ გამოცხადების უკეთურებად მისი და ვერღარა მიიყვანებს იგი კაცსა ნებასა და სიმარჯუესა თვისსა. რამეთუ ღმერთსა ესრეთ ჰწნებავს, რადთა არა ნებასა და განზრახვასა ჩუენსა შეუდგეთ, არამედ მოძღუართა ჩუენთა ვჰკითხვიდეთ და მათ უცთომელ-გუყვენენ ჩუენ. რამეთუ გუეტყვს: „ესე რადმე ქმენ, იმას რასამე ნუ იქმ! ესე კეთილ არს და იგი ბოროტ

¹ ხოლო] > A

არს. ამისი რადსადმე ან ჟამი არს და¹ ჯერ-არს“. უკუეთუ ესრეთ ჰკითხვიდეს კაცი მოძღუარსა თვისსა და რასაცა იგი ეტყოდის, მასცა იქმოდის, მაშინ ვერლარა ჰპოებს ეშმაკი ჟამსა, თუმცა რადცალა ავნო მას და ყოველნი ღონენი მისნი ამით საქმითა დაიწსნებიან. და ნუ გიკვრს, რამეთუ ღმერთსა ესრეთ ჰნებავს და ესრეთ განაგო საქმეც ესე.

ხოლო ბოროტსა ეშმაკსა ფრიად უყუარან იგინი, რომელთა არა ჰყავს მოძღუარი და არა გამოაცხადებენ გულისსიგყუათა თვისთა, რამეთუ დაეცემიან იგინი მსთუად, ვითარცა ფურცელნი. და ამისთვის უყუარდა ეშმაკსა ძმად იგი, რომლისათვის ეტყოდა იგი მამასა მაკარის, ვითარმედ: „არს ძმად ერთი და ფრიად მიყუარს იგი და მარადის ვიხარებ მის თანა“. ან იხილეთ, ძმანო, ვითარ უყუარს ეშმაკსა იგი, რომელსა არა ჰყავს მწყემსი, რამეთუ არა-თუ არა ყოველთა თანა მივიდოდა ეშმაკი იგი, რომელი იხილა წმიდამან მაკარი, რომელსა-იგი ეკიდნეს მრავალნი იგი აყირონი, არა-თუ ყოველთავე არა მიართუნა იგინი, არამედ თითოეული მათი უთხრობდა მამასა თვისსა და განეკრძალებოდეს სიტყვითა მოძღუართა მათთადთა. რამეთუ ვინადგან არა მინდობილ იყვნეს თავთა თვისთა, არამედ თითოეული მინდობილ იყო მოძღუარსა თვისსა, და ამისთვის ჰფარვიდა მათ ღმერთი ყოველთაგან მახეთა და ჯელოვნებათა ეშმაკისათა და ვერარაად ვის ვერ ავნო ეშმაკმან. არამედ იგი ოდენ უბადრუკი პოვა მინდობილი თავსა თვისსა უმწყემსოდ და მისთვის ჰყვა ეშმაკსა მას სამღერელად თვისა და ყოვლადვე აკურთხევენ მას და სხუათა სწყევენ.

ხოლო ოდეს უთხრა ეშმაკმან წმიდასა მაკარის საქმეც იგი და სახელი ძმისაჲ მის, რამეთუ ერქუა მას თეოპემპტოს, მაშინ მეყსეულად ცნა წმიდამან მაკარი მიზეზი იგი წარწყმედისა მისისაჲ, ვითარმედ არა ჰყვეს მას მწყემსი. და

¹ და] > A

მსწრაფლ წარვიდა სენაკსა მისსა და პოვა იგი, რამეთუ არა ჰქონდა ჩუეულებად აღსარებისად. და ჰკითხვიდა მას მამად მაკარი, ვითარმედ: „ვითარ ხარ, შვილო?“ ხოლო იგი ეტყოდა მას: „კეთილ ვარ ლოცვითა შენითა, მამაო“. და კუალად წმიდად იგი ჰკითხვიდა მას: „და არა გბრძვანანა გულისსიტყუანი?“ და ჰრქუა¹ მას, ვითარმედ: „ჯერეთ არარად მაქუს ეგევითარი ბრძოლა“. და არა უნდა მას აღსარების. მაშინ წმიდამან იწმია ჯელოვნებად სიბრძნისად და იწყო აღსარებად და გამოცხადებად გულისსიტყუათა მის თანა, ვითარმედ: „ლოცვა-ყავ ჩემთვის, ძმაო, ფრიად მბრძავს მე ეშმაკი“. და ესრეთ კარი იგი კეთილი აღსარებისად განულო მას და იწყო მანცა გამოცხადებად გულისსიტყუათა. მაშინ უცტომელ-ყო იგი წმიდამან მაკარი და წარვიდა. ხოლო ეშმაკი იგი კუალად მივიდა ჩუეულებისაებრ თვისსა და უნდა დაცემად მისი და ვერ შეუძლო, რამეთუ პოვა იგი განკრძალული და არლარა მინდობილი თავსა თვისსა, და ესრეთ წარვიდა ეშმაკი იგი უქმად და სირცხვლეული მისგან. და კუალად იხილა წმიდამან მაკარი ეშმაკი იგი და ჰკითხა: „ვითარ არს ან ძმად იგი მოყუარჳ შენი?“ მაშინ არლარა უწოდა მას მოყუარედ, არამედ მტერად და დანყევა იგი და თქუა, ვითარმედ: „იგიცა გარდამეცა და არლარას მისმენს, არამედ ყოველთასა უფროსად განდგომილ-იქმნა იგი ჩემგან“.

ხოლო ან გულისხმა-ყავთ, ძმანო, რამეთუ ამისთვის უძძიმს ეშმაკსა გამოცხადებად გულისსიტყუათად და ჯმასაცა აღსარებისასა ვერ ისმენს, რადთამცა გუეუფლა ჩუენ იგი სრულიად. და კუალად გულისხმა-ყავთ, თუ რად უყუარან მას იგინი, რომელნი მინდობილ არიან თავთა თვისთა და შეუდგან ნებასა თვისსა. რამეთუ ესევეითარნი ნებასა ეშმაკისასა შეუდგან და ეშმაკსა შესწევენ წარწყმედად სულთა მათთა.

¹ ჰრქუა ἀπεκρίνατο 65.23] იგი ეტყოდა A

უნყოდეთ, ძმანო, ვითარმედ ესრეთ სრულიად დაეცემის მონაზონი, უკუეთუ ირწმუნნეს გულისსიტყუანი თვისნი და შეუდგეს მათ. რამეთუ რომელნიმე იტყვან სხვთა სახითა დაცემასა მონაზონისასა, ხოლო მე ვიტყვ, ვითარმედ არარადასაგან დაეცემის მონაზონი, ვითარ ესრეთ, რომელი მიენდოს თავსა თვისსა და შეუდგეს ნებასა თვისსა. და უკუეთუ ვინმე იხილოთ დაცემული სრულიად, ცანთ, ვითარმედ მიენდო თავსა თვისსა და შეუდგა ნებასა თვისსა. რამეთუ არარაა არს უბოროტეს და მსწრაფლდამცემელ მონაზონისა, ვითარ მინდობა თავისა თვისისა და შედგომად ნებისა თვისისა.

დამფარა მე ღმერთმან ლელვისა ამისგან წარმწყმედელისა, და ყოვლადვე მეშინოდა მე ვნებისა ამისგან ბოროტისა. და ოდეს ვიყავ მე მონასტერსა მამისა სერიდოქსსა, ყოველსავე გულისსიტყუასა ჩემსა უთხრობდი მამასა იოვანეს და თვნიერ განზრახვისა მისისა არარას ვიქმოდე. და ზოგჯერ მრქვს მე გულისსიტყუამან ჩემმან, ვითარმედ: „მაგასვე გეტყვს შენ ბერი, რომელი-ეგე თვთ იცი, მას რასალა აჭირვებ?“ ხოლო მე მიუგი გულისსიტყუასა მას ჩემსა, ვითარმედ: „წყულმცა ხარ შენ და გულისხმისყოფად შენი და გამონახვად შენი და სიბრძნე შენი, რამეთუ რომელიცა იცი, ყოველი ეშმაკთაა იცი“. და წარვიდი და ვჰკითხი ბერსა, და ზოგჯერ მრქვს მე იგივე, რომელსა მე ვჰგონებდი. მაშინ კუალად მრქვს მე გულისსიტყუამან ჩემმან: „არა იგივე გრქუაა შენ ბერმან, რომელსა შენ თვთ იგონებდი? ნუუკუე არა ცუდად დაჰსაჯვა ბერი?“ ხოლო მე კუალად მიუგი მას, ვითარმედ: „ან კეთილ არს, ვინაფთგან სიტყვთა მის წმიდისა მამისაფთა არს, რამეთუ შენი ყოველივე ეშმაკთაგან იყო და ვნებულეებისაგან შენისა“. და ესრეთ არარასა ზედა არა შეუნდობდი გულისსიტყუასა ჩემსა, რაფთამცა ყო ნებად თვისი თვნიერ კითხვისა ბერისა და არარას მივენდებოდე თავსა

ჩემსა, თუმცა ვყავ რაღმე თავის გულით მცირედიცა რაღმე თვნიერ კითხვისა. და გრწმენინ ჩემი, ძმანო, რამეთუ დიდსა განსუენებასა შინა ვიყავ საქმისა ამის მიერ და გულსაცა მაკლდა ეგეზომი იგი განსუენებად და უზრუნველობად ჩემი, ვითარცა სხუასა ადგილსა გითხარ თქუენ. რამეთუ მესმოდა წერილთაგან, ვითარმედ: „მრავლითა ჭირითა გკვმს ჩუენ შესლვად სასუფეველსა ღმრთისასა“ (საქმე 14,22) და მე ვხედვედი თავსა ჩემსა, ვითარმედ დიდი განსუენებად მაქუნდა და მეშინოდა ფრიად, რამეთუ არა უწყოდე მაღლი ესევიტარისა განსუენებისად, ვიდრე მრქუა მე ბერმან, ვითარმედ: „ნუ გულსა გაკლს, რამეთუ ყოველმან, რომელმან მისცეს თავი თვისი მორჩილებასა მამათასა, ეგვევითარი კეთილი განსუენებად და უზრუნველობად აქუს მას“.

ხოლო თქუენცა, ძმანო, ისწრაფეთ, რაფთა არა მიენდგნეთ თავთა თქუენტა და შეუდგეთ ნებათა თქუენტა. იხილეთ, თუ რაფთომი განსუენებად და უზრუნველობად აქუს საქმესა ამას.

ხოლო რომელი გარქუ თქუენ, ვითარმედ არარად ჭირი მაქუნდა, ან ისმინეთ, თუ რად მოიწია ამისთვის ჩემ ზედა. რამეთუ ვიყავ რად მე მონასტერსა მას შინა, მოიწია ჟამსა შინა ერთსა ჩემ ზედა გულისკლებად დიდი შურისაგან ეშმაკთაჲსა და ვიყავ მე ჭირსა შინა დიდსა. ხოლო განსაცდელი, რომელი იყოს შურისაგან ეშმაკთაჲსა, დაღაცათუ მძიმე არს, არამედ მცირედ ჟამ არს ჭირი იგი, რამეთუ ღმერთმან მსწრაფლ მოავლინის ნყალობად და შეწვენად თვისი. ხოლო მე, ვითარცა ვთქუ, ვიყავ რად ჭირსა მას შინა, დღესა ერთსა ვდეგ კართა თანა ეკლესიისათა და ვევედრებოდე ღმერთსა განსაცდელისა მისთვის ჩემისა. და შევიხედენ ეკლესიად და ვიხილე კაცი ვინმე საშინელი სახითა ეპისკოპოსისაჲთა და შევიდა საკურთხეველად. ხოლო მე ჩუეულებად მაქუნდა, რომელ უცხოთა არავის მივეახლებოდე თვნიერ საჭიროჲსა

რადსამე საქმისა, ანუ მრქვს რად ვინმე. ხოლო მაშინ ვითარცა რამანმე მიმზიდა და შევედ უკუანა მისა. და დადგა იგი ჴელგანპყრობით მყოვარჴამ ცად მიმართ და მოიწია ჩემ ზედა შიში დიდი ხედვისაგან მისისა. და დაასრულა რად ლოცვად, მოიქცა და მოვიდა ჩემდა მომართ. და რადზომცა მომეახლებოდა, ეგეზომცა გულისხმა-ვჴყოფდი, ვითარმედ განმეშორებოდა შიშიცა და მწუხარებაცა იგი ჩემი. ხოლო მო-რად-ინია ჩემდა, დადგა წინაშე ჩემსა და ჴელითა თვისითა მცა მკერდსა ჩემსა და თქუა: „თმენით დაუთმე უფალსა და¹ მომხედნა მე და ისმინა ლოცვისა ჩემისაჲ. აღმომიყვანა მე მღკმისაგან გლახაკებისა, თივისაგან და უყისა, დაამტკიცუნა კლდესა ზედა ფერწნი ჩემნი და წარჴმართნა ყოველნი სლვანი ჩემნი. აღავსო პირი ჩემი გალობითა ახლითა, ქებაჲ ღმრთისა ჩუენისაჲ. იხილეს მრავალთა, შეეშინა და ესვიდეს უფალსა“ (ფსალმ. 39, 2-4). და მუჴლნი ესე თქუნა სამჯერ და ესრეთ განვიდა. და მეყსეულად შემოვიდა გულსა ჩემსა ნათელი, სიტკობებაჲ და სიხარული და ვიქმენ, ვითარცა პირველ ვიყავ. და განვედ უკუანა მისსა, რადთამცა ვპოე, და ვერღარა ვიხილე იგი, რამეთუ მიმეფარა. და მიერითგან არღარა მოსრულ არს ჩემ თანა არცა მოშიშებაჲ, არცა მწუხარებაჲ, ლოცვითა მათ წმიდათა ბერთაჲთა.

ხოლო ესე ყოველი ამისთვის გითხარ თქუენ, ძმანო, რადთა სცნათ, თუ რადზომი ნუგეშინისცემად და განსუენებაჲ და უცთომელობად აქუს არამინდობასა თავისა თვისისასა და არაშედგომასა ნებისა თვისისასა. და ამისთვის მიანდობენ, რომელნი არიან ბრძენნი და ღმრთისმოშიშნი, თავთა თვისთა სხუათა და შეუდგებიან კაცსა ძლიერსა, რომელსა შეეძლოს მწყსად მათი შეწევნითა ღმრთისაჲთა.

ხოლო ან თქუენცა ისწრაფეთ, ძმანო, რადთა არა მიენდვენეთ თავთა თქუენთა და არა შეუდგეთ ნებათა თქუენთა,

¹ და καὶ 67.32] > A

რამეთუ ესე არს სიმდაბლჳ იგი სრული და სიხარული სულისაჲ და განსუენებაჲ უვნებელი. და უწყითმცა, რამეთუ ცხორებაჲ კაცისაჲ თჳნიერ ამისა არა ეგების. ხოლო არს კაცი, რომელი იტყჳს, ვითარმედ: „უკუეთუ არავინ მყვეს, რომელსა ვჰკითხო, რაჲ ვყო?“ და ამით ლამის ნუგეშინისცემასა თავისა თჳსისასა. ხოლო მე ესრეთ ვიტყჳ: უკუეთუ ჭეშმარიტად ვინმე დაიმდაბლოს თავი თჳსი და დაუტეოს ნებაჲ თჳსი და ენებოს და შეუდგეს ღმრთისათჳს ნებასა მასწავლელისა თჳსისასა სარწმუნოებით, დაღაცათუ ჩჩკლსა ყრმასა ჰკითხოს, არა დაუტეობს მას ღმერთი, არამედ მიუძღვს ნებასა თჳსსა და განანათლებს გონებასა მის ყრმისასა, რადთა ასწაოს მას ნებაჲ ღმრთისაჲ. ხოლო უკუეთუ არა სარწმუნოებით და სიმდაბლით ჰკითხვიდეს კაცი იგი, დაღაცათუ წინაღსწარმეტყუელსა ჰკითხოს, გულისაებრ მისისა დრკუესა უთხრობს. დაღაცათუ კეთილი ჰრქუას, იგი ვერვე იქმს და უფროდსი საშჯელი მიიღოს. და ამისთჳს გჳჳმს ჩუენ, რადთა არა მივენდვენთ განზრახვათა ჩუენთა, არამედ ყოვლითა გულითა ჩუენითა სიმდაბლით და სარწმუნოებით ვჰკითხვიდეთ მამათა ჩუენთა და რომლისაჲ მათ გჳბრძანონ, ესრეთ ერთითა გულითა შევინწყნაროთ, ვითარცა ღმრთისაგან სმენილი და ვყოთ იგი შეუორგულებელად.

ხოლო კუალადცა გჳჳმს ჩუენ გულისხმისყოფაჲ ქმნასაცა შინა კეთილისასა. ხოლო გულისხმისყოფასა მე ამას ვიტყჳ, რამეთუ დაღაცათუ გჳბრძანონ ჩუენ მოძღუართა ჩუენთა გინა სხუათა ვიეთმე წმიდათა ბერთა საქმჳ რადმე კეთილი და ჩუენ ვყოთ იგი ბრძანებისაებრ მათისა, არამედ არა გჳჳმს ჩუენ მოგონებაჲ, ვითარმედ კეთილად ვიქმთ საქმესა ამას, არამედ საქმჳ იგი ოდენ გჳჩნდინ კეთილად, ხოლო ქმნაჲ ჩუენი ნუ გჳჩნ კეთილად, ვითარმედ, ვითარცა ჳამს, და ჩუენ ეგრეთ ვიქმთ კეთილად, არამედ ვიტყოდით გულთა შინა ჩუენთა, ვითარმედ საქმჳ ესე ფრიად კეთილ

არს და სათნო ღმრთისა, არამედ ჩუენ არა ვიქმთ კეთილად, ვითარცა ჯერ-არს და ვითარცა სხუანი მამანი იქმან საქმესა ამას. და კუალად ოდეს ვიქმოდით რასამე სათნოებასა, გკვმს ჩუენ, რადთა ვიქმოდით მას ყოვლითა ძალითა ჩუენითა და თანავჰკითხვიდეთ მისთვის მამათა ჩუენტა და მათგან ვსცნობდეთ, თუ ვითარ ვიქმთ მას. და კუალად, ყოველსა საქმესა ზედა საშჯელსა ღმრთისასა მოველოდით, ვითარცა წმიდად აღათონ, რამეთუ ჟამსა სიკუდილისა მისისასა ჰკითხვიდეს მას, ვითარმედ: „შენცა გეშინიანა, მამაო?“ ხოლო მან ჰრქუა მათ, ვითარმედ: „მე რომელი ვიცოდე, ძალისაებრ ჩემისა მიქმნია, არამედ არა უწყი, ღმერთსა სათნო-ეყო, ანუ არა, რამეთუ სხუად არს საშჯელი ღმრთისად და სხუად არს საშჯელი კაცთად“.

ჴ, ძმანო, ან გულისხმა-ვყოთ ძალი საქმისად ამის, რამეთუ ოდესღა წმიდად იგი და ღმრთივგანბრძნობილი მამად ვერ მინდობილ იყო საქმეთა თვსთა, ჩუენ უგუნურთად ვითარ ჯერ-არს მინდობად თავთა ჩუენტად, არამედ ვევედრნეთ ღმერთსა, რადთა დაგვცვენეს მინდობისაგან თავთა ჩუენტადასა და შედგომისაგან ნებათა ჩუენტადასა, რამეთუ მისი არს სუფევაჲ, ძალი და დიდებაჲ ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

თავი 6

თქუმული მისივე, არაგანკითხვისათვის მოყუსისა

უკუეთუმცა ვიხსენებდით, ძმანო, სიტყუასა წმიდათა ბერთასა და უკუეთუმცა ვინურთიდით მათ მარადის, არამცა შთავგარდებოდეთ ცოდვასა და არამცა უდებ-ვიქმნებოდეთ, რამეთუ უკუეთუმცა, ვითარცა მათ თქუეს, ვეკრძალებოდეთმცა მცირედთა ცოდვათა, და არცამცა შთავგარდებოდეთ ცოდვათა დიდთა და მძიმეთა. მარადის გეტყვ თქუენ, ვითარმედ მცირედთაგან, ოდეს ვიტყოდით, თუ რად არს, უკუეთუ ვქმნა ესე რადმე გინა იგი რადმე, დაეჩუვის სული ბოროტისა საქმესა და მერმე იწყებს დიდთაცა უგულებელსყოფად.

იხილეთ, რამეთუ არარად უმძიმძს არს მოყუსისა განკითხვასა და არცა რად სძულს ესრეთ ღმერთსა, ვითარცა თქუეს მამათა, ვითარმედ: „არარად უძკრძს არს განკითხვასა“. ხოლო ოდეს კაცმან იწყოს ჰაზრითა გამონახვად და იტყოდის, თუ რად არს, უკუეთუ ყური მიუპყრა, რასა უბნობს ისი ვინმე, ანუ რად არს, უკუეთუ ვთქუა მეცა ესე რადმე, ამათ ესე ვითართა საქმეთაგან იწყებს გონებად დატევევად თვსთა ცოდვათა და წურთად მოყუსისათა და მერმე ამისგან იქმნების განკითხვად და ძკრისზრახვად და შეურაცხყოფად მოყუსისად. და მერმე რადსათვს მოყუასსა განკითხვიდეს, მასვე შინა შევარდების იგიცა, რამეთუ არაზრუნვისაგან თვსთა ცოდვათაჲსა, ვითარცა თქუეს მამათა, და არატირილისაგან თვისისა მკუდრისა ვერ წარჰმართებს კაცი ვერას კეთილსა, არამედ ყოვლადვე მოყუასსა განკითხავს. და არარად ესრეთ განარისხებს ღმერთსა და არცა რად ესრეთ განაშიშვლებს კაცსა შეწვენისაგან ღმრთისა, ვითარ ძკრისზრახვად და განკითხვად და შეურაცხყოფად მოყუსისად.

ხოლო სხუად არს ძკრისზრახვად და სხუად არს განკითხვად და სხუად არს შეურაცხყოფად. ძკრისზრახვა¹ ესე არს, ოდეს თქუას კაცმან, ვითარმედ მან ვინმე ტყუვა, ანუ განრისხნა, გინა-თუ ისიძვა, ანუ-თუ სხუად რადმე ეგევითარი. აჰა, ამან ძკრი უზრახა, რამეთუ თქუა ვნებულად ცოდვად იგი მისი. ხოლო განკითხვად არს, ოდეს თქუას კაცმან, ვითარმედ იგი ვინმე მტყუვარი არს, ანუ-თუ მრისხანს არს, ანუ-თუ მსიძავი არს. აჰა ესერა, თქუა საქმს მისი ყოველისათსვე ცხორებისა მისისა და თქუა, ვითარმედ ეგევითარი რადმე არს. აჰა ესერა, ესე არს განკითხვად მძიმს, რამეთუ სხუად არს თქუმად, თუ განრისხნა და სხუად არს, თუ მრისხანე არს. და ეგეზომ უმძიმე არს ესე ყოველსავე ცოდვასა, რომელ ქრისტი თვთ იტყუს: „ორგულო, აღმოიდე პირველად დვრს თუალისაგან შენისა და მერმე მიხედენ აღმოღებად წუელი თუალისაგან ძმისა შენისა“ (ლუკ. 6,42). სახელ-სდვა ცოდვასა მოყუსისასა წუელად, ხოლო განკითხვასა – დვრედ, ეგეზომად უძნელს არს ყოველსა ცოდვასა. ხოლო ფარისეველი იგი, რომელი ილოცვიდა და ჰმადლობდა ღმერთსა სათნოებათათს მისთა, არა-თუ ტყუოდა და მისთს დაისაჯა, რამეთუ გვსმს ჩუენცა მადლობად ღმრთისად, რადცა სათნოებად ვქმნეთ, რამეთუ იგი არს მომნიჭებელი კეთილისად, და ამისთს, ვითარცა ვთქუ, არა დაისაჯა, არცა ოდეს თქუა, ვითარმედ: „არა ვარ მე ვითარცა ვიეთნიმე კაცნი“. არამედ ოდეს მოიქცა მეზუერისა მის მიმართ და თქუა: „და არცა ვითარცა მეზუერს ესეო“. მაშინ დამძიმდა იგი, რამეთუ განიკითხა პირისპირ და ყოველივე ცხორებად მისი. ამისთს „გარდამოცდა მეზუერს იგი უმართლს მისსა“ (ლუკ. 18,11). რამეთუ² არარად უძკრს არს განკითხვასა და შეურაცხყოფასა მოყუსისასა.

¹ ძკრისზრახვად *καταλαλῆσαι* 70.2] განკითხვად AB

² რამეთუ γὰρ 71.1] ხოლო A

რად არა თავთა ჩუენთა განვიკითხავთ და ბოროტთა ჩუენთა, რომელნი დასტურობით და ჴელოვნად ვიცნით და რომელთათჳს გკნებს სიტყჳსმიცემად ღმრთისად? რად მოვიტაცებთ საშჯელსა ღმრთისასა? რად გკნებს დაბადებულისაგან მისისა? არა ვძრწით, ოდეს გუესმეს, რად წაეკიდა დიდსა მას ბერსა, რომელსა ესმა ძმისა ვისთჳსმე, ვითარმედ დაეცა სიძვითა, და თქუა: „ჴ, ბოროტი საქმჳ ქმნა“. არამე უწყითა, რად წერილ არს მისთჳს მამათასა შინა? რამეთუ წარიყვანა წმიდამან ანგელოზმან სული იგი მის ძმისად ბერისა მის და ჰრქუა: „აჴა, რომელი-იგი განიკითხე, აღესრულა. სადა ჰბრძანო შთაგდებად მისი – სასუფეველსა ანუ ჯოჯოხეთსა?“ არს-მე რაჲა ამის სიმძიმისა უსაშინელჴსნი? რამეთუ ესე არს სიტყუად იგი ანგელოზისად ბერისა მიმართ, ვითარმედ: „ვინაჲთგან შენ ხარ მსაჯული ცოდვილთა და მართალთაჲ, რად სთქუა სულისა ამისთჳს, შეინწყალებ ამას, ანუ სტანჯავ ამას?“ ვიდრელა წმიდაჲ იგი განტყდა და დაყვნა ყოველნი დღენი ცხორებისა მისისანი სულთქუჳმით და ტირილით, რაჲთამცა შეუნდო მას ღმერთმან ცოდვაჲ იგი. და ესე ქმნა შემდგომად შენდობისა, რამეთუ ჰრქუა მას ანგელოზმან, ვითარმედ: „აჴა ესერა, გიჩუენა შენ ღმერთმან სიმძიმჳ განკითხვისად. ნულარა იქმ ამას!“ ხოლო სიტყუად ესე შენდობისად არს, გარნა სულსა მის ბერისასა არა ნუგეშინის-ეცემოდა ვიდრე სიკუდილადმდე.

ხოლო აწ, ძმანო, ჩუენცა რად გკნებს მოყუსისაგან? რასა ვეძიებთ უცხოთა ცოდვათაგან? თითოეული ჩუენი თჳსსა თავსა და ბოროტთა თჳსთა ზრუნევდინ, რამეთუ მხოლოდსა ღმრთისად არს განმართლებად და შჯად, რომელმან უწყის თითოეულისა ცხორებაჲ და ძალი და აღზრდილობად და მადლი და თითოეულსა, ვითარცა მან იცის, განიკითხავს. რამეთუ სხუებრ შჯის ღმერთი უხუცჴსსა და სხუებრ – მონაფესა, სხუებრ – ბერსა და სხუებრ – ჭაბუკსა, სხუებრ –

უძლურსა და სხუებრ – ძლიერსა. და ვინ უწყნის საშჯელნი ესე, არამედ მან მხოლომან, რომელსა დაუბადებთან ყოველნივე და უწყის ყოველივე.

მაჯსოს მე საქმეც ესევეთარი, რამეთუ მივიდა ოდესმე ნავი ქალაქსა ერთსა, რომელსა ჰყვა ტყუზ ფრიადი. ხოლო იყო ქალაქსა მას შინა ქალწული ერთი წმიდად, განკრძალული ფრიად. და ვითარცა ცნა ნავისა მისთვის, განიხარა, რამეთუ გული უთქუმიდა მას, რადთამცა იყიდა მან ქალი ერთი მცირე, რამეთუ იტყოდა, ვითარმედ: „აღვზარდო იგი, ვითარცა მინდეს და არა უჩუენო მას გემოჲ უკეთურებათა ამის სოფლისათაჲ“. და წარავლინა და უჭმო ნავისუფალსა მას და პოვნა მის თანა ორნი ქალნი, დიად მცირენი, ვითარნი თვთ მას უნდეს. და მეყსეულად მისცა ფასი და აღილო ერთი იგი ქალი. ხოლო ვითარცა წარმოვიდა ნავისა უფალი იგი და ვლო მცირედ, შეემთხვა მას მეძავი ერთი ბოროტი და იხილა მეორეც იგი ქალი მის თანა და მიიყიდა იგი. იხილეთ საშჯელი ღმრთისაჲ, რად ვინ თქუას საქმისა ამისთვის?

ხოლო აღილო წმიდამან ქალი იგი და ასწავა შიში ღმრთისაჲ და ყოველივე კეთილი და აღსრულებად მცნებათა ღმრთისათაჲ და ყოველივე წესი სამონაზნოჲ. ხოლო მეძავმან მან აღილო უბადრუკი იგი და ყო იგი ჭურჭელ ეშმაკისა, რამეთუ რადმცა ასწავა რისხვამან მან, არამედ წარწყმედად სულისა მისისაჲ. ხოლო ან რად ვთქუათ, საშინელისა ამის საშჯელისათვის? ორნივე მცირენი იყვნეს, ორნივე განისყიდნეს, და არა იცოდეს, თუ სადა წარვლენ, და ერთი იგი იპოვა ჴელთა ღმრთისათა და მეორეც იგი – ჴელთა ეშმაკისათა. შესაძლებელ არსა თქუმად, თუ რასა ეძიებს ღმერთი მისგან, მასვე ეძიებს მეორისაგან? უკუეთუ ორნივე დაეცნენ სიძვითა, შესაძლებელ არს თქუმად, თუ ორთავე ერთი საშჯელი აქუს, დაღაცათუ ერთი იყოს ცთომად მათი? ვითარ შესაძლებელ არს ესე, რამეთუ იგი ისწავებ-

და საშჯელისათვის და სასუფეველისათვის და დღვ და დამვ ინურთიდა სიტყუათა ღმრთისათა, ხოლო მას უბადრუკსა არაოდეს ასმიოდა სიტყუად კეთილი, არამედ – ყოველივე საეშმაკოდ და საძაგელეზა. და ვითარ შესაძლებელ არს, თუმცა ორნივე სწორად დასაჯნა ღმერთმან? ხოლო ამისთვის ვიტყვ, ვითარმედ ვერვინ მისწუთების საშჯელსა ღმრთისასა, არამედ თვთ იგი მხოლოდ, რომელსა ყოველივე ძალ-უც და ყოველივე უწყის.

ხოლო თუ ქმნას ძამამან რადმე საქმვ სინრფოებით და ჰქონდის მას სათნოებად ერთი, რომელ სათნო-ეყოფოდის ღმერთსა უფროდს ყოვლისა ცხორებისა შენისა და შენ განიკითხავ მას და ავნებ სულსა შენსა, და რად იცი, თუ მას უნინარვს მის საქმისა რადზომი ელუანა და ნუუკუე ღმერთმან უნინარვსისა მის შრომისათვს¹ შეუნდვის მას ცოდვად იგი. და რად იცი, თუ რადზომი ცრემლნი დაუთხვიან წინაშე ღმრთისა მის საქმისათვს შემდგომად ქმნისა. და შენ ცოდვად იგი ჰნახე და სინანულსა² ვერ ჰხედავ, და ღმერთი შეინყალეზს მას, ხოლო შენ განიკითხავ მას და წარსწყმედ სულსა შენსა.

ხოლო მრავალგზის არა ოდენ განვიკითხავთ, არამედ შეურაცხ-ვჰყოფთცა, რამეთუ სხუად არს განკითხვად და სხუად არს შეურაცხყოფად. [შეურაცხყოფად არს]³ ოდეს სძაგდეს კაცსა მოყუასი თვსი. და არს ესე განკითხვისა უძვრვსი.

ხოლო რომელთა უნებს ცხორების, იგინი ყოვლადვე არა მიხედვენ სხვსა ცოდვათა, არამედ თვსთა, და ესრეთ მარადის წარემართებიან, ვითარცა ძმა იგი, რომელმან იხილა მეორე ცოდვასა ზედა და სულთ-ითქუნა და თქუა: „ვადმე,

¹ მის შრომისათვს *πρὸ τοῦ ἐνεργῆσαι* 74.12] შრომისა მისისათვს A

² სინანულსა *Gr*] + მისსა A

³ შეურაცხყოფად არს *ἢ ἐξουδένωσις ἔσται* 74.19] > AB

რამეთუ ესე დღეს ცოდავს, ხოლო მე – ხვალე“. იხილეთ უცთომელობად და განმზადებულებად მისი, ვითარ განერა განკითხვასა მოყუსისასა სიტყვთა ამით, ვითარმედ მე ხვალე შთავრდომად ვარ ცოდვასა. მოიპოვა შიში და ზრუნვად და ესრეთ განერა განკითხვასა მოყუსისასა და თავიცა თვისი დაიმდაბლა და თქუა, ვითარმედ: „ესე შეინანებს, ხოლო მე – არა“. ხედავა განათლებულებასა მისსა? რამეთუ არა-თუ ოდენ არა განიკითხა იგი, არამედ თავიცა მისი ქუეშე მისსა მოაქცია. ხოლო ჩუენ, უბადრუკნი ესე, მარადის განვიკითხავთ ძმათა ჩუენტა და შეურაცხ-ვჰყოფთ, უკუეთუ მცირედიცა რადმე ვნახოთ, ანუ გუესმეს, ანუ ჰაზრ-ვყოთ. და უბოროტესნი ესე არს, რომელ არა ოდენ თვთ ვივნებთ, არამედ უკუეთუ ძმასა ვისმე შევემთხვნეთ, მეყსეულად ვეტყვთ, ვითარმედ ესე რადმე იქმნა, და ვავნებთ მასცა და ჩაუგდებთ გულსა მისსა ბოროტსა, და არა გუეშინის მისგან, რომელმან თქუა: „ვად მისდა, რომელმან ასუას ძმასა თვისსა სასუმელი აღმამრღუეველი“ (ამბ. 2,15). და ვიქმთ ჩუენ საქმესა ეშმაკთასა, რამეთუ ეშმაკისა საქმწ ესე არს, რადთა ავნოს კაცმან და აღაშფოთნეს, და ვიპოებით ჩუენ შემწედ ეშმაკთა და წარსაწყმედელად თავთა ჩუენტა და მოყუასთაცა ჩუენტა, რამეთუ რომელი ავნებდეს სულსა მეორისასა, იგი ეშმაკთა შემწე არს. ეგრეთვე, რომელი არგებდეს სულსა, ანგელოზთა შემწე არს.

ხოლო ესე ყოველი ბოროტი სადადთ წაგუეკიდების? ამისგან, რამეთუ არა გუაქუს სიყუარული. რამეთუ უკუეთუმცა გუაქუნდა სიყუარული, და ცთომათაცა მოყუსისათა სიყუარულით და ტკივილითა გულისაათა ვხედევდითმცა, ვითარცა წერილ არს, ვითარმედ: „სიყუარული ბოროტსა არა იგონებს“ (1 კორ. 13,5), და შემდგომი ამისი.

ხოლო, ვითარცა ვთქუ, უკუეთუმცა გუაქუნდა სიყუარული, იგიმცა ყოველთავე ცთომათა ჩუენტა დაჰფარვიდა.

არა-თუ წმიდანი ცოდვასა კაცთასა არა ხედვიდეს და არა-თუ ცოდვანი არა სძაგდეს, არამედ ცოდვილი არა სძულდა და მის თანა იჭირვოდიან და ასწავებდიან და ჰკუთნებდიან, ვითარცა ასოსა უძღურსა და ყოველივე ღონე ყვიან, რაფთამცა აცხოვნეს იგი. რამეთუ ვითარცა მეთევზურთა, ოდეს შთააგდიან სამჭედური ზღუასა და შეიპყრიან თევზი დიდი, ცნიან, ვითარმედ აღშფოთებულ არს და კრთის. არა მეყსეულად ხოლო მოჰზიდიან, რაფთა არა განწყვდოს საბელი და სრულიად წარწყმიდონ იგი, არამედ მიუშუებენ წელოვნად საბელსა, რაფთა წარვიდეს იგი სადაცა უნდეს, და ოდეს ცნიან, ვითარმედ დაშურა და დასცხრა კრთომისაგან მისისა, მაშინლა ჰამო-ჰამოდ მოჰზიდვედ მას. ეგრევე წმიდანი სიყუარულითა და სულგრძელებითა მოჰზიდვენ ძმასა უძღურსა და არა გარემიაქცევენ მას და არცა სძაგს იგი, არამედ ყოველსავე ღონესა იქმან, რაფთამცა შეიძინეს იგი. და ისწრაფიან, რაფთა მასცა არგონ და რაფთა არცა სხუასა ევნოს მისგან და რაფთა თვთ იგინი წარემართნენ სიყუარულითა ქრისტესითა.

რად ქმნა მამამან ამონა, ოდეს მოვიდეს ძმანი იგი მის თანა და ჰრქუეს მას, ვითარმედ: „მოვედ და იხილე, ვითარმედ სახლსა მის ვისმე ძმისასა დედაკაცი არს“. იხილეთ სიყუარული მისი, იხილეთ მონყალეზა მისი, რამეთუ ცნა, ვითარმედ ჭურსა შინა დაუმაღავს იგი, წარვიდა და დაჯდა მას ზედა და ჰრქუა მათ: „მოძებნეთ ყოველსა სახლსა შინა“. და ვითარ არაჲ პოეს, მაშინ ჰრქუა მათ: „ღმერთმან შეგინდვენ თქუნ“. და არცხვნა იგინი, რაფთა არა დაიჯერებდენ ადრე მოყუსისა ბოროტსა. ხოლო მასცა არგო არა ოდენ ამით, რომელ დაიცვა იგი, არამედ შემდგომად განსლვისა ყოველთაჲსა ჰრქუა მას: „იზრუნე, ძმაო, თავისათვს შენისა“. და მეყსეულად კაცთმოყუარებაჲმან ღმრთისამან მოდრიკა გული მისი.

ხოლო ან, ძმანო, ჩუენცა მოვიგოთ სიყუარული და სინყალული, რაჲთა განვერნეთ ბოროტსა ძკრისზრახვასა და განკითხვასა და შეურაცხყოფასა მოყუსისასა. შევეწინეთ ერთმანერთსა, ვითარცა თვსთა ასოთა. ვინ არს კაცი იგი, რომლისადამცა წყლულ იყო ჴელი, ანუ ფერჴი, ანუ სხუად რაჲმე ასოჲ და მასმცა¹ სძაგდა იგი, ანუმცა მოიკუეთა იგი, დაღაცათუ დაღპეს, არამედ ისწრაფის განწმედად მისა და წამალთა იღებს და ევლოგიათა დაისხამს და წმიდათა ევედრების, რაჲთა ულოცონ მას, ვითარცა თქუა მამამან ზოსიმე. ეგრეთვე ჩუენ გვჭმს ქმნად, რაჲთა ერთმანერთისათვს ვიჭირვოდით და ჴელსა აღუპყრობდეთ და ყოველსავე ღონესა ვიქმოდით შეწევისათვს ერთმანერთისა, რაჲთა ჩუენცა ვირგოთ, რამეთუ, ვითარცა მოციქული იტყვს, ჩუენ ყოველნი ერთჴორც ვართ და თითოეული ჩუენი ერთმანერთისა ასოებ (რომ. 12,5), და უკუეთუ ერთსა ასოსა შჭირდეს რაჲმე, მის თანა ელმის ყოველთა ასოთა (1 კორ. 12,26).

რაჲ გგონია თქუენ, მონასტერნი არა ერთჴორც არიანა და ერთმანერთისა ასოებ? რამეთუ რომელნი ეურვიან მონასტერსა, იგინი არიან თავ. ხოლო რომელნი ხედვენ და ყოველსავე უწესოსა საქმესა განჴმართებენ, იგინი არიან თუალ. და რომელნი სიტყვთ ერგებიან, იგინი არიან პირ. და რომელნი ისმენენ, იგინი არიან ყურ. რომელნი შურებიან, იგინი არიან ჴელ. რომელნი ჴმსახურებენ, იგინი არიან ფერჴ. უკუეთუ თავი ხარ, იურვოდე. უკუეთუ თუალი ხარ, ეკრძალე. უკუეთუ პირი ხარ, ასწავე. უკუეთუ ჴელი ხარ, შუერ. უკუეთუ ფერჴი ხარ, ჴმსახურე. ყოველნივე ჴმსახურებდით გუამსა, თითოეული ძალისაებრ თვსისა. ისწრაფდით, რაჲთა ერგებოდით ერთმანერთსა გინა სიტყვთ, გინა საქმით, გინა სხვთა რაჲთმე. ვითარცა ვთქუთ, თითოეული ძალისაებრ თვსისა ისწრაფდით მიახლებად ძმისა თვსისა სი-

¹ მასმცა] მასცა A

ყუარულით, რამეთუ რაფომცა კაცი შეერთებოდის ძმასა თჳსსა, ეგეზომცა შეერთების ღმერთსა.

და გითხრა თქუენ სახც რაფე მამათაგან სწავლული, რაფთა გულისხმა-ჰყოთ ძალი სიტყუსაჲ მის. გამონერეთ-ღა რაფე მრგუალი, კარაკინითა მოვლებული და შორის მისსა დასკთ წერტილი, და გამონერენით გზანი შემავალნი წერტილისა მის მიმართ. და ვითარმცა არს მოვლებული იგი მრგუალად – სოფელი, ხოლო წერტილი იგი – ღმერთი, და გზანი იგი არიან სათნოებანი. ხოლო რაფომცა შევლენ შეღმართ მიახლებად ღმრთისა, ეგეზომცა მიეახლებიან ერთმანერთსა, და რაფომცა მიეახლებიან ურთიერთას, მიეახლებიან ღმერთსაცა. და კუალად, რაფომცა განეშორებოდინ ღმერთსა, ეგეზომცა განეშორებიან ერთმანერთსა, და რაფომცა განეშორებოდინ ურთიერთას, განეშორებიან ღმერთსაცა.

აჰა ესერა, ცანთ, ვითარმედ ესრეთ არს ბუნებაჲ სიყუარულისაჲ, – რაფომცა კაცმან შეიყუაროს ღმერთი, ეგეზომცა შეიყუარებს მოყუასსა თჳსსა, და რაფომცა შორს იყოს კაცი ღმრთისაგან, ეგეზომცა შორს არს სიყუარულისაგან მოყუისსა. ხოლო რაფომცა კაცსა უყუარდეს მოყუასი თჳსი, ეგეზომცა მიეახლების ღმერთსა.

ღმერთმან მოგუმაღლენ ჩუენ სმენაჲ უმჯობესისაჲ და ქმნაჲ მისი, რამეთუ რაფომცა ვიქმოდით კეთილსა, იგი უფროდსღა შეგუენვევის ჩუენ და გუასნავებს ნებასა მისსა.

თქუმული მისივე, თავისა თვისა განმართლებისათვის

გამოვიძიოთ, ძმანო, თუ ვითარ, რომელ ოდეს ესმეს ძმას ვისმე სიტყუად გულისსაკლებელი და თავს-იდვას იგი უშფოთველად, ხოლო ოდესმე ესმის და მეყსეულად აღშფოთნის. რად-მე არს მიზეზი საქმისად ამის? ანუ მრავალნი მიზეზნი არიან, ანუ – ერთი? მე ვჭგონებ, თუ მრავალნი მიზეზნი არიან, არამედ ერთი არს მშობელი მათ ყოველთად. ხოლო ვთქუა, თუ ვითარ. პირველად ესე არს: ანუ იყოს გონებად მისი ლოცვასა შინა ანუ სხუასა რასამე კეთილსა და ოდეს ესმეს სიტყუად გულისსაკლებელი, აიძულებს თავსა თვისსა და არა აღშფოთნების. ანუ ჰქონდის ჯორციელი სიყუარული მისა მიმართ და მისთვის, უკუეთუ ჰრქუას მას სიტყუად გულისსაკლებელი, აიძულებს თავსა თვისსა და¹ არა აღშფოთნების. ანუ-თუ უგულებელს-ჰყოფდეს შემანუხებელსა მას მისსა და არა უჩნდეს იგი ადგილსა კაცისასა და მისთვის სიტყუად მისი არად განაკვრვოს.

და გითხრა თქუენ საქმე ეგევითარი, რადთა განგიკვრდეს. იყო ძმად ვინმე მონასტერსა შინა უწინარეს წარმოსლვისა ჩემისა მიერ და ვხედევდი მე მას, ვითარმედ არა-ოდეს აღშფოთნებინ. ხოლო მრავალნი აგინებდეს და შეურაცხ-ჰყოფდეს, და ესრეთ მოითმენდა ჭაბუკი იგი თითოეულისაგან, ვითარმცა ყოვლადვე არას ვინ უზმიდა მას. და მე ვხედევდი მას, ესრეთ ძკრუწსენებელობასა მისსა, მიკვრდა და მინდა, რადთამცა ვცან, თუ ვითარ მოუგია სათნოებად იგი. ხოლო ერთგზის განვიყვანე იგი თვისაგან და მოუდრიკენ მას მუწლნი და ვარქუ: „გვედრები შენ, ძმანო, მითხარ მე, რადთა გულისსიტყუთა მოითმენ ყოველთაგან

¹ აიძულებს თავსა თვისსა და] > A

გინებასა და შეურაცხებასა ესრეთ?“ ხოლო მან მრქუა მე ამპარტავანებით: „და მემცა ყურსა მიუპყრობდია ამათ არათა, და შევინყნარებლიმცა სიტყუასა მათსა, ვითარცა კაცთასა?“ ხოლო მე, ვითარცა მესმა ესე, დავიდრიკე თავი ჩემი ქუე და ვთქუ გულსა შინა ჩემსა, ვითარმედ პოვა გზად ძმამან ამან. და დავინერე ჯუარი პირსა ჩემსა და წარვედი და ვილოცევდი, რათა ღმერთმან მეცა დამფაროს და იგიცა. ამისთვს ვთქუ, ვითარმედ შეურაცხყოფისაგანცა მოითმენს კაცი სიტყუასა გულისსაკლებელსა.

ხოლო კუალად აღშფოთებად ძმისა მიმართ შემანუხებელისა მისისადა იქმნების ამისგან, ოდეს კაცი იყოს ჟამსა მას არაკეთილითა გულისსიტყუთა და, ვითარცა ესმეს სიტყუად გულისსაკლებელი, მეყსეულად აღიძრვის, ანუ ჰქონდის მტერობად მისა მიმართ და, ვითარცა ესმეს მისგან სიტყუად რადმე, მეყსეულად აღიძრვის. ხოლო არიან სხუანიცა მიზეზნი, არამედ ქეშმარიტი მიზეზი ყოვლისა დაბრკოლებსად არს არაბრალობად თავისა თვისსად.

ამისთვს ვერ ვპოებთ განსუენებასა, რამეთუ თავთა ჩუენთა არა ვაბრალებთ. საკვრველ არს, რამეთუ გუესმის წმიდათაგან, ვითარმედ სხუად გზად არა არს, თვნიერ ამისა, და ვხედავთ, ვითარმედ არავინ ვლო სხუასა გზასა ამისგან კიდე და პოვა განსუენებად, და ჩუენ ველით თვნიერ ამისა განსუენებასა და ვაგონებთ, თუ გზად წრფელი გვპყრიეს, რომელნი-ესე თავთა ჩუენთა ყოვლადვე არა ვაბრალებთ. ქეშმარიტად, უკუეთუ ადასრულნეს კაცმან მრავალნი სათნოებანი და არა დაიმჭიროს გზად ესე, ვერ პოოს განსუენებად და არცა ოდეს დასცხრეს გულისკლებისაგან და შფოთისა, და წარსწყმედს ყოველთა შრომათა მისთა. ხოლო რომელსა ჰქონდის იგი, მას მარადის აქუს განსუენებად და სიხარული, ვითარცა იტყვს მამად პიმენ, ვითარმედ: „რომელი თავსა თვისსა აბრალებდეს, რადცა მოიწიოს მის ზედა:

გინა-თუ უპატიოებად, გინა-თუ დაჭირვებად, ყოველსავე ზედა თავი თვსი უღირსად უჩს და ყოველსავე განსუენებით თანანარჰვდების“. არს-მე რად ამისა უფრუნველჴსი საქმჴ?

ხოლო არს კაცი, რომელი იტყვს, ვითარმედ უკუეთუ გულსა მაკლოს ძმამან ჩემმან და გამოვიძიო და ვერად ცთომად ვჰოო თავსა ჩემსა თანა, ვითარ ვაბრალობდე მასო? ხოლო მე ამას ვიტყვ, ვითარმედ უკუეთუ გამოიძიოს კაცმან თავი თვსი შიშითა ღმრთისადათა, [და] ჰოოს, ვითარმედ არად მიზეზი მიუცემია მას ჟამსა შინა, მაშა სხუასა ჟამსა გულსა ეკლო მისდა, ანუ სხუასა ძმასა, და თანადედა, რადთამცა მასცა გულსა შეაკლდა, ანუ-თუ სხვსა რადსათვსმე ცოდვისა. და ამისთვის ვიტყვ, უკუეთუ კაცმან შიშითა ღმრთისადათა გამოიძიოს, ჰოოს თავი თვსი ბრალეულად.

და კუალად, ჯდეს კაცი სენაკსა თვსსა და ეგონოს, ვითარმედ მშვდობით ზის, და ჰრქუას მას ძმამან სიტყუად გულისსაკლებელი, მეყსეულად აღშფოთნის და იტყვნ, ვითარმედ: „მე მშვდობით ვჯედ სენაკსა ჩემსა და უკუეთუმცა არა ერქუა ჩემდა სიტყუად იგი, არამცა აღშფოთებულ ვიყავ“. და ამანცა უწყოდენ, ვითარმედ ეშმაკნი ემღერიან, რამეთუ არა-თუ რომელმან ჰრქუას მას სიტყუად იგი, მან შთაუგდო გულსა მისსა ვნებად იგი, არამედ უჩუენა მას ვნებად იგი, რადთა თუ უნდეს, შეინანოს. რამეთუ მსგავს არს იგი სიმინდსა წმიდასა, რომელი შინაგან დაგესლებულ არნ და გარეგან ჩნდის წმიდა, ხოლო ოდეს განტეხიან იგი, მაშინ გამოჩნდის გესლი იგი მისი. ეგრეთვე მას ეგონა, ვითარმედ ზის მშვდობით, ხოლო შინაგან მისა იყო ვნებად იგი და არა იცოდა. და ვითარცა ჰრქუა მას ძმამან მისმან სიტყუად იგი მცირჴ, მეყსეულად გამოჩნდა გესლი იგი მის შორის დამალული, და უკუეთუ უნდეს, შეინანოს და განწმიდოს გესლი იგი. და უფროდსლა უჴმს, რადთა ჰმადლობდეს ძმასა მას,

რომელი-იგი მიზეზ-ექმნა მას ეგევითარისა სარგებელისა, რამეთუ არღარა დამძიმდებიან მის ზედა განსაცდელნი, არამედ რაფომცა წარემართებოდის, უფროდსლა აუსუბუქდებიან მას, რამეთუ რაფომცა სული წარემართებოდის, უფროდსლა ძლიერ იქმნების წინააღდგომად ვნებათა. რამეთუ ვითარცა პირუტყვ, უკუეთუ იყოს ძლიერ, მძიმესა ტვრთსა აღიკიდებს, და დაღაცათუ შებრკოლდეს, მალე აღდგების. ხოლო უკუეთუ იყოს უსუსურ, სუბუქიცა ტვრთი უმძიმს მას აღებად, და უკუეთუ შებრკოლდეს იგი და დაეცეს, უჭმს შეწვენა ფრიადი, რაფთა აღდგეს. ეგრეთვე არს სული: რაფომცა იქმოდის ცოდვასა, ცოდვად იგი მოაუსუსურებს მას, რამეთუ ცოდვად მომაუძღურებელი არს სული-სად და ამისთვის, რაფცა მოინიოს მის ზედა, ყოველივე უმძიმს მას. ხოლო უკუეთუ იწყოს ქმნად სათნობათა, რომელნი-იგი ოდესმე უმძიმდეს, აუსუბუქდებიან მას. და ამისთვის არარაფ ესრეთ გუერგების ჩუენ, ვითარ თავთა თვსთა ბრალობად. და რაფცა მოინევის ჩუენ ზედა, განგებითა ღმრთისაფთა არს, რამეთუ თვნიერ განგებისა ღმრთისა არარაფ მოინევის ჩუენ ზედა.

ხოლო მრავალნი იტყვან, ვითარმედ: „უკუეთუ მივმდეს რაფმე საქმვ და ვერ ვპოო იგი და მივმდეს იგი საჭიროდ, ვითარ არა გულსა შემაკლდეს?“ არცა ამას ზედა აქუს სიტყუად, თუმცა ვისმე აბრალა, რამეთუ უკუეთუ უჭმდეს რაფმე საჭიროდ და ვერ მიემთხვოს მას, ჯერ-არს, რაფთა თქუას, ვითარმედ: „ღმერთმან უფროდს იცის ჩემსა და უკუეთუმცა იყო უმჯობვსი ჩემი¹, რაფთამცა ვპოე საქმვ ესე, მანმცა მომცა იგი“. ძეთა ისრავლისათა ჭამეს მანანად უდაბნოს ორმეოცსა წელსა და სახვ იგი მანანად-სად მის ერთი იყო, ხოლო თითოეულსა, ვითარცა უყუარნ, ეგრეთ აუჩნდის: რომელსა უყუარნ მარილიანი, აუჩნდის

¹ ჩემი Gr] + მიმ-ცა-მიძღუა მე A

მას მარილიანად, და რომელსა უყუარნ ტკბილი, ექმნის მას ტკბილ. და თითოეულსა ექმნის შეზავებულ გონებასა მისსა. ამისთვის ვიტყვ, ვითარმედ, უკუეთუ ვის გული უთქუმიდეს კუერცხსა და პოოს მან მხალი, უჭმს, რადთა თქუას, ვითარმედ: „უკუეთუმცა უმჯობჳს იყო ჩემთვის კუერცხისა პოვნად, ღმერთსამცა კუერცხი მოეცა ჩემდა, რამეთუ მას შეუძლია ქმნად მხლისა ამის კუერცხად“. და მრწამს ღმრთისად, ვითარმედ გულისსიტყუად ესე ექმნეს მას სანამებელად, რამეთუ ჭემმარიტსა ვიტყვ: უკუეთუ ღირს იყოს კაცი განსუენებასა და უმჯობჳს იყოს სულისა მისისათვის განსუენებად, სარკინოზთაცა გულსა მოსდრეკს ღმერთი განსუენებად მისა. ხოლო უკუეთუ არა ღირს იყოს განსუენებასა, ანუ-თუ არა ჯერ-იყოს მისდა განსუენებად, დაღაცათუ ქმნას ახალი ცაჲ და ახალი ქუეყანად, ვერ ჰპოებს იგი განსუენებასა. სადაჲთ იქმნების ესე, რამეთუ ოდესმე ჰპოებს კაცი უფროჲს საწმარისა თვისისა, ხოლო ოდესმე ვერცა საწმარსა თვისსა ჰპოებს? რამეთუ ღმერთი მოწყალე არს და ყოველთაჲვე მისცემს საწმარსა მათსა. ხოლო რომელსამე მისცემს უფროჲს საწმარისა მისისა და ასწავებს მას მადლობასა. ხოლო ოდესმე არა მისცემს საწმარსა თვისსა და ასწავებს მოთმინებასა. და ამის ყოვლისათვის გკვმს, რადთა ღმერთსა ვჰმადლობდეთ, თუ კეთილი ვინმე გკყოს გინა ბოროტი, რადთა ღმერთსა ვჰმადლობდეთ და თავთა ჩუენთა ვაბრალებდეთ, ვითარცა თქუეს მამათა: „რადთა უკუეთუ კეთილი რაჲმე მოინიოს, ვიტყოდით, ვითარმედ განგებითა ღმრთისაჲთა არს ესე, ხოლო უკუეთუ ბოროტი რაჲმე მოინიოს, რადთა ვთქუათ, ვითარმედ ცოდვათა ჩუენთაგან არს“. ჭემმარიტად, რადცა ბოროტი მოინიოს, ცოდვათა ჩუენთაგან არს, რამეთუ წმიდანი ღმრთისათვის იჭირვოდეს, ანუ რადთამცა გამოჩნდა სათნოებაჲ მათი, ხოლო ჩუენ უბადრუკნი ესე – ცოდვათა ჩუენთათვის, რომელნი-ესე მარადის ვცო-

დავთ და დაგკტეობია ნრფელი გზად (რომელი თქუეს მამათა თავისა თვსისა ბრალობად), და ვალთ გზასა ამას დრკუსა, რომელ არს ბრალობად ერთმანერთისა, და ყოველნივე ვინსწრაფით, რადამცა მოყუასსა ზედა მივაგდეთ მიზეზი და ცთომად, რამეთუ ჩუენ თვთ უღბებასა შინა ვართ და მოყუსისაგან ვეძიებთ მცნებათა აღსრულებასა.

მოვიდეს ჩემ თანა ოდესმე ორნი ძმანი დაბრკოლებულნი ერთმანერთისა მიმართ და უხუცჳსი იგი იტყოდა უმრწემჳსისათვს, ვითარმედ: „ვეტყვ მას საქმესა რასამე და არა მისმენს მე და გულსა მაკლს და ვიტყვ, უკუეთუმიცა ჰქონდა ჩემდა მომართ სარწმუნობად და სიყუარული, მისმენდამცა¹ მე გულსმოდგინებით, რასაცა ვეტყოდი“. და კუალად უმრწემჳსი იგი იტყოდა, ვითარმედ: „შემინდვე, მამაო, რამეთუ არა მეტყვს ეგე, რასაცა მეტყოდის, შიშითა ღმრთისადათა, არამედ უფლებით, და ამისთვს არა გულსმოდგინე ვიქმნები, ვითარცა თქუეს მამათა“. იხილეთ, ვითარ ერთმანცა მათგანმან არა აბრალა თავსა თვსსა, არამედ – მოყუასსა თვსსა.

კუალად სხუანი ორნი ძმანი დაბრკოლდეს ერთმანერთისა მიმართ და მოუდრიკნეს ურთიერთას მუჳლნი და არავე დამჳკდნეს გულნი მათნი. და ერთი იგი იტყოდა, ვითარმედ: „არა ყოვლითა გულითა მომიდრიკნა მე² მუჳლნი და ამისთვს არა გულსმოდგინე-ვიქმენ, ვითარცა თქუეს მამათა“. და მეორე იგი იტყოდა, ვითარმედ: „უნინარეს მუჳლთა მოდრეკისა არა იყო სიყუარული ჩემი გულსა მისსა და ამისთვს არა გულსმოდგინე-ვიქმენ მე“.

ხედავთა, ძმანო, ვითარ გუაცთუნებენ ჩუენ ეშმაკნი და ვითარ განდრეკილ არიან გულნი ჩუენნი? ღმერთმან უწყის, განტეხილ ვარ საქმესა ამას ზედა, რამეთუ სიტყუასაცა

¹ მისმენდამცა ἐβέχθη 85.4] მისმინამცა A

² მე μοι 85.13] > A

მამათასა მოვიღებთ ნებათა ჩუენთაებრ ბოროტთა და წარსაწყმედელად სულთა ჩუენთა. რამეთუ უვმდა თითოეულსა მათსა თავისა თვისისა ბრალობად, და ერთსა მას უვმდა თქუმად, ვითარმედ: „არა ყოვლითა გულითა მოუდრიკენ ძმასა ჩემსა მუვლნი და ამისთვის არა გულსმოდგინე-ყო იგი ღმერთმან“. და მეორესა მას უვმდა თქუმად, ვითარმედ: „არა მქონდა მე სიყუარული მისა მიმართ და ამისთვის არა გულსმოდგინე-ვიქმენ მე“. ეგრეთვე ორთა მათ, რომელნი იგი პირველ ვაწსენენ, უვმდა თქუმად: ერთსა მას – ვითარმედ: „მე უფლობით უბრძანებ ძმასა ჩემსა და ამისთვის არა გულსმოდგინე-იქმნების სიყუარულსა ჩემსა ზედა“. და კუალად, მეორესა მას უვმდა თქუმად, ვითარმედ: „ძმად ჩემი სიყუარულით და სიმდაბლით მეტყვს მე, არამედ მე ვარ ურჩ და უშიშ ღმერთისა“. არამედ ერთმანცა მათგანმან არა აბრაღა თავსა თვისსა, ვერცა პოვა გზად, არამედ მოყუასსა თვისსა აბრაღებდა თითოეული მათი.

აჰა ესერა, ვითარცა ვთქუ, ამისთვის ვერ წარვჰმართებთ ვერარას სათნოებასა, ვერცა რას ვირგებთ, რამეთუ თითოეული ჩუენი თავსა თვისსა განიმართლებს. და დაუტეობთ თავთა ჩუენთა, ვითარცა ვთქუ, და არცა ერთსა რას მცნებასა აღვასრულებთ და მოყუსისაგან ვეძიებთ მცნებათა¹ აღსრულებასა. ამისთვის ვერ გულისხმა-ვყოფთ, თუ რად არს კეთილი, რამეთუ დაღაცათუ მცირედი რადმე სათნოებად წარვჰმართოთ, მეყსეულად მოყუსისაგან ვეძიებთ მას და ვიტყვთ, თუ რად არა იგიცა იქმს ესრეთ? და რად არა უფროდლა თავთა ჩუენთაგან ვეძიებთ სათნოებათა და თავთა თვისთა ვაბრაღებთ, რომელნი-ესე არა აღვასრულებთ ყოვლადვე ერთსაცა მცნებასა?

სადა-მე არს ბერი იგი, რომელსა ჰკითხეს, ვითარმედ: „რად წარგიმართებიეს გზასა ამას?“ ხოლო მან თქუა, ვი-

¹ მცნებათა τὰς ἐντολάς 86.6-7] სათნოებათა A

თარმედ: „ყოველსავე ზედა თავისა თვისა ბრალობად“. ამისთვისცა მკითხველმან მან აქო და თქუა: „სხუად გზად არა არს, თვნიერ ამისა“. და კუალად მამამან პიმენ თქუა, ვითარმედ: „სულთქუმით ყოველნი სათნოებანი სოფელსა ამას შემოვიდეს, თვნიერ ერთისა, და თვნიერ მისა შრომით ჰგიეს კაცი“. და ჰკითხეს მას, ვითარმედ: „რომელი?“ ხოლო მან თქუა: „რადთა კაცი აბრალებდეს თავსა თვისსა“. და კუალად მამამან ანტონი თქუა, ვითარმედ: „ესე არს დიდი საქმე, რადთა კაცმან ცთომად თვისი თავსა ზედა თვისსა დაიკრიბოს წინაშე ღმრთისა და მოელოდის განსაცდელსა ვიდრე უკუანადსკენელად სულთქუმადმდე“.

ყოველთაგან ვჰპოვებთ, ვითარმედ მამათა ესე დაიმარხეს და, რადცა მოინიის, ყოველივე ღმრთისა მიმართ მიაგდიან, და ამისთვის განისუენეს. იხილეთ, რად-იგი თქუა წმიდამან ბერმან. ოდეს დასნეულდა, ძმამან ცთომით ურთო საქმელსა მისსა თაფლისა წილ ზეთი სელისაჲ. ხოლო ბერმან ჭამა იგი დუმილით და არა აბრალა ძმასა მას. ხოლო მან ცნა, რად-იგი ექმნა, შენუხნა და ჰრქუა მას: „მამაო, მოგკალ შენ და შენ მოაგდე ცოდვად ჩემ ზედა, რამეთუ არად მარქუ მე“. იხილეთ, ვითარ სიმშკდით ჰქრუა მას: „ნუ გულისა-გაკლს, შვილო, რამეთუ უკუეთუმცა უნდა ღმერთსა, რადთამცა ვჭამე თაფლი, თაფლიმცა გესხა“. და მეყსეულად გონებაჲ მისი მიიყვანა ღმრთისა თანა. ვითარ არა მოეგონა მას, თუ ძმად ესე შესცთა და რად საქმე უც ამას შინა ღმერთსა. არამედ თქუა, ვითარმედ უკუეთუმცა უნდა ღმერთსა, თაფლიმცა ერთო ძმასა ამას. საკრველ არს, რამეთუ ეგებომსა უძლურებასა შინა და ეგოდენთა მათ დღეთა არად ეჭამა და არცა ესრეთ დაჰბრკოლდა ძმისა მიმართ, არამედ ჰმადლობდა ღმერთსა და განისუენა. ხოლო ჩუენ ყოველსა საქმესა ზედა მოყუასსა ჩუენსა ვაბრალებთ და გვჩს იგი, ვითარცა მოძულე ჩუენი. არამედ დაღაცათუ სიჭყუად რადმე გუესმეს,

მას მეყსეულად ვიტყვო, ვითარმედ: „თუმცა არა უნდა გულისკლებად ჩემი, არამცა ერქუა ჩემდა სიტყუად ესე“.

სადა-მე არს წმიდად იგი, რომელი იტყოდა სემისთვის: „უტევეთ იგი, რაფთა მწყეოს მე, რამეთუ ღმერთმან უბრძანა მას, რაფთა სწყეოს დავითს“ (2 მეფ. 16,10)? კაცსა კაცისმკლველსა ეუბნებისა¹ ღმერთი, რაფთამცა სწყევდა წინაფსწარმეტყუელსა? ნუ იყოფინ! არამედ წინაფსწარმეტყუელი იყო გულისხმისყოფითა სავსე და უწყოდა, ვითარმედ, ვითარ განსაცდელნი, ესრეჲთ არარად სხუად მოიყვანებს წყალობასა ღმრთისასა სულსა ზედა და ამისთვის იტყოდა, ვითარმედ: „უფალმან უბრძანა მას, რაფთა სწყევდეს დავითს, რაფთა იხილოს უფალმან სიმდაბლე ჩემი და მომცეს მე კეთილი წყევისა წილ მისისა“ (2 მეფ. 16,12). იხილეთ გულისხმისყოფად მისი, ვითარ ეტყოდა მათ, რომელნი-იგი ლამოდეს შურისძიებასა მის ზედა, რომელი-იგი სწყევდა მას. ხოლო იგი ეტყოდა: „რად არს ჩემდა და თქუენდა, ძენო შაროელისანო? უტევეთ მას, რაფთა მწყევდეს, რამეთუ უფალმან უბრძანა მას, რაფთა სწყევდეს“ (2 მეფ. 16,10).

ხოლო ჩუენ, უკუეთუ რადმე გურქუას ძმამან ჩუენმან, არა ვიტყვო, თუ უფალმან უბრძანა მას, არამედ მეყსეულად მივემსგავსებით ძაღლსა, რამეთუ იგი, უკუეთუ ვინმე სტყორცის მის ზედა ქვად, დაუტეობს მას, რომელსა ეტყორცოს და მივალს და უკბენს ქვასა მას. ეგრეთვე ჩუენ დაუტეობთ ღმერთსა, რომელი მოუშუებს ჩუენ ზედა განსაცდელსა შესანდობელად ცოდვათა ჩუენთა და ვჰბრძავთ ძმასა ჩუენსა და ვიტყვო, ვითარმედ: „რად მრქუა, ანუ რად მიყო ესე რადმე?“ და სარგებლისა წილ ვივნებთ და არა უწყით, ვითარმედ ყოველი განგებითა ღმრთისაფთა მოინევის ჩუენ ზედა სარგებლისათს ჩუენისა. არამედ ღმერთმან გულისხმა-გკყოს ჩუენ მეოხებითა ყოველთა წმიდათაფთა, ამენ.

¹ ეუბნებისა| ეუბნების A

თავი 8

ძკრისჯსენებისათჯს

თქუა ბერმან ვინმე, ვითარმედ: „უცხო არს მონაზონისაგან რისხვაჲ, გინა-თუ შენუხებაჲ მეორისაჲ“. და კუალად ნერილ არს, ვითარმედ: „რომელმან გულისნჯრომასა სძლო, მან ეშმაკსა სძლო. ხოლო რომელი ვნებისა ამისდა დამონებულ არს, იგი ყოვლად მონაზონთა წესისაგან უცხო არს“, და შემდგომი ამისი. ხოლო რაჲ ვთქუათ ჩუენ, სანჯალობელთა ამათ, რომელნი-ესე არა ხოლო რისხვითა და გულისნჯრომითა ოდენ ვიძლევით, არამედ ძკრისჯსენებადცა მოვალთ? სხუად არარაჲ გუაქუს სიტყუად, არამედ რაჲთა ვსტიროდით სანჯალობელთა ამათ სულთა და კაცთა ბუნებისა გარეგანსა ამას ცხორებასა ჩუენსა.

ვისწრაფოთ, ძმანო, და განვიფრთხოთ, რაჲთა განვერნეთ ბოროტისა ამის ვნებისაგან¹. რამეთუ მრავალგზის, რაჟამს აღშფოთნენ ურთიერთას ვიეთნიმე და მოუდრიკნენ ერთმანერთსა მუჯლნი, დაადგრებიან შემდგომად შენდობისა მათისა ძკრისჯსენებასა ზედა. ხოლო ეგევითართა მათ უჯმს ღწოლად, რაჲთა არა დაადგრეს იგი გულსა მათსა და დაინთქნენ, რამეთუ მოუდრიკნეს რაჲ ურთიერთას მუჯლნი მცნებისათჯს ღმრთისა, რისხვაჲ იგი მას ჟამსა განაქარვეს, ხოლო ძკრისჯსენებისათჯს არა ილუანეს და ამისთჯს დაადგრა გულსა მათსა ერთმანერთისა ძკრი.

ხოლო სხუად არს ძკრისჯსენებაჲ და სხუად არს რისხვაჲ და სხუად არს გულისნჯრომაჲ და სხუად არს შფოთი. და გითხრა თქუენ სახჯც რაჲმე, რაჲთა განიგონოთ. რომელი აღაგზნებდეს ცეცხლსა, პირველად აქუს მცირე ნაკუერცხალი, ხოლო ნაკუერცხალი არს სიტყუად ძმისა მიმართ

¹ ვნებისაგან *πᾶσις* 89.11] ნებისაგან A

გულისსაკლებელი და, უკუეთუ გინდეს, შემძლებელ ხარ დავსებად მისა მოთმინებითა. ხოლო უკუეთუ დაადგრე და იგონებდე, თუ რად მრქუა მე ესე რამე და მეცა ვრქუა მას სიტყუად გულისსაკლებელი, აჰა ესერა, ამით გულისსიტყუთა დაჰრთავ შეშასა, გინა-თუ სხუასა რასამე და აღადგენ კუამლსა.

ხოლო კუამლად ვიტყვ შფოთსა. ხოლო შფოთი არს აღძრვად და განზრახვად გულისსიტყუათად მოყუსისათვს, რომელი აღსძრავს და განაფიცხებს გულსა. ხოლო სიფიცხლჳ არს წურთად ნაცვალისა მიგებისად შემანუხებელისა თვისისად, რომლისაგან იქმნების კადნიერებად, ვითარცა იტყვს წმიდად მარკოზ, ვითარმედ: „სიბოროტჳ გულსა შინა მონურთილი განაფიცხებს გულსა, ხოლო რაჟამს ლოცვითა და სასოებითა განქარდეს იგი, მაშინ შეიმუსრვის გული“. რამეთუ უკუეთუმცა გეტვრთა მცირჳ იგი სიტყუად ძმისა შენისად, დაგევსომცა ნაკუერცხალი იგი, ვიდრე არღა მოსრულ იყო შფოთი, არამედ, უკუეთუ გინდეს, შემძლებელ ხარ მისდაცა დავსებად დუმილითა და ლოცვითა და ერთითა გულითა მუჳლთა მოდრეკითა.

ხოლო უკუეთუ იწყო კუამლისა მის აღძრვად, რომელ არს სიფიცხლჳ გულისად, მერმე, ვითარცა ვთქუ, ურთიერთას ცემისაგან გულისსიტყუათაჲსა განჯურდების გული და მერმე აღენტების გულისწყრომად, რამეთუ გულისწყრომად არს აღდუღებად გულითადისა მის სისხლისად, ვითარცა იტყვს წმიდად ბასილი. აჰა ესერა, ესე არს გულისწყრომად, რომელსა ეწოდების ნავლელფიცხლობად. ხოლო შესაძლებელ არს ამისიცა დავსებად. არამედ უკუეთუ დაადგრე შფოთსა და გულისწყრომასა ზედა, ვითარცა რომელი დაურთვიდეს შეშასა და უფროდსღა აღაგზებდეს ცეცხლსა, და მერმე იქმნებიან ნაკუერცხალნი, რომელ არს რისხვად. ხოლო ესე არს, რომელსა იტყოდა მამად ზო-

სიმე, რაჟამს ჰკითხეს მას, ვითარმედ: „რად არს სიტყუად ესე: „სადა [არა]¹ არს გულისწყრომად, მუნ დაყუდდების შფოთი“ (იგავ. 26,20)?“ რამეთუ უკუეთუ პირველად, ვითარცა ვთქუ, ოდეს იწყოს აღგზებად კუამლისა, უკუეთუ ვინმე უსწრას და აბრალოს თავსა თვსსა, ვიდრე არა აღგზებულ იყოს გულისწყრომად², იქმს მშკდობასა. ხოლო უკუეთუ შემდგომად გულისწყრომისა არა დაყუდნეს, არამედ დაადგრეს შფოთსა და სიფიცხლესა ზედა, იქმნების იგი მსგავს მისა, რომელი ურთვიდეს ცეცხლსა ზედა შეშასა, ვიდრემდე იქმნენ ნაკუერცხალნი დიდროვანნი. ხოლო ვითარცა ნაკუერცხალნი იქმნებიან ნაჰშირ და დაიმარხვიან იგინი მრავალთა ჟამთა და არცაღა-თუ წყალი ვინ დაახხას მათ ზედა, დალპებინ, ეგრეთვე რისხვად, უკუეთუ დადგრეს, იქმნების ძკრისწყენებად, და მიერიტვან, უკუეთუ არა დაიწუთინოს კაცმან სისხლი თვისი, ვერ განერეს ვნებისა ამისგან.

აჰა ესერა, გითხრენ თქუენ თითოსახენი იგი განყოფანი და გითხარ³ თქუენ, თუ რად არს პირველი იგი შფოთი, ანუ-თუ რად არს გულისწყრომად, ანუ რად არს რისხვად, ანუ რად არს ძკრისწყენებად. იხილეთ, ვითარ ერთისა სიტყვსაგან მოვიდა ეგეზომსა ბოროტსა, რამეთუ უკუეთუმცა პირველითგანვე ებრალა თავსა თვსსა და ეტკრთა სიტყუად იგი ძმისა თვისსად და არა განემართლა თავი თვისი და მიეგო ერთისა წილ სიტყვსა ხუთი გინა ათი, არამცა წარჰკიდებოდეს ეგეზომნი ბოროტნი. ამისთვის მე გეტყვ თქუენ, ვითარმედ ჰბრძოდეთ ვნებათა, ვიდრელა არიან ჩჩკლ, რადთა არა განდიდნენ და მერმე იჭირვოდით, რამეთუ სხუად არს აღმოფხურად მცირისა თივისად და სხუად არს დიდისა ხისად.

¹ არა იჰ 91.2] > AB

² გულისწყრომად Gr] + და A

³ გითხარ] გითხრა A

ესე მაკრვებს მე, რამეთუ არა ვიცით, თუ რასა ვილოცავთ, რამეთუ მარადის ვიტყვთ: „უკუეთუ მი-მცა-სადა-ვაგე ყოველთა, რომელთა მომაგეს მე ბოროტი, გან-სადა-ვვარდე მე მტერთა ჩემთაგან ცუდი“ (ფსალმ. 7,5). რად არს განვრდომად მტერთაგან? ოდეს კაცი დგეს, უც მას ძალი ბრძოლად მტერისა თვისისა, დაღაცათუ ოდესმე სძლევდეს და ოდესმე იძლეოდეს, არამედ ჯერეთ დგას. ხოლო უკუეთუ დაეცეს, ვერღარა ჰბრძავს მტერსა თვისსა. ხოლო ჩუენ ვილოცავთ, რადთა არა ოდენ დავეცნეთ, არამედ ამასცა ვილოცავთ, რადთა¹ ცუდად დავეცნეთ.

ხოლო რად არს მტერისაგან ცუდად დაცემა? ვთქუთ, ვითარმედ დაცემა არს, რომელ არღარა ჰქონდის ძალი წინააღდგომად მტერისა, ხოლო ცუდი არს, რომელ არად კეთილი ჰქონდის, რომლითა შემძლებელ იყოს კუალად აღდგომად, რამეთუ რომელი აღდგეს, მას შეუძლია კუალად ზრუნვა თავისა თვისსად.

ხოლო კუალად ვიტყვთ: „დევნოს მტერმან სული ჩემი და ენიოს მას“ (ფსალმ. 7,6). არა-თუ ოდენ დევნოს, არამედ ენიოსცა მას, რადთა ვიქმნეთ ქუეშე ფერჭთა მისთა და რადთა ჰქონდის მას ჩუენ ზედა ჴელმწიფება, უკუეთუ მივაგოთ ბოროტისა მყოფელთა ჩუენტა ბოროტი. და არა ოდენ ამას ვილოცავთ, არამედ ვიტყვთცა: „დათრგუნოს ქუეყანასა ზედა ცხორება ჩემი“ (ფსალმ. 7,6). რად არს ცხორება ჩუენი? ცხორება ჩუენი არიან სათნოებანი, და ვილოცავთ, რადთა დაითრგუნოს ცხორება ჩუენი ქუეყნად, რადთა იქმნეს გონება ჩუენი და ცნობა ჩუენი ქუეყანისა და „დიდება ჩუენი მინასა ზედა დაემკვდრნენ“ (ფსალმ. 7,6).

ხოლო რად არს დიდება ჩუენი? დიდება ჩუენი არს გულისხმისყოფად იგი, რომელი მოვალს ჩუენ ზედა დაცვითა მცნებათადთა, და ამისთვის ვიტყვთ, რადთა იქმნეს დი-

¹ რადთა Gr] + არა AB

დებად ჩუენი, ვითარცა იტყვს მოციქული, სირცხვლ ჩუენ-
და (ფილიპ. 3,19) და დაითრგუნოს ცხორებად ჩუენი¹ და
დიდებად ჩუენი მიწასა, რადთა ვერღარას საღმრთოსა გან-
ვიგონებდეთ, არამედ ყოველსავე ჳორცთასა, ვითარცა წე-
რილ არს, ვითარმედ: „არა დაემკვდროს სული ჩემი კაცთა
ამათ თანა, რამეთუ არიან იგინი ჳორც“ (დაბ. 6,3). აჰა ესე-
რა, ამას ყოველსა ვილოცავთ და თავთა ჩუენთა ვსწყევთ,
უკუეთუ მივაგებდეთ ბოროტსა ბოროტისა წილ.

ხოლო ვითარ მივაგებთ ბოროტსა ბოროტისა წილ და
ვერ გულისხმა-ვჰყოფთ, რამეთუ არს ბოროტისა მიგე-
ბად არა ოდენ საქმით, არამედ სიტყვოცა და სახითცა. ხო-
ლო არს, რომელსა ჰგონიეს, ვითარმედ არა მიაგებს ბო-
როტსა საქმით, ხოლო მიაგებს იგი სიტყვთა, გინა სახითა,
გინა შეხედვითა, რამეთუ არს შეხედვადცა, რომლითა
შესაძლებელ არს დაბრკოლებად მოყუსისა და არს ესეცა
ბოროტისა მიგებად. არს კაცი, რომელი არცა საქმით, არცა
სიტყვო, არცა სახით მიაგებს ბოროტსა, ხოლო არს გულსა
მისსა ძკრი მისა მიმართ. არს სხუად, რომელსა არცა გულ-
სა შინა უც ძკრი მისა მიმართ, ხოლო უკუეთუ ესმეს მისი
რადმე ბოროტი, უხარიან, და არს ესეცა ბოროტისა მიგებად
გულსა შინა. არს სხუად, რომელსა არცა ძკრი რად უც გულ-
სა შინა, არცა უხარიან ბოროტი მისი, არამედ გულსა აკლს
და არა უნებს კეთილი მისი, და ესეცა ძკრისწესენებად არს,
უსუბუქჴსი სხუათა, გარნა ესეცა არს ძკრივე. ხოლო არს,
რომელსა უხარიან კეთილი ძმისა და ყოველსა ღონესა იქმს
პატივისცემად და დიდებად მისა.

ხოლო ვითარცა ვთქუთ პირველ, არს სხუად, ოდეს დაჰ-
ბრკოლდენ ურთიერთას, მოუდრიკნა მას მუჴლნი და რისხ-
ვად იგი მას ჟამსა განკურნა, ხოლო ძკრისწესენებისათვს არა
იღუანა, არამედ დაადგრა ძკრი მისი გულსა მისსა. ხოლო

¹ ჩუენი ἡμῶν 92.33] > A

არს სხუად, უკუეთუ ვისდამე მიმართ დაჰბრკოლდეს, და შეუვრდენ და შეუნდონ ურთიერთას¹, იქმს მშკდობასა და არა დაიძირავს გულსა თვისსა ძვრსა. ხოლო უკუეთუ შემდგომად დღეთა რავდენთამე იქმნეს მათ შორის დაბრკოლება, მეყსეულად მოიწსენებს პირველსა მასცა და აღიდრვის არა მეორისათვს ოდენ, არამედ პირველისათვსცა. ხოლო ესევეთარი მსგავს არს კაცისა მის, რომელსა ჰქონდის წყლულება რადმე და განეკურნოს იგი, არამედ ჯერეთ იყოს უძღურ ადგილი იგი, და უკუეთუ რადმე ეცეს მას, მეყსეულად იწყებს იგი უფროჲს ყოვლისა გუამისა ტკივილად. ეგრეთვე ამას აქუნდა წყლულება და განკურნა იგი სინანულითა, ვითარცა პირველმან მან რისხვად. ხოლო იწყობრძოლად ძვრისწსენებამან, რამეთუ არა აქუნდა გულსა მისსა ძვრი, ხოლო ჯერეთ არა სრულიად განკურნებულ იყო იგი, არამედ წუთ იყო ნეშტი ძვრისწსენებისაჲ მის თანა და ამისთვს მალედ აღიდრა ყოველივე იგი წყლული. ხოლო უჭმს მას, რადთა იღუანოს სრულიად განკურნებად წყლულისა მის, რადთა თმაეცა გამოუჭდეს ადგილსა მას და არა ჩნდეს ყოვლადვე, თუ ყოფილ არს წყლული ადგილსა მას. ხოლო ამას წარჰმართებს მარადის ლოცვითა შემანუხებელისა თვისსაჲთა, რადთა იტყოდის: „ღმერთო, შეენიე ძმასა ჩემსა და მეცა დამიცევ ლოცვითა მისითა“. და აღასრულებს იგი ლმოზიერებასა და სიყუარულსა, რამეთუ ულოცავს ძმასა თვისსა და სიმდაბლით ითხოვს ლოცვითა მისითა ღმრთისაგან შეწვენასა.

ხოლო სადა არს ლმოზიერებაჲ და სიყუარული და სიმდაბლჳ, მუნ ვერარად ძალ-უც გულისწყრომასა და ძვრისწსენებასა, არცა სხუასა რას ვნებასა, ვითარცა თქუა მამამან ზოსიმე, ვითარმედ: „უკუეთუ აღძრნეს ყოველნი მანქანე-

¹ და შეუვრდენ და შეუნდონ και βάλωσι μετόιοιαι και διαλλαγήσιν 94.6-7] და შეუნდონ A; და შეუვრდენ B

ბანი უკეთურებისა მისისანი ეშმაკმან, ყოველთა ეშმაკთა მისთა თანა, ყოველნივე მოუძღურდებიან და შეიმუსრვიან სიმდაბლისა მიერ მცნებისა ქრისტჳსისა“. და კუალად ნერილ არს: „რომელი ულოცვიდეს მტერთა თჳსთა, იგი ძკრუჳსენებელ არს“. იქმოდეთ და გულისხმა-ყავთ კეთილად, რადცა გესმოდის კეთილი. რამეთუ უკუეთუ საქმით არა იქმოდით, სიტყვთ ვერარას კეთილსა ისნავებთ. ვინ არს კაცი, რომელი ისნავებდეს ჴელსა რასმე და სიტყვთ ოდენმცა დაისნავა იგი? არამედ პირველად დაშურების და იჭირვის და რომელსამე იქმს და განჰრყუნის. და ესრეთ ოდეს იჭირვოდის, ღმერთი შეენევის მას და ისნავებს.

ხოლო ჴელოვნებასა მას ჴელოვნებათასა სიტყვთ ჰლამით დასნავლასა. და ვითარ იქმნეს ესე? ვეკრძალნეთ თავთა ჩუენთა, ძმანო, და ვიქმოდით მოსწრაფებით კეთილსა, ვიდრელა გუაქუს ჟამი.

ღმერთმან მოგუმადლენ დამარხვად, რომელიცა გუესმოდის კეთილი, რადთა არა დასაშჯელად გუექმნეს ჩუენ დღესა მას საშჯელისასა.

თავი 9

თქუმული მისივე ტყუვილისათვის

მნებავს, ძმანო, თქუმად თქუენდა ტყუვილისათვის მცირედ რადმე, რამეთუ გხედავ თქუენ, ვითარმედ არა ისწრაფით დამარხვად ენისა თქუენისა და ამის საქმისაგან მრავალთა ბოროტთა შთაიჭრებით. იხილეთ, ძმანო ჩემნო, რამეთუ ყოველსავე საქმესა ზედა ჩუეულება არს – კეთილსაცა ზედა და ბოროტსაცა, ხოლო გვჯმს ჩუენ ბრძოლად, რადთა არა წარვიტაცებოდით ტყუვილისაგან, რამეთუ არავინ მტყუვარი მიეახლების ღმერთსა, რამეთუ წერილ არს, ვითარმედ: „ტყუვილი ეშმაკისაგან არს“. და კუალად წერილ არს, ვითარმედ: „მტყუვარ არს მამადცა მისი“ (იოან. 8,44). აჰა ესერა, მამად ტყუვილისად იტყვს ეშმაკსა. ხოლო ჭეშმარიტებად არს ღმერთი, რამეთუ იტყვს: „მე ვარ გზად და ჭეშმარიტებად და ცხორებად“ (იოან. 14,6). იხილეთ, თუ ვისგან განვეშორებით, ანუ ვის შევეყოფით ტყუვილითა: საცნაურ არს ესე, ვითარმედ ეშმაკსა. ხოლო უკუეთუ გნებავს ჭეშმარიტად ცხორებად, ვეკრძალნეთ ყოვლითა ძალითა ჩუენითა ტყუვილსა და დავიმჭიროთ ჭეშმარიტი, რადთა არა განვეშორნეთ ჭეშმარიტისა ცხორებისაგან.

ხოლო სამნი ტყუვილნი არიან: არს ტყუვილი გონებით და სიტყვთ და საქმით. გონებითი არს, ოდეს კაცი დაიჯერებდეს ჰაზრსა და ოდეს ვინ იხილოს, ვითარმედ უბნობს მეორისა თანა, იტყვს, ვითარმედ: „ჩემთვის უბნობენ“. და უკუეთუ არღარა უბნობდენ, იტყვს: „ჩემთვის დაუტევეს უბნობად იგი“. და უკუეთუ ვინმე თქუას სიტყუად რადმე, იტყვს, ვითარმედ: „გულისკლებისა ჩემისათვის თქუა“. და ესრეთ, რადცა იხილოს საქმე, მოიგონებს, ვითარმედ: „ჩემთვის ქმნა მან ვინმე ესე საქმე“. ესე არს გონებითი ტყუვილი, რა-

მეთუ არარას ჭეშმარიტსა იგონებს. ხოლო ამისაგან მოვალს განკითხვაჲ მოყუსისაჲ, ყურის მიპყრობაჲ, შფოთი, ძკრისზრახვაჲ. ხოლო ნუჟუკუე რომელი-იგი მან ჰაზრ-ყვის, არნ ეგრე, და მიერითგან ინყის დაჯერებად და სცთებინ იგი მიზეზითა კეთილისაჲთა და იტყვნ, ვითარმედ: „უკუეთუ ვინმე იტყოდის ჩემთვის ბოროტსა რასმე, რაჲთა უკუეთუ მინთომილ ვიყო, განვმართლდე“. ხოლო ვითარ შესაძლებელ არს ესე? რამეთუ მან პირველად ტყუვილით ინყო გამონახვად ჰაზრითა და, რომელი არა იცოდა, მოიგონა. ხოლო ვითარ შესაძლებელ არს, თუმცა ხემან ხენეშმან ნაყოფი კეთილი გამოიღო (მათ. 7,18)? გარნა უკუეთუ უნებს განმართლებად ბოროტისაგან, ოდეს ჰრქუას მას ძმამან მისმან, ვითარმედ: „მაგას რასამე ნუ იქმ, ანუ ეგე რაჲმე არა კეთილად ჰქემნ“, ნუ აღშფოთნების, არამედ მოუდრიკნეს მას მუჴლნი და ჰმადლობდეს, და უკუეთუ იხილოს ღმერთმან ეგევიტარი მისი გულსმოდგინებაჲ, არა უტეოს იგი შთავრდომად ცოდვასა, არამედ მოუვლინოს მას კაცი, რომელი ეტყოდის უმჯობესსა მისსა. ხოლო ესე საქმჴ თუ აგონოს, ვითარმედ ამისთვის დავიჯერებ ჰაზრთა, რაჲთამცა ბოროტისაგან განვიკრძალე, ეშმაკისა მანქანებაჲ არს ესე, რაჲთამცა გუაცთუნა.

ოდეს ვიყავ მე მონასტერსა შინა, მაცთუნებდა მე გულისსიტყუად ჩემი, ვითარმედ შეხედვით ვსცნობ საზომსა კაცისასა. ხოლო ერთ შემემთხვა მე საქმჴ ესევიტარი: ოდესმე ვდეგ და ვიხილე დედაკაცი ერთი, რომელი ნარმოჰვლიდა და ჰქონდა მას წყალი კოკითა. და არა ვიცი, თუ ვითარ აღმიტაცა გონებამან¹ ჩემმან და შევხედენ თუალთა მისთა და ვაგონე, ვითარმედ მეძავი არს, და ესე რაჲ მომეგონა, ფრიად გულსა შემაკლდა და უთხარ ბერსა, მამასა იოვანეს, ესრეთ: „მამაო, უკუეთუ ვისიმე ქცევად ვიხილო და მომეგო-

¹ აღმიტაცა გონებამან *συναπάγει* 98.5] აღმიტაცა ბუნებამან A

ნოს, თუ ეგევიტარი რადმე არს კაცი ესე, კეთილ არსა?“ და მომიცნო ბერმან ესრეთ: „ნუ დაიჯერებ ჰაზრსა, რამეთუ მრუდი ჩუეულებად მართალსაცა განამრუდებს და მტყუ-ვარ არიან ჰაზრნი და მავნებელ“. ხოლო მიერთგან უკუე-თუმცა მრქუა გულისსიტყუამან მზისათვს, თუ მზს არს, ანუ ღამისათვს, თუ ღამს არს, არა დავიჯერი. ეგეზომ ბოროტ არიან ჰაზრნი, რომელ ოდეს დაეყოვნოს ჩუენ თანა, ესეზომ ვიძლევიტ, რომელ საქმესაცა, რომელი არა იყოს, გუეჩუენე-ბოდის.

და გითხრა თქუენ საქმს ეგევიტარი, რომელი მე თვტ მიხილავს, ოდეს ვიყავ მე მონასტერსა მას შინა. იყო მუნ ძმა ვინმე, ფრიად უფლებული ვნებისა ამისგან და ესრეთ დაირწმუნებდა, რომელ არღარა ეგებოდა მისი დაჯერებად საქმისა მისთვს, რომელი მოეგონის, თუ ესრეთ არს. ხოლო ვითარცა ჟამითი-ჟამად ბოროტი იგი წარემატებოდა, და ერთსა დღესა შევიდა მტილსა, რამეთუ მას უმზირდა იგი და ყურსა უპყრობდა, რადთამცა ვინმე იხილა ბოროტისა რადსამე საქმესა ზედა. და იხილა მან ძმა ვერთი, რომელი რეცა თუ ჭამდა ლელუსა. ხოლო იყო პარასკევი და იყო ჟამი, ვითარ მეორს. ხოლო დუმილიტ განვიდა იგი მუნით და ვითარცა წარვიდეს ჟამისზიარებად, და უგო მან თუალი, რადთამცა იხილა, თუ ეზიარების-ძია ძმა ვიგი. და ვითარცა იხილა იგი, ვითარმედ იზანდა ჴელთა, რადთამცა შევიდა და ეზიარა, მეყსეულად წარვიდა და ჰრქუა მამასახლისსა, ვი-თარმედ: „იხილე ძმა ვესე, ვითარ ჰნებავს ზიარებად? და მე ვიხილე იგი დღეს მტილსა შინა, რამეთუ იპარვიდა ლელუსა და ჭამდა“. ხოლო ვითარ შემოვიდა ძმა ვიგი ლმოზიერებიტა დიდითა ზიარებად, რამეთუ იყო იგი სულიერი ფრიად, მოუ-წოდა მას მამამან, ვიდრე არა მიახლებულ იყო მღდელისა, და განიყვანა იგი თვსაგან და ჰრქუა მას: „მიტხარ, ძმაო, რად არს, რომელი ჰქმენ დღეს?“ ხოლო მან ჰრქუა: „სადა,

მამაო?“ ჰრქუა მას მამამან: „ოდეს შეხუედ მტილსა, რასა იქმოდე?“ ხოლო მას განუკვრდა სიტყუასა ამას ზედა და ჰრქუა მას: „მამაო, მე დლეს არცა მტილი მიხილავს, არცა ვიყავ მე აქა, არამედ ანლა მოვედ გზით, რამეთუ ვითარცა გამოვედით ეკლესიით, წარმავლინა მე იკონომოსმან მას რომელსამე საქმესა“. ხოლო იყო საქმე იგი, რომელი თქუა, შორს მრავლითა მილიონითა. და უქმო მამასახლისმან იკონომოსსა და ჰრქუა, ვითარმედ: „სადა წარავლინე ძმაე ესე დლეს?“ ხოლო მანცა იგივე თქუა, რომელი თქუა ძმამან მან და მოიდრიკნა მუქლნი და ჰრქუა: „შემინდვე, მამაო, რამეთუ განისუენებდით თქუენ მცირედ და ამისთვს დავაცადე და არა მოვიყვანე იგი, რადთამცა აილო ლოცვაე თქუენი“. ხოლო ვითარცა გულსმოდგინე იქმნა მამაე, და წარავლინნა იგინი ლოცვით, რადთა ეზიარნენ. და მოუნოდა ძმასა მას და დასდვა მას კანონი და განაყენა იგი ზიარებისაგან, და არა ესეოდენ, არამედ წინაშე ყოველთასა ამხილა მას და ცრემლით ასწავებდა ყოველთა. ხოლო ქმნა ესე სამისა სარგებლისათვს: ერთად, რადთა ეშმაკსა ჰრცხუენეს, რომელმან მოაგონა მას იგი. და მეორედ, რადთა შეენდოს ძმასა მას ცოდვაე იგი სირცხვლითა მით და მიერიტგან შეენიოს მას ღმერთი. ხოლო მესამედ, რადთა ერგოს ძმათა და ეკრძალეზოდინ ვნებასა მას. და ფრიად გუასწავა ჩუენ და ძმასა მას და იტყოდა, ვითარმედ: „არარად უმძიმვს არს ჰაზრთა“, და გკრუენებდა ჩუენ საქმისა მისგან და სახეთა მრავალთა სხუათა გკთხრობდა, რადთა არა დავიჯერებდეთ ჰაზრთა.

არამედ ვისწრაფოთ, ძმანო, ყოვლითა ძალითა ჩუენითა, რადთა არა დავირწმუნებდეთ ჰაზრთა, რამეთუ არარად ესრეთ განაშორებს კაცსა ზრუნვისაგან ცოდვათა თვსთაჲსა, არამედ მარადის გამოეძიებს საქმეთა, რომელნი არად სარგებელ არიან მისა. ამის საქმისაგან არარად კეთილი მოვალს, არამედ ყოვლადვე შფოთი და გულისკლებაე, ამისგან

ვერ მოვიგებთ შიშსა ღმრთისასა. დაღაცათუ ბოროტი რაამე ჰაზრ-ვეყოთ, გარდა-ხოლო-ვაქციოთ იგი კეთილად, რამეთუ ბოროტ არს იჭკ და ფრიად ავნებს სულსა. და ესე არს გონე-ბით ტყუვილი.

ხოლო სიტყვთ ტყუვილი არს, ოდეს კაცსა სცონოდის აღდგომად ლოცვასა და არა იტყვს, ვითარმედ: „შემინდვე, რამეთუ უდებებისაგან ვერ აღვდეგ“, არამედ იტყვს ათსა სიტყუასა, რაფთამცა არა დამდაბლდა და მოიღრიკა ერთი მუჭლი. და კუალად, უკუეთუ ვინმე აბრალოს მას საქმისა რაფსათვსმე, იწყებს მეყსეულად სარჩლად და განმართ-ლებად თავისა თვისისა, ვითარმედ: „შენ სთქუ“, ანუ-თუ: „შენ ქმენ და არა – მე“. და მრავალთა სხუათა იტყვს, რაფ-თამცა არა დამდაბლდა. და კუალად, უკუეთუ რასმე გული უთქუმიდეს, არა იტყვს, თუ ამას რასმე გული მითქუამს, არამედ იწყებს სიტყუათა მოქცევადა, თუ ესე რაამე მჭირს, ანუ-თუ იგი რაამე მჭირს და ესე რაამე მინებს, ვიდრემდის აღასრულის გულისთქუმადა თვისი. რამეთუ ყოველი ცოდვად იქმნების ანუ გემოთმოყუარებისაგან, ანუ ვეცხლისმოყუა-რებისათვის, ანუ დიდებისმოყუარებისათვის. და ეგრეთვე ტყუვილი სამთა ამათგან იქმნების. ანუ ამისთვის ტყუვის კა-ცი, რაფთამცა არა აბრალებს და დამდაბლდა, ანუ რაფთამცა ყო ნებადა თვისი, ანუ რაფთამცა შეიძინა რაამე. ესევეთარისა ამისგან არაფსად ეგების დაჯერებადა, არამედ დაღაცათუ ჭეშმარიტსა იტყოდის, საეჭუელად იპოების იგი.

ხოლო უკუეთუ იყოს საქმეც ესევეთარი რაამე, რომელ უკუეთუ არა დაფაროს, მოვიდოდის იგი უფროფსსა შფოთსა და გულისკლებასა, მაშინ ჭირისა მაგიერ თქუას სიტყუადა ტყუვილით უმეტესისა ბოროტისათვის, ვითარცა ჰრქუა მა-მამან ალონი მამასა აღათონს, ვითარმედ: „აჰა ესერა, ორთა კაცთა წინაშე შენსა კაცი მოკლეს, და ერთი იგი წარვიდა და დაიმალა სენაკსა შინა შენსა, და მსაჯული ეძიებს მას და

გკითხეს შენ, ვითარმედ: „რად იქმნა კაცი იგი?“ და შენ უკუეთუ არა დაჰფარო, მისცემ კაცსა მას სიკუდილად“.

ხოლო ოდეს ჭირი ეგვევითარი მოიწიოს, ნუცა მაშინ უზრუნველ იქმნების კაცი, არამედ რადთა ვევედრებოდის ღმერთსა ცრემლითა და რადთა უჩნდეს ჟამი იგი ჟამად განსაცდელისა. არამედ ზედადსზედა ნუცა ამას იქმან. რამეთუ ვითარცა თერიად და ვითარცა ნამალი განსაწსნელი, უკუეთუ ზედადსზედა ვინმე მიიღებდეს მათ, ავნებენ, ხოლო უკუეთუ წელიწადსა შინა ერთგზის მიიღებდეს ჭირისა რადსათვსმე, ერგებიან ფრიად. ეგრეთვე საქმს ესე ჭირისა მაგიერ, რადთა ტყუოს შიშით და ძრწოლით და რადთა უჩუენოს ღმერთსა გულსმოდგინებადცა თვისი და ჭირიცა იგი და მან დაიცვას, და უკუეთუ არა, ამისგანცა ევნების.

აჰა ესერა, ვთქუთ, თუ რად არს გონებითი ტყუვილი, ანუ-თუ რად არს სიტყვთ ტყუვილი. ხოლო ან ვთქუათ, თუ რად არს ცხორებასა შინა თვისსა ტყუვილი. ცხორებასა შინა თვისსა ტყუვილი არს, ოდეს კაცი მსიძავ იყოს და აჩუენებდეს მარხვასა, ანუ ოდეს იყოს ანგაჰრ და ასწავებდეს მოწყალებასა, ანუ ამჰარტავან იყოს და უკვრდეს სიმდაბლისათვს. და არა ქებისათვს მის სათნოებისა უკვრს იგი, რამეთუ უკუეთუმცა ამით გულისსიტყვთა იტყოდა, პირველადმცა უძლურებად თვისი აღიარა და თქუა: „ვად, მე, უბადრუკსა, რამეთუ დაცუდებულ ვარ ყოვლისა კეთილისაგან“, და მერმემცა აქებდა სათნოებასა მას, არამედ არა ამისთვს აქებს სათნოებასა მას. ხოლო უწმდა მას კრძალვად, რადთამცა არავინ დააბრკოლა და რადთამცა იტყოდა, ვითარმედ: „დაღაცათუ მე უკეთურ ვარ, არამედ სხუასა არა ვავნო“. და დაღაცათუმცა თვთ ცოდვიდა, არამედ თავისა თვისისა ბრალობად სიმდაბლს არს და კეთილ არს ესე, რამეთუ მოყუსისა რიდობად ღმობიერებად არს. არამედ არადსათვს¹ ამ-

¹ არადსათვს ὁὐ κατὰ τινα τούτων 103.20-21] რადსათვს A

ათგანისა აქებს სათნოებასა მას, არამედ რადთამცა დაფარა სირცხვლი თვისი. და ამისთვის შეიმოსს სახელსა სათნოებისასა და უბნობს მისთვის, ანუ რადთამცა ავნო ვისმე, რამეთუ ვერარად ბოროტი, ვერცა მწვალებელი, ვერცა თვთეშაკი რადთ აცთუნებს ვის, უკუეთუ არა შეიმოსოს სახლს სათნოებისად, ვითარცა იტყვს მოციქული, ვითარმედ: „უკუეთუ ეშაკი იცვალოს ანგელოზად ნათლისა, არა დიდ არს, უკუეთუ მსახურთა მისთა შეიმოსონ სახლს მსახურთა სიმართლისათად“ (2 კორ. 11,14-15). ეგრეთვე არს მტყუვარი – ანუ შიშისათვის სირცხვლისა აქებს სათნოებასა, ანუ-თუ ვისიმე უნდეს ცთუნება და ამისთვის აქებდეს სათნოებასა, ვითარმცა თვთ იგი იქმოდა მას. ესე არს, რომელი ტყუვის ყოველსავე შინა ცხორებასა თვისსა. ესე არა არს კაცი მარტივი, არამედ – ორკეცი, სხუად არს შინაგან და სხუად არს გარეგან, ორკეცი არს ცხორებად მისი და ორივე ცთუნებული.

აჰა ესერა, ვთქუთ ტყუვილისათვის, რამეთუ ეშაკისაგან არს, და ვთქუათ ჭეშმარიტებისათვის, ვითარმედ ჭეშმარიტებად ღმერთი არს. ხოლო ან, ძმანო, ვივლტოდით ტყუვილისაგან, რადთა განვერნეთ ნაწილისაგან ეშაკისა და მოვილოთ ჭეშმარიტებად, რადთა მივეახლნეთ მას, რომელმან თქუა: „მე ვარ ჭეშმარიტებად“ (იოან. 14,6). ღმერთმან ღირს-მყვენინ ჩუენ¹ ჭეშმარიტებასა თვისსა.

¹ ჩუენ ἡμεῖς 103.43] > A

[თქუმული წმიდისა მამისა ჩუენისა დოროთჳსი, რაფთა შრომითა ფრთხილითა ვიდოდეთ გზათა ღმრთისათა]¹

[საკუთარ თავზე ვიზრუნოთ, ძმებო, წინდახედულება გამოვიჩინოთ. ვინ დაგვიბრუნებს ამ დროს, თუ დავკარგავთ? ჭეშმარიტად, საძებარი გაგვიხდება ეს დღეები და ველარ ვიპოვით. აბა არსენი გამუდმებით ეკითხებოდა თავს: „არსენი, რაისთვის მოხველ [ამ ქვეყნად]?“ ჩვენ კი იმგვარ უდარდებლობას მივცემივართ, რომ არც ის ვიცით, რისთვის მოვსულვართ და არც ის, გვინდა თუ არა საერთოდ რამე. ამიტომაც არათუ წინ ვერ წავწეულვართ, გამუდმებით ვჭმუნვართ. ეს კი იმის გამო გვემართება, რომ კრძალვა არ გვაქვს: არადა, თუ მოვინდომებდით, რომ ცოტათი მაინც გველონა რამე, ზედმეტად არც ჭმუნვა მოგვიწევდა და არც დიდი შრომა.

მართლაც, თუ ვინმე დასაწყისისთვის ძალას დაატანს თავს, მერე, საქმეში ჩართული, ნაბიჯ-ნაბიჯ წაიწევს წინ, ხოლო როცა ღმერთი მის თავგამოდებას დაინახავს, შეწვენას არ მოაკლებს და გაასრულებინებს კიდევ საქმეს გაუჭირვებლად.

მაშ, ჩვენც დავატანოთ თავს ძალა, შევუდგეთ საქმეს და ვინებოთ კეთილად გარჯა. მართალია, ამით ჯერ კიდევ არ ვართ სრულყოფილებას მიწევნულნი, მაგრამ თვით ეს სურვილი, რომელიც გაგვიჩნდა, ჩვენი ხსნის დასაწყისია. ამ სურვილის გაჩენით ჩვენ უკვე ღმერთთან ერთად ვართ და ღვანლისკენ მივისწრაფით; გარჯა-მოღვაწეობას კი მოსდევს [ღვთის] შეწვენა სათნოებათა მოსაპოვებლად. ამის-

¹ თქუმული წმიდისა მამისა ჩუენისა დოროთჳსი, რაფთა შრომითა ფრთხილითა ვიდოდეთ გზათა ღმრთისათა A-1386] lac AB

თვის ამბობს ერთი მამა: „გაიღე სისხლი და მიიღე სული“. ანუ ეს ნიშნავს: იღვანე და მოიპოვე სათნოება.

როცა გარეშე მეცნიერებათა შესწავლას ვენაფებოდი, თავიდან მეტად მიმძიმდა და ნიგნის ასაღებად ისე მივდიოდი, როგორც ოდესღაც მხეცის დასაჭერად. მას შემდეგ, რაც თავს ძალა დავატანე და განვმტკიცდი [ჩემს ღვანლში], ღმერთი შემენია და ამ საქმეს იმდენად დავეუფლე, რომ კითხვის წადილით ანთებულს აღარც კი მახსოვდა, რას ვჭამდი, რას ვსვამდი, ან როგორ მეძინა. ვერასოდეს დამიყოლიებდა რომელიმე მეგობარი, რომ სატრაპეზოდ მასთან ერთად წავსულიყავი; კითხვის დროს მათთან საუბარშიც კი არ ვებმებოდი, მიუხედავად იმისა, რომ ურთიერთობებიც მიყვარდა და ამხანაგებიც.]¹

ხოლო ოდეს წარვიდი სასწავლოდ, დავიბანი, რამეთუ მრავლისა კითხვისაგან ვერ მოვითმენდი უბანელად, და მერმე წარვიდი სანოლად ჩემდა. ხოლო მყვა მე მოყუარვ ერთი და იგი განმიმზადებდა მე საჭამადსა და რააცა რაე განემზადის, მას ვჭამი. და ვჭამდი რაე, ნიგნი თანამიცნ და ვიკითხვიდი. და ოდეს დავიძინი, მახლობელად ჩემსა ძენ, საკარცხულთა ზედა. მცირედ რაე დავიძინი, მეყსეულად აღვდგი და ვიკითხვიდი. და კუალად მწუხრსა აღვინთი სანთელი და შუვალამემდე ვიკითხვიდი. ხოლო ოდეს მოვედ მონასტრად, ვეტყოდე თავსა ჩემსა, უკუეთუ საფილოსოფოსოსა სწავლასა ზედა ეგევითარი სიმწნვ მქონდა, ვითარმედ უფროესლა ან ჯერ-არს, რაეთა მქონდის მჭურვალეზაე ეგევითარი სულიერთა სათნოებათა ზედა. და მომეცემოდა ფრიადი ძალი საქმისა ამისაგან.

ხოლო ესრეთ უწყოდეთ, ვითარმედ რომელსა უნდეს მოგეზაე სათნოებათაე, არა უწმს მას განცხრომაე, არცა

¹ საკუთარ თავზე ვიზრუნოთ... ურთიერთობებიც მიყვარდა და ამხანაგებიც Gr 104-105] lac AB

უნესოება, არამედ რადთა მას ოდენ ებრძოდის. რამეთუ ვითარცა კაცსა, რომელსა უნდეს სწავლად ხუროებისაჲ, არა ებრძვის სხუასა ჳელსა, არამედ – მას ოდენ, ეგრეთვე უჳმს, რომელსა უნდეს მოგებაჲ სათნოებისაჲ რადსამე, რადთა სხუასა საქმესა არარას მიხედვიდეს, არამედ რადთა ღამე და დღე მას იწურთიდეს, თუ ვითარ მოიგოს იგი. ხოლო რომელი არა ამით სახითა ებრძოდის საქმესა სულიერებრსა, იგი ურგებად იჭირვის. რამეთუ უკუეთუ კაცმან არა ფრთხილად დაიცვას თავი თვისი, მალე მიდრკების იგი მართლისა გზისაგან, რამეთუ სათნოებანი საშუვალნი არიან, ვითარცა თქუა წმიდამან ბერმან, ვითარმედ: „გზასა სამეუფოსა ვიდოდეთ და მილთა თუალევიდით“. ხოლო, ვითარცა ვთქუ, სათნოებანი საშუვალნი არიან, რამეთუ არცა მეტი არს კეთილ, არცა ნაკლული. ამისთვის წერილ არს, ვითარმედ: „ნუ მისდრკები მარჯუნ, ნუცა მარცხნ, არამედ გზასა სამეუფოსა ვიდოდეთ“ (შდრ. რიცხ. 20,17; 2 სჯ. 5,32; იგავ. 4,27). და წმიდაჲ ბასილი იტყვს, ვითარმედ: „წრფელი გულითა იგი არს, რომლისა გული არა იყოს მოყუარე მეტისა, გინა ნაკლულისა, არამედ რადთა დგეს იგი საშუვალსა გზასა ზედა სათნოებათასა“. რამეთუ მე ამას ვიტყვ, ვითარმედ ცოდვაჲ თავით თვისით არარად არს, არცა არსება არს იგი, არცა ჳორცნი ასხენ, ნუ იყოფინ! არამედ ოდეს სული მიდრკეს სათნოებისაგან, იქმნების იგი ვნებულ და მერმე აღასრულებს იგი ბოროტსა და მერმე მის მიერ იტანჯვის, რამეთუ ბუნებითსა განსუენებასა ვერას ჰპოებს მის თანა. ვითარცა შეშაჲ, არა-თუ თვთ შეშასა შინა არს ჭიად, არამედ იქმნების მას შინა მცირედი სიმჰალჳ და სიმჰალისა მისგან იშვების ჭიად და ჭიად იგი შეშჰამს მას. და ვითარცა სპილენძი თვთ იქმს გესლსა და თვთვე გესლისა მისგან განილევის. და ვითარცა სამოსელი თვთ იქმს გრკილსა და მერმე მისგან შობილი იგი გრკილი განხრწნის მას. ეგრევე სული

თვით შობს ბოროტსა, და რომელი-იგი არასადა ჩდა და არცა სადა იყო, და მერმე თვით სული იტანჯვის ბოროტისა მისგან. ვითარცა ჯორცნი უძღურნი, რამეთუ ოდეს რაიმე ევნოს სნეულსა და არა განიკურნოს თავი თვისი სიმრთლესავე თვისსა, ნივთთა მისთაგანი ერთი ანუ აღემატების, ანუ დააკლედების და მისგან დასნეულდების. და კუალად, ოდეს განმრთელდეს, არასადა იპოების სნეულებად იგი. ეგრეთვე ცოდვად სენი არს სულისა. რაჟამს დააკლდეს სული სიმრთლისაგან თვისისა ბუნებითისა, რომელ არს სათნოებად, მეყსეულად მოუძღურდების.

ხოლო, ვითარცა ვთქუთ, სათნოებანი საშუევალნი არიან, რამეთუ სიმწნწ საშუევალნი არს მოშიშებისა და სიფიცხლისა, და სიმდაბლწ საშუევალნი არს [ამპარტავანებისა და კაცთმოთნებისა, კრძალულება საშუევალნი არს]¹ სირცხვლისა და ურცხვანობისა, და ეგრეთვე მსგავსად – ყოველნი სათნოებანი. და უკუეთუ იპოოს კაცი, რაითა ღირს-იქმნას დამარხვად სათნოებათა ამათ, იგი იპოოს პატიოსან წინაშე ღმრთისა. ხოლო უკუეთუ არა იმარხვიდეს კაცი თავსა თვისსა ფრთხილად, ადრე მიდრკეს იგი მარჯულ ანუ მარცხლ. ესე არს: ანუ სიმადლედ, ანუ სიმდაბლედ, და მერმე მოუძღურდების სული.

აჰა ესერა, ესე არს გზად იგი სამეუფოდ, რომელი ვლეს ყოველთა წმიდათა. ხოლო მილნი ესე არიან ცხორებანი თითოსახენი, რომელთად უნებს კაცსა თუალვად ყოვლადვე და ხედვად, თუ რომელსა-ძი მილსა მიწვენულ არს. რამეთუ ყოველნივე მსგავს ვართ კაცთა, რომელთა აქუნ გულისსიტყუად წარსლვად იერუსალწმდ. და გამოვიდეს ერთი ქალაქით. და რომელთამე ვლეს ხუთი მილიონი და დადგეს, და რომელთამე ვლეს ათი, და რომელთამე ვლეს ვიდრე ნა-

¹ ამპარტავანებისა და კაცთმოთნებისა, კრძალულება საშუევალნი არს] lac A; > B: homoiot

ხევრადმდე გზისა, და რომელნიმე გამო-ოდენ-ვიდეს ქალაქით თჳსით და ყოვლადვე არა ვლეს, მუნ, გარეგან ქალაქსა დაადგრეს და ქალაქად არა შევიდეს. ეგრეთვე ვართ ჩუენ. რამეთუ არიან ვიეთნიმე ჩუენგანნი, დაუტევეს სოფელი და მოვიდეს მონასტრად გულისსიტყუთა სათნოებათა მოგებისადთა. და რომელთამე წარჰმართეს მცირედი და რომელთამე უფროდსირე წარჰმართეს და დარჩეს, და რომელთამე ნახევარი ვლეს სრბად იგი მათი და დარჩეს, და რომელთამე ყოვლადვე არა წარჰმართეს, არამედ გამოვიდეს იგინი სოფლით და დაადგრეს იგი საქმეთავე შინა სოფლისათა და სიმყრალესა შინა ვნებათასა.

ხოლო არიან ვიეთნიმე, რომელნი აღაშენებენ სათნოებასა რასმე და კუალად დაარლუევენ მას. და კუალად, არიან სხუანი, რომელნი უფროდს აღშენებულისა მის მათისა დაარლუევენ. ხოლო სხუანი არიან, რომელთა წარჰმართნეს სათნოებანი, არამედ აქუნდა მათ ამჰპარტავანებად და შეურაცხყოფად მოყუსისად და დაშთეს იგინი გარეგან ქალაქსა და შინა ვერ შევიდეს, და ვერცა მათ ჰოეს გულისსიტყუსაებრ მათისა, დაღაცათუ ბჭეთა ქალაქისათა მიიწინეს, არამედ შინა ვერ შევიდეს, და იგინიცა ვერ მიემთხვნეს გულისთქუმასა თჳსსა. ხოლო ამისთჳს ვიტყუ, ვითარმედ თითოეულმან ჩუენმან ცანნ, თუ სადა არს. უკუეთუ გამოვიდა ქალაქით თჳსით და დაშთა გარეგან ბჭისა, სიმყრალესა შინა ქალაქისასა, ანუ-თუ წარ-ძი-უვლია მცირედი რადმე, ანუ-თუ ნახევარი წარუვლია, ანუ-თუ უვლია ორი მილიონი და უფროდს სრულა ხუთის მილიონისა, ანუ-თუ მიიწნია ბჭეთა ქალაქისათა და შინა ვერ შევიდა, ანუ-თუ შესრულ არს ქალაქსა მას წმიდასა იერუსალჳმს. თითოეულმანმცა იცის საზომი თჳსი, თუ რომელსა საზომსა არს.

რამეთუ სამნი საზომნი არიან კაცისანი. არს, რომელი აღასრულებდეს ვნებასა, და არს, რომელი დააყენებს მას, და

არს, რომელი აღმოჰყვხურის მას. აღმასრულებელი ვნებისად არს, რომელი იქმოდის მას და იყოს გონებად მისი დამტკიცებულ მას ზედა. ხოლო დამაყენებელი ვნებისად არს, რომელი არცა იქმოდის მას, არცა გარდაჰკუთედეს მას, გარნა თანანარჰყვდებოდის მას, ხოლო ვნებად იგი არს მას შორის. და რომელი აღმოჰყვხურის ვნებასა, არს, რომელი წინა-აღუდგებოდის მას.

ხოლო სამთა ამათ საქმეთა აქუს ფრიადი განყოფად და სივრცე. რამეთუ, აჰა ესერა, ვთქუათ, რომლისათჳსცა გინებს ვნებისა: თუ გინებს ამჰარტავანებისათჳს, თუ გინებს სიძვისათჳს, თუ გინებს, ვთქუათ, უფროდს ყოვლისა ცუდადმზუაობრებისათჳს, რამეთუ უფროდს ყოვლისა ვიდღევით მისგან. ცუდადმზუაობრებისაგან ვერ თავს-იდებს კაცი, რომელი ოდეს რამე ესმას ძმისაგან თჳსისა სიტყუად შეურაცხი, და ერთისა სიტყჳსა წილ მიუგებს ხუთსა გინა-თუ ათსა, და შემდგომად ამისა დაიჭირავს გულსა შინა თჳსსა და ინანის, თუ რად არა ჰრქუა მას უფროდსი, და ჰმზადებს სიტყუათა უფიცხლჳსთა და იტყჳს, თუ რად არა ვარქუ მას ესე რამე და იგი რადმეო. აჰა, ერთი საზომი, რომლისა გული დამტკიცებულ არს ბოროტსა ზედა. ღმერთმან გჳჳსნენინ ჩუენ საქმისა მისგან ეგევითარისა. ესე საქმჳ არს ჯოჯოხეთსა ქუეშე, რამეთუ ყოველი საქმით ცოდვად ჯოჯოხეთისა თანამდებ არს. ხოლო ესევითარსა ამას, დაღაცათუ უნდეს სინანული, ვერ შემძლებელ არს მარტოჲ სინანულად, უკუეთუ არა ჰქონდის შეწვენად ვიეთგანმე წმიდათა, ვითარცა მამანი იტყჳან. ეგრეთვე მე ვიტყჳ: ისწრაფეთ, რაჲთა სძლოთ ვნებათა, ვიდრე არა დაეჩვენეთ მათ.

ხოლო არს სხუად, რომელსა, ოდეს ჰრქუას ვინმე სიტყუად რამე, მეყსეულად აღიძრვის და მიუგებს ხუთსა გინა ათსა ერთისა წილ და გულსა-აკლს, თუ რად არა ჰრქუა სხუად უფროდსი, არამედ გამო-რად-ჴდენ მცირედნი დღენი,

დამშკდების იგი. ხოლო არს სხუად, რომელი დაჰყოფს მსგეფსსა ერთსა და დამშკდების. და არს სხუად, რომელი აღძრვს და აგინებს და მეცსეულად დამშკდების. ხოლო ან იხილეთ, რაოდენნი საზომნი არიან და ყოველნივე ესე თანამდებ არიან ჯოჯოხეთსა, რამეთუ საქმით იქმან ვნებასა.

ვთქუათ ან მათთვისცა, რომელნი დააყენებენ ვნებასა. არს კაცი, რომელსა, ოდეს ესმას რადმე სიტყუად, გულსა შეაკლდების და შეწუნების იგი არა-თუ გინებისათვს, არამედ თუ „რად არა მოვითმინე“. ესევეთარი საზომსა შინა არს მოღუანეთასა, რომელნი დააყენებენ ვნებასა. არს სხუად, რომელი იღუნის და იჭირვის და უკუანაფსკნელ იძლევის იგი სიმძიმისა მისგან ვნებისა მის. არს სხუად, რომელსა არა უნებს ბოროტისა სიტყვსმიგებად, არამედ აღიტაცების იგი ჩუეულებისაგან. არს სხუად, რომელი იღუნის არამიგებად ბოროტისა ყოვლადვე. ხოლო გულსა აკლს მას, რომელ იგინა, არამედ აბრალებს გულსა თვსსა, თუ რად გულსა აკლს გინებისათვს. არს სხუად, რომელსა არა გულსა აკლს, უკუეთუ იგინოს, არამედ არცა კულა უხარიან.

აჰა ესერა, ესე ყოველნი არიან, რომელნი დააყენებენ ვნებასა, ხოლო ორთა მათ აქუს განყოფად სხუათა[გან]. [ერთი, რომელიც მოღვანეობისას მარცხს განიცდის და მეორე, რომელიც ჩვევით გატაცებას ვერ ღალატობს. მათაც იგივე საფრთხე ემუქრებათ, რაც ვნებით აღძრულებს; მათზე ვამბობდი, ვნებასთან ჭიდილში სიმტკიცეს იჩინებთქი. [ვგულისხმობდი], რომ ისინი შინაგანი განწყობით ვნებას ეწინააღმდეგებიან და არ სურთ ვნებით იყვნენ აღძრულნი, მაგრამ [ვერ ახერხებენ და] თან მწუხარებენ და თან იღვნიან. ამბობდნენ კიდევ მამები, რომ ხანმოკლეა ყოველი საქმე, რომელიც სულს არ სწადია. ასეთები მოვალენი არიან ღრმად ჩაუკვირდნენ საკუთარ თავს და გაერკვნენ,

თუ თვით ვნებას არა, რაღაც მის გამომწვევს ხომ არ ემორჩილებიან და ამიტომაც ან მარცხს განიცდიან თავიანთ მოღვაწეობაში, ან ჩვევით გატაცებას ვერ ღალატობენ.

მაგრამ არიან ისეთი მოღვაწენიც, რომლებიც ვნებასთან ჭიდილში სიმტკიცეს კი იჩენენ, თუმცა სხვა ვნების გამო. მართლაც, ზოგი დუმს, მაგრამ ქედმაღლობის გამო, ზოგი დუმს, მაგრამ კაცთმოთნეობის, ან სხვა რამ ვნების გამო. ასეთები ცდილობენ ბოროტება ბოროტებით განკურნონ. აბბა პიმენი კი ამბობდა, რომ ბოროტებას ბოროტება ვერა-ნაირად ვერ აღმოფხვრის. ესენი ვნების კარნახით მოქმედ-თა რიგს მიეკუთვნებიან, თუმცა კი თავს იტყუებენ.

იმათზეც გვინდა ვთქვათ, რომლებმაც ვნება საერთოდ ამოძირკვეს. მათ შორის არის ვინმე, ვისაც უხარია, რომ წყენა მიაყენეს, მაგრამ უხარია იმიტომ, რომ ჯილდოს ელო-დება. ეს იმათგანია, ვინც ვნება კი აღმოფხვრა, მაგრამ შეუგნებლად. არის სხვა, რომელსაც წყენა მიაყენეს და უხა-რია, მაგრამ უხარია იმიტომ, რომ წყენა დამსახურებულად მიადგა, ვინაიდან წყენის მოსაყენებლად მიზეზი თავადვე მისცა. ასეთი შეგნებულად აღმოფხვრის ვნებას. მართ-ლაც, წყენის დათმენა, მისი მიზეზის საკუთარ თავში პოვნა და თავისდა კუთვნილად მიღება ყოველისა, რაც მოგწვევა, გონივრული განსჯის შედეგია. ყოველი მლოცველი, რო-მელიც ღმერთს ევედრება: „უფალო, მომეც მე სიმდაბლე“, მოვალეა იცოდეს, რომ ეს ასე უნდა გავიგოთ: მლოცველი ღმერთს სთხოვს, გამოუგზავნოს ვინმე, ვინც მას წყენას მიაყენებს და მას შემდეგ, რაც წყენა მიადგება ვინმესგან, მოვალეა გონებაში თვითონაც განიკითხოს და დაიკინოს თავი. ანუ სხვამ გარედან უნდა დაამდაბლოს, თვითონ კი თავისი თავი შინაგანად უნდა დაიმდაბლოს. არის კიდევ სხვა, რომელსაც არა მხოლოდ უხარია, რომ წყენა მიაყენეს, და [არა მხოლოდ] თავის თავს მიიჩნევს წყენის მიყენების

მიზეზად, არამედ წუხს კიდეც იმის გამო, რომ თავისი მანყინების შესწავლა მოუხდა. დაე, ჩვენც ამგვარ სულიერ მდგომარეობას მიგვაახლოს ღმერთმა.

ნახეთ, რაოდენ ფართოა ამ სამი სახის სულიერი მდგომარეობის სივრცე. როგორც ვთქვი, თითოეულმა ჩვენგანმა უნდა გაიაზროს, რომელ სულიერ მდგომარეობაშია თვითონ: ან სწორედ საკუთარი სურვილით მოქმედებს ვნების კარნახით და ცოდვას ეძლევა; ან სურვილი აქვს, არ გააკეთოს ეს, მაგრამ [ამ ჭიდილში] დამარცხებული ან ჩვევით გატაცებული მაინც ემორჩილება ვნებას, და მას შემდეგ, რაც ვნებით დაეცემა, ითრგუნება და ნანობს, რომ მისი კარნახით იმოქმედა; ან გააზრებით იღვწის, რომ ვნებას წინ აღუდგეს; ან ერთი სახის ვნებას ებრძვის სხვა ვნების მეშვეობით, როგორც უკვე ვთქვით: ზოგი დუმს, მაგრამ ქედმაღლობის გამო, ზოგი დუმს, მაგრამ კაცთმოთნეობის, ან, მარტივად რომ ვთქვათ, სხვა რამ ადამიანური გათვლის გამო. აგრეთვე, თუ დაიწყო ვნების ამოძიკვა, თუ ძიკვავს მას შეგნებულად და თუ აკეთებს რამეს ვნების საწინააღმდეგოდ. თითოეულმა უნდა გაიაზროს, სად, რომელ ასპარეზზე იმყოფება, ვინაიდან ჩვენ მოვალენი ვართ არა მხოლოდ ყოველდღიურად, არამედ ყოველწლიურად, ყოველთვიურად და ყოველკვირეულადაც თვალყური ვადევნოთ ჩვენს თავს და ვკითხოთ მას: წინა კვირაში მე როგორღაც გულს მიღრღნიდა ესა და ეს ვნება. ან კი ნეტავ როგორ ვარ? ასევე ყოველ წელს უნდა ვკითხოთ ჩვენს თავს: ერთი წლის წინ ჩემზე მძლავრობდა ესა და ეს ვნება. ან კი როგორ ვარ? და ასე ყოველდღიურად უნდა ვამოწმოთ ჩვენი თავი, მცირედ მაინც თუ წავინიეთ წინ, თუ იმავე ადგილს ვტკეპნით, ან უარესობაში ხომ არ ჩავცვივდით.

ღმერთმა მოგვცეს ძალა, თუ ვნება ჯერაც ვერ ამოვიძიკვეთ, ვნების კარნახით მაინც არ ვიმოქმედოთ და წინ

აღვუდგეთ მას. ჭეშმარიტად მძიმეა, მოქმედებდე ვნების კარნახით და წინ არ აღუდგებოდე მას. მე გეტყვით მაგალითს, თუ ვის ემსგავსება ადამიანი, რომელიც ვნების კარნახით მოქმედებს და ცოდვას ეძლევა. იგი მსგავსია იმ ადამიანისა, რომელიც მტრისგან ნატყორცნი ისრებითაა განმსჭვალული, ამოიღებს ამ ისრებს საკუთარი ხელით და გულში იძგერებს. ის, ვინც ვნებას წინ აღუდგება, ჰგავს იმ ადამიანს, ვისაც მტერმა სტყორცნა ისრები, მაგრამ მან ჯაჭვი შემოიცვა და გულიდან აიცილია. ის კი, ვინც ამოძირკვა ვნება, ისარნატყორცნ და ისრით გამსჭვალულ ადამიანს ედრება, რომელმაც ან დალენა ისინი, ან სულაც, უკუმიმართა მტრის გულისკენ, როგორც ფსალმუნშია ნათქვამი: „მახვლი მათი განენონენ გულსა მათსა, და მშკლდი მათი შეიმუსრენ“ (ფსალმ. 36,15). მაშ, ჩვენც საგულდაგულოდ შევეცადოთ, ძმებო, სანამ ის ვერ მოგვიხერხებია, რომ მტრების იარაღი მათივე გულებისკენ უკუვაქციოთ, ნურც იმას ვიზამთ, რომ ეს ისრები მივიღოთ და ჩვენსავე გულში ვიძგეროთ, არამედ ჯაჭვით შევიმოსოთ, რათა მათგან იარა არ გაგვიჩნდეს. გვფარავდეს მათგან სახიერი ღმერთი, მოგვცეს მღვიძარება და დაგვაყენოს თავის გზაზე. ამინ.]¹

¹ იმათგან, რომლებიც ვნებასთან ჭიდილში... და დაგვაყენოს თავის გზაზე. ამინ. Gr 109-112] lac AB

**თქუმული მისივე, რაფთა ვისწრაფდეთ მონყუედად
ვნებათა, ვიდრელა იყვნენ მცირე და ვიდრე არღა
დაჩუეულ იყვნენ სულნი ჩუენნი საქმესა მათსა**

ეკრძალენით, ძმანო, თავთა თქუენთა ყოვლითა ძალითა თქუენითა და სძლოთ ვნებათა, ვიდრელა იყვნენ მცირე, რამეთუ მცირედიცა უღბებად დიდთა ცოდვათა მოგკყვანებს ჩუენ.

მივედ დღეთა მათ ძმისა ვისამე და ვპოე იგი ნასნებად. და უბნობასა შინა ჩუენსა ვცან, ვითარმედ შკდსა ოდენ დღესა შეიპყრა იგი მჭურვალეზამან და, აჰა ესერა, აქუს ორმეოცი დღჳ და ვერ განმრთელდა. იხილეთ, ძმანო, ვითარ ბოროტ არს, ოდეს კაცი შევარდეს უძლურებასა შინა, რამეთუ პირველად არა ეკრძალებინ მავნებელთა მისთა საქმელთა და არა იცის, თუ უკუეთუ მოუძღურდენ ჳორცინი მისნი და უფროდსლა, უკუეთუ თვთ პირველითგან უძღურ იყვნენ, ძნიადღა იქმნების განმრთელებად მისი.

იხილეთ, ვითარ შკდსა ოდენ დღესა განაჭურვა ძმად იგი და, აჰა ესერა, ორმეოცი დღჳ აქუს და ვერ გამომრთელდა. ხოლო ეგრეთვე არს საქმჳ სულისაჲ, რამეთუ პირველად იქმს კაცი მცირესა რასმე ცოდვასა და ესრეთ მრავალჟამ იჭირვის, რაფთამცა მოინყვდა იგი. და ჳორციელთა საქმეთა ზედა მრავალთა მიზეზთა ვჰპოებთ: ანუ-თუ ნამალნი ძუელნი იყვნიან და ვერ გუარგიან, ანუ-თუ მკურნალი გამოუცდელი არნ და სხუად სხჳსა ნამლისა წილ მოგუცის, ანუ-თუ თვთ უძღურმან არა უსმინის სიტყუასა მკურნალისასა, არამედ ქმნის რაფმე საქმჳ მავნებელი თვსი და ამისთჳს ვერ განმრთელდის. ხოლო სულიერთა საქმეთა ზედა არა ესრეთ არს, რამეთუ არცა მკურნალი გამოუცდელი

არს (ამას ვიტყვ, ნუ იყოფინ!) და არა მოგუცნა ჩუენ წამალ-
ნი თითოეულისა სენისაებრ შეზავებულნი, რამეთუ ქრისტე
არს მკურნალი სულთა ჩუენთაჲ და მან უწყის თითოეულისა
ვნებისა წამალი. რამეთუ ამპარტავანებისა წამლად მოგუცა
ჩუენ სიმდაბლჳ, ხოლო გემოდთმოყუარებისათჳს – მარხ-
ვაჲ, და ვეცხლისმოყუარებისათჳს – მონყალებაჲ, და ესრეთ
თითოეულისა ვნებისათჳს მოგუცა წამალი შეზავებული,
და საცნაურ არს, ვითარმედ მკურნალი იგი ჩუენი არა არს
გამოუცდელ და არა-თუ წამალნი იგი მისნი სიძუელისაგან
ურგებ არიან, რამეთუ მცნებანი ქრისტჳსნი არაოდეს და-
ძუელდებიან, არამედ რაჲზომცა ვინ იქმოდის მათ, ეგებომ-
ცა განახლდებიან.

ხოლო ან უკუეთუ მკურნალი იგი არა გამოუცდელი არს
და არცა წამალნი იგი მისნი სიძუელისაგან ურგებ არიან,
ძმანო ჩემნო, რაჲლა არს დამაყენებელ ჩუენდა განკურ-
ნებისაგან? იცითმცა, ვითარმედ არარაჲ არს, არამედ –
სიბოროტჳ ჩუენი, რამეთუ ვიქმთ საქმეთა მავნებელთა
ჩუენთა.

ხოლო ან ვეკრძალნეთ თავთა ჩუენთა, ჰ, ძმანო, განვი-
ფრთხოთ და ვისწრაფდეთ, ვიდრეღა ჟამი გუაქუს. რად
უღებებასა შინა ვართ? მოვედით, ვქმნეთ კეთილი რაჲმე,
რაჲთა ვპოოთ ჟამსა განსაცდელისასა შეწვენაჲ. რად წარ-
ვსწყმედთ ცხორებასა ჩუენსა? ესეზომთა წიგნთა ვიკით-
ხავთ და არა გუტკივის ჩუენ, არამედ თანაწარვჳდებით.
ვხედავთ ძმათა ჩუენთა ჩუენ შორის, ვითარ სიკუდილი წა-
რიტაცებს და არა გუემინის, და ვიცით, ვითარმედ ჩუენცა
მცირე-მცირედ მივეახლებით სიკუდილსა.

აჳა ესერა, ვინაჲთგან ვიწყეთ სიტყუად, გარდავჳდადეთ
ორი ჟამი, გინა სამი ცხორებისა ჩუენისაჲ და მივეახლენით
სიკუდილსა და ვხედავთ, ვითარ წარვლენ ჟამნი ჩუენნი და
არა გუემინის და არა მოვიწსენებთ სიტყუასა მის ბერი-

სასა, რომელსა იტყვს, ვითარმედ: „ოქროდ ანუ ვეცხლი უკუეთუ ვინ წარსწყმიდოს, შემძლებელ არს მისა ნაცვლად სხვსა პოვნად, ხოლო ჟამი რომელმან წარსწყმიდოს, მისა ნაცვლად სხუასა ვერ ჰპოებს“. ჭემმარიტსა ვიტყვ, რომელ ვეძიებდეთ ჟამთა ამათაგანსა ერთსა ჟამსა და არა ვჰპოებდეთ. რაოდენთა უნებს, რადთამცა ესმა ერთი სიტყუად ღმრთისად და არა ეპოების მათ და ჩუენ ესეზომნი სიტყუანი ღმრთისანი გუასამიენ და უგულებელს-ვჰყოფთ მათ და არა განვიღვძებთ. გრწმენინ ჩემი! მიკვრს ესეზომი ესე სიბრმე ჩუენი, რამეთუ შეგვძლია ცხორება და არა გუნებავს. შემძლებელ ვართ, ვიდრელა არიან ვნებანი ჩუენნი ჩჩვლ, მონყუედად მათდა და არა გუნებავს, არამედ მიუშუებთ მათ განფიცებად, რადთა უკუანაფსკნელი ჩუენი უბოროტვს იყოს პირველისა. რამეთუ სხუად არს აღმოფხურად მცირისა თივისად და სხუად არს დიდისა ხისად.

ჯდა ბერი ვინმე დიდი მონაფეთა თვსთა თანა ადგილსა ერთსა, რომელსა იყვნეს კვპაროზნი თითოსახენი, დიდროვანნი და მცირენიცა. და ჰრქუა ბერმან ერთსა მონაფეთა მისთაგანსა: „აღმოჰფხურა კვპაროზი ესე!“ ხოლო იგი იყო ფრიად მცირე და მეყსეულად ერთითა ჴელითა აღმოფხურა იგი. მაშინ უჩუენა მას სხუადცა უფროფსი. ხოლო დიდითა შრომითა აღმოფხურა იგიცა. და კუალად უჩუენა მას სხუად დიდი, და მივიდა და ფრიად შურა და აღმოფხურა იგიცა. ხოლო მერმე უჩუენა მას სხუად უფროფსი, და ფრიად დაშურა და ვერ აღმოფხურა იგი. მაშინ, ვითარცა იხილა იგი, ვითარმედ ვერშემძლებელ არს, უბრძანა სხუასაცა ძმასა შენვენად მისა და ესრეთ ორთავე აღმოფხურეს იგი. მაშინ ჰრქუა ბერმან ძმათა მათ: „აჰა ესერა, ძმანო, ესრეთვე არიან ვნებანი, რადზომცა იყვნენ მცირე, შემძლებელ ვართ უჭირველად მოკუეთად მათდა. ხოლო რადზომცა განფიცდენ, უფროფსი შრომად გვწებს. ხოლო უკუეთუ უმეტესადრე

განფიცდენ, ვერცალა შრომით ვსძლევთ მათ, უკუეთუ არა გუაქუნდეს ჩუენ შენეენაჲ კაცთა წმიდათაგან. იხილეთ, თუ რაჲზომი ძალი აქუს სიტყუასა წმიდათა ბერთასა.

და კუალად წინაღწარმეტყუელი იტყვს ამისთჳს: „ასუ-ლო ბაბილონისაო, უბადრუკო, ნეტარ არს, რომელმან მიგაგოს შენ მისაგებელი შენი, რომელ შენ მომაგე ჩუენ. ნეტარ არს, რომელმან შეახეთქნეს ჩჩკლნი შენნი კლდესა“ (ფსალმ. 136,8-9). გამოვიძიოთ უკუე, რაჲ არს სიტყუაჲ ესე. ბაბილონად უწოდს გულისთქუმასა, რამეთუ ესრეთ გამოითარგმანების ესე, რამეთუ სულსა პირველად გული-უთქუამს და ესრეთ აღასრულებს ცოდვასა. ხოლო უბადრუკ ამისთჳს უწოდს მას, რამეთუ, ვითარცა პირველად ვთქუ, ცოდვაჲ უჯორცოჲ არს და არარაჲ და ჩუენისა უღბებისაგან მოვალს არსად. და კუალად, უკუეთუ ვისწრაფოთ, მოსწრაფებითა ჩუენითა იქმნების იგი უჩინო და არარა. ხოლო ეტყვს მას წინაღწარმეტყუელი: „ნეტარ არს, რომელმან მიგაგოს მისაგებელი შენი, რომელ შენ მომაგე ჩუენ“. გულისხმა-ვყოთ უკუე რაჲ მივეციოთ¹, ანუ მან რაჲ მოგუაგო, ანუ რაჲ გვნებს ჩუენ მიგებაჲ. მივეციოთ ნებაჲ ჩუენი და ნაცვალად მოვიღეთ ცოდვაჲ.

ხოლო აწ ჰნატრის წინაღწარმეტყუელი მათ, რომელთა კუალად მიაგონ იგი. ხოლო რაჲ არს მიგებაჲ მისი? რაჲთა არლარა ქმნას იგი. და კუალად იტყვს: „ნეტარ არს, რომელმან შეუპყრას ჩჩკლთა შენთა და შეახეთქნეს იგინი კლდესა“. ესე არს, ვითარმედ ნეტარ არს, რომელმან ნაშობნი შენნი, რომელ არიან ბოროტნი გულისსიტყუანი, არა უტევენა მის შორის აღზრდად და აღსრულებად ბოროტისა, არამედ ვიდრელა იყვნეს იგინი ჩჩკლ, ვიდრე არლა აღზრდილ იყვნეს და განფიცებულ მის ზედა, შეიპყრნა და შეახეთქნა იგინი კლდესა, რომელ არს ქრისტჳ.

¹ რაჲ მივეციოთ τὴ μὲν ἐδώκαμεν 116.11-12] რაჲმე ვიცით AB

აჰა ესერა, ძმანო, იხილეთ, ვითარ წმიდანი მამანი და წმიდანი წერილნი ერთბამად გუასნავებენ მოწყუედად, ვიდრელა არიან ვნებანი ჩჩვლ და ვიდრე არლა გუეხილოს გემოდ სიმნარისა და¹ უკეთურებისა მათისაჲ. ვისწრაფოთ, ძმანო, რაჲთა ვპოოთ წყალობაჲ, დავშურეთ მცირედ, რაჲთა ვპოოთ განსუენებაჲ მრავალჟამ. თქუეს მამათა, ვითარმედ უჴმს კაცსა, რაჲთა ყოველთა მწუხრთა გამოეძიებდეს, თუ ვითარ გარდავლო დღჳ იგი. და კუალად, ყოველთა დილეულთა გამოეძიებდეს, თუ ვითარ გარდავლო ღამჳ იგი და რაჲცა ცოდვაჲ ექმნას, ინანდეს მას წინაშე ღმრთისა. ხოლო ჩუენ, მოვიწყეთა ამათ გონებათა ჩუენთათჳს, გვნებს ყოველთა ჟამთა გამოწულილვაჲ თავთა ჩუენთაჲ, თუ რასა ზედა გვცოდავს, და რაჲთა თითოეული ჩუენი იტყოდის თავისა თჳსისა შორის: ნუუკუე დავაბრკოლე რასამე ზედა ძმად ჩემი, ანუ-თუ ვიხილე იგი საქმესა რასამე ზედა და განვიკითხე იგი, ანუ-თუ წუენი არა ჰამო იყო და ვთქუ რაჲმე და ვარცხვნიე ოსტიგანსა და ვავნე მას, ანუ მე თვთ გულსა შინა ჩემსა ვიდრტვნიე, რამეთუ გულსა შინაცა თჳსსა დრტვნივად ცოდვაჲ არს. და კუალად რაჲთა ვიტყოდით: ნუუკუე მრქუა მე დეკანოზმან ანუ სხუამან ვინმე ძმამან სიტყუად და არა ვიტვრთე იგი, არამედ წინააღუდეგ მას. და ესრეთ გვნებს გამოძიებაჲ ყოვლადვე, თუ ვითარ გარდავჴვადეთ დღჳ იგი, და კუალად, ვითარ უკუე გარდავლეთ ღამჳ იგი, და რაჲთა ვიტყოდით: „ნუუკუე ლოცვად არა გულსმოდგინებით ვდეგ, ანუ-თუ მიწმო ძმამან ვინმე ლოცვად და აღვშფოთენ მისთჳს, ანუ ვიდრტვნიე“.

ხოლო უწყითმცა, ვითარმედ რომელმან აღადგინოს ძმად თჳსი ლოცვად, დიდსა კეთილსა უყოფს მას, რამეთუ აღადგენს უბნობად ღმრთისა და თხოვად შენდობასა ცოდვათა თჳსთასა და განათლებაჲდ სულისა მისისა. და უფროდსდა

¹ და καὶ 117.4] > A

უნებს მისდა მადლობა და რაღათა იგონებდეს, ვითარმედ მის მიერ არს ცხორებად მისი.

და გითხრა თქუენ საქმე ღიდი, რომელი მითხრა მე ბერმან წმიდამან, დიდმან წინადასწარმცნობელმან, ვითარმედ: „ოდეს იწყიან ძმათა ლოცვად, ვხედევდ მე კაცსა ვისმე შუენიერსა, რომელსა ემოსა სამოსელი სამღდელო, რომელი გამოვალნ საკურთხეველით და აქუნ ჴელთა მისთა ევლოგიად კოლოფითა და დაანის პატრუკი და მოჰვლინ ყოველთა ძმათა და ყოველთავე დაჰბეჭდავენ მითა ჴუარის სახედ. ხოლო რომელნი არა პოვნის, რომელთამე ადგილები ეგრეთვე დაჰბეჭდის, ხოლო რომელთასამე თანაწარჰჴდის. და კუალად, ოდეს მოვიდიან ჟამსა გამოსლვისასა ეკლესიით, ხედავენ მას ბერი იგი გამომავალსა საკურთხეველით, და იქმნ ეგრეთვე. ხოლო ერთსა შინა დღესა შეიპყრა იგი ბერმან და შეუვრდა ფერჴთა მისთა და ევედრა, რაღათამცა უთხრა მას, თუ ვინ არს იგი, ანუ რაა არს, რომელსა იგი იქმს. მიუგო და ჰრქუა მას: „მე ვარ ანგელოზი ღმრთისა და მაქუს ბრძანებად, რაღათა მივსცემდე ევლოგიასა ამას ყოველთა ძმათა, რომელნიცა დაწყებითგან ვიდრე განშორებამდე არიან ლოცვასა შინა გულსმოდგინებისა მათისათჴს. ხოლო ბერმან ჰრქუა მას: „და ვითარ რომელთამე ვერ ჰპოებ და ადგილსა მათსა დაჰბეჭდავ და, რომელთასამე – არა?“ მიუგო მას წმიდამან ანგელოზმან და ჰრქუა: „რომელნიცა ძმანი არიან მოსწრაფენი ლოცვასა და უძღურ არიან და სიტყვთა მამათაღთა განისუენებენ, მათცა მიეცემის ევლოგიად. და კუალად, რომელნი არიან მსახურებასა შინა და არა სცალს მოსლვად ეკლესიასა, მათცა მიეცემის. ხოლო მარტოდ მათ არა ხუდების, რომელთა შეუძლია აღდგომა და ლოცვად და უდებებისაგან არა აღდგებიან. მათ ოდენ არა ხუდების, რამეთუ იგინი თვთ უღირს-ჰყოფენ თავთა მათთა“. აჰა ესერა, იხილეთ, ძმანო, თუ ვითარისა კეთილისა წინამძღუარ ექმ-

ნების ძმასა თქსსა, რომელი აღადგინებდეს მას კანონსა ეკლესიისასა.

ხოლო ან ისწრაფეთ, ძმანო, რაათა არა დაგჭირდეს თქუენ ბეჭედი იგი წმიდისა ანგელოზისაჲ, არამედ დაღაცათუ ვისმე თქუენგანსა ეძინოს და უდებ-იქმნას აღდგომად, ოდეს უვმოს მას მეორემან ძმამან, ნუ აღშფოთნებინ, არამედ რაათა ჰმადლობდეს მას, ვინცა იყოს.

ოდეს ვიყავ მე მონასტერსა შინა, დამადგინა მე მამასახლისმან ქსენადოქად. და ვიყავ მე ნასნები და მოვიდოდეს უცხონი მრავალნი და მინდა მათი შეწყნარებაჲ. და კუალად მოვიდიან მეაქლემენი და შევიწყნარნი და დავილუანნი იგინიცა. და ფრიადი ჟამი გამოვდის ღამისაგან, და ვითარცა წარვიდი და დავნვი ოდენ, მოინიის სხუად რაამე საქმე და მოვიდიან და აღმადგინიან მე და წარვიდი და ვქმნი საქმე იგი. და მერმე წარვიდი და ვითარცა ოდენ თუალთა მიმტაცნის, მეყსეულად მოვიდის მნათე და მივმის მე ლოცვად. ხოლო მე ვიყვი დამაშურალ და ნასნებ, რამეთუ ნუთ მაქუნდა ჴურვებაჲ თავქედისაგან და ვიყვი დავსნილ და ვჰრქვ მას: „კეთილ, ღმერთმან მიგეცინ შენ მაღლი სიყუარულისაჲ. ბრძანე, მოვალ, უფალო“. ხოლო ვითარცა წარვიდის იგი, კუალად მიმეძინის და ფრიად გულსა-მაკლნ, ოდეს დამეყოვნის ლოცვასა მისლვად. ხოლო იგი ოდენ არა მეყოფოდა მე ჴმობად. მაშინ ვითხოენ მე მამისაგან ორნი ძმანი – ერთი იგი, რაათა განმალკებდეს მე და მეორე იგი, რაათა არა მიმიშუებდეს ფრიად დაძინებად. და გრწმენინ ჩემი, ძმანო, რომელ ეგრე მიჩნდეს იგი ორნივე, ვითარმედ მათ მიერ არს ცხორებაჲ ჩემი. ხოლო ესრეთვე გივმს თქუენცა, რაათა ჰმადლობდეთ მათ, რომელნი აღგადგინებდენ თქუენ ლოცვად ანუ სხუად რადმე კეთილისა საქმედ.

ხოლო, ვითარცა ვიტყვო, უვმს კაცსა, რაათა გამოეძიებდეს მას, თუ ვითარ გარდავლო დღე იგი გინა ღამე, ანუ-

თუ ფრთხილად დგა ლოცვასა, ანუ უკუე წარიტყუნა გონებად მისი, ანუ უკუეთუ არა გულსმოდგინედ მოისმინნა წიგნისა სიტყუანი, ანუ-თუ დაუტევა ეკლესიად და განვიდა განცხრომად. და ესრეთ, უკუეთუ კაცი გამოეძიებდეს თავსა თვისსა და რასაცა ცოდვასა ჰპოებდეს თავსა თვისსა შორის, მეყსეულად ინანდეს მას წინაშე ღმრთისა და მოიწყუედდეს მას, ესრეთ მცირე-მცირედ სძლევს ვნებათა, და უკუეთუ იქმოდა ცხრასა, იწყებს ქმნად რვასა. და ესრეთ, შეწევნითა ღმრთისადათა, არა უტევებს ვნებათა აღზრდად და განფიცხებად. რამეთუ, ვითარცა ვთქუ, ბოროტი და მძიმე საქმე არს, ოდეს კაცი დაეჩვოს ბოროტსა რასმე, რამეთუ ეგვევითარსა მას ვერ შეუძლია განკურნებად, უკუეთუ არა აქუნდეს ვიეთგანმე წმიდათა კაცთა შეწევნად.

გნებავს, რადთა გითხრა თქუნ საქმე ესევეთარი, რომელი ღირს არს ფრიადისა ტირილისა? ოდეს ვიყავ მე მონასტერსა შინა, არა ვიცი, თუ ვითარ სცთებოდეს ძმანი თხრობად ჩემდა გულისსიტყუათა მათთა. ხოლო მამამანცა მიბრძანა მე საქმისა ამის საურავი. ხოლო ერთსა დღესა მოვიდა ჩემდა ძმად ერთი და მრქუა: „შემინდვე, მამაო, და ლოცვა-ყავ ჩემთვის, რამეთუ ვიპარავ და ვჭამ“. ხოლო მე ვარქუ მას: „რად, შვილო, მოგემშევისა?“ ხოლო მან მრქუა მე: „ჰე, მომემშევის, რამეთუ არა მეყოფის მე ძმათა თანა ჭამად და მე ვერ ვითხოვ“. მიუგე და ვარქუ მას: „და რად არა წარხუალ და უთხრობ მამასა?“ ხოლო მან მრქუა მე: „მრცხუენიან“. და მე ვარქუ მას: „გინებსა, რადთა მე უთხრა მას?“ ხოლო მან მრქუა: „ვითარცა გნებავს“. მაშინ წარვედ და უთხარ მამასა, ხოლო მან მრქუა მე: „ყავ სიყუარული და ქმენ, ვითარცა იცი უმჯობესი მისი“. მაშინ წარვიყვანე იგი ოსტიგანსა თანა და ვარქუ მას მისა წინაშე: „ყავ სიყუარული და ოდესცა მოვიდეს ძმად ესე შენ თანა, მისცემდი მას, რადცა უნდეს“. ხოლო მას ვითარცა ესმა, მრქუა მე: „გიბრ-

ძანებია!“ ხოლო დაყვნა ძმამან მან ესრეთ მცირენი დღენი და მოვიდა და მრქუა მე: „შემინდვე, მამაო, რამეთუ კუალად ვინყე პარვად“. ხოლო მე ვარქუ მას: „რად? ნუუკუე არა მიგცემს შენ ოსტიგანი, რადცა გინდეს?“ ხოლო მან მრქუა მე: „მომცემს, გარნა მე მრცხუენიან“. მიუგე და ვარქუ მას: „მაშა ჩემგან გრცხუენიანა?“ ხოლო მან მრქუა¹: „არა“. მაშინ ვარქუ მას: „მოვიდოდე და აღიღებდი ჩემგან“, რამეთუ მაქუნდა მაშინ მსახურებად იგი უძღურთაჲ და მქონდა საწყმარი და მივსცემდი, რადცა უნებნ.

ხოლო შემდგომად მცირედთა დღეთა იწყო კუალად პარვად და მოვიდა და მრქუა მე მნუხარებით: „აჰა ესერა, კუალადცა ვიპარავ“. ხოლო მე ვარქუ მას: „რად? არა მიგცემა, რადცა გინდეს?“ ხოლო მან მრქუა მე: „ჰე, მომცემ“. მიუგე და ვარქუ მას: „ნუუკუე გრცხუენიან?“ ხოლო მან მრქუა მე: „არა“. მაშინ ვარქუ მას: „და რადლა იპარავ?“ მომიგო და მრქუა მე: „არა ვიცი, თუ რად. რომელ ვიცი, ვიპარავ“. მაშინ ვარქუ მას: „ჭეშმარიტი მითხარ მე, რასა უკუე უზამ მას, რომელსა იპარავ?“ მომიგო და მრქუა მე: „ვირსა ვსცემ მას“. ხოლო იპოვა, ვითარმედ იპარვიდა ძმად იგი პურსა და ფინიქსა და ლელუსა და ხახუსა და სხუად, რადცა პოვის, დამალის იგი ქუეშე საგებელსა მისსა, გინა-თუ სხუასა ადგილსა, და ვითარცა იხილის იგი, რამეთუ განირყუნებინ, წარილის და დაყარის იგი, ანუ საწყედართა დაუდვის იგი. იხილეთ, ვითარ ბოროტ არს, ოდეს კაცი დაეჩკოს ვნებისა რადსამე ქმნად. იცოდა, ვითარმედ ბოროტსა იქმს და გულსა აკლდა და ტიროდა, არამედ ჩუეულებაჲ იგი მიჰზიდვიდა უბადრუკსა მას. ხოლო კეთილად იტყოდა მამად ნისთერეონ, ვითარმედ: „რომლისაგანცა ვნებისა კაცი იძლიოს, მონა მისა იქმნების“. ღმერთმან გვჴსნენინ ჩუენ ბოროტისა ჩუეულებისაგან, რადთა არა ჩუენცა გურქუას:

¹ მრქუა λεγει μοι 121.24] თქუა A

„რად-მე სარგებელ არს შენდა სისხლთა ჩემთათჳს, რაჟამს შთავიდე მე განსახრწნელად?“ (ფსალმ. 29,10)

აჰა ესერა, მრავალგზის გითხარ თქუენ, თუ ვითარ მოვალს კაცი ჩუეულებისაგან გინა კეთილსა, გინა ბოროტსა. რამეთუ არცა ოდეს კაცი ერთგზის განრისხნეს, ენოდების მას მრისხანე. არცა ოდეს ერთგზის ისიძვოს, ენოდების მას მსიძავ. არცა ოდეს ერთგზის ქმნეს მონყალებად, ენოდების მას მონყალე. არამედ კეთილიცა და ბოროტიცა ზედადსზედა ქმნითა იქმნების ჩუეულებად სულსა შინა და მერმე იგი ჩუეულებად ანუ სტანჯავს მას, ანუ განუსუენებს მას.

ხოლო ვითარ განუსუენებს სულსა სათნოებად, ანუ ვითარ სტანჯავს მას ცოდვად, მე გითხრა თქუენ. მრავალგზის ვთქუ, სათნოებანი ჩუენნი არიან და ჩუენისა ბუნებისანი, ხოლო რადზომცა იქმოდის კაცი კეთილსა, მოვალს სათნოებად, თჳსად ბუნებად და თჳსად სიმრთელედ, ვითარცა კაცი სნებისაგან მოვალს სიმრთელედ, ვითარცა ბრმად – ნათელსავე თჳსსა ბუნებითსა. ხოლო ოდეს ვიქმოდით ბოროტსა, უცხოსა რასმე და ბუნებისა ჩუენისა გარეგანსა, ჩუეულებასა მოვალთ ზედადსზედა ქმნითა ბოროტისადათ, შთავგარდებით ჩუენ სენსა ბოროტსა, რომელ ვერღარა გავმრთელდეთ თჳნიერ შეწევისა წმიდათასა და თჳნიერ ლოცვისა და ცრემლთა მრავალთა, რომელნი შემძლებელ იყვნენ ჩუენ ზედა მოყვანებად წყალობასა ღმრთისასა. რამეთუ ვითარცა ჯორციელნი სნეულებანი, რამეთუ არიან ვიეთნიმე საჭმელნი შავისა ნავდლისა მომატყუებელნი, რომელ არს კალნაბი გინა ოსპნი, ანუ-თუ სხუად რადმე ეგევითარი. ხოლო ერთგზის ჭამითა კალნაბისა გინა ოსპნისადათ, არა იქმნების კაცი შავისა ნავდლისა უფალ, არამედ ოდეს მრავალგზის ჭამდეს საჭმელსა შავისა ნავდლისა აღმაორძინებელსა, გარდაემატების შავი ნავდელი და მისგან მოვალს კაცი მჭურვალეებასა. ხოლო მჭურვალეებად იგი

დასწავს მას და მისგან მოვალს კაცი მრავალთა სენთა. ეგრევე სული, ოდეს ზედადსზედა იქმოდის ცოდვასა რასმე, მერმე ცოდვად იგი სტანჯავს მას, რამეთუ დაეჩუევის საქმესა მისსა.

ესე უწყოდეთ, ვითარმედ არს კაცი, რომელსა თვთბრძოლად აქუს ცოდვისა რადასამე მიმართ და უკუეთუ წარეკიდოს იგი ერთგზის, მეყსეულად იქმნების მის შორის ჩუეულება ერთგზის ქმნითა მისითა და ვერღარა მოინყუედს მას, ვითარცა კაცი, რომელი თვთ არნ შავისა ნავლისა უფალი და შემძლებელ არს ერთგზისცა ჭამად საქმლისა მავნებელისა მისისად მეყსეულად აღძრვად ნავლისა მისისა.

ხოლო ან ჯერ-არს ჩუენდა განფრთხოზად და სწავლად და შიში, რადთა არა შთავვარდეთ ბოროტსა ჩუეულებასა. გრწმენინ, ძმანო, რომელ, დალაცათუ ერთი ვნებად აქუნდეს კაცსა ჩუეულებით, საშჯელსა ქუემე არს, რამეთუ მრავალგზის იქმს კაცი ათსა კეთილსა და ერთსა ბოროტსა ჩუეულებით, და ერთი იგი ბოროტი, რომელი ჩუეულებით იქმნას, სძლევს ათთა მათ კეთილთა¹. რამეთუ ვითარცა არნივი, დალაცათუ ყოველი გუამი მისი განერეს მახისაგან და ერთი ფრჩხილი მისი იყოს დაბმულ მახესა, მით მცირითა დიდი იგი და მწნწ ძალი მისი დაეცემის. ნუუკუე, დალაცათუ ყოველი გუამი მისი გარე იყოს და მარტო ფრჩხილი მისი შეკრულ იყოს, არა მახესა ქუემე არსა, ანუ არა ოდესცა უნდეს მონადირესა, დასცემს მას? ეგრეთვე სულსა, უკუეთუ ერთიცა ვნებად აქუნდეს, ოდესცა უნდეს მტერსა², დასცემს მას, რამეთუ მით ვნებითა აქუს მის ზედა ჯელმნიფებად. ამისთვის მარადის გეტყვ თქუენ: „მოინყვდეთ ყოველივე ჩუეულება ბოროტი“. ხოლო ან წმიდა-ვყვნეთ თავნი ჩუენნი ყოვლისაგანვე საქმისა ბოროტისა და ვევედრებო-

¹ ათთა მათ კეთილთა τῶν θέων καλῶν 123.14] ათსა მას კეთილსა A

² უნდეს მტერსა θένῃ τῷ ἐχθρῷ 123.20] უნდეს მტერი A

დით ღმერთსა დღჳ და ღამჳ, რადთა არა შთავვარდეთ განსაცდელსა.

ხოლო უკუეთუ ვიძლინეთ, ვითარცა კაცნი და ვქმნეთ ცოდვად, ვისწრაფოთ, რადთა ადრე მოვიწყდოთ იგი და შევინანოთ წინაშე ღმრთისა და ცრემლნი დავსთხინეთ. განვიღუძოთ და წმიდა-ვყვნეთ თავნი ჩუენნი. და ღმერთი, ოდეს ხედედეს გულსმოდგინებასა ჩუენსა და სიმდაბლესა ჩუენსა და შემუსრვილებასა ჩუენსა, აღგკუყრას ჩუენ ჴელი და ყოს ჩუენ თანა წყალობად. ამენ, იყავნ!

**თქუმული მისივე, მამისა ჩუენისა დოროთჳსი,
შიშისათჳს საუკუნოჲსა საშჯელისა**

უჳმს კაცსა, რომელსა უნდეს ცხორებაჲ, რაჲთა არაოდეს უზრუნველ იქმნეს, არამედ რაჲთა მარადის ზრუნვიდეს ცხორებისათჳს სულისა თჳსისა.

ოდეს ვიყავ მე სნეულ ფერჳთა ჩემთაგან, რამეთუ რომელნიმე ძმანი მოვიდეს ნახვად ჩემდა და მკითხვიდეს მე, რაჲთამცა უთხარ მათ მიზეზი, თუ სადაჲთ წარმეკიდა სენი იგი. და მე ვითარცა ვჰგონებ, რამეთუ ორისა საქმისათჳს მკითხვიდეს. ერთად, რაჲთამცა ნუგეშინის-მცეს მე და მცირედმცა რაჲმე აღმისუბუქდა ტკივილი იგი, ხოლო მეორედ, რაჲთამცა მოიღეს მიზეზი სულიერისა უბნობისათჳს. და მე მაშინ ტკივილისაგან ვერ შემეძლო თქუმად მათდა სიტყუათა სულიერთა.

ხოლო ან მის წილ ვინყო თქუენდა სიტყუად, რამეთუ ოდეს კაცსა ჭირი რაჲმე შეემთხვოს და გარდაჳდეს ჭირი იგი, მერმე სიხარულით მიუთხრობნ მას მოყუასთა თჳსთა, ვითარცა ნავი ოდეს იღელვებინ ზღუასა შინა და მერმე განერნიან და განვიდიან ქუეყანად, სიხარულით უთხრობდიან ჭირსა მას მათსა.

კეთილ არს, ძმანო, ვითარცა მრავალგზის გითხარ თქუენ, რაჲთა კაცი ყოველსავე ღმრთისა მიმართ მიაგებდეს და იტყოდის, ვითარმედ: „თჳნიერ ღმრთისა არარაჲ იქმნების, არამედ იცის ღმერთმან, ვითარმედ ესე არს უმჯობჳსი და ამისთჳს ქმნა ესე“, დაღაცათუ მიზეზი საქმისაჲ მის ჩნდეს, არამედ კაცსა უჳმს, რაჲთა ღმრთისა მიმართ მიაგდოს საქმჳ თჳსი. რამეთუ მეცა მაქუნდა მიზეზი თქუმად, რამეთუ ვჰამე უცხოთა თანა ძმათა და მცირედ

დავიპატიყუე თავსა ჩემსა, რადთამცა განუსუენე მათ და მის-
გან დამიმძიმდა სტომაქი ჩემი და შთავიდა სისხლი ფერვთა
ჩემთა და შემექმნა წყლულება და დავსნეულდი. და სხუა-
ნიცა მრავალნი მიზეზნი მქონდეს, რამეთუ უკუეთუ კაცი
მიზეზსა ეძიებდეს, არა დააკლდების, არამედ ჭეშმარიტი და
კეთილი მიზეზი ესე არს, რამეთუ ღმერთსა უნდა და იცო-
და, ვითარმედ ესრეთ არს უმჯობესი სულისა ჩემისა და
ამისთვის ქმნა.

ხოლო ყოველნი საქმენი ღმრთისანი კეთილ არიან და
სარგებელ ფრიად, არამედ, ვითარცა ვთქუე, არა უწმს კაც-
სა გულისკლება, უკუეთუ რადმე მოინიოს მის ზედა და
რადთა ყოველისათვისვე იტყოდის, ვითარმედ: „ღმერთსა ნუ-
უკუე ესრეთ ჰნებავს“, და ესრეთ განისუენოს შეწვევითა
უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა. რამეთუ არიან ვიეთ-
ნიმე, რომელ, ოდეს რადმე მოინიოს მათ ზედა, ესეზომ
შექმნდების, ვიდრემდის სიკუდილსაცა ინატრიან და
ურჩევია სიკუდილი ცხორებასა და ჰგონებენ, ვითარმედ
უკუეთუ მოკუდენ, განერებიან ჭირისაგან. ხოლო ესე არს
სულმოკლებისაგან და ფრიადისა უგულისხმოებისა, რამე-
თუ არა უწყიან მათ ჭირი იგი საშინელი, რომელი მოინევის
სულსა ზედა შემდგომად გამოსლვისა მისისა ჯორცთაგან.

დიდი კაცთმოყუარება ღმრთისა და არს, ძმანო, რომელ
ვართ სოფელსა ამას, არამედ ჩუენისა უგულისხმოებისა-
გან არა ვხედავთ საუკუნეთა მათ საშჯელთა, ვითარ მძიმე
არიან და ამისთვის აქანი იგი ჭირნი მძიმე გკჩან. არა იცი-
თა¹, ვითარ წერილ არს მამათასა შინა? ვითარმედ ძმამან
ჰკითხაო, ფრიად მოსწრაფემან, ბერსა ვისმე და ჰრქუა:
„რადსათვის არს, რომელ სულსა ჩემსა უნებს სიკუდილი?“
და ჰრქუა მას ბერმან: „რამეთუ ივლტის იგი ჭირისაგან და
არა იცის, ვითარმედ საუკუნოდ იგი ჭირი უძვრეს არს“. და

¹ იცითა] იცით A

სხუამან კუალად ჰკითხა, ვითარმედ: „რად მენყინების მე სენაკსა შინა ჯდომად?“ ჰრქუა მას ბერმან: „რამეთუ წუთ არა გიხილავს გემოდ არცა განსუენებისად მის, რომელსა ვესავთ, არცა ჭირისად მის, რომელ ყოფად არს, საუკუნოსად. რამეთუ უკუეთუმცა ესე იცოდე, დალაცათუმცა მატლითა სავსე იყო სენაკი შენი და ვიდრე ყელადმდეცა მოვიდოდეს, არამცა მოგენყინა, არამედ მოითმინემცა“. ხოლო ჩუენ ძილითა და განსუენებითა გუნებავს სასუფეველსა შესლვად და ამისთვის სულმოკლე-ვიქმნებით. უკუეთუ რამე მოიწიოს ჩუენ ზედა, ვჰმადლობდეთ ღმერთსა და ვჰნატრიდეთ თავთა ჩუენტა, რამეთუ ღირს ვიქმნენით მცირედსა რასმე ჭირსა აქავე, რადთა მუნ ვპოვოთ მცირედ რამე ლხინებად. იტყოდა¹ ევაგრეცა, ვითარმედ: „ვნებული, რომელი ევედრებოდის ღმერთსა, რადთამცა ადრე განვიდა სოფლისაგან, მსგავს არს იგი კაცსა, რომელი ევედრებინ ხუროსა, რადთამცა შემუსრა სარეცელი სნეულისადა“. რამეთუ ოდეს კაცი იყოს ჳორცთა ამათ შინა, ნუგეშინის-ეცემის, ჭამს სუამს და იძინებს, უბნობს, წარვალს მოყუარეთა თვსთა თანა და მრავალთა საქმეთა შეექცევის, ხოლო ოდეს გამოვიდეს ჳორცთაგან, მაშინ მარტოდ იგი ოდენ და ვნებანი მისნი არიან, და იჭირვის მათგან და დაიწუვის ტანჯვისა მათისაგან და მათ თანა ოდენ არს, რომელ ვერცალა ღმერთსა მოივსენებს, რამეთუ თვთ ვსენებად ღმრთისად სიხარული არს, ვითარცა ფსალმუნსა შინა წერილ არს: „მოვივსენე ღმერთი და ვიხარე“ (ფსალმ. 76,4). არამედ არცა ღმრთისა მოვსენებად უტევებენ ვნებანი.

გინებსა, რადთა სახით მცირედი რამე გაგაგონო თქუენ საქმე ესე? მოვიდეს ვინმე თქუენგანი და შევაყენო იგი სახლსა შინა ბნელსა სამსა ოდენ დღესა და არად ჭამოს და არად სუას და არა დაიძინოს, არცა ვის ეუბნოს, არცა ილო-

¹ იტყოდა Gr; Sin. 85] + წმიდად AB

ცოს, არცა-თუ ღმერთი მოიწსენოს, და მაშინ იხილოს, თუ რასა იქმოდინ მის შორის ვნებანი. და ჯერეთ სოფელსა შინა არს, ხოლო ვითარ იყოს, ოდეს გამოვიდეს სოფლით და იყოს მათ თანა მარტოდ, ანუ რაჲ-მე ჭირი იყოს მაშინ მის თანა?

ოდეს ვინ იყოს შეპყრობილ მჯურვალეებითა, რაჲ არს სიმჯურვალე იგი, ანუ რომელი ცეცხლი, ანუ რომელი შეშაჲ სწუავს მას? ანუ უკუეთუ ვინმე იყოს შავისა ნავლისა უფალი და უძლურ სტომაქითა, არა თვისევე ბუნებაჲ სტანჯავსა მასვე და სწუავს მას? ეგრეთვე სული ვნებული მარადის იჭირვის თვსთავანვე საქმეთა და სიმწარისა მისგან ცოდვათა თვსთავსა. და ოდეს იწსენებდეს მათ, მაშინ ელმის მას მათგან, რამეთუ იგინი სტანჯვენ მას. და ამათ ყოველთა ზედა, ძმანო, ვინ შემძლებელ არს მითხრობად თქუენდა ადგილთა მათ საშინელთა და გუემათა მათ მტანჯველთა? ხოლო სტანჯვენ სულთა ცოდვილთა ამით ყოვლითა და არა განიხრწნებიან, ცეცხლი იგი დაუშრეტელი ბოროტი და ბნელი იგი და ძალნი იგი მრისხანენი და სხუანი იგი ბევრეულნი სატანჯველნი, რომელნი სხუად და სხუად სახედ თქუმულ არიან ყოველთა წმიდათაგან. და იგი ყოველნი საქმეთა ჩუენთა ბოროტთა მოსაგებელნი არიან, რამეთუ ვითარცა წმიდანი მიიღებენ ადგილთა ნათლითა სავსეთა და სიხარულსა ანგელოზებრსა მისაგებელად კეთილთა საქმეთა მათთა, ეგრევე ცოდვილთა მიეცემიან ადგილნი სავსენი ჭირითა და ძრწოლითა, ვითარცა იტყჳან ყოველნი წმიდანი, რამეთუ არარაჲ არს უბოროტეს ადგილთა მათ, სადა წარვლენ ეშმაკნი. და რაჲ არს უძკრეს სატანჯველთა მათ, სადა იგინი დაისაჯებიან? ხოლო ცოდვილნიცა წარვლენ მათ თანა, ვითარცა იტყჳს: „წარვედით ჩემგან ცეცხლსა მას საუკუნესა, რომელი განმზადებულ არს ეშმაკათს და მსახურთა მისთათს“ (მათ. 25,41). და უსაშინელესი იგი, რომელსა იტყჳს წმიდა იოვანე ოქროპირი, ვითარმედ: „და-

დაცათუმცა არა დიოდეს მდინარე იგი ცეცხლისაჲ, არცამცა დგეს ანგელოზნი საშინელნი, არამედ ესე ოდენ, რამეთუ რომელნიმე კაცნი მიიწოდიან დიდებასა და პატივსა, ხოლო რომელნიმე განიდევნებოდნენ გინებითა, რადთა არა იხილონ დიდებაჲ ღმრთისაჲ, არა-მე უმწარეს არსა ყოველსა გეჰენისასა საშჯელი იგი სირცხვლისაჲ მის და გინებისაჲ და ქირი იგი და სალმოზაჲ იგი დამწობისაჲ ეგეზომთა კეთილთაჲსაჲ?“ რამეთუ მაშინ მხილება იგი სჯინდისისაჲ და წსენება იგი თვქემულთა საქმეთაჲ უძკრვს არს ყოველთაჲვე სატანჯველთა. რამეთუ, ვითარცა მამანი იტყვან, რადცა ექმნას კაცსა აქა, ყოველივე აწსოვს, გინა-თუ სიტყვით, გინა-თუ საქმით, გინა-თუ მოგონებით და ვერარას ამათგანსა დაივინყებს. ხოლო¹ რომელსა იტყვს ფსალმუნსა შინა, ვითარმედ: „მას დღესა შინა წარწყმდიან ყოველნი ზრახვანი მათნი“ (ფსალმ. 145,4), ამისთვის იტყვს, რამეთუ მაშინ წარსწყმედს კაცი ზრახვათა ამის სოფლისათა, ნაშენებთა და საწმართა, შვილთა, ნათესავთა, მიცემასა და მოღებასა, ამათ ყოველთა მაშინ წარსწყმედს და არარაჲ ამათგანი აწსოვს, არცა ზრუნავს. ხოლო უკუეთუ რამე ექმნას სათნოებაჲ, ანუ-თუ ცოდვაჲ, აწსოვს იგი და არცა ერთი რაჲ დაჰვინყდების, არამედ უკუეთუ ვისგანმე ერგოს, ანუ-თუ სხვსადა მას ერგოს, ორივე აწსოვს. და კუალად, უკუეთუ ვისგანმე ჰვნებოდის ანუ მეორისადა მას ევნოს, ყოველივე აწსოვს და არარაჲ ამათგან დაავინყდების, არამედ ყოველივე, რადცა აქა ექმნას, ოდეს წორცთაგან განვიდეს, აწსოვს სულსა და უწმიდესადცა აწინდელისა აწსოვს, რამეთუ მაშინ განყენებულ არს ყოველისაგანვე საურავისა ამის სოფლისა.

ოდესმე უბნობდი დიდსა ვისმე ბერსა თანა ამისთვის და იტყოდა ბერი იგი, ვითარმედ: „სულსა, ოდეს გამოვიდეს წორცთაგან, აწსოვს ვნებაჲცა, რომელი ექმნას და ცოდვაჲცა

¹ ხოლო მხ 128.13] > A

და პირი, რომლისა თანა ექმნას“. ხოლო მე ვეტყვოდე მას: „არა ეგრეთ არს, არამედ აწსოვს გულისსიტიყუაჲ იგი, რომელი იყო მის შორის საქმითა მის ცოდვისაჲთა“. და მრავალჟამ დავადგერით ცილობასა ზედა საქმისა ამისთვის და არა ირწმუნებდა ბერი იგი, არამედ იტყოდა, ვითარმედ: „სახც მის ცოდვისაჲ და ადგილი და პირი, რომლისა თანა ექმნას, აწსოვს!“ და ჭეშმარიტად, უკუეთუ ოდეს ესრეთ არს, უბოროტჴსი უკუანადასკნელი არს ჩუენი, უკუეთუ არა ვეკრძალნეთ თავთა ჩუენთა. ამისთვის მე გეტყვ თქუენ: ისწრაფდით, რაჲთა მოიგნეთ კეთილნი გულისსიტიყუანი, რაჲთა ჰპოვნეთ თქუენ იგინი მუნ, რამეთუ რაჲცა ვის ჰქონდის აქა, იგივე განვალს მის თანა და იგივე აქუნდეს მუნ.

ხოლო ან ვისწრაფოთ, ძმანო, განრინებად ეგევითარი-საგან ჭირისა, ვილუანოთ, რაჲთა ყოს ღმერთმან ჩუენ თანა ნყალობაჲ, რამეთუ იგი არს, ვითარცა წერილ არს: „სასოჲ ყოველთა კიდეთა ქუეყანისაჲთა და რომელნი არიან ზღუასა შინა შორს“ (ფსალმ. 64,6). რამეთუ კიდეთა ქუეყანისაჲთა იგინი არიან, რომელნი არიან სრულსა სიბოროტესა შინა, ხოლო ზღუასა შინა შორს არიან, რომელნი არიან უკუანადასკნელსა სასონარკუეთილებასა შინა. ხოლო ღმერთი არს ამათ ყოველთა სასოჲ, არამედ ჯერ-არს ჩუენგანცა მცირედ რაჲმე დაშრომაჲ. დავშურეთ მცირედ, რაჲთა შეგკნყალნეს ჩუენ ღმერთმან. რამეთუ უკუეთუ ვისმე ედგას ყანაჲ და დაუტეოს იგი, ვიდრემდის იქმნეს იგი კორდ, არა რაჲზომცა უდებ-ყოს, აღმოეცემიანა მის შორის ეკალნი და კურომს-თავნი? და რაჲზომცა აღმოეცენნენ, არა უმეტჴსი ჭირი უნებსა განწმედასა მისსა, ოდეს უნდეს აღმოფხურაჲ ბოროტისა მის თივისაჲ, რომელი-იგი აღმოწდა ჟამსა მას უდებ-ბისა მისისასა? არა უფრომსლა დაიხოკნენა წელნი მისნი? რამეთუ შეუძლებელ არს, უკუეთუმცა კაცმან არა მომკო, რომელი-იგი დასთესა.

ხოლო უჯმს, რომელსა უნდეს განწმედაჲ ყანისა თჳსისაჲ, რაჲთა პირველად აღმოჰფხურას ლუარძლი ძირითურთ, რამეთუ უკუეთუ ძირითურთ არა აღმოფხურას, არამედ თავთავი ოდენ მოჰჭრას, იგინი კუალად აღმოეცენებინან. ხოლო უნებს კაცსა, რაჲთა ძირითურთ მოგლიჯოს იგი, და ოდეს კეთილად განწმიდოს იგი, მაშინლა მოწნას იგი. და ოდეს განწმიდოს და შეჰკაზმოს, მაშინ დასთესოს მას შინა თესლი კეთილი. ხოლო უკუეთუ შემდგომად განწმედისა მისისა დაუტეოს იგი უქმად, აღმოვლენ თივანი და ჰპოებენ მინასა ლბილსა და განიყრიან ქუე სიღრმესა ძირთა და უფროდსა განმრავლდებიან და განძლიერდებიან. ხოლო ესრეთვე არს საქმე სულისაჲ. პირველად უჯმს კაცსა, რაჲთა მოიწყდნეს ძუელნი იგი ჩუეულებანი ბოროტნი, რამეთუ არაჲ უვარჯს არს ბოროტისა ჩუეულებისა, ოდეს დაენერგოს კაცსა თანა, რამეთუ ჩუეულებაჲ მრავალჟამითგან დაენერგული კაცსა თანა, ვითარცა ბუნებისა მისისაგანი ერთი იქმნების.

ხოლო, ვითარცა ვთქუ, უნებს კაცსა, რაჲთა პირველად ჩუეულებანი ბოროტნი და ვნებანი მოიწყდნეს და მიზეზნიცა მათნი, რომელ არიან ძირნი, რამეთუ უკუეთუ ძირნი არა მოიგლიჯნენ, ეკალნი კუალადცა გამოსლვად არიან. რამეთუ არიან ვნებანი რომელნიმე, რომელ, უკუეთუ მიზეზნი ვინ მათნი მოსწყდნეს, თავისთავ ვერარას შემძლებელ არიან. ვითარცა შური თავით თჳსით არარაჲ არს, არამედ ჰქონან მას მიზეზნი, რომელთაგანი ერთი არს დიდების მოყუარებაჲ, რამეთუ კაცსა, ოდეს უნდეს დიდებაჲ, ეშურების მას, რომელსა ჰქონდის უფროდსი მისა დიდებაჲ გინა პატივი. და ეგრეთვე რისხვად სხუათა მიზეზთაგან მოვალს და უფროდსა გემოდს მოყუარებისაგან. ამისთვისცა მაწსოვს ევაგრესი, რამეთუ იტყოდა წმიდისა ვისთჳსმე, რომელი იტყოდა: „ამისთვის აღჰკვრებ გემოთა მრავალთა, რაჲთა მიზეზნი იგი გულისწყრომისანი მოვიწყდნენ“. და ყოველნი

მამანი იტყვან, ვითარმედ: „ყოველივე ვნებაჲ ამათ სამთაგან იქმნების: დიდებისმოყუარებისაგან და გემოთმოყუარებისაგან და ვეცხლისმოყუარებისაგან, ვითარცა მრავალგზის ვთქუ.

ხოლო უწმს კაცსა, რაჲთა განინმიდოს თავი თჳსი ვნებათაგან და მიზეზთაგანცა მისთა სინანულითა და ტირილითა, და მაშინ რაჲთა დასთესოს თესლი კეთილი, რომელ არიან კეთილნი საქმენი. უკუეთუ არა, ვითარცა ვთქუ ყანისათჳს, უკუეთუ შემდგომად განწმედისა მისისა არა დასთესოს თესლი კეთილი, აღმოვლენ ეკალნი და ჰჳოებენ მიწასა ლბილსა და უფროდსლა განმაგრდებიან მას შინა. ეგრეთვე კაცი, უკუეთუ ვინაჲთგან განწმიდოს თავი თჳსი ვნებათაგან და შეინანნეს პირველნი იგი საქმენი მისნი ბოროტნი და არა მოიგნეს სათნოებანიცა და კეთილნი საქმენი, მერმე წაეკიდების მას სიტყჳსაებრ უფლისა, ვითარცა იტყჳს წმიდასა სახარებასა შინა, ვითარმედ: „ოდეს სული იგი არაწმიდაჲ გამოვიდის კაცისაგან, წარვალს იგი და ვალს ურწყულთა ადგილთა, და ოდეს ვერ პოოს განსუენებაჲ, მერმე იტყჳს: შევიტყე სახიდვე ჩემდა, სადაჲთცა გამოვედ. და მო-რაჲ-ვიდის, პოვის იგი მოცალედ“. რაჲსაგან მოცალედ? ყოვლისაგანვე სათნოებისა. „და არნ იგი შემკულ და შეჭურვილ. მაშინ წარვიდის და აღიხუნის მის თანა სხუანი შკდნი სულნი, უბოროტჳსნი მისა, და შევიდის და დაემკვდრის მის შორის. და იქმნის უკუანაღსკნელი კაცისაჲ მის უძკრჳს პირველისა“ (მათ. 12,43-45; ლუკ. 11,24-26). რამეთუ შეუძლებელ არს, უკუეთუმცა კაცი დაადგრა ერთსა ზედა, არამედ ანუ წარმართებად, ანუ დაკლებად მოვალს გინა კეთილსა ზედა, გინა ბოროტსა. ამისთჳსცა კაცსა, რომელსა უნდეს ცხობებაჲ, უწმს, რაჲთა არა ოდენ ბოროტი დაუტეოს, არამედ რაჲთა კეთილიცა ქმნეს, ვითარცა წერილ არს ფსალმუნსა შინა, ვითარმედ: „მოიქეც ბოროტისაგან და

ქმენ კეთილი“ (ფსალმ. 33,15; 36,27). რადთა უკუეთუ ვინმე იყოს მავნებელ, არა ავნებდეს, არამედ რადთა სამართალსაცა იქმოდის. და უკუეთუ იყოს მსიძავ, რადთა არა ოდენ არა ისიძვიდეს, არამედ რადთა მარხვაეცა მოიგოს. და უკუეთუ ვინმე იყოს მრისხანე, რადთა არა ოდენ რისხვაე მოინყვდოს, არამედ რადთა სიმშკდცა მოიგოს. და უკუეთუ იყოს ამპარტავან, რადთა არა ოდენ იგი დაუტეოს, არამედ რადთა სიმდაბლცა მოიგოს. და ესე არს მოქცევაე ბოროტისაგან და ქმნაე კეთილისაე. რამეთუ თითოეულსა ვნებასა აქუს წინააღმდგომი თვისი სათნოებაე: ამპარტავანებასა – სიმდაბლც, და ვეცხლისმოყუარებასა – მონყალეებაე, და სიძვასა – მარხვაე, და სულმოკლებასა – მოთმინებაე, და რისხვასა – სიმშკდც, და სიძულილსა – სიყუარული. და ესრეთ თითოეულსა ვნებასა აქუს წინააღმდგომი მისი სათნოებაე. ესე მრავალგზის გითხარ თქუნ.

ხოლო ან, ვითარცა განვასხენით სათნოებანი და დავამკვდრენით ვნებანი ჩუენ შორის, ეგრეთვე გვჯმს ჩუენ, რადთა ვილუაწოთ და არა ოდენ ვნებანი განვასხნეთ ჩუენგან, არამედ რადთა სათნოებანიცა დავამკვდრნეთ ჩუენ შორის და დავანყვნეთ იგინი თვსთა ადგილთა, რამეთუ სათნოებანი ჩუენისა ბუნებისანი არიან. რამეთუ ოდეს დაჰბადა ღმერთმან კაცი, დასთესნა მის შორის სათნოებანი, ვითარცა იტყვს: „ვქმნეთ კაცი ხატად ჩუენდა და მსგავსებად“ (დაბ. 1,26). ხატად ესრეთ, რამეთუ ღმერთმან ქმნა სული უკუდავ და თავისუფალ. ხოლო მსგავსებად სათნოებათათვს იტყვს, რამეთუ კუალად იგივე უფალი იტყვს: „იყვენით მონყალე, ვითარცა მამაე თქუენი მონყალე არს“ (ლუკ. 6,36), „იყვენით წმიდა, რამეთუ მე წმიდა ვარ“ (1 პეტ. 1,16; ლევ. 11,44-45). და მოციქული იტყვს: „იყვენით სახიერ ურთიერთას, რამეთუ უფალი თქუენი სახიერ არს“ (შდრ. ეფეს. 4,32). და ესე არს მსგავსებად ღმრთისაე და ამისთვს ვიტყვ, ვითარმედ

ღმერთმან ბუნებით მოგუცნა სათნოებანი. ხოლო ვნებანი არა ბუნებისა ჩუენისანი არიან და ამისთვის უწოროცო არიან იგინი და არაარსნი, ვითარცა ბნელი არაარსი არს, არამედ ვნებად რადმე არს ჰაერსა ზედა, ვითარცა წმიდად ბასილი იტყუხ: „მოკლებითა ნათლისადათა მოვალს იგი“. ეგრეთვე არიან ვნებანი, რამეთუ მიდრკა რად სული გემოდთმოყუარებითა სათნოებისაგან, ქმნნა ვნებანი და დაამტკიცნა იგინი თავისა თვისისა ზედა.

ხოლო ვითარცა ვთქუ ყანისათკს, ეგრეთ უჭმს კაცსა, რადთა დასთესოს მის თანა თესლი კეთილი, რადთა თესლისაებრ გამოიღოს ნაყოფიცა. ხოლო უჭმს მთესვარსა, რადთა ვითარცა დასთესოს, მეყსეულად დაფლას იგი, უკუეთუ არა, მოვლენ მფრინველნი და წარიტაცებენ მას. და ოდეს დამალოს იგი, მაშინ ელის წყალობასა ღმრთისასა, რადთა წვმოს და გამოიღოს თესლმან მისმან ნაყოფი და აღიზარდოს, რამეთუ რადხომნიცა ჭირნი ნახნეს მუშაკმან, უკუეთუ არა წვმოს ღმრთისა ბრძანებითა, ყოველივე შრომად მისი ცუდ არს. ეგრეთვე ჩუენდა ჯერ-არს, რადთა დაღაცათუ რადმე კეთილი ვქმნეთ, დავჰფარვიდეთ მას სიმდაბლითა და რადთა ვევედრებოდით ღმერთსა და უჩუენებდეთ უძლურებასა ჩუენსა, რადთა მოხედნეს შრომასა ზედა ჩუენსა. უკუეთუ არა, ამო არს შრომად ჩუენი. და კუალად, ვინადათგან წვმოს და აღმოჭდეს თესლი, უკუეთუ კუალად ჟამსა თვისსა არა წვმოს, განჯმების, რამეთუ ჯეჯლსაცა უნებს წვმად, ვიდრემდის ერცახედ განემტკიცოს. და ვერცა მაშინ რადთ უზრუნველ იქმნების მუშაკი, რამეთუ მრავალგზის, ვინადათგან განემტკიცოს და მოინიფებოდის, გამოვალს მკალი ანუ სეტყუად და აღაოჯრებს მას. ეგრეთვე კაცმან, ოდეს განიწმიდოს სული თვისი ყოვლისაგანვე ვნებისა, უჭმს, რადთა ითხოვდეს წყალობასა ღმრთისასა, რადთა არა უტეოს იგი და წარწყმდეს. რამეთუ, ვითარცა ვთქუთ თესლისათკს, ვი-

თარმედ შემდგომად აღმოსლვისა და აღზრდისა და ნაყოფისა გამოღებისა, უკუეთუ არა წვმოს, განჯმების იგი, ეგრეთვე კაცი, უკუეთუ ვინაფთჳან ქმნეს ეგეზომნი შრომანი და მცირედ რაჲმე ღმერთმან აღილოს საფარველი თჳსი მისგან, წარწყმდების.

ხოლო ღმერთი დაუტეობს კაცსა, ოდეს რაჲმე ქმნეს გარეგან წესისა თჳსისა: ოდეს იყოს განკრძალული და იქმნეს უნესო, ანუ იყოს მდაბალ და იქმნეს ამპარტავან. რამეთუ არა ეგეზომად განეშორების ღმერთი უნესოსა, ოდეს ქმნეს რაჲმე უნესობაჲ, არცა – ამპარტავანსა, უკუეთუ უამპარტავნეს იქმნეს, ვითარ – წესიერსა, ოდეს ქმნეს უნესოჲ, ანუ – მდაბალსა, ოდეს იქმნეს ამპარტავან. და ამისგან იქმნების მიშუებაჲ ღმრთისაჲ. ამისთჳსცა წმიდაჲ ბასილი სხუებრ შჯის ცოდვასა წესიერისასა და სხუებრ – უნესოდასა. და კუალად, ოდეს დაიცვას კაცმან თავი თჳსი, უჯმს, რაჲთა ისწრაფოს, რაჲთა უკუეთუ რასმე იქმოდის, არა იქმოდის მას ამპარტავანებით ანუ კაცთმოთნებით, რაჲთა არა წარწყმიდოს იგი, ვითარცა ვთქუ მკლისათჳს, გინა სეტყჳსა.

და კუალად, ოდეს მუშაკმან დაიცვას ყანაჲ იგი თჳსი კეთილად ვიდრე მკადმდე, ვერცა მაშინ უზრუნველ იქმნების, რამეთუ ესეცა მოჰვალს, რომელ ოდეს მომკოს იგი და დაკრიბოს, მოვალს კაცი ბოროტი და შეუდებს ცეცხლსა ნაყოფსა მას მისსა და დასწუავს მას და წარწყმედს ყოველსავე შრომასა მისსა და ნაყოფსაცა. არამედ ვიდრემდის იხილოს, ვითარმედ შემოკრიბა იგი და შთაასხა იგი საუნჯესა, ვერ უზრუნველ იქმნების მუშაკი. და ეგრეთვე არა უჯმს კაცსა შემდგომად ამათ ყოველთა უზრუნველყოფაჲ, რამეთუ ეშმაკი შემდგომად ამის ყოველისა ჰპოებს რასმე ერთსა საქმესა და მით აცთუნებს მას, ანუ ამპარტავანებითა, ანუ შთაუგდოს მას გულისსიტყუჲა ურწმუნოებისაჲ, ანუ ბოროტისა წვალებისაჲ. და არა ოდენ შრომათა

მისთა წარსწყმედს, არამედ ღმრთისაგანცა განაშორებს მას. და რომელი-იგი ვერ ქმნა საქმით, ერთითა გულისსიტყვითა აღასრულებს მას, რამეთუ შემძლებელ არს ერთიცა გულისსიტყუად განშორებად ჩუენდა ღმრთისაგან, უკუეთუ შევიწყნარებდეთ, რამეთუ მოლუანესა და რომელსა უნდეს ცხორების, არა უჭმს უზრუნველყოფად ვიდრე უკუანაღსკნელ სულთქუმადმდე.

ხოლო ჯერ-არს ჩუენდა, რადთა ვილუანოთ და ვზრუნვიდეთ და ვევედრებოდით ღმერთსა, რადთა მან დაგკფარნეს და განგუარინნეს ჩუენ სახიერებითა მისითა დიდებად წმიდისა სახელისა მისისა.

**თქუმული მისივე, რაფთა უშფოთველად და მადლობით
მოვითმენდეთ განსაცდელთა**

კეთილად თქუა მამამან პიმენ, ვითარმედ: სასწაული მონაზონისაჲ განსაცდელსა შინა გამოჩნდებისო¹. ხოლო უკმს მონაზონსა, რომელი მოსრულ იყოს ჭემმარიტად მსახურებად ღმრთისა, რაფთა წინაფსწარვე განჰმზადოს თავი თვისი მოთმინებად განსაცდელთა (შდრ. ზირ. 2,1), რაფთა ოდეს მოინინენ, არა უცხო უჩნდენ, არცა აღშფოთნენ, არამედ რაფთა ჰრწმენეს, ვითარმედ თვნიერ განგებისა ღმრთისა არარაჲ იქმნების. ხოლო სადა არს განგებაჲ ღმრთისაჲ, მუნ უეჭუელად არს უმჯობესი სულისაჲ, რამეთუ რასაცა იქმს ჩუენ თანა ღმერთი, ყოველსავე უმჯობესისათჳს ჩუენისა იქმს, რამეთუ უყუართ ჩუენ. და გვკმს ჩუენცა, ვითარცა იტყჳს მოციქული, რაფთა „ყოველსავე ზედა ვჰმადლობდეთ ღმერთსა“ (ეფეს. 5,20; 1 თეს. 5,18) და არა სულმოკლე ვიქმნებოდით არარასა ზედა, არამედ რაფთა შევიწყნარებდეთ ყოველსავე, რაფცა მოინიოს ჩუენ ზედა, სიმდაბლით და ღმრთისა მადლობით და რაფთა უწყოდით, ვითარმედ, რასაცა იქმს ჩუენ თანა ღმერთი, ყოველსავე კეთილად იქმს, და რამეთუ უყუართ ჩუენ და ამისთჳს იქმს, რამეთუ მონყალე არს ღმერთი.

ხოლო უკუეთუ კაცსა ესუას მოყუარე, რაფცა წარეკიდოს მისგან გულისსაკლებელი, არა დაირწმუნებს, ვითარმედ იგი გულისკვლებისათჳს მისისა იქმს მას, არამედ იტყჳს, ვითარმედ: „უყუარ მე, და ამისთჳს იქმს მას“. და ვითარ არა უფროდსი გვჩნდეს ჩუენ ღმრთისათჳს ესრეთ, რომელმან დაგუბადნა ჩუენ და არაარსისაგან არსად მოგვყვანნა, და

¹ გამოჩნდებისო *φαίεται* 138.2] გამოჩნდის A

ჩუენთჳს განკაცნა და ჩუენთჳს მოკუდა, რამეთუ ყოველსავე უმჯობჳსისათჳს ჩუენისა იქმს და რამეთუ უყუართ ჩუენ. რამეთუ მოყუარისათჳს შემძლებელ არს კაცი თქუმად, ვითარმედ: „უყუარ მე და მერიდების, გარნა არა აქუს ეგეზომი სიბრძნჳ და ამისთჳს, დაღაცათუ არა უნებს, გულს-მაკლებს მე“, ხოლო ღმრთისათჳს ამას ვერ ვიტყვთ, რამეთუ იგი არს ნყაროდ სიბრძნისა და ყოველივე იცის და იქმს უმჯობჳსსა ჩუენსა ვიდრე მცირედცა რადმე საქმედ. და მოყუარისათჳს შესაძლებელ არს თქუმად, ვითარმედ: „უყუარ მე და უნებს კეთილი ჩემი და აქუს სიბრძნჳცა, არამედ არა აქუს ძალი, რადთამცა ქმნა უმჯობჳსი ჩემი“. ხოლო ვერცა ამას ვიტყვთ ღმრთისათჳს, რამეთუ წინაშე მისსა ყოველივე შესაძლებელ არს და არარად არს მისგან შეუძლებელ.

ხოლო ან, უკუეთუ ესე ყოველი ესრეთ არს და ღმერთსა უყუარს დაბადებული თჳსი და იგი არს ნყაროდ სიბრძნისა და იცის უმჯობჳსი ჩუენი და არარად შეუძლებელ არს მისა, არამედ ყოველივე ჰმორჩილობს ნებასა მისსა, მაშა, რადცა მოინიოს ჩუენ ზედა, ყოველსავე ზედა უწყითმცა, ვითარმედ უმჯობჳსისათჳს ჩუენისა იქმს ღმერთი, და რადთა ვჰმადლობდეთ მას და შევიწყნარებდეთ ყოველსავე სიხარულით, ვითარცა ქველისმოქმედისა და სახიერისა მეუფისაგან მოსრულსა, დაღაცათუ გულისსაკლებელი იყოს, რამეთუ ღმერთი ყოველსავე მართლითა საშჯელითა შჯის და არა უგულულებელს-ჰყოფს გულისკლებასა და ჭირსა ჩუენსა.

ხოლო არს კაცი, რომელი იტყვს, ვითარმედ: „უკუეთუ მოინიოს რადმე და ცოდვასა შთავვარდებოდი მე გულისკლებისაგან, ვითარ ვთქუა, თუ ესე ჩემისა უმჯობჳსისათჳს იქმნა?“ ხოლო ესე არა ესრეთ არს, რამეთუ ცოდვასა ჩუენისა უთმინოებისაგან შთავვარდებით, რამეთუ არა გუნებავს მოთმენად ერთისაცა ჭირისა და არცა ვლამით, რადთამცა რადმე შეგუემთხვა გარეგან ნებისა ჩუენისა. უკუ-

ეთუ არა, ღმერთი ჩუენ ზედა ეგევითარსა განსაცდელსა არა მოუშუებს, რაჲთამცა მის მიერ შთავვარდით ცოდვასა, ანუშმცა იყო იგი უმეტეს ძალისა ჩუენისა, ვითარცა იტყვს მოციქული¹, ვითარმედ: „სარწმუნო არს ღმერთი და არა გიტევნეს თქუენ განცდად უფროჲს ძალისა თქუენისა“ (1 კორ. 10,13). არამედ ჩუენ არა გუაქუს მოთმინებაჲ, არცა გუნებაჲს მცირედისა ჭირისა დათმენაჲ და არცა რას შევიწყნარებთ სიმდაბლით, ამისთვის შევიმუსრვით და, რაჲზომცა ვისწრაფით განრომად განსაცდელთაგან, უფროჲსღა ჩუენ ზედა მოიწვეიან იგინი და, რაჲზომცა სულმოკლე ვიქმნებოდით, ვერ განვერებით მათ.

არიან ვიეთნიმე, რომელნი ცურვენ ზღუასა შინა საჯმრისა რაჲსათვსმე და უკუეთუ კეთილად იცოდინ ჴელოვნებაჲ იგი მცურვლობისაჲ, ოდეს მოვიდეს მათ ზედა ღელვაჲ, მოდრკებიან ქუეშე მისა, ვიდრემდის წარჴედეს მათ და ესრეთ უვნებელად ცურვენ. ხოლო უკუეთუ უნდეს წინააღდგომად ღელვასა, ვერარას ირგებენ, არამედ განჴყრის მათ გარე და შეაქცევს უკულმართ. და კუალად, ოდეს იწყონ ცურვად, ოდეს მოვიდეს სხუა ღელვაჲ, უკუეთუ იწყონ წინააღდგომად, კუალად შეაქცევს მათ უკულმართ და განჴყრის გარე და ვერარას ირგებენ. ხოლო უკუეთუ, ვითარცა ვთქუ, დაუმდაბლონ მას თავი თვისი, უშრომელად ცურვენ და რაჲცა უნდეს, იქმან, რამეთუ ღელვაჲ არარას ავნებს მათ. ეგრეთვე არიან განსაცდელნი, რამეთუ უკუეთუ დაუთმოთ მათ სიმდაბლით და მადლობით, თანაწარგუჴდებიან უვნებელად, ხოლო უკუეთუ დავადგრეთ გულისკლებასა ზედა და შფოთსა და სხუასა ვაბრალობდეთ და არა თავთა ჩუენთა, ვერარას ვირგებთ, არამედ უფროჲსღა ვივნებთ და დავამძიმებთ ჩუენ ზედა განსაცდელთა, რამეთუ განსაცდელნი ფრიად ერგებიან, რომელი შეიწყნარებდეს მათ მოთმინებით.

¹ იტყვს მოციქული εἶπεν ὁ Ἀπόστολος 140.6] მოციქული იტყვს A

და კუალად, უკუეთუ გაურვებდეს თქუენ ვნებად რადმე, ნუ აღშფოთნებით, რამეთუ ესეცა უგულისხმოებისა და ამპარტავანებისა საქმც არს, ოდეს კაცსა ჰბრძოდის ვნებად რადმე და იგი აღშფოთნებოდის. და ესე იქმნების, ოდეს კაცმან არა იცოდის უძლურებად თვისი და ოდეს ივლტოდის იგი შრომისაგან, ვითარცა თქუეს მამათა: „ამისთვის ვერ წარვემართებით, რამეთუ საზომნი ჩუენნი არა ვიცნით, არცა გუაქუს მოთმინებად რომელსა საქმესა დავინწყოთ, არამედ უშრომელად გუნებავს სათნოებისა მოგებად“.

ხოლო რად უცხო-უჩინს ვნებულსა, ოდეს ჰბრძოდის მას ვნებად რადმე? ჰქმენ შენ იგი პირველად და დაამკვდრე შენ შორის და ან შენ თანა არს და გბრძავს შენ, და შენ იტყვ, ვითარმედ: „რად მბრძავს მე?“ წინდი მისი შინაგანსა შენსა არს და შენ იტყვ, ვითარმედ რად მბრძავს მეო. მოითმინე და ილუანე და ევედრე ღმერთსა, რამეთუ შეუძლებელ არს, თუმცა კაცმან ქმნა ცოდვად რადმე და მერმე არამცა ჰბრძოდა კუალად ვნებად იგი, ვითარცა თქუა მამამან სისოად: „ჭურჭელნი მათნი შინაგან შენსა არიან, მიეც მათ წინდი მათი და წარვიდენ“. ხოლო ჭურჭლად სახელ-სდებს მიზეზსა ცოდვათასა, რამეთუ შეუძლებელ არს, ვინადთგან მიზეზნი იგი მათნი შევიყუარენით, უკუეთუმცა არა წარიტყუენ-ვოდა გონებად მათგან და თუმცა არა გუბრძოდეს ჩუენ, რადთამცა უნებლიაით გუაქმნიეს ცოდვად, ვინადთგან ჩუენ ნეფსით ჩუენით მივსცენით თავნი ჩუენნი ჴელთა მათთა, ვითარცა იტყვს წინადაწარმეტყუელი ეფრემისთვის, რომელმან დათრგუნა წინააღმდგომი თვისი, რომელ არს სკნიდისი, დაუტევა სამართალი (ოსე 5,11). და იტყვს მისთვის წინადაწარმეტყუელი, ვითარმედ: „ნეფსით ეძიებდა იგი ეგვპტესა და უნებლიაით მივიდა იგი ასურეთად“ (ოსე 7,11). მოვედით და გულისხმა-ვყოთ სიტყუად ესე, რამეთუ ეგვპტედ იტყვს ნებასა ჴორცთასა, რომელი-იგი მიგკყვანებს ჩუენ ჴორცთა

განსუენებასა, ხოლო ასურეთად იტყვს არანმიდათა გულის-სიტყუათა, რომელნი-იგი აღამრლუევენ და შეაგინებენ გონებასა და აღავსებენ მას სახითა არანმიდებისადათა და მოიყვანებენ მას უნებლიადთა ცოდვისა საქმით ქმნასა.

ხოლო უკუეთუ კაცმან ნეფსით მისცეს თავი თვისი ნებასა ჴორცთასა, მერმე უნებლიადთა მისლვად არს იგი ასურეთად, რადთა ჴმსახუროს ნაბუქოდონოსორს. ხოლო ესე უწყოდა წინადაწარმეტყუელმან, ამისთვისცა ეტყოდა ერსა მას: „ნუ შთახუალთ ეგვბტედ. რასა იქმთ, უბადრუკნო, დამდაბლდით მცირედ. მოიდრიკეთ მწარი თქუენი და ჴმსახურეთ მეფესა ბაბილონისასა, რადთა დასხდეთ ქუეყანასა მამათა თქუენტასა“ (იერ. 42,19; 27,12). და კუალად განამწნობს მას და ეტყვს: „ნუ გეშინინ პირისა მისისაგან, რამეთუ თქუენ თანა არს ღმერთი, რომელსა ძალ-უც განრინებად თქუენდა ჴელთაგან მისთა“ (იერ. 42,11). იხილეთ, ვითარ პირველადვე უთხრობს ჴირსა მათ ზედა მონევნადსა, უკუეთუ ურჩ-ექმნენ¹ ღმერთსა, და იტყვს: „უკუეთუ შთახვდეთ ეგვბტედ, იყვნეთ სანუნელ და მონა და შეურაცხ და საყუედრელ ყოველთა“ (იერ. 42,15,18). ხოლო იგინი იტყოდეს, ვითარმედ: „არა დავსხდეთ ქუეყანასა ამას, არამედ შთავიდეთ ეგვბტედ და ბრძოლად მუნ არა ვიხილოთ და ჴმად საყვრისად არა გუესმეს და პურითა არა მოგუემშიოს“ (იერ. 42,13-14). მაშინ შთავიდეს ეგვბტედ და ჴმსახურეს ნეფსით ფარაოს და მერმე მივიდეს უნებლიადთ ასურეთად და ჴმსახურეს მათ, ვითარცა არა უნდა.

გულისწმა-ყავთ ძალი სიტყუათად ამათ. ვიდრე არა ექმნას კაცსა ვნებად, დაღაცათუ ჴბრძოდინ მას გულისსიტყუანი, არამედ თვისსა ქალაქსა შინა თავისუფალ არს იგი და ჴყავს ღმერთი შემწედ მისა, და უკუეთუ დაუმდაბლოს თავი თვისი ღმერთსა და მოითმინოს ჴირი იგი განსაცდელისად მის მადლობით და იღუანოს მცირედრე, წყალობად ღმრთისად

¹ ურჩ-ექმნენ ἀπειθήσασθαι 142.21] ურჩ-ექმნეთ AB

განარენს მას მისგან. ხოლო უკუეთუ ივლტოდის იგი ჭირისა მისგან და მიჰყვეს განსუენებასა და ნებასა ჴორცთასა, მერმე მივიდეს იგი უნებლიადთა ქუეყანასა ასურეთისასა და ჰმსახუროს მათ. ამისთვისცა წინადაწარმეტყუელი კუალად იტყვს: „ილოცევდით ცხორებისათჳს ნაბუქოდონოსორისსა, რამეთუ ცხორებასა შინა მისსა არს ცხორებად თქუენი“ (შდრ. ბარუქ. 1,11-12). ნაბუქოდონოსორ არს სულგრძელებად და არა სულმოკლებად ზედამონევენულისა რადსამე ჭირისად, რადთა არა დრტუნვიდეს მისთვის, არამედ რადთა მადლობით მოითმენდეს და სიმდაბლით განსაცდელსა მას, ვითარმცა თანამდებ იყო მის ზედა მონევნად განსაცდელისად მის და რადთა იტყოდის, ვითარმედ: „არა ვარ ღირს, რადთამცა განვთავისუფლდი ვნებისა მისგან, არამედ რადთა უფროდსლა განფიცხნეს იგი ჩემ ზედა და რადთა ჭირსა შინა იყოს ცხორებად ჩემი“. და რადთა დაიკრიბოს ბრალი თავსა თჳსსა ზედა, დაღაცათუ არა იყოს მას ჟამსა მისი ბრალი და რადთა იტყოდის, ვითარმედ: „ღმერთი უსამართლოსა არა იქმს, არამედ – ყოველსავე სამართალსა“. ვითარცა იტყოდა ძმად იგი ტირილით, რაჟამს აღილო ღმერთმან მისგან განსაცდელი იგი, ვითარმედ: „უფალო, არა ღირს-ვარა, რადთამცა მცირედ რადმე გულსა შემაკლდა შენთვის?“ და კუალად წერილ არს, ვითარმედ: „იყო მონაფჳ ვინმე ბერისა ვისმე დიდისად და ჰბრძოდა მას ბრძოლად სიძვისად, და ვითარცა იხილა იგი ბერმან, რამეთუ ჭირსა შინა იყო, ჰრქუა მას: „გინებსა, შვილო, რადთა ვევედრო ღმერთსა და აღგისუბუქოს შენ ბრძოლად ეგე?“ ხოლო მან ჰრქუა მას: „დაღაცათუ ვიჭირვი, მამაო, არამედ ვხედავ ჭირისა ამისგან ჩემ თანა ნაყოფსაცა, გარნა ამისთვის ევედრე ღმერთსა, რადთა მომცეს მე მოთმინებად“.

აჰა ესერა, ესენი არიან, რომელთა ჭემმარიტად უნებს ცხორებად და ესე არს სიმდაბლით ტვრთვად უღლისად და

ესე არს ლოცვაჲ ცხორებისათჳს ნაბუქოდონოსორისსა. და ამისთჳს იტყჳს წინაჲსწარმეტყუელი, ვითარმედ: „ცხორებასა შინა მისსა არს ცხორებაჲ თქუენი“. ხოლო ჰგავს ესე სიტყუასა მის ძმისასა, რომელი თქუა, ვითარმედ: „ვხედავ ჭირისა ამისგან ჩემ თანა ნაყოფსაცა“. და ამისთჳსცა ბერმან ჰრქუა მას, ვითარმედ: „ან უწყი, რამეთუ წარმატებასა შინა ხარ და წარმჯედ მე“. რამეთუ უკუეთუ კაცმან ილუანოს და სძლოს საქმით ქმნასა ცოდვისასა და მერმე იწყოს ბრძოლად გულისსიტყუათაცა მიმართ მავნებელთა, ამით საქმითა დამდაბლდების და შეიმუხრვის და მოვალს მოლუანებასა და მერმე შრომითა მოლუანებისადთა განწმიდნების და მოვალს ბუნებითთავე თჳსთა საქმეთა, ვითარ-იგი დაჰბადა ღმერთმან დასაბამსა. და ამისთჳს ვიტყჳ, ვითარმედ უგულისხმოებისა და ამჰარტავანებისაგან არს, უკუეთუ კაცსა ჰბრძოდის ვნებაჲ რადმე და იგი აღშფოთნებოდის მისთჳს, არამედ უფროჲსლა უჴმს, რადთა მოითმინოს სიმდაბლით და ცნას საზომი თჳსი და ევედრებოდის ღმერთსა, ვიდრემდის ღმერთმან ყოს მის თანა წყალობაჲ. რამეთუ უკუეთუ კაცი არა გამოიცადოს და ცნას ჭირი იგი ვნებათაჲ, არაოდეს ილუწის განწმედად თავისა თჳსისა მათგან. და ფსალმუნსაცა შინა იტყჳს ამისთჳს, ვითარმედ: „აღმოცენებაჲ ცოდვილთაჲ, ვითარცა თივაჲ და გამოჩინებაჲ მათი, რომელნი იქმან უშჯულოებასა, რადთა მოისრნენ იგინი უკუნისამდე“ (ფსალმ. 91,8). „აღმოცენებაჲ ცოდვილთაჲ, ვითარცა თივაჲ“, არიან მავნებელნი გულისსიტყუანი, რამეთუ უძღურ არს თივაჲ და არა უც მას ძალი და ეგრევე არიან იგინი. ხოლო ოდეს აღმოცენნენ მავნებელნი გულისსიტყუანი სულსა შინა, მერმე გამოჩნდებიან ყოველნი მოქმედნი უშჯულოებისანი, რომელ არიან ვნებანი, რადთა მოისრნენ უკუნისამდე, რამეთუ ოდეს გამოჩნდენ ვნებანი მოლუანეთანი, მერმე მოისრვიან მათ მიერ.

გულისწმა-ყავთ ძალი სიტყუათაჲ ამათ: პირველად აღმო-
 ცენებთან გულისსიტყუანი მავნებელნი და მერმე გამოჩნდე-
 ბიან ვნებანი და ესრეთ მოისრვიან. ხოლო ესე ყოველი მო-
 ლუანეთაჲ არს. გარნა ჩუენ, რომელნი-ესე აღვასრულებთ
 საქმით ცოდვათა და არა მოვიქცევით მათგან, ჩუენ არცა
 ვიცით, თუ ოდეს აღმოცენებთან, ანუ-თუ ოდეს გამოჩნდე-
 ბიან, არამედ წუთ ქუე, ეგვპტეს შინა, ვართ, ბოროტსა მას
 ალიზის ქმნასა ფარაოჲსსა, და ვინ მოგუცეს ჩუენ გულის-
 ხმისყოფაჲ, რაჲთამცა გულისხმა-ყვათ მწარწ იგი მონებაჲ
 ჩუენი? ოდეს იყვნეს ძენი ისრაჳლისანი ეგვპტეს შინა, და
 ჰმონებდეს ფარაოს, და იქმოდეს ალიზსა (გამ. 1,14). ხოლო
 მოქმედნი ალიზისანი მარადის ქუედადრეკილ არიან ქუეყა-
 ნასა და მუნ არს გონებაჲ მათი. ეგრეთვე სული, ოდეს ეუფ-
 ლოს მას ეშმაკი და აღასრულებდეს საქმით ცოდვასა, ვერღა-
 რა გაიგონებს სულიერსა, არამედ – ყოველსავე სოფლისასა,
 რამეთუ დაუთრგუნავს სიბრძნწ იგი თჳსი პირველი. მაშინ
 აღიგნეს მათ თავისა მათისა ალიზისა მისგან, რომელი ექმნა,
 სამნი ქალაქნი ძლიერნი, რომელნი არიან პითოჲ და რამესი
 და ონი, რომელსა ან სახელ-ედების იოპოლის (გამ. 1,11). ხო-
 ლო ესენი არიან გემოთმოყუარებაჲ და ვეცხლისმოყუარე-
 ბაჲ და დიდებისმოყუარებაჲ, რომელთაგან იქმნების ყოველი
 ცოდვაჲ. ხოლო ოდეს ღმერთმან წარავლინა მოსე, რაჲთამცა
 გამოიყვანნა იგინი ეგვპტით, მონებისაგან ფარაოჲსა, მაშინ
 ფარაო უფროჲს დაუძძიმა მათ საქმწ იგი და ეტყოდა: „არა
 გინებს შრომაჲ და ამისთჳს იტყუთ, ვითარმედ: „წარვალთ
 მსახურებად ღმრთისა ჩუენისა“ (გამ. 5,17). ეგრეთვე ეშმაკ-
 მან, ოდეს იხილოს, ვითარმედ მოხედნა ღმერთმან სულსა ზე-
 და და უნებს აღსუბუქებაჲ მისი ვნებათაგან სიტყუთა თჳსითა
 ანუ-თუ ვისმე მონისა თჳსისაჲთა, მაშინ იგიცა უფროჲს
 დაუძძიმებს მას და უფიცხლწსად ჰბრძავს მას. ხოლო მა-
 მათა ესე უწყოდეს და ამისთჳს ასწავებდეს და ნუგეშინის-

სცემდეს კაცთა სწავლითა მათითა, რადამცა არა შეშინდეს. არამედ რომელიმე მათი იტყვს: „განძლიერდი და აღდეგ“, და შემდგომი ამისი. და სხუად მამად იტყვს: „ძალი მათი, რომელთა ჰნებავს სათნოებათა მოგებად, ესე არს, რადთა უკუეთუ დაეცნენ, არა სულმოკლე იქმნენ, არამედ კუალად აღდგენ“. და ყოველნი ეგვევითართა სიტყუათა იტყვან და ჴელსა აღუპყრობენ დაცემულთა, ვითარცა მათ უსწავიეს წერილთაგან, რამეთუ წერილ არს: „ნუუკუე დაცემული იგი არა აღდგესა, ანუ მიქცეული იგი არა მოიქცესა?“ (იერ. 8,4) „მოიქეცით ჩემდა, შვილნო, და მე განვკურნნე წყლულეზანი თქუენნი! – იტყვს უფალი“ (იერ. 3,22).

ხოლო ოდეს დამძიმდა ჴელი უფლისაჲ ფარაოს ზედა და საყუარელთა მისთა და უნდა გამოყვანებაჲ ძეთა ისრა-
ჴლისათაჲ, ჰრქუა მოსეს ფარაო: „ვიდოდეთ და ჰმსახურეთ უფალსა ღმერთსა თქუენსა, არამედ საცხოვარი და ზროხად თქუენი აქა დაუტევეთ“ (გამ. 10,24), რამეთუ უნდა ფარაოს, რადამცა ამით სახითა კუალად შეაქცინა იგინი. ხოლო ეგრეთვე ეშმაკი გუბრძავს ჩუენ, რადამცა ჴორციელითა გულისსიტყვითა კუალად შეგუაქცინა ჩუენ სოფლადვე. და ჰრქუა მას მოსე: „არა, არამედ შენ მოგუეც ჩუენ მსხუერპლი და საკუერთხნი, რადთა შევწიროთ უფლისა ღმრთისა ჩუენისა. ხოლო ხუასტაგი ჩუენი ვიდოდის ჩუენ თანა“ (გამ. 10,25-26).

ხოლო¹ ვითარცა გამოიყვანნა მოსე ძენი ისრაჴლისანი ეგვიპტით და განავლო ზღუად მენამული, ენება ღმერთსა, რადამცა მიიყვანნა იგინი სამეოცდაათთა მათ ფინიკთა. პირველად მიიყვანნა იგინი მერანს და იჭირვოდა ერი იგი წყურბლისაგან, რამეთუ არა აქუნდა მათ წყალი, რამეთუ წყალი ადგილისაჲ მის მწარჴ იყო, და მუნით მიიყვანნა იგინი ადგილსა სამეოცდაათთა ფინიკთასა და ათორმეტთა წყაროთა (გამ. 15,27). ეგრეთვე სული, ოდეს დასცხრეს ცოდ-

¹ ხოლო მხ 147.11] და A

ვისაგან და განვლოს საცნაური იგი ზღუად, პირველად უნებს ღწოლად და ჭირი, რადთა ესრეთ ჭირითა შევიდეს წმიდასა მას განსასუენებელსა, რამეთუ „მრავლითა ჭირითა გკვმს ჩუენ შესლვად სასუფეველსა ცათასა“ (საქმე 14,22), რამეთუ ჭირი მოიყვანებს ჩუენ ზედა წყალობასა ღმრთისასა, ვითარცა ქარნი – წკმასა. და ვითარცა წკმად ფრიადი დააღპობს ნაყოფსა, უკუეთუ ჯერეთ იყოს უსუსურ, ხოლო ქარი განაწმობს მას და განამტკიცებს, ეგრეთვე სულსა განსუენებად და უურველობად და შუებად დაჰწსნიან და დაარღუევენ მას, ხოლო ჭირნი და განსაცდელნი განაძლიერებენ მას და შეაერთებენ ღმერთსა, ვითარცა წერილ არს: „უფალო, ჭირსა მოგიწენო შენ“ (ეს. 26,16).

ხოლო ან არა გკვმს აღძრვად გინა მოწყინებად განსაცდელთათკს, არამედ მოთმინებად მადლობით და ვედრებად ღმრთისად სიმდაბლით მარადის, რადთა ყოს უძღურებისა ჩუენისა თანა წყალობად და დაგკცვნეს ყოვლისაგან განსაცდელისა დიდებად წმიდისა სახელისა მისისა უკუნისამდე. იყავნ, ამენ.

თქუმული მისივე, აღშენებისათვის სულისა
სათნობათა და ვითარ ურთიერთას შეიწყობვიან
იგინი

წერილი იტყვს დედაკაცთა მათთვის ჰურიათა, რომელნი-
იგი ჰმარხვიდეს და არა კლვიდეს წულთა მათ ისრაჴლისა-
თა: „რამეთუ ეშინოდა დედაკაცთა მათ ღმრთისაგან და
ამისთვის აღიგნეს თავისა მათისა სახლები“ (გამ. 1,21). გუ-
ლისხმა-ყავთ უკუე, ჴორციელთა-ძი სახლთათვის იტყვს?
მე ვჰგონებ, ვითარმედ არა, რამეთუ რადმცა იტყოდა ამას,
რამეთუ ჴორციელთა სახლთა შიშისათვის ღმრთისა რადმცა
აღაგებდეს, რამეთუ ჩუენ, რომელთა მზანი გუქონან სახლ-
ნი, ვასწავებთ, რადამცა შიშისათვის ღმრთისა დაუტეობ-
დით. ხოლო საცნაურ არს, ვითარმედ არა ჴორციელთა
სახლთათვის¹ იტყვს, არამედ სახლისათვის სულიერისა, რო-
მელსა აღიგებს კაცი დაცვითა მცნებათაჲთა.

ამისთვისცა წერილი გუასწავებს ჩუენ, ვითარმედ შიშითა
ღმრთისაჲთა მოვალს კაცი დაცვასა მცნებათასა და დამარხ-
ვითა მცნებათაჲთა აღეშენების სახლი იგი სულისაჲ. ხო-
ლო აწ ვისწრაფოთ ჩუენცა, ძმანო, და აღვიშენოთ² თავთა
ჩუენთათვის სახლები, რადთა ვპოოთ ჟამსა ზამთრისასა სა-
ფარველი, ჟამსა წვმისასა³ და ქუხილისასა⁴ და ელვისასა,
რამეთუ დიდ არს ჴირი იგი ზამთრისაჲ მათთვის, რომელთა
არა აქუს სახლი.

¹ ჴორციელთა სახლთათვის *περι αισθησις οίκου* 149.8] ჴორციელ-
თათვის A

² აღვიშენოთ] აღვიშენეთ A

³ წვმისასა] წვმისა A

⁴ ქუხილისასა] ქუხილისა A

ხოლო თუ ვითარ აღეშენების სახლი სულისად, ჳორცი-
ელისა სახლისაგან გულისხმა-ვყოთ. რამეთუ რომელი
ალაგებდეს სახლსა, უჳმს ყოვლით კერძო შეკრძალვაჲ და
ოთხყურად აღგებაჲ მისი, და რაჲთა არა ალაგებდეს ერთსა
კერძოსა და სხუათა ყოველთა დაუტეობდეს, უკუეთუ არა,
ცუდ არს ყოველი შრომაჲ მისი. ეგრეთევე არს სულისად, რა-
მეთუ უჳმს კაცსა, რაჲთა სახლსა მას სულისასა ალაგებდეს
ყოვლით კერძო სწორად და რაჲთა არა ერთსა ალაგებდეს
და სხუათა ყოველათა უგულვებელს-ჳყოფდეს. ხოლო ესე
არს, რომელი თქუა მამამან იოვანე, ვითარმედ: „მე მინებს,
რაჲთა კაცმან მიიღოს ყოველთაგან სათნოებათა მცირე-
მცირედ და არა იქმოდის, ვითარცა ვიეთნიმე, რომელნი
იქმან ერთსა რასმე სათნოებასა და სხუათა უგულვებელს-
ჳყოფენ“. და ნუუკუე კაცთაგანცა დიდებაჲ აქუნდეს მისთვის
და ამისთვის გულსმოდგინედ იქმოდინ მას და ამისთვის არცა
ეშმაკი ჳბრძავს მათ, და წარიტყუენვიან სხუათა ვნებათაგან
და არა ეურვების მათ, არამედ ჳგონებენ, ვითარმედ დიდ-
სა რასმე საქმესა იქმან. ხოლო ესენი მსგავს არიან კაცსა,
რომელი აღაშწნებნ ერთსა კედელსა და აღჳმართებნ მას,
რაჲზომცა ძალ-უც, და შეხედავენ მას და ჳგონებნ, ვითარმედ
დიდი რაჲმე უქმნიეს, და არა უწყის, ვითარმედ, უკუეთუ
მოჳდეს ერთიცა ქარი, მეყსეულად დასცემს მას, რამეთუ
არა არიან მის თანა სხუანი კედელნი, რაჲთამცა იმჭირვიდეს
მას, არამედ მარტოდ დგას, და ვერცა ვინ სართულსა შეიქმს,
უკუეთუ არა იყვნენ სხუანი იგი კედელნი. ხოლო არა ჳერ-
არს ესრეთ ქმნაჲ, არამედ რომელთა უნებს სახლისა აღგე-
ბაჲ, რაჲთა აღაგოს იგი ყოვლით კერძო, რაჲთა სართულიცა
შეიქმნას.

და გითხრა, თუ ვითარ. პირველად უნებს დადებაჲ საძირ-
კუველისად, რომელ არს სარწმუნოებაჲ, რამეთუ „თვნიერ სა-
რწმუნოებისა ვერვინ სათნო-ეყოფვის ღმერთსა“ (ებრ. 11,6).

და ესრეთ საფუძველსა ზედა აღაგებდეს კედელთა ურთიერთას შეწყობილად.

და ოდეს მოვიდეს ჟამი მორჩილებისად, უწმს, რადთა დადვას ერთი ქვა მორჩილებისად. და ოდეს შეემთხვოს შფოთი, უწმს, რადთა დადვას ერთი ქვა სულგრძელებისად. და ოდეს მოინოს ჟამი მარხვისად, უწმს, რადთა დადვას ერთი ქვა მარხვისად. და ესრეთ, რადთა ყოველთაგან სათნოებათა შეჰკრებდეს და აღაშენებდეს სახლსა სულისასა ოთხკერძოვე. რადთა დადვას ერთი ქვა ლმობიერობისად და ერთი ნებისა დატევებისად და ერთი სიმშკდისად და მსგავსთა ამათთად. ხოლო ამათ ყოველთა თანა უწმს, რადთა ზრუნვიდეს და მოიგოს მოთმინება და სიმწნწ, რამეთუ ესენი არიან კიდენი, რომელთა შეემშუალვიან კედელნი ურთიერთას, რადთა არა დაეცნენ, რამეთუ თვნიერ ამათსა ვერვინ წარჰმართებს ვერას სათნოებასა. რამეთუ უკუეთუ არა მწნე იყოს სული კაცისად, ვერცა მოთმინებასა მოიგებს, და თვნიერ მოთმინებისა ვერარას სათნოებასა წარჰმართებს, ვითარცა წერილ არს, ვითარმედ: „მოთმინებითა თქუენითა მოიპოვნეთ სულნი თქუენნი“ (ლუკ. 21,19).

ხოლო კუალად უწმს, რომელი აღაგებდეს სახლსა, რადთა ყოველსა ქვასა შორის დასდებდეს თიჯასა, რამეთუ უკუეთუ დადვას ქვა ქვასა ზედა თვნიერ თიჯისა, დაიწსნებიან ქვანი და დაეცემის სახლი. ხოლო თიჯად არს სიმდაბლწ, რამეთუ ქუეყანისაგან არს და ფერჯთა ქუეშე ყოველთასა. ხოლო ყოველივე სათნოებად, რომელი თვნიერ სიმდაბლისა იქმნეს, არა არს იგი სათნოებად, ვითარცა წერილ არს მამათასა შინა, ვითარმედ: „ვითარცა შეუძლებელ არს ნავისა თვნიერ სამშუალთასა შეკაზმვად, ეგრეთვე შეუძლებელ არს თვნიერ სიმდაბლისა ცხორებად“.

ხოლო უწმს კაცსა, რადთა რასაცა კეთილსა იქმოდის, ყოველსავე სიმდაბლით იქმოდის, რადთა სიმდაბლითა მით

დაიმარხოს კეთილისა საქმე იგი. ხოლო უკვამს სახლსა შესაკრავიცა, რომელ არს განკითხვად, რომელი განამაგრებს სახლსა და შეჰმშუალავს ქვათა ერთმანერთისა მიმართ და განაშუენებსცა სახლსა. ხოლო სართული არს სიყუარული, რომელ არს აღსრულებად სათნოებათად, ვითარცა სართული სახლისად.

ხოლო შემდგომად სართულისა არს საბურველი იგი ერდოხსად. რად არს საბურველი ერდოხსად? რამეთუ შჯულისა შინა წერილ არს, ვითარმედ: „უკუეთუ აღიგოთ თავთა თქუენტათს სახლი, დაბურეთ ერდო მისი, რადთა არა შთამოიჭრნენ შვილნი თქუენნი ერდოხსაგან ქუე“ (2 სჯ. 22,8). ხოლო საბურველი არს სიმდაბლმ, რამეთუ იგი გკრგკნოსანჰყოფს და დაიცავს ყოველთავე კეთილისა საქმეთა. და ვითარცა ყოველი სათნოებად ჯერ-არს, რადთა იქმნებოდის სიმდაბლით, ვითარცა ვთქუთ, ვითარმედ თიჴად ქვასა შორის უნებს დადებად, ეგრეთვე აღსრულებასა სათნოებათასა უკვამს სიმდაბლმ, რამეთუ წმიდანი, რადომცა წარემატებოდინ, უფროხლად დამდაბლდებოდინ, ვითარცა პირველ ვთქუ, ვითარმედ რადომცა მიეახლებოდინ წმიდანი ღმერთსა, ეგოდენცა უჩან თავნი მათნი ცოდვილად.

ხოლო რად არიან შვილნი, რომელთათს იტყვს შჯული, რადთა არა შთამოიჭრნენ ერდოხსაგან? ხოლო შვილნი არიან გულისსიტყუანი, რომელნი არიან სულსა შინა, რომელთად ჯერ-არს დამარხვად სიმდაბლითა, რადთა არა შთამოიჭრნენ ერდოხსაგან, რომელ არს აღსრულებად მცნებათად.

აჴა ესერა, აღსრულებულ არს სახლი და აქუს შესაკრავი და სართული და საბურავი ერდოხსად. ხოლო ნუუკუე დაგკკლია რადმე? ჰე, ერთი გუაკლს: რადთა იყოს მაგებელი ჴელოვანი, რადთა არა განამრუდოს კედელი, რამეთუ უკუეთუ იყოს კედელი მრუდ, ოდესვე დაეცემის სახლი იგი. ხოლო ჴელოვანი არს, რომელი გულისხმისყოფით იქმოდის საქმესა

მას, რამეთუ მრავალგზის იქმს კაცი შრომასა სათნოებისასა და უგულისხმოებისაგან კუალად უკუნარლუევს მას, ანუ ვერ განასრულებს მას, არამედ დასდებს ქვასა და კუალად აღიღებს მას. ხოლო არს სხუად, რომელი დასდებს ერთსა და აღიღებს ორსა.

და გითხრა¹ თქუენ, თუ ვითარ. აჰა, მოვიდეს ძმად ვინმე და გრქუას შენ სიტყუად გულისსაკლებელი, და შენ მოითმინო იგი და მოუდრიკენ მას მუჯლნი. აჰა ესერა, დაგიც ერთი ქვად. ხოლო მეყსეულად წარხვდე და უთხრა ძმასა სხუასა, ვითარმედ მან ვინმე მაგინა მე, და არა ოდენ დაუთმე, არამედ მუჯლნიცა მოუდრიკენ მას. აჰა ესერა, ერთი ქვად დასდევ და ორი აღიღე. კუალად მოუდრეკს კაცი მუჯლთა ძმასა თვსსა, რადთამცა იდიდა, და იპოების სიმდაბლჴ ამპარტავანებით. ესე არს დადება ქვისად და კუალად აღება მისი. ხოლო რომელი იქმოდის საქმესა ამას გულისხმისყოფით, იგი დააჯერებს თავსა თვსსა, ვითარმედ იგი სცთა და ვითარმედ მან ყო მიზეზი დაბრკოლებისად მის. ესე არს გულისხმისყოფით შევრდომა ძმისად.

არს სხუად, რომელი დუმს, არამედ არაგულისხმისყოფით, რამეთუ აქუს, ვითარმედ სათნოებასა რასმე იქმს. ეგევითარსა მას არარად აქუს სარგებელი. ხოლო რომელი გულისხმისყოფით დუმნეს, მას აქუს თავი თვისი ესრე, ვითარმედ არა ღირს არს ზრახვასა, ვითარცა თქუეს მამათა, და ესე არს გულისხმისყოფით დუმილი.

და კუალად, კაცი შეურაცხ-ჴყოფს თავსა თვსსა და ჴგონებს, ვითარმედ დიდსა რასმე იქმს, და რამეთუ თავსა დაიმდაბლებს, და არა უწყის, ვითარმედ არარად აქუს, რამეთუ არაგულისხმისყოფით იქმს. ხოლო გულისხმისყოფით არაშერაცხად თავისა თვისისად ესე არს, რადთა კაცსა აქუნდეს თავი თვისი უღირსად კაცთა თანა შერაცხად, ვი-

¹ გითხრა ლეჲა 152.11] გითხარ A

თარცა ეტყოდა მამად მოსე თავსა თვსსა, ვითარმედ: „ნაც-
რისფერო, შავო, რად აღერევი კაცთა თანა, ვინაფთგან არა
ხარ კაც?“

კუალად არს სხუად, რომელი ჰმსახურებს უძღურსა,
რადთამცა ჰქონდა მადლი. ხოლო ესე არაგულისხმისყოფით
არს და რადცა მოინიოს გულისსაკლებელი ეგვევითარსა ზე-
და, მეყსეულად დაუტეობს კეთილისა საქმესა მას, რამეთუ
არაგულისხმისყოფით იქმს მას. ხოლო რომელი გულის-
ხმისყოფით ჰმსახურებდეს უძღურსა, ამისთვის ჰმსახურებს,
რადთამცა მოიგო ლმობიერებაჲ. ხოლო რომელი ამისთვის
ჰმსახურებდეს, იგი დაღაცათუ რადმე ჭირი მოინიოს მის ზე-
და და რადხომცა განრისხნებოდის უძღური იგი მის ზედა,
არა მოინყინებს, არამედ უშფოთველად მოითმენს, რამეთუ
იცის, თუ რადსათვს ჰმსახურებს მას, და იტყვს, ვითარმედ:
„იგი მე მიყოფს კეთილსა და არა მე – მას“. არამედ გრწმე-
ნინ ჩემი, რამეთუ მრავალთა ვნებათა და ბრძოლათაგან
განერების კაცი, რომელი ჰმსახურებდეს გულისხმისყოფით
უძღურსა. რამეთუ მე ვიხილე ძმად ერთი, რომელსა ჰბრძო-
და გულისთქუმაჲ ბოროტი და ჰმსახურებდა იგი უძღურსა,
რომელსა შჭირდა სენი მამაცი. და რამეთუ ჰმსახურებდა
იგი გულისხმისყოფით, და ამისთვის განეყენა მისგან ვნე-
ბად იგი. და ევაგრე იტყვს, ვითარმედ ბერმან ვინმე დიდმან
ძმასა ვისმე, რომელსა ჰბრძოდეს ღამით სიზმარნი ბოროტ-
ნი, განათავისუფლა მათგან, რამეთუ უბძანა მას, რადთა
ჰმსახურებდეს უძღურთა მარხვით. და ჰკითხეს მას ამისთვის
და თქუა, ვითარმედ: „არარად ესრეთ ეგვევითართა ვნებათა
დაავსებს, ვითარ უძღურთა მსახურებაჲ“.

ხოლო კუალად არს სხუად, რომელი იღუნის ამჰარტა-
ვანებით და აქუს, ვითარმედ სათნოებასა რასმე იქმს. ხოლო
ეგვევითარი არაგულისხმისყოფით იღუნის, რამეთუ ამით
საქმითა მოვალს შეურაცხებასა მოყუსისასა და უჩს თავი

თქსი, ვითარმედ არს რაამე. ხოლო ეგევითარი იგი არა ოდენ ერთსა ქვასა დასდებს და ორსა აღიღებს, არამედ ყოველსაცა სახლსა დაარლუევს განკითხვითა მოყუსისადათა. ხოლო რომელი გულისხმისყოფით იმარხვიდეს, მას არა უნებს, რაათამცა იდიდებოდა ვითარცა მოლუანჭ, არამედ იმარხავს ამისთვის, რაათამცა მოიგო მით მარხვითა სინმიდჭ და სიმდაბლჭ, ვითარცა იტყვან წმიდანი მამანი, ვითარმედ: „შრომანი ჴორციელნი გულისხმისყოფით მოიყვანებენ სიმდაბლესა“. და ყოვლისა სათნოებისაჲ ესრეთ უნებს კაცსა ქმნად, რაათა მოიგოს იგი და დაინერგოს მის შორის, რაათა ესრეთ იქმნეს ჴელოვან და ალაგოს სახლი სულისა თქსისაჲ უცთომელად.

ხოლო რომელსა უნდეს მოგებაჲ სათნოებისა რაჲსამე, არა უჭმს თქუმად, ვითარმედ დიდ არიან სათნოებანი და ვერ შემძლებელ ვარ მოგებად მათდა, რამეთუ ესე არს, ოდეს კაცი არა ესვიდეს ღმერთსა და არა ჰრწმუნეს, ვითარმედ ღმერთი შემძლებელ არს შეწევნად მისა. აჰა ესერა, რომლისათვისცა გინებს საქმისა კეთილისა, მოვედით და ვთქუათ და ვპოოთ, ვითარმედ ჩუენ თანა არს იგი, უკუეთუ გკნდეს მოგებაჲ მისი.

აჰა ესერა, იტყვს: „შეიყუარო მოყუასი თქსი, ვითარცა თავი შენი“ (ლევიტ. 19,18; მათ. 5,43). ნუ იტყვ, ვითარმედ დიდ არს სათნოებაჲ ესე და ვითარ შემძლებელ ვარ მე მოგებად მისა, ანუ ვითარ შემძლებელ ვარ შეყუარებად მოყუსისა თავისა თქსისაებრ? ანუ ვითარ ვზრუნვიდე ჭირთა მისთა, ვითარცა ჩემთა, უფროჲსლა, რომელნი-იგი გულსა მისსა შინა არიან და არავინ უწყის? ნუ იგონებ ეგევითართა გულისსიტყუათა, არამედ სასოებითა ღმრთისადათა იწყე ქმნად სათნოებისა მის და მაშინ იხილო შეწევნაჲ ღმრთისაჲ, რომელი მოგეცეს¹ შენ წარმართებად მისა.

¹ რომელი მოგეცეს ἢ παρ᾽ ἐμοῦ] რომელი მოგცემს A

და გითხრა შენ სახლს რაღმე. რამეთუ ვითარცა ორნი კიბენი, რომელნი დგანედ – ერთი იგი ზეაღმყვანებელი ცად და მეორე იგი შთამყვანებელი ქუე, ჯოჯოხეთად, და შენ სდგა შორის მათსა ქუეყანასა ზედა. ნუ იტყვ, თუ ვითარ შემძლებელ ვარ მე აღწვენად ქუეყანისაგან და მიწთომად თავსა მის კიბისასა, რამეთუ არცა-თუ შესაძლებელ არს ესე და არცა ეძიებს შენგან ღმერთი ამას. არამედ დაიცევ თავი შენი, რადთა ქუე არა შთახკდე. ნუ ბოროტსა უყოფ მოყუასსა შენსა, ნუცა ძკრსა უზრახავ მას, ნუ შეასმენ მას და ნუცა შეურაცხ-ჰყოფ მას. და ესრეთ იწყო მცირე-მცირედ კეთილისყოფად მისა, რადთა სიტყვთ მოიმაღლო იგი და რადთა მის თანა იგი ერთვოდის და რადთა რადცა შეეძლოს, შეენეოდის მას. და ესრეთ მცირე-მცირედ აღვიდოდის თითოეულსა კიბესა და ესრეთ შენევნითა ღმრთისადათა მიინევის თავსა მის კიბისასა. რამეთუ ოდეს შეენეოდის მოყუასსა თვსსა, მერმე უნებს კეთილი მისი, ვითარცა თავისა თვსისაჲ, და ესე არს, ვითარმედ: „შეიყუარო მოყუასი შენი, ვითარცა თავი თვსი“.

უკუეთუ ვეძიებდეთ, ვპოოთ, და უკუეთუ ვითხოვდეთ ღმრთისაგან, განგუანათლნეს ჩუენ, რამეთუ იტყვს წმიდასა სახარებასა შინა, ვითარმედ: „ითხოვდით და მოგეცეს, ეძიებდით და ჰპოოთ, ირეკდით და განგელოს თქუენ“ (მათ. 7,7; ლუკ. 11,9). ხოლო თხოვაჲ არს, რადთა ვევედრებოდით ღმერთსა ლოცვითა. ხოლო ძიებაჲ ესე არს, რადთა ვეძიებდეთ, თუ ვითარ მოვლენ სათნოებანი, ანუ რაჲ არს მომყვანებელი მათი და თუ ვითარ მოვიგოთ სათნოებაჲ. და ესე არს, რომელსა იტყვს, ვითარმედ: „ეძიებდით და ჰპოოთ“. ხოლო „ირეკდით და განგელოს“, რამეთუ რეკაჲ არს ქმნაჲ სათნოებისაჲ, რამეთუ კაცი ჴელითა ჰრეკს, ხოლო ჴელნი გამოითარგმანებიან საქმედ. ხოლო ან გვკვს ჩუენ, რადთა არა ოდენ ვითხოვდეთ, არამედ რადთა ვეძი-

ებდეთცა და ვიქმოდითცა და რაფთა ვისწრაფდეთ, ვითარცა მოციქული იტყვს, რაფთა „მტკიცე ვიყვნეთ ყოველსავე ზედა საქმესა კეთილსა და განმზადებულ“ (შდრ. 2 კორ. 9,8; 2 ტიმ. 3,17). ვითარცა კაცი, ოდეს ლამინ ნაგისა შექმნასა, პირველად მოჰმზადებს ყოველსავე საწმარსა ვიდრე მცირედ ბირკადმდე და ვიდრე მცირედ ფისადმდე, და ეგრეთვე დედაკაცი, ოდეს ლამინ ქსელისა მოქსოვასა, პირველად მოჰმზადებს ვიდრე მცირედ ლერწმადმდე და ვიდრე მცირედ მკედადმდე. ხოლო ეგრეთვე გვჯმს ჩუენცა, რაფთა მზა ვიყვნეთ ყოფად ნებისა ღმრთისა, ვითარცა მას უნებს და ვითარცა მას სთნავს.

რაფ არს, რომელსა იტყვს მოციქული, ვითარმედ: „ნებად ღმრთისაჲ კეთილი და სათნოჲ და სრული“ (რომ. 12,2)? ყოველივე, რაფცა იქმნეს, ანუ მიშუებითა ღმრთისაფთა, ანუ სათნოყოფითა ღმრთისაფთა არს, ვითარცა იტყვს წინაფსწარმეტყუელი, რამეთუ: „მე ვარ უფალი, რომელმან დავჰზადე ნათელი და ვქმენ ბნელი“ (ეს. 45,7). და კუალად იტყვს: „არა არს ბოროტი ქალაქსა შინა, რომელი არა ქმნის უფალმან“ (ამოს. 3,6). ხოლო ბოროტად იტყვს ყოველსავე გულისსაკლებელსა, რომელი იქმნების წურთისათჳს ჩუენისა: შიმშილი, სრვაჲ და უნჯმროებაჲ და სენი, ბრძოლანი. ხოლო ესე ყოველნი არა მოინევიან ჩუენ ზედა სათნოყოფითა ღმრთისაფთა, არამედ მიშუებითა ღმრთისაფთა უმჯობჳსისათჳს ჩუენისა. ხოლო ამას იქმს ღმერთი, არამედ არა უნებს, რაფთა ჩუენცა შევეწეოდით მას.

და გითხრა, თუ ვითარ. უკუეთუ უნდეს ღმერთსა დაქცევაჲ ქალაქისაჲ, არა უნებს, რაფთა ჩუენცა ცეცხლი შეუდვათ მას. და კუალად იქმნების მიშუებაჲ ღმრთისაჲ ვისთჳსმე, რაფთამცა გულისკლებაჲ მოინია მის ზედა, ანუ რაფთამცა დასნეულდა. ხოლო არა ჯერ-არს, რაფთა ჩუენცა გულსა ვაკლებდეთ მას, გინა ვთქუათ, ვითარმედ: „ვინაფთგან

ღმერთსა უნებს უძღურებად მისი, არა შევიწყალოთ იგი“. არა ჰნებავს ესევეთარი საქმე ღმერთსა, არამედ უნებს, რადთა ვიყვნეთ ჩუენ სახიერ და რადთა ესევეთარსა ზედა საქმესა გულსა გუაკლდესცა ჭირი სხვსა. არამედ უნებს, რადთა ვიქმოდით ნებასა მისსა კეთილსა, რომელ არს მცნებათა დაცვად და ურთიერთას სიყუარული და მოწყალებად და მსგავსნი ამათნი. და ესე არს ნებად ღმრთისად კეთილი.

ხოლო რად არს სათნოდ? რამეთუ არა-თუ ყოველი, რომელი იქმოდის კეთილსა, იქმს სათნოსაცა. რამეთუ, აჰა ესერა, პოვის კაცმან ვინმე ქალი ობოლი, გლახაკი, შუენიერი და შეუყუარდის იგი შუენიერებისა მისისათვს და აღიღის იგი და განზარდის სიობლისა მისისათვს, ვითარცა ერთი გლახაკი. აჰა, ესე არს საქმე კეთილი და ნებად ღმრთისად, არამედ არა არს ესე სათნოებად. ხოლო სათნოებად არს, ოდეს კაცი იქმოდის მოწყალებასა არა კაცობრივითა რადთა გულისსიტყვთა, არამედ კეთილისა საქმისათვს და ღმობიერებისათვსა. ხოლო ესე არს სათნოდ ღმრთისად. ხოლო სრული ესე არს, ოდეს კაცი იქმოდის მოწყალებასა არა სიძვრითა, არცა ზარმაცობითა, არამედ ყოვლითა გულითა, გულსმოდგინებით, და ესრეთ მისცემდეს, ვითარცა მიიღებდამცა. და ესრეთ იქმოდის ქველისსაქმესა. და ესე არს ქმნად ნებისა ღმრთისად „კეთილი და სათნოდ და სრული“ (რომ. 12,2), ვითარცა მოციქული იტყვს.

ხოლო უწმს კაცსა, რადთა უწყოდის ძალი იგი და მადლი სათნოებისა ამის მოწყალებისად, რამეთუ შემძლებელ არს ცოდვათა მოტევებადცა, ვითარცა იტყვს წინადასწარმეტყუელი, ვითარმედ: „საჯსარ კაცისა არნ სიმდიდრე მისი“ (იგავ. 13,8). და კუალად იტყვს, ვითარმედ: „ქმენ მოწყალებად, რადთა განერე ცოდვათა შენთა“ (დან. 4,24). და უფალი იტყვს: „იყვენით მოწყალე, ვითარცა მამად თქუენი მოწყალე არს“ (ლუკ. 6,36). ხოლო გულისხმა-ყავთ, ვითარმედ სათნო-

ებად ესე მიემსგავსების ღმერთსა. ხოლო ჯერ-არს, რადთა ამასცა ზედა ვეკრძალეობდით, რამეთუ ფრიადი განყოფაჲ არს მოწყალეებისაჲცა.

ხოლო ჩუენ გჳჳმს, რადთა გულისხმისყოფით ვიქმოდით მოწყალეებასა. რამეთუ არს კაცი, რომელი იქმს მოწყალეებასა, რადთამცა იკურთხა ყანაჲ მისი. და სხუად იქმს მოწყალეებასა, რადთამცა განერა ნავი მისი. და სხუად იქმს მოწყალეებასა შვილთა მისთათჳს. და სხუად იქმს მოწყალეებასა, რადთამცა იდიდა, და ღმერთი ადიდებს მას. და არავის უგულებელს-ჰყოფს იგი, არამედ თითოეული რასაცა ითხოვდეს, მისცემს, უკუეთუ მის საქმისაგან არარაჲ ევნებოდის სულსა მისსა. არამედ ესე ყოველნი აქავე მიიღებენ მადლსა მათსა და მუნ არარაჲ აქუს, რამეთუ არა მუნისა კეთილისათჳს იქმან. რამეთუ კურთხევისათჳს ყანისა შენისა ჰქმენ, აკურთხა იგი ღმერთმან. შვილთა შენტათჳს ჰქმენ, დაიცვნა ღმერთმან შვილნი შენნი. დიდებისათჳს შენისა ჰქმენ, გადიდა შენ ღმერთმან. რადლა თანააც შენი ღმერთსა? მიგცა შენ მადლი, რომლისათჳს ჰქმენ.

ხოლო არს სხუად, რომელი იქმს მოწყალეებასა, რადთამცა განერა სატანჯველისაგან საუკუნოჲსა. და ესე იქმს სულისათჳს თჳსისა და საღმრთოდ. არამედ არა იქმს, ვითარცა არს ნებაჲ ღმრთისაჲ, არამედ წუთ საზომსა მონისასა არს, რამეთუ მონაჲ არა იქმს ნებასა უფლისასა ნეფსით, არამედ ეშინიან, რადთა არა სცეს მას. ხოლო სხუად იქმს, რადთამცა აქუნდა მადლი. ესე პირველისა მის უზეშთაჲს არს. ხოლო არცა ესე არს ნებისაებრ ღმრთისა, რამეთუ არა არს იგი საზომსა ძისასა, არამედ მუშაკისასა, რამეთუ მუშაკი ნებასა უფლისა თჳსისასა იქმს, რადთამცა აღილო ფასი, და ეგრეთვე ესე იქმს, რადთამცა ჰქონდა მადლი. რამეთუ სამითა სახითა ვიქმთ კეთილსა, ვითარცა წმიდაჲ ბასილი იტყჳს და სხუასა ჟამსაცა მიტყუამს ესე თქუენდა. ანუ შიშისათჳს სატან-

ჯველთაჲსა, და ვართ საზომსა მონისასა. ანუ მადლისათჳს, და ვართ საზომსა მუშაკისასა. ანუ კეთილისათჳს, და ვართ საზომსა ძისასა, რამეთუ ძჳ არა იქმს ნებასა მამისა თჳსისასა შიშისათჳს მისისა, ანუ ფასისა აღებისათჳს, არამედ რადთამცა მოიმაღლა იგი, რადთამცა პატივ-სცა და განუსუენა მას. და ჩუენცა გჳჳმს, რადთა ამით სახითა ვიქმოდით მონყალებასა კეთილისა საქმისათჳს და რადთა ვიჭიროდით ერთმანერთისათჳს, ვითარცა თჳსთა ასოთათჳს. და რადთა ესრეთ მივსცემდეთ, ვითარმცა ჩუენ მოვიღებდით, და ესრეთ კეთილსა უყოფდეთ, ვითარმცა იგი ჩუენ გჳყოფდა. და ესე არს გულისხმისყოფით მონყალებაჲ, და ესრეთ ვიპოვებით ჩუენ საზომსა ძისასა.

ხოლო ნუვინ იტყჳს, ვითარმედ გლახაკ ვარი მე და ვერ ვიქმ მონყალებასა, რამეთუ დაღაცათუ ვერშემძლებელ ხარ მიცემად, ვითარცა მდიდართა მათ, რომელთა მისცეს ფრიადი ფასისსადაცა მას, მიეც ორი დანგი, ვითარცა ქურივმან მან, და შეინიროს იგი ღმერთმან შენგან, ვითარცა ფრიადი იგი (მარკ. 12,41-42; ლუკ. 21,2-4). ხოლო უკუეთუ ვერცა ესე შეგიძლია, მაშა ჰმსახურე უძლურთა, რამეთუ ესე ძალ-გიც. ხოლო უკუეთუ ესეცა ვერ ძალ-გიც, ძალ-გიც სიტყჳთა ნუგეშინისცემად ძმისა შენისა. შეინყალე იგი სიტყჳთა და მოიწსენე წერილისაჲ მის, რომელსა იტყჳს: „სიტყჳთაჲ კეთილი უფროჲს არს მიცემასა“ (ზირ. 18,16-17). ხოლო აჰა, სიტყჳთაცა ვერ ძალ-გიც, ნუუკუე ვერ ძალ-გიცა ესეცა, რადთა ოდეს აღშფოთნეს ძმაჲ შენი, შეინყალო და იტჳრთო იგი ჟამსა აღძრვისა მისისასა? და არა უწყია, რამეთუ იგიცა ჩუენ ყოველთა მტერისაგან გამოიცადების? ხოლო შენ დუმენ სიტყჳსგებისა წილ და განარინე იგი ჟამსა მას მტერისაგან და ესრეთ შეინყალოს სულიცა შენი. და კუალად ძალ-გიც, რადთა უკუეთუ შეგცოდოს შენ ძმამან შენმან, მიუტეო მას იგი, რადთა შენცა მოტევებაჲ მოილო ღმრთისაგან, რა-

მეთუ თკთ უფალი იტყვს: „მიუტევეთ და მოგეტევენ“ (ლუკ. 6,37). და ესრეთ იქმ მოწყალებასა სულსა თანა ძმისა შენისასა, უკუეთუ შეუნდო მას, რად-იგი შეგცოდა შენ. რამეთუ მოგუცა ჩუენ ღმერთმან ჴელმწიფებად, რადთა უკუეთუ გვნდეს და შეუნდობდეთ ურთიერთას ცოდვათა. და-ლაცათუ არად გაქუნდეს, რადთამცა ჴორციელად ჴქმენ მის თანა წყალობად, მაშინ სულსა მისსა თანა ქმენ წყალობად, რამეთუ სულისა წყალობად უფროჲს არს ჴორცთასა, რამეთუ ვითარცა სული უპატიოსნეს არს ჴორცთასა, ეგრეთვე წყალობად, რომელი იქმნას სულსა თანა, უფროჲს არს, ვიდრე რომელი იქმნეს ჴორცთა თანა.

ხოლო ვერვინ შემძლებელ არს თქუმად, ვითარმედ ვერ შემძლია წყალობისა ქმნად. ხოლო ყოველთავე შეგკძლია, თითოეულსა ძალისაებრ და საზომისა თკსისა. არამედ ისწრაფეთ ხოლო¹, რადთა გულისხმისყოფით იქმოდით, ვითარცა თითოეულისა სათნოებისათკს ვთქუთ, რამეთუ რომელი გულისხმისყოფით იქმოდის სათნოებასა, იგი არს ჴელოვანი მაგებელი, რომელი უცთომელად აღაშწნებს სახლსა სულისა თკსისასა. და ამისთკს იტყვს წმიდასა სახარებასა შინა, ვითარმედ: „ბრძენმან მან აღაშწნის სახლი თკსი კლდესა ზედა და ვერარად წინააღმდგომი შესძრავს მას“ (მათ. 7,24) და შემდგომი ამისი.

ღმერთმან მოგუმადლენ ჩუენ სმენად და ქმნად, რომელი გუესმეს, რადთა არა საშჯელ გუექმნენ ჩუენ სიტყუანი ესე დღესა მას საშჯელისასა, რამეთუ უფლისადა არს დიდებად უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

¹ ხოლო *μάστον* 158.29] > A

**თქუმული მისივე, რომელსა აქუნდეს მსახურებად
ოსტიგნობისაჲ**

უკუეთუ გნებავს, რაჲთა არა შთაჰვარდებოდი გულის-
წყრომასა და ძკრისცსენებასა, სიყუარული ჭურჭლისა
რაჲსამე მიმართ ნუ გაქუნ, არამედ უკუეთუ რაჲმე ვინმე
ითხოოს შენგან, მიეც მას იგი. და უკუეთუ ცთომით გან-
ცყდეს, ნუ ზრუნავ. ხოლო ამას იქმოდე ნუ ამისთვის, ვი-
თარმცა შეურაცხ-ჰყოფდი საქმესა მონასტრისასა, რამეთუ
თანაგაც, რაჲთა ყოვლითა ძალითა შენითა ზრუნვიდე მას,
არამედ რაჲთამცა დაიცევ თავი შენი შფოთისაგან. ხო-
ლო ესე წარჰმართე და საქმეთა ამათ არა ვითარცა შენთა
იქმოდი, არამედ ვითარცა ღმრთისათა და ვითარმედ ესე
ოდენ საურავი რწმუნებულ არს შენდა. რამეთუ ერთი იგი
გულისსიტყუად გასწავებს შენ არაშურობასა და არცა სი-
ყუარულსა ჭურჭელთასა, ხოლო მეორე ესე გასწავებს შენ
არაშეურაცხყოფასა საქმეთა მონასტრისათა. ხოლო უკუ-
ეთუ ესე გულისსიტყუანი არა გაქუნდენ, უწყებულ იყავ, ვი-
თარმედ შფოთი და აღძრვად არა გაკლდეს.

კითხვად გულისსიტყვსაჲ: მხიარულ ვარ მე სიტყუათა
ამათ ზედა და მინებს, რაჲთამცა ვქმნენ იგინი. ხოლო რაჲ-
სათვს, რომელ ჟამსა ქმნისასა არა მზა ვიპოები?

მიგებაჲ: რამეთუ არა ყოვლადვე იწურთი მათ. ხოლო
უკუეთუ გნებავს, რაჲთა ოდესცა გინდეს, გაქუნდეს იგი,
მაშა ყოვლადვე იწურთიდი მათ. და მე ვესავ ღმერთსა,
რაჲთა წარემატებოდი შენ საქმესა ღმრთისასა. ლოცვად
და ნურთად სწორ-ყვენ, უძღურნი მოიმადლენ პირველად,
რაჲთა ამით საქმითა მოიგო ღმობიერებაჲ, ვითარცა მრ-
ვალგზის ვთქუ. ხოლო მეორედ, რაჲთა უკუეთუ შენ და-

სნეულდე, ადგიდგინოს ღმერთმან კაცი, რომელმან მოგი-
მადლოს შენ, რამეთუ იტყვს: „რომლითა სანყაულითა მიუწ-
ყოთ, მოგენყოს“ (მათ. 7,2).

უკუეთუ ჰქმნა საქმწ რადმე კეთილი ძალისაებრ შენისა
და გენამებოდის შენ სვნიდისი შენი და ვერ მოიმადლო
უხუცესი შენი, გინებს, რადთა გულსმოდგინე-ჰყო თავი შენი
და იტყოდ, ვითარმედ მე არა ვიცი გზად ჭეშმარიტებისად,
და ესრეთ უშფოთველად და განსუენებით თანანარჰვდე,
ოდეს გესმეს, ვითარმედ სცეთ მისთვის, რომელი-იგი შენ
გეგონა, ვითარმედ კეთილი მიქმნიეს. რამეთუ განშჯითა
უგულისხმიერვსთა შენთადათა ანუ ნაკლული იგი განსრულ-
დების, ანუ კეთილად ქმნული იგი უკეთვს იქმნების. ისწ-
რაფე, რადთა წარემართო მოთმინებითა, რადთა რომელიცა
ჭირი მოიწიოს შენ ზედა, გინა-თუ სულიერად, გინა-თუ
წორციელად, უშფოთველად და სულგრძელებით იტკრთო
იგი.

უკუეთუ ვინმე დაგწამოს შენ საქმწ, რომელი შენ არა
გექმნას, ნუ განჰრისხნები, ნუცა სიტყუას-უგებ, არამედ
მოუდრიკენ მას მუწლნი და არქუ: „შემინდვე და ლოცვა-ყავ
ჩემთვის“. ესე თქუ და კმა-ყავ, დადუმენ, ვითარცა თქუეს მა-
მათა.

ხოლო უკუეთუ გკითხონ, თუ ვითარ იყო საქმწ იგი,
მოუდრიკენ პირველად მუწლნი და უთხარ, თუ ვითარ იყო
საქმწ იგი, და ოდეს უთხრა, კუალად მოუდრიკენ მუწლნი
და თქუ: „შემინდვეთ და ლოცვა ყავთ ჩემთვის“.

კითხვა: რად ვყო, რამეთუ ერთსა საზომსა ვერ ვარ
სენაკსა შინა ჩემსა და შემთხუევასა ძმათასა?

მიგება: მასვე საზომსა, რომელი გაქუს სენაკსა შენსა,
ვერ მოიგებ შემთხუევასა ძმათასა. არამედ ისწრაფე ხოლო,
რადთა არავისგან გევნოს, არცა ვის ძკრი უზრახო, არცა
მიხედნე საქმესა გინა სიტყუასა ვისსამე, რომელი გავნებ-

დეს შენ. არამედ ისწრაფე, რაფთა რაფცა საქმეზე იხილო, ყოვლისაგანვე აღეშენებოდი. და ნუ გნებავს, რაფთამცა გამოშენდი სიტყუთა ანუ საქმითა შენითა, და ნუ ჰზუაობ ნურას ზედა, და მოიგე ინროებად ცხორებასა შინა შენსა, და ჭეშმარიტებად დაიმჭირე პირსა შენსა ვიდრე მცირედ საქმედმდინცა. ხოლო ესე უნყოდე¹, ვითარმედ უკუეთუ კაცსა ჰბრძოდის ვნებად რაფმე და ქმნეს მან იგი ერთგზის, მერმე უფროფსლა განძლიერდების ვნებად იგი მის ზედა, რაფეთუ თვთ იგი განძლიერებს ვნებასა მას მის ზედა და მისცემს მას ძალსა კუალად ბრძოლად მისა. ხოლო უკუეთუ ილუანოს და ქმნეს საქმე წინააღმდგომი ვნებისა მის, უფროფსლა მოაუძღურებს ვნებასა მას და განძლიერებს თავსა თვსსა მის ზედა ბრძოლად მისა. და ესრეთ ილუნიდეს რაფ მცირედ, შენეფნითა ღმრთისაფთა სძლეფს ვნებასა მას.

კითხვად: რაფ იტყუეს მამაფ პიმენ, ვითარმედ სამნი ესე საქმენი არიან თავ ყოვლისა კეთილისა: შიში ღმრთისაფ, ვედრებაფ [ღმრთისაფ] და კეთილისყოფაფ მოყუფსისაფ?

მიგებაფ: შიში ღმრთისაფ ამისთვის თქუა ბერმან, რაფეთუ შიში ღმრთისაფ არს დასაბამი ყოვლისა კეთილისაფ და სიბრძნისაფ (იგაფ. 1,7; ფსალმ. 110,10) და ვერვინ ნარჰმართებს კეთილსა რასმე თვნიერ შიშისა ღმრთისა. რაფეთუ შიში ღმრთისაფ მოსდრეფს კაცსა ბოროტისაგან (იგაფ. 15,27). ხოლო ვედრებაფ ღმრთისაფ ამისთვის თქუა, რაფეთუ თვნიერ შენეფნისა ღმრთისა ვერარას სათნოებასა მოიგებს კაცი, ვერცა რას კეთილსა იქმს, დაღაცათუ უნდეს. ხოლო ამისთვის უჭმს კაცსა მარადის² ვედრებაფ ღმრთისაფ, რაფთა შეენიოს მას. ხოლო კეთილისყოფაფ მოყუფსისაფ ამისთვის თქუა, რაფეთუ ესე საქმე სიყუარულისაფ არს, ხოლო საქმე კეთილი მოყუფსისა სიყუარულითა სრულ-იქმნების. და

¹ უნყოდე *γίνασθε* 190.10] უნყოდეთ A

² მარადის *ἐν παντί* 191.14] მას A; მ-ს B

ამისთვის თქუა ბერმან კეთილისყოფად მოყუსისად, რამეთუ
ოდეს კაცსა ღმრთისა ეშინოდის და ღმერთსა ევედრებოდის,
უჭმს მას, რადთა მოყუასსაცა კეთილი უყოს, რამეთუ ესე
არს სიყუარული, აღმასრულებელი სათნოებათად, ვითარცა
წმიდად მოციქული იტყვს (რომ. 13,10; 1 კორ. 13,13). ხოლო
უფალსა ღმერთსა ჩუენსა დიდებად მივსცეთ უკუნიითი უკუ-
ნისამდე, ამენ.

**თქუმული მისივე, მოსენაკეთა მიმართ, რაჟამს
ჰკითხეს მას ურთიერთას მისლვისათჳს**

იტყჳან მამანი, ვითარმედ სენაკსა შინა ჯდომად და მი-
სლჳად ბერთა თანა სწორი-სწორ არს. ხოლო ესე სიტყუად
არს, ვითარმედ სენაკსაცა შინა და გარეგან სენაკისაცა
გჳჳმს, რადთა ფრთხილ ვიყვნეთ გონებითა და რადთა უწყო-
დის კაცმან, თუ რადსათჳს უჳმს ჯდომად სენაკსა შინა, ანუ
რადსათჳს მივალს იგი მამათა და ძმათა თანა. ხოლო უკუეთუ
ესრეთ ფრთხილ იყოს კაცი, მერმე მიინევის ქმნად სიტყჳსა-
ებრ მამათადსა, და ოდეს ჯდეს სენაკსა¹, ილოცავს, იწურ-
თის და იქმს მცირედ ჳელითსაქმარსა და ზრუნავს გულისსი-
ტყუათა თჳსთა და კუალად, ოდეს სადა მივიდეს, ირგებს და
შეიქცევის უვნებელად სენაკადვე თჳსა. ხოლო უკუეთუ იხი-
ლოს თავი თჳსი, ვითარმედ ევნო რადსაგანმე, ესრეთ სცნობს
უძლურებასა თჳსსა და სცნობს, ვითარმედ ჯერეთ არარად
მოუგია დაყუდებისაგან თჳსისა და შეიქცევის დამდაბლე-
ბული სენაკსავე თჳსსა და ინანის და ტირს და ევედრების
ღმერთსა უძლურებისა თჳსისათჳს. და ესრეთ დაჯდეს სე-
ნაკსა თჳსსა და ეკრძალებოდის თავსა თჳსსა.

ხოლო კუალად ოდეს გამოვიდეს გარე და იხილოს თავი
თჳსი, ვითარმედ კუალადცა იძლევის, ვითარცა პირველად,
და ესრეთ კუალად შეიქცეს სენაკსა თჳსსა და ევედრებოდის
ღმერთსა ტირილით, რამეთუ კაცსა სენაკი აღამაღლებს,
ხოლო კაცნი გამოსცდიან.

და თქუეს წმიდათა მამათა ესე კეთილად, ვითარმედ
მისლჳად და ჯდომად სწორ არიან². ხოლო თქუენ, ოდეს გა-

¹ სენაკსა Gr] + თჳსსა A

² სწორ არიან] სწორი-სწორ ყვნეს A

მოხკდოდით სენაკთაგან თქუენთა, გიჴმს თქუენ, რადთა უწყოდით, თუ რადსათჳს გამოხუალთ სენაკთაგან თქუენთა, რადთა არა ცუდად განხკდეთ, რამეთუ იტყჳან წმიდანი მამანი, ვითარმედ: „რომელი თჳნიერ გულისსიტყჳსა განვიდეს, იგი ცუდად დაშურების“. ხოლო რად არს გულისსიტყჳა იგი? რადთა პირველად სიყუარულისათჳს მივიდოდით, რამეთუ წერილ არს: „იხილე ძმად შენი, იხილე უფალი ღმერთი შენი“. ხოლო მეორედ, რადთა ესმეს სიტყჳა ღმრთისად, რამეთუ სიმრავლესა შორის უფროდს წარმოვალს სიტყჳა და დაღაცათუ მან არა იცოდის, სხუად ვინმე იტყჳს. ხოლო მესამედ ამისთჳს, რადთა, ვითარცა ვთქუ, ცნას საზომი თჳსი. ესრეთ, უკუეთუ მივიდოდინ ტაბლასა და დააგონ საჭმელი კეთილი და სათნო-ეყოს მას იგი, უჴმს, რადთა გულისხმა-ყოს, თუ შეუძლია-ძი დამჭირვად თავისა თჳსისა მისგან, ანუ-თუ ისწრაფის, რადთამცა მიიღო უფროდსი ძმისა თჳსისად და რადთამცა თჳთ იხუედრა უფროდსი ნაწილი და ძმასა თჳსსა მისცეს უმცროდსი, და არცა შეჴრცხუენდეს მიცემად ძმისა უმცროდსი და თჳთ აღებად უფროდსი. და მცირედითა მით და არარადთა საქმითა აღასრულებს ანგაჴრებასა. და კუალად უჴმს, რადთა გამოიძიოს, თუ მრავალთა საჭმელთაგან შეუძლია დამჭირვად თავი თჳსი და ყოველთაგან არაგანძლომად. და თუ და-ძინიჭირავსა თავსა თჳსსა კადნიერებისაგან, ანუ-თუ იხილოს ძმად ვინმე, ვითარმედ უფროდს მისსა პატივ-სცემენ მას, რადთა არა აღშფოთნეს. და უკუეთუ იხილოს სხუად ძმად, ვითარმედ კადნიერ-იქმნებოდის მეორისა თანა, გინა-თუ მრავლისმეტყუელეებდეს, გინა-თუ უწყესოსა რასმე იქმოდის, რადთა არა მიხედნეს მას, არცა განიკითხოს იგი, არამედ რადთა დაიმჭიროს, ვითარცა წერილ არს მამისა ანტონისთჳს, ვითარმედ: უკუეთუ ვის-თანა-მე მივიდის, რადცა კეთილი იხილის მის თანა, იგიცა დაიმარხის: რომლი-

სამე სიმშკდღ და რომლისამე სიმდაბლღ და რომლისამე დაყუდებაჲ, და ესრეთ თითოეულისა კეთილი დაიმჭირის.

აჰა ესერა, ძმანო, ესრეთ გვჭმს ჩუენცა ქმნაჲ და რაჲთა ამისთვის მივიდოდით ერთმანერთისა თანა, და ოდეს შევიქცეოდით სენაკადვე ჩუენდა, რაჲთა გამოვეძიებდეთ, თუ რომლისაგან გუერგო, ანუ რომლისაგან გუევნო. და რომელსა ზედა დაცვულ ვიყვნეთ, რაჲთა მისთვის ვჰმადლობდეთ ღმერთსა, რომელმან დაგვფარნა ჩუენ უვნებელად. ხოლო რომლისაგანცა გუევნებოდის, რაჲთა ვინანდეთ მისთვის და ვტიროდით და ვწუხდეთ თავთა ჩუენთათვის, რამეთუ თითოეული თვისსა საზომისაგან ირგებსცა და ივნებსცა. უკუეთუ არა, სხუად არავინ გუავენებს, არამედ ჩუენ თვთ თავთა ჩუენთა ვავენებთ, რამეთუ შემძლებელ ვართ, უკუეთუ გვნდეს, რაჲთა ყოვლისაგანვე საქმისა ვირგებდეთ.

და გითხრა თქუენ სახღ რამე, რაჲთა გულისხმა-ჰყოთ, ვითარმედ ესრეთ არს. აჰა ესერა, დგეს ვინმე ადგილსა რომელსამე ქალაქსა შინა, და წარჰჭდინა მის თანა სამნი კაცნი. და ერთმან მათგანმან მოიგონა მისთვის, ვითარმედ მოელის ვისმე, რაჲთამცა წარვიდა მის თანა და ისიძვა. და მეორემან მოიგონა, ვითარმედ მპარავი არს. და მესამემან მოიგონა, ვითარმედ უწმობია ვისდამე მოყუარისა მისისა მახლობელისა ამის სახლისაგან და მოელის მას, რაჲთა წარვიდეს მის თანა ლოცვად. აჰა ესერა, სამთავე ერთი კაცი ნახეს და სამთავე სხუად და სხუად გულისსიტიყუად მოიგონეს მისთვის, თითოეულმან საზომისაებრ თვისსა: ვითარ თვთ იყო, იგივე მისთვის მოიგონა.

ვითარცა არიან გუამნი, შავისა ნავდლისა უფალნი და უძღურნი სტომაქითა, და რაჲცა ჭამონ, ყოველივე ავნებს მათ, დაღაცათუ სარგებლისაჲ იყოს საჭმელი იგი, ეგრეთვე სული, ოდეს იყოს ბოროტისა ჩუეულებისა უფალი, ყოვლისაგანვე ევნების, დაღაცათუ კეთილი რამე იხილოს,

არამედ მას ევენებისვე. ვითარცა ჭურჭელი რაიმე, რომელი იყოს საესტ თაფლითა და უკუეთუ შთააგდოს ვინმე მას შინა მცირედ თივისაგან, რომელსა ჰრქუან აფსინდი, მეყსეულად ყოველსა მას თაფლსა დაამწარებს, ეგრეთვე ჩუენ, სიმწარითა უკეთურებისა ჩუენისაჲთა დავამწარებთ მოყუსისასაცა კეთილსა.

ხოლო რომელი იყოს კეთილისა გონებისა უფალი, იგი მსგავს არს კაცსა მრთელსა სტომაქითა, რომელმან დაღაცათუ ჭამოს საჭმელი მავნებელი, მას არავე ევენების, რამეთუ სტომაქი მისი მრთელი არს და მალედ მოიდნობს და, ვითარცა ვთქუთ პირველისა მისთვის, ვითარმედ გარდააქცევს უვნებელსაცა საჭმელსა მავნებელად, ეგრეთვე ესე მავნებელსაცა ჰყოფს უვნებელად. ხოლო ესე უწყოდეთ, ვითარმედ ღორისაჲ არს სტომაქი მრთელი და ჭამს იგი კერატსა და გურკასა ფინიკისასა და მწკრესა სუამს და სიმრთელითა მისითა მალედ მოიდნობს მას. ეგრეთვე ჩუენ, უკუეთუ გუაქუნდეს სული კეთილი და საქმენი კეთილნი, რაეცა ვიხილოთ, ყოველისაგანვე ვირგებდეთ, დაღაცათუ არა რაიმე კეთილი იყოს საქმე იგი, რამეთუ წერილ არს, ვითარმედ: „კაცსა უგუჲურსა ყოველივე ბოროტ უჩნ“ (იგავ. 14,7).

მესმა მე ძმისა ვისთვისმე, ვითარმედ ოდეს მივიდის სენაკსა ვისსამე და იხილის იგი განუგველად, თქვს: „ნეტარ არს ძმად ესე, რამეთუ ესრეთ უგულებელს-უყოფიან¹ ყოველნივე ქუეყანისა საქმენი და გონებაჲ მისი არს ზეცას, რომელ ვერცა სენაკისა თვისისა განგვად მოეცალები“. და კუალად, უკუეთუ მივიდის სხვსა ძმისა სენაკსა და იხილის იგი განგვილი და განწმედილი, თქვს, ვითარმედ: „სული მისი წმიდაჲ არს და ეგრეთვე სენაკი მისი წმიდაჲ არს და კეთილისა სულისა მისისაებრ არს სენაკიცა მისი“. და არავისთვის თქვს, თუ იგი ვინმე უწესოდ არს, ანუ იგი ვინმე ფუდუ-

¹ უგულებელს-უყოფიან Gr] + მას A

ლი არს, არამედ სიკეთისაგან მისისა ყოველნივე კეთილ უჩნდეს.

ღმერთმან სახიერმან მოგუმადლენ ჩუენ, რადთა ყოველთაგან ვირგებდეთ და რადთა არაოდეს გავიგონოთ ბოროტი მოყუსისაჲ. ხოლო უკუეთუ გავიგონოთ, რადთა კუალად მოვაქციოთ კეთილად, რამეთუ არაგაგონებაჲ ბოროტისაჲ მოყუსისა თვისისაჲ შობს სახიერებასა, რომელი უყუარს ღმერთსა, რომლისაჲ არს დიდებაჲ უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

თქუმული მისივე, უხუცესთა მიმართ მონასტრისათა და თუ ვითარ ჯერ-არს ბრძანებაჲ ძმისაჲ და კუალად მათ ვითარ უცმს მორჩილებაჲ

უკუეთუ ხარ უხუცესი ძმათაჲ, ზრუნევედი მათთვის ლმობიერიტა გულიტა და სახიერებიტა და ასწავებდი მათ კეთილსა საქმით და სიტყვტ, ხოლო უფროდსლა – საქმით, რამეთუ უფროდს ერგების საქმით სწავლაჲ, ვიდრე სიტყვტ და უმტკიცცს არს. უკუეთუ ძალ-გედვას ჳორციტა შრომაჲ, სახე-ექმენ მათ, ხოლო უკუეთუ ესე ვერ ძალ-გიც და უძღურ ხარ, მაშა სახე-ექმენ მათ სათნობატა ზედა სულიერტა, რომელტა იტყვს მოციქული, „სიყუარულიტა, სიხარულიტა, მშკდობიტა, სულგრძელებიტა, სახიერებიტა, სარწმუნობიტა, სიმშკდიტა“ (გალატ. 5,22-23) და ყოველტავე ვნებატაგან მარხვიტა ტავისა ტვსისაჲდა.

ხოლო მომავალტა ცტომატაგან ნუ აღშფოტნები ფრიად, არამედ დანყნარებულად აჩუენე ვნებაჲ ცტომისაჲ მის და კანონი მიეც ჯერისაებრ და ჟამისა მომავალისა. ხოლო ნულილტა ცტომატა ნუ გამოინულილავ და ზედადსზედა ნუ ამხილებ, რამეთუ მძიმეცა არს და ზედადსზედა მხილებაჲ უგუნურებაჲ და უგულებელსყოფად მიიყვანებს კაცსა. ნუ უფლებიტ უბრძანებ, არამედ ლმობიერებიტ, ვითარმცა განაზრახებდი. რამეთუ ესრეტ [თქმული] უფროდსლა მორჩილებაჲ მოიყვანებს მას და განუსუენებსცა ჟამსა აღძრვისასა.

რაჟამს ძმაჲ ვინმე აღიძრას და სიტყუა-გიგებდეს შენ, დაიცვე ენაჲ შენი, რაჲტა არა ჳრქუა მას რისხვით სიტყუაჲ და ნუ მიუშუებ გულსა შენსა, რაჲტამცა ამაღლდა მის ზედა. მოივსენე, რამეთუ ძმაჲ შენი არს და ასოჲ შენი ქრისტცს მი-

ერ და ხატი ღმრთისად და გამოიცადების იგი ჩუენ ყოველთა მტერისაგან. და მოწყალე ექმენ მას, რადთა არა წარტყუნოს იგი ეშმაკმან წყლულებითა მით გულისწყრომისადა და მოკლას იგი ძკრისწესენებითა და წარწყმიდოს სული იგი განუკრძალველობითა ჩუენითა, რომლისათჳს ქრისტჳ მოკუდა. მოიწსენე, ვითარმედ შენცა მრავალგზის იძლევი რისხვისაგან, შენისა უძღურებისაგან. ღმობიერ-ექმენ ძმასა მას და მადლიერ იყავ, რამეთუ ჰჰოე მიზეზი, რადთა შეუენდო და შენცა ღმერთმან უმეტესად და უფროდსად შეგინდოს, რამეთუ იტყჳს: „მიუტევეთ და მოგეტევენ“ (ლუკ. 6,37). ხოლო უკუეთუ ჰგონებ, ვითარმედ ნუუკუე შენითა მით სულგრძელებითა ავნო სულსა მის ძმისასა, არამედ მოციქული იტყჳს, ვითარმედ: „სძლეთ კეთილითა ბოროტსა მას“ (რომ. 12,21), და არა თქუა, ვითარმედ: „სძლეთ ბოროტითა ბოროტსა“. და წმიდანი მამანი იტყჳან, ვითარმედ: „უკუეთუ სხუასა გაჰკანონებდე და განრისხნე, თჳსსა ვნებასა აღასრულებ“. და ვინ დაარღვის თჳსი სახლი, რადთამცა მოყუისსად აღაშჳნა? ხოლო უკუეთუ შფოთი იგი დაადგრეს, აიძულე გული შენი, ილოცე და თქუ ესრეთ: „ღმერთო, კაცთმოყუარეო და სულთა მოყუარეო, რომელმან სახიერებითა შენითა არაარსისაგან არსად მომიყვანენ ჩუენ და მოგუეც ჩუენ სამოთხჳ, ხოლო ჩუენ დავეცენით გარდასლვითა მცნებისა შენისადა. და კუალად აღგუმართენ ჩუენ სისხლითა მხოლოდშობილისა ძისა შენისადათა, მაცხოვრისა ჩუენისადათა. ანცა მოხედენ უძღურებასა ზედა ჩუენსა და შეჰრისხენ აღძრვასა ამას გულისა ჩუენისასა, ვითარცა ოდესმე ზღუასა მღელვარესა, და ნუ უშვილო იქმნები ერთსა ამას ჟამსა ჩუენ ორთაგანვე, რაჟამს მოვკუდეთ ჩუენ ცოდვითა და ნუ¹ გუეტყჳ ჩუენ, ვითარმედ: „რადმე სარგებელ არს სისხლთა ჩემთათჳს, რაჟამს შთავიდე მე

¹ ნუ 186.10] > A

განსახრწნელად?“ (ფსალმ. 29,10) [და]¹ ვითარმედ: „ამენ გეტყვ, არა გიცნი თქუენ²“ (მათ. 25,12), რამეთუ დავსებულ არიან სანთელნი თქუენნი მოკლებითა ზეთისადათა“. და შემდგომად ლოცვისა ამის, რაჟამს დამშკდნეს გული შენი, მერმე შემძლებელ ხარ სიტყვსაებრ მოციქულისა, რადთა შეჰრისხნე, ამხილო და ნუგეშინის-სცე და ლმობიერებით, ვითარცა ასოდ შენი უძღური ესრეთ განჰკურნო იგი (2 ტიმ 4,2). მაშინ ძმაეცა იგი შეინყნარებს კურნებასა მას, რაჟამს გულისხმა-ყოს, ვითარმედ არა კეთილად ქმნა, და შენითა სიმშკდითა მოსდრიკო გულიცა მისი მშკდობად.

ხოლო ან ნუმცა რად განგაშორებს შენ სიტყვსა მისგან ქრისტჳსისა, რომელსა იტყვს: „ისნავეთ ჩემგან, რამეთუ მშკდ ვარ და მდაბალ გულითა“ (მათ. 11,29). და ზრუნევი შენ, რადთა პირველად მოიგო მშკდობად და ნურარაფსა საქმისათჳს აღამრღუევ გულსა შენსა, რამეთუ ჩუენ ყოველსავე შრომასა ვჰყოფთ, რადთამცა მოვიგეთ სიყუარული და სინმიდჳ გულისაჲ. ხოლო უკუეთუ ესრეთ შეიძინო ძმაჲ იგი, ღირს-იქმნე შენცა სმენად ჳმისა მის, რომელსა იტყვს, ვითარმედ: „უკუეთუ გამოიყვანო პატიოსანი არანმიდისაგან, იყო შენ ვითარცა პირი ჩემი“ (იერ. 15,19).

ხოლო შენ, რომელი-ეგე ხარ მორჩილებასა შინა, ნუ ირწმუნებ, რასა გეტყოდის გული შენი და ნუ მიენდევები გულისხმისყოფასა შენსა, რადთა არა დაჰბრმდე. ნურას იქმ თვნიერ კითხვისა და ნუ მოიგონებ, თუ მე უკეთე გავიგონებ მასწავლელისა ჩემისა, და ნუ ხარ მსაჯულ საქმეთა მოძღურისა შენისათა, რადთა ოდეს გამოიცადებოდი, არა ცთომილ იპოო, რამეთუ ცთომად არს ესე ეშმაკისაჲ, რომელსა უნებს, რადთამცა მოგაცთუნა შენ მორჩილებისაგან და ვერმცა ჰპოე შენ ცხორებაჲ იგი, რომელი მის მიერ იქმნების. ხოლო

¹ და καί 186.12] > AB

² თქუენ ἅμῃ 186.12] თქუენი A

უკუეთუ ჰმორჩილებდე, უშრომელად ხუალ შენ გზასა წმი-
დათა მამათასა. ისწავე დატევებად ნებისა შენისაჲ და ოდეს
დაეჩვო დატევებასა მისსა, მერმე უშრომელად დაუტეობდე
მას და ვერღარად გულსა გაკლებდეს შენ, რამეთუ არა
გინებს, რადთამცა იქმნებოდა რადმე ნებისაებრ შენისა და
ესრეთ ჰპოო მშკდობაჲ.

ისწრაფე, რადთა არა გარდაჰყდე მცნებასა ღმრთისასა
და მამისა შენისასა. დაიმჭირე ყოველსა ზედა თავისა ბრა-
ლობაჲ და ნურად შეგირაცხიეს თავი შენი და გრწმენინ,
ვითარმედ ნებითა ღმრთისაჲთა მოიწვევის, რადცა მოვალს
ჩუენ ზედა, და ესრეთ იტკუროთ ყოველივე შენ ზედა მომა-
ვალი სიხარულით. და გინებაჲ გიჩნდინ, ვითარცა წამალი,
განმკურნებელი ამპარტავანებისა შენისაჲ, და ულოცევდი
მაგინებელთა შენთა, ვითარცა მკურნალთა შენთა.

ხოლო ესე უწყოდე, რომელსა სძულს გინებაჲ, მას სძულს
სიმდაბლჳ. და რომელი ივლტის მაგინებელთა თვსთაგან,
იგი ივლტის სიმშკდისაგან. ნუ გნებავენ, რადთამცა სცან
ბოროტი მოყუსისაჲ და, უკუეთუ სცნა, ნუ განიკითხავ მას.
და ყოველსა ზედა ღმერთსა ჰმადლობდი და მოიგე სახი-
ერებაჲ და სიყუარული წმიდაჲ. და ყოვლისა უნინა დავიც-
ვათ სჯინდისი ჩუენი ყოველსა ზედა საქმესა, და პირველად
თქუმისა ანუ ქმნისა რადსამე, გულისხმა-ვყოთ, თუ არს-ძი
მას ზედა ნებაჲ ღმრთისაჲ, და ესრეთ ვილოცოთ და მერმე
ვთქუათ, ანუ ვქმნათ იგი, და მივაგლოთ წინაშე ღმრთისა
უძლურებაჲ ჩუენი, და სახიერებაჲ მისი შეგუენიოს ჩუენ
ყოველსავე ზედა, რამეთუ მისი არს დიდებაჲ უკუნითი უკუ-
ნისამდე, ამენ.

თქუმული მისივე, წმიდათა მარხვათათჳს

შჯულსა შინა უბრძანა ღმერთმან ძეთა ისრაჴლისათა, რაჲთა რაჲცა მოიგონ წელიწადსა შინა, განჴყოფდენ ათად და ერთსა ნაწილსა მისცემდენ გლახაკთა, და ამას იქმოდეს და იკურთხეოდეს ღმრთისაგან ყოველთა ზედა საქმეთა მათთა (2 სჯ. 26,12-15). ხოლო ესე უწყოდეს წმიდათა მოციქულთა და ამისთჳს განაჩინეს განსანმედელად სულთა ჩუენთა და საფარველად ყოვლისავე ცხორებისა ჩუენისა: განყენეს წელიწადისა დღენი ათად და¹ მოგუცნეს ჩუენ დღენი ესე, მეთაჲდი ნაწილი, და რაჲთა ესრჴთ ვიკურთხეოდით და შეგუენდვენენ ყოველნი ცოდვანი წელიწადისანი. და აღთუალეს და მოგუცნეს² ჩუენ სამას სამეოცდახუთთა დღეთაგან წელიწადისათა შკდნი ესე კურიაკენი. ხოლო წმიდათა მამათა გამოსახეს და შესძინეს სხუად ერთი კურიაკჴ. ერთად, რაჲთა მით პირველად გამოვიცადნეთ შრომისათჳს მარხვისა და, მეორედ, რამეთუ პატივ-სცემდეს წმიდათა მარხვათა და ქმნეს იგი დღედ ორმეოცად, რამეთუ უფალმან ჩუენმან იმარხა ორმეოცსა დღესა.

ხოლო რვად მსგეფსი, თჳნიერ შაბათთა და კურიაკეთა, არს ორმეოცი დღჴ. ხოლო პატივს-ვსცემთ წმიდისა და დიდისა შაბათისა ოდენ მარხვასა, რამეთუ არს იგი წმიდა და ამას შინა ოდენ იქმნების მარხვად ყოველთა შაბათთაგან. ხოლო შკდნი მსგეფსნი, თჳნიერ შაბათთა და კურიაკეთა, იქმნებიან ოცდაათხუთმეტ დღე. ხოლო ზედამორთვითა წმიდისა შაბათისაჲთა და ნახევრისა წმიდისა მის ღამისაჲთა იქმნების ოცდაათექუსმეტ და ნახევარ დღე, რომელ არს

¹ და xai 159.7] > A

² მოგუცნეს] მოგუცეს AB

მეათედი სამას სამეოცდახუთთა დღეთა წელიწდისათაჲ გამოწულილვით. რამეთუ მეათედი სამასთა დღეთაჲ არს ოცდაათი, და მეათედი სამეოცისაჲ არს ექუსი, და ხუთისა მეათედი არს ნახევარი. აჰა ესერა, ოცდაათექუსმეტი და ნახევარი დღე არს მეათედი ყოვლისა წელიწდისაჲ, რომელი მოგუცეს ჩუენ წმიდათა მოციქულთა განსაწმენდელად ცოდვათა.

ხოლო ნეტარ არს, ძმანო, რომელმან დაიმარხოს თავი თჳსი კეთილად დღეთა ამათ, რამეთუ მას დაღაცათუ შეეცოდოს რაჲმე წელიწადსა მას შინა ანუ უძღურებისაგან, ანუ უღებებისა, ხოლო დღენი ესე მისცნა მას ღმერთმან, რაჲთა უკუეთუ უნდეს, განინმიდოს თავი თჳსი და ესრეთ განისუენებდეს სული მისი და იქმნების ახალ კაც და ესრეთ მოვალს წმიდასა დღესა აღდგომისასა და მიიღებს დაუშჯელად წმიდათა საიდუმლოთა ქრისტეჴსთა.

და ესრეთ იყოს სიხარულით და დღესასწაულობდეს დღეთა მათ ორმეოცდაათთა ზატიკათასა. რამეთუ¹ დღენი იგი არიან აღდგომაჲ სულისაჲ და ამისთჳს არა მოიდრიკების მათ დღეთა მუჴლი.

ხოლო რომელსა უნდეს, შემძლებელ არს განწმედად ცოდვათაგან წელიწდისათა ამათ დღეთა მიერ. ხოლო უჴმს, რაჲთა შეიკრძალოს პირველად თავი თჳსი მრავალთაგან ჭამადთა, რამეთუ, ვითარცა წმიდანი მამანი იტყჳან, სიმრავლჴს ჭამადთაჲ შობს ყოველსავე ბოროტსა.

ხოლო კუალად უჴმს დამარხვაჲ, რაჲთა თჳნიერ ჭირისა რაჲსამე არა დაჰჴსნიდეს, და ნუ ეძიებნ გემოვანთა საჭმელთა, ნუცა სიმრავლესა სანოვაგეთასა. რამეთუ ორნი სახენი არიან ნაყროვნებისანი. არს კაცი, რომელსა არა უნებს დიდად ჭამის, არამედ ჰნებავს, რაჲთა გემოვან იყვნენ საჭმელნი, და უკუეთუ ჭამდეს საჭმელთა, რომელნი სათნო-

¹ რამეთუ γάρ 160.14] ხოლო A

უჩნდენ მას, დაიმჭირავს მას პირსა შინა თვისა და არა უნებს შთანთქმად მისი გემოდა მისისათვის, და ესე არს გემოთ-მოყუარებად.

ხოლო სხუად არს, რომელსა არა ეურვების რადაცა იყოს, და უნებს ოდენ, რადათა აღმოივსოს მუცელი თვისი, და ესე არს ნაყროვნებად, რამეთუ რომელსა ფრიადი ჭამად უყუარდეს, იგი არს ნაყროვნებად, ხოლო რომელსა გემოვანი უყუარდეს, იგი არს გემოთმოყუარებ.

ხოლო ჯერ-არს, რადათა ამათგან დავიცვნეთ თავნი ჩუენნი, რამეთუ არა საჭმრისათვის წორცთადასა არს საქმე ესე, არამედ ცოდვად არს. ვითარცა ცოლისა თვისისა შეხებად და სიძვად საქმე ერთი არს, ხოლო გულისთქუამად იგი არს ცოდვად. ეგრეთვე ჭამად ყოველი ერთ არს, ხოლო სხუად არს საჭმრისათვის ჭამად და სხუად არს ნაყროვნებით ჭამად. ხოლო საჭმრისათვის ჭამად უჭმს ესრეთ, რადათა უკუეთუ ჭამოს მცირედი და ვერ კმა ეყოფოდის მას იგი, რადათა ჭამოს სხუადცა, ვიდრემდის კმა ეყოფოდის მას განსაძლომელად. დაისწავლოს და მას ზედა ჭამდეს, და მასცა ლოცვით, და რადათა იტყოდის, ვითარმედ არცა ამისსა ჭამასა ღირს ვარ. და ნუ მიჰხედავ, თუ ვინმე ჭირისა რადასათვისმე ნუგეშინის-იცემდეს თავსა თვისსა და იწყოს შენცა ნუგეშინისცემად თავისა შენისა.

ოდეს ვიყავ მე მონასტერსა შინა მამისა სერიდოდასა, მივედ ოდესმე ბერისა ვისამე, რამეთუ იყვნეს მუნ დიდნი და მრავალნი ბერნი, და ვიხილე მსახური მისი, რამეთუ ჭამდა მის თანა და ვარქუ მას თვისგან: „არა იცია, ძმაო, რამეთუ ესე ბერნი, რომელთა ხედავ, ვითარმედ მცირედ რადამე ნუგეშინისცემად აქუს, ხოლო მსგავს არიან კაცთა, რომელთა მოიგეს მოთხე ერთი და დაშურეს, ვიდრემდის აღავსეს იგი განძითა და დაჰბეჭდეს მას. და მერმე მოიგეს სხუად ვითარ ათასი დრაჰკანი, რადათა ჰქონდის იგი ჟამსა სიბერის-

სასა გინა-თუ უძღურებისა მათისასა და სხუად დაიმარხონ. ეგრეთვე ამათ აღავსეს საუნჯეები მათი და კუალად ქმნეს სხუად, რადთა მას წარაგებდენ, ხოლო იგი ედვას. და ჩუენ ჯერეთ არარად მოგკგია და სადაათ წარვაგებთ?“. ხოლო ამისთვის, ვითარცა ვთქუ, გკვმს, რადთა საწმარსაცა ზედა ჩუენსა ვიტყოდით, ვითარმედ არა ღირს ვართ, და მუცლითა ესრეთ ვიმარხვიდეთ.

ხოლო კუალად, რადთა ვიმარხვიდეთ ენითაცა, რადთა ვეკრძალნეთ ძკრისზრახვასა, ტყუვილსა, შესმენასა, რისხვასა და ყოველსავე ცოდვასა, რომელი იქმნების ენითა. და კუალად, რადთა ვიმარხვიდეთ თუალითა, რადთა არა კადნიერებით და ურცხვნოდ ვის შევხედვიდეთ. და კუალად, ჴელითა ჩუენითა, რადთა არა ვქმნეთ ბოროტი. და ყოველსა ზედა ესრეთ ვიმარხვიდეთ, ვითარცა წმიდად ბასილი იტყვს, მარხვითა სათნოთა ღმრთისადათ, რადთა ესრეთ წმიდად მივიწინეთ დღესა აღდგომისასა. და პირველად, რადთა განვიდეთ ბაიათა და რტოებითა შემთხუევად უფლისა, კიცუსა ზედა მჯდომარესა, რაჟამს შევიდოდა წმიდად ქალაქად (მარკ. 11,7; იოან. 12,14). რამეთუ კიცუსა ზედა დაჯდა, რადთა, ვითარცა წინაღსწარმეტყუელი იტყვს, პირუტყუთა მიმსგავსებული იგი ბუნებად ჩუენი (ფსალმ. 48,21) მოაქციოს სიტყუამან ღმრთისამან და შეაერთოს იგი თვსსა ღმრთეებასა.

ხოლო რად არს ბაიათ და ზეთისხილისა რტოებითა შემთხუევად მისი? რამეთუ ოდეს მივიდეს მეფე ბრძოლად და სძლოს და შეიქცეს, შემთხუევანი მას ყოველნი ბაიათა. და კუალად, ოდეს ვისმე ავნოს მტერმან მისმან, რტოთა ზეთისხილისადათ მივალს მისა მიმართ, რომელსა შეეძლოს შეწევნად მისი, რამეთუ ზეთისხილი სახე არს წყალობისადა. ამისთვის ჩუენცა შევემთხუევით მეუფესა ჩუენსა ვითარცა მძლესა, რამეთუ მან სძლო მტერსა ჩუენსა.

ხოლო რტოფთა ზეთისხილისაფთა ამისტკს, რამეთუ ვი-
თხოვთ მისგან წყალობასა, რაფთა ვითარცა მან სძლო ჩუენ-
ტკს, ეგრეთვე ჩუენ ვსძლოთ მის მიერ, რაფთა გუეტკრ-
თოს ცხადად ძლევად მისი, რომელ-იგი სძლო ჩუენტკს, და
ვითარ-იგი ჩუენ ვსძლეთ მის მიერ, ლოცვითა ყოველთა
წმიდათაფთა, რამეთუ მისი არს დიდებად აწ და მარადის და
უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

**კითხვა-მიგება ნეტარისა მამისა ჩუენისა
დოროთჳსი მამისა იოვანეს მიმართ, რომელსა ეწოდა
წინაღსწარმეტყუელ**

ჰკითხა მამამან დოროთე მამასა იოვანეს: ვითარ შეუძლო ძლევად კადნიერებისა და დამჭირვად ენისა?

მიგება: გლოვით მარადის.

კითხვა: და ვითარ შეუძლო დამჭირვად გლოვისა, ვიქცეოდი რაჲ კაცთა თანა? ანუ არსა გლოვად თკნიერ ცრემლთა მჭურვალეთა?

მიგება: არა-თუ ცრემლთა მიერ არს გლოვად, არამედ ცრემლნი გლოვისა მიერ არიან. ხოლო უკუეთუ ვინმე იყოს კაცთა შორის და დაუტეოს ნებაჲ თჳსი და არა მიხედვიდეს ცოდვათა სხჳსათა, ესევეითარმან მოიგოს გლოვად, რამეთუ ამით ორითა საქმითა შეუკრბებიან¹ გულისსიტყუანი ზრუნვად ცოდვათა თჳსთა. და ოდეს შეიკრიბნეს კაცმან გულისსიტყუანი, ზრუნავს ცოდვათა თჳსთა. მაშინ მოვალს მის თანა საღმრთოდ იგი გლოვად და მის გლოვისა მიერ იშვებიან ცრემლნი წმიდანი.

კითხვა: მოთმინებაჲ გინებისა და შეურაცხებისაჲ მიეახლებისა დაყუდებასა?

მიგება: ვითარცა რომელსა ზედაედვას თანანადები სხჳსაჲ, უკუეთუ არა მისცეს თანანადები იგი, თანამდები არს და, სადაცა წარვიდეს, თანამდებ არს და ეშინიან და არა აქუს განსუენებაჲ და თავისუფლებაჲ, რადთამცა იყო უზრუნველ. ხოლო უკუეთუ მისცეს თანანადები იგი და აღილოს ჴელითწერილი განთავისუფლებისაჲ, მაშინ შემძლებელ არს განსუენებით და კადნიერად დაჯდომად, სადაცა უნდეს. ეგრეთვე თანააც კაცსა, რომელსა უნდეს განთავისუფლებაჲ ცოდვათაგან და ვნებათაგან, რადთა ყოვ-

¹ შეუკრბებიან| შეუკრებიან A

ლითურთ დაუტეოს ნებად თვისი და მოითმინოს გინებად და შეურაცხებად სიმდაბლით, რამეთუ სხუად ვერარად საქმწ მოიყვანებს კაცსა სიმდაბლედ და განთავისუფლებად ვნებათაგან, ვითარ დატევებად ნებისად სრულიად და მოთმინებად შეურაცხებისად. ხოლო მაშინ, ოდეს განთავისუფლდეს ნებისაგან თვისისა და ვნებათაგან და მოვიდეს სიმდაბლედ, მაშინ დაეყუდოს და განიწმიდოს სული წმიდითა სულითა და გონებითა, და მაშინლა თქუას: „იხილე სიმდაბლწ ჩემი და შრომად ჩემი და შენ მომიტევენ ყოველნი ცოდვანი ჩემნი“ (ფსალმ. 24,18).

ხოლო გითხრა შენ სხუადცა, რადთა გულისხმა-ჰყო. იხილე, თუ უწინარეს ჯუარცუმისა, რადზომნი ჭირნი და შეურაცხებანი თავს-ისხნა კაცთა შორის უფალმან ჩუენმან იესუ ქრისტემან და მაშინლა მოვიდა ჯუარცუმად. ეგრეთვე ვერვინ შემძლებელ არს, რადთამცა მოვიდა დაყუდებასა სრულსა და სისრულედ წმიდად, უკუეთუ პირველად არა ივნოს ქრისტწს თანა და არა დაუტეოს ყოველივე ნებად თვისი, ვითარცა იტყვს მოციქული: „უკუეთუ მის თანა ვივნოთ, მის თანაცა ვიდიდნეთ“ (რომ. 8,17). ხოლო ან გულსავსე იქმენ, რამეთუ სხუად გზად არა არს ცხორებისად, თვნიერ სრულიად დატევეებისა ნებისა თვისისა. უფალმან მოგეცინ შენ ძალი, რადთა კეთილად დააფუძნო სახლი შენი კლდესა ზედა მტკიცესა, რომელ არს ქრისტწ.

კითხვა: რომელი გზად მსწრაფლ აცხოვნებს კაცსა – შრომად ანუ სიმდაბლწ გულისა და გონებისად?

მიგება: ჭეშმარიტი შრომად, თვნიერ სიმდაბლისა, არა არს, რამეთუ შრომად მარტოდ ამაო არს, და ვითარცა წერილ არს: „იხილე სიმდაბლწ ჩემი და შრომად ჩემი და შენ მომიტევენ ყოველნი ცოდვანი ჩემნი“ (ფსალმ. 24,18), რამეთუ რომელსა ესე ორივე ჰქონდის, იგი ადრე მიიწვევის ცხორებად საუკუნოდ. ხოლო დაღაცათუ ვისმე არა აქუნდეს

შრომად, უკუეთუ შეურაცხებად ოდენ ჰქონდის სიმდაბლით, იგიცა ადრევე მიიწევს, რამეთუ შეურაცხებად და შრომად სწორ არიან. ხოლო რომელსა ჰქონდის სიმდაბლჳ ოდენ, იგიცა მიიწევს, არამედ უგვანესადრე. ხოლო შენ, უკუეთუ გნებავს დამჭირვად სიმდაბლისა ჭეშმარიტისაჲ, უცხო იქმენ ნებისაგან შენისა და თავი თვისი ნურად შეგირაცხიეს და ყოვლადვე და ყოველსა ზედა აბრალებდი თავსა თვისსა და ახლოს მოელოდე სიკუდილსა დაუვინყებელად და გულისხმისყოფით.

კითხვა: მითხარ, მამაო, ვითარ მოვინყვდო დავინყებად და წარტყუნვად გონებისა ჩემისაჲ?

მიგება: რომელი შეინყნარებდეს ცეცხლსა მას, რომელი თქუა უფალმან, ვითარმედ: „ცეცხლისა მოვედ მიფენად ქუეყანასა ზედა“ (ლუკ. 12,49), ესე ვითარსა დავინყებად არა აჭირვებს და არცა-სადა წარტყუნვის გონებად მისი, რამეთუ კაცი რასაცა იგონებდეს და დავარდეს მის ზედა ნაკურცხალი და დანუას, დაუტეობს ყოველსავე წარტყუნვასა გონებად მისი ჟამსა მას და მუნ მოვალს. ხოლო შენ, უკუეთუ გნებავს, რადთა განეყნო დავინყებისა და წარტყუნვისაგან, სხვთა სახითა ვერ შემძლებელ ხარ, უკუეთუ არა მოიგო საღმრთოდ იგი ცეცხლი, რამეთუ მჭურვალებისაგან მისისა იგინი უჩინო იქმნებიან. და ცეცხლი ესე მოიგებვის შიშითა და სიყუარულითა ღმრთისაჲთა და მორჩილებითა სრულითა.

კითხვა: ვითარ მოვინყვდო სიყუარული ჳორციელი?

მიგება: კეთილ არს, რადთა არა გაქუნდეს სიყუარული მოჰასაკესა შენსა თანა, სადა იყოს კადნიერებად და განცხრომად, რამეთუ ესე ვითარი ჩუეულებად არა უტეობს გლოვასა შენ თანა. ხოლო ესე უწყოდე, არარად კეთილისა საქმჳ მოიგებვის თვნიერ ჭირისა.

კითხვა: ვითარ დავიცვნე თუალნი ჩემნი?

მიგება: ასნავე თუალთა შენთა, რადთა არა მიხედვიდენ

კადნიერებით, რამეთუ კადნიერებად არს, რომელი წარსწყმედს ყოველსა შრომასა მონაზონისასა. ხოლო ამას ყოველსა ზედა, ძმაო, უკუეთუ არა ეძიებდეს ღმერთსა კაცი ტკივილითა გულისადათა, ვერ მისწუთების. უკუეთუ კულა მოიცალოს ყოველისა საქმისაგან და ღმერთსა ეძიებდეს, ამით მისწუთეს ყოველსა კეთილსა, ვითარცა წერილ არს: „მოიცალეთ და გულისხმა-ყავთ, რამეთუ მე ვარ ღმერთი“ (ფსალმ. 45,11).

კითხვა: რად არს შეურაცხებად უფროდსი სიმდაბლისა? ანუ რად არს შემუსრვილებად გულისადა? ანუ მო-რადთ-ვინ-იგებსა შეურაცხებასა თვთ გულსა შინა თვსსა? ანუ გარეთ-ცა უჭმს შეურაცხებად და გინებად კაცთაგან?

მიგება: შეურაცხებასა ორნი სახენი ჰქონან – ერთი გულისაგან და ერთი გარეგან, კაცთაგან. ხოლო გულისასა უფროდს არს კაცთაგან მომავალი, რამეთუ გულისასა არა აქუს ესრეთ ტკივილი, ვითარ კაცთაგან მომავალსა მის ზედა შეურაცხებასა. ხოლო უკუეთუ ვინმე მიზბოდის თვთ, ნებსით თვსით, საქმეთა შეურაცხთა, გინა-თუ აიმცირებდეს თავსა თვსსა, საქმეც ესე არა სრულ არს, რამეთუ შეწყვებისცა ცუდადმზუაობრებად. ხოლო უკუეთუ ვინმე მოითმენდეს ზედამომავალთა შეურაცხებათა სხუათაგან და რასა ვინ ეტყოდის, ყოველსავე ჰმორჩილობდეს კეთილად, ესევეთარი ესე მოვალს წარმატებასა დიდსა და სიმდაბლესა სრულსა. და ესე არს შემუსრვილებად გულისადა, რადთა არა უტეობდეს კაცი განბნევიად გულისსიტყუათა თვსთა საქმეთა მიმართ უცხოთა, რამეთუ თვნიერ საურავისა ცოდვათა თვსთადა და წურთისა თვსისაგან სხუად ყოველი უცხო არს, სადაცა განაბნევს.

კითხვა: რად უჭმს კაცსა, საქმენი მდაბალნი ანუ სიტყუანი?

მიგება: სიმდაბლც ესე არს, რადთა არად ვის შეერაცხოს თავი თვსი არარასა საქმესა ზედა და რადთა არარას ზედა

ყოს ნებად თქსი და რაფთა მორჩილ იყოს ყოველსავე ზედა და რაფთა მოითმენდეს ყოველსავე კაცთაგან მომავალსა მის ზედა გულისკლებასა და ჭირსა უდრტკნველად. და ესე არს ჭეშმარიტი სიმდაბლჳ, რომელსა შინა ვერ ჰპოებს ამპარტავანებად ადგილსა. ხოლო უკუეთუ ვინმე იტყოდის სიტყუათა ოდენ, უფროფსად ამპარტავანებად მოვალს.

კითხვა: უკუეთუ კეთილ არს, მიბრძანე, რაფთა მივყო ჴელი ჩემი ყოველთავე საჭმელთა და არა განვძღე და არცა ვაჩუენო ვის, ვითარმედ უფროფს ძმათასა ვიქმ.

მიგება: ფრიად კეთილ არს, უკუეთუ მიყო ჴელი შენი ყოველთა საჭმელთა და არა განსძღე.

კითხვა: ვითარ ჰბრძანო, რამეთუ უკუეთუ უბნობდე ვიეთმე თანა და განგრძელდეს უბნობა იგი, მინებს¹, რაფთამცა აღვდეგ, და კუალად მრცხუენინ, და უკუეთუ არა აღვდეგე, წარიტყუენვის გონებად ჩემი და შეექცევის უბნობასა მას და დამავინწყდების წურთაფ ჩემი.

მიგება: უკუეთუ იყოს უბნობასა მას შინა სარგებელი სულისაფ, დაადგერ. უკუეთუ კულა არაფ იყოს სარგებელი სულისაფ, არამედ – ამაოფ, ნუ გრცხუენინ, არამედ არქუ მათ: „შემინდვეთ!“ და აღდეგ. ხოლო სირცხვლისათჳს მოიჴსენე საშინელი დღჳ, თუ ვითარი სირცხვლი ყოფად არს ცოდვილთა ზედა. და შეგეწიოს შენ ღმერთი, რომლისაფ არს დიდებად უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

¹ მინებს| მინებნ A

თქემული მისივე, წმიდისა მამისა ჩუენისა დოროთჳსი, სიტყუანი

თქუა მამამან დოროთე: შეუძლებელ არს, თუმცა ვინმე მისდვა ნებასა და გულისთქუმასა თჳსსა და მანმცა მოიგო მორჩილებაჲ, ანუმცა მისნუთა იგი და ღირსმცა-იქმნა ყოფად ნებისა ღმრთისა, რამეთუ, თჳნიერ მორჩილებისა, ყოფად საქმჳ სრული და შეუცთომელი ვერ შესაძლებელ არს.

თქუა კუალად: არა ჯერ-არს ჩუენდა, ძმანო, რადთამცა დავიჯერებდით გულისსიტყუათასა, ანუ შეუდეგითმცა განზრახვასა და ნებასა ჩუენსა, რამეთუ ვნებულნი ვართ და საქმჳ ჩუენი დრკუჲ არს და კეთილსაცა დრკუვე იქმს.

თქუა კუალად: რომელმან არა შეურაცხ-ყოს განსუენებაჲ ჳორციელი და აღსრულებაჲ ნებისა თჳსისაჲ, ესევეთარი ვერ ღირს-იქმნების ცხორებაჲ სულისა თჳსისა.

თქუა კუალად: ნუ ენუკევ სიყუარულსა და პატივსა მოყუსისაგან შენისა, რამეთუ სულსა შენსა არას ერგების ესე, არამედ უფროჲსად ევნების. არამედ შენ გიყუარდინ და პატივ-სცემდი მოყუასსა შენსა, რამეთუ რომელი ენუკევდეს მოყუასსა თჳსსა სიყუარულსა და პატივსა, იგი მარადის შფოთსა შინა არს, არამედ შენ უფროჲსად აჩუენე, რადთა ესრეთ იგიცა მოიყვანო სიყუარულად.

თქუა კუალად: რადცა ვინ ქმნეს საქმჳ ღმრთისაჲ, ყოვლით კერძო მოვლენ მის ზედა განსაცდელნი, რამეთუ ყოველსა კეთილისა საქმესა ანუ წინაუძღვს, ანუ უკუანა შეუდგს განსაცდელი, რამეთუ არაჲ კეთილი დამტკიცნების, უკუეთუ არა გამოიცადოს განსაცდელისა მიერ.

თქუა კუალად: უკუეთუ ვინმე არა შეურაცხ-ყოს სიტყუჲ მოყუსისაჲ, სიმდაბლე არს ესე მისა, რამეთუ ჯერ-არს შეწყნარებაჲ სიტყუასა მოყუსისასა, დაღაცათუ უმცირეს იყოს შენსა.

თქუა კუალად: უკუეთუ მოინიოს ჩემ ზედა საქმე რადმე და იყოს იგი ნებითა მამისაჲთა, დაღაცათუ მიჩნდეს იგი ფრიად დრკუდ, მირჩევია, რაჲთა ვყო იგი, ვიდრე მინდობითა განზრახვისა ჩემისათა და ნებითა ჩემითა ყოფად, რომელი საგონებელ იყოს კეთილად.

თქუა კუალად: კეთილ არს ჩუენდა, ძმანო, რაჲთა ვივლტოდით აღსრულებისაგან ნებისა ჩუენისა, რამეთუ ესე არს ზღუდლ შორის ჩუენსა და ღმრთისა.

თქუა კუალად: ყოველსავე საქმესა შინა ჩემსა, გინა სულიერსა, გინა ჳორციელსა, არა ვინებე აღსრულებად ნებისა ჩემისაჲ, არამედ მიუტეობდი თავსა ჩემსა ნებასა მამისა ჩემისასა.

თქუა კუალად: იცითმცა, ძმანო, რამეთუ რომელი არა იქმოდის ნებასა თქსსა, არამედ – ნებასა მამისა თქსისასა, იგი მარადის ნებასა ღმრთისასა იქმს.

თქუა კუალად: რომელი არა იქმოდის ნებასა თქსსა, იგი მარადის ნებასა თქსსა იქმს, რამეთუ ვინაჲთგან ნებასა თქსსა არა იქმს, რაჲცა იქმნეს, ყოველივე უნებს და ყოველსავე ზედა განისუენებს, რამეთუ არა ჰნებავს, რაჲთამცა იქმნა რაჲ, ვითარცა მას უნებს, არამედ ვითარცა მოჰვიდოდის.

თქუა კუალად: უკუეთუ ვინმე იხილოს მოყუასი თქსი, ვითარმედ შეურაცხ-ჰყოფს მას, გინა სხუასა რასმე ბოროტსა უყოფს, არა უწმს მას მხილებაჲ თავისა თქსისათჳს, არცა მაშინ, არცა სხუასა ჟამსა.

თქუა კუალად: საღმრთოდ სიყუარული უფროჲს არს ბუნებითსა სიყუარულსა.

თქუა კუალად: ნუ იქმთ, ძმანო, სიცილითა და ლაღობითა ბოროტსა, რამეთუ მრავალგზის იქმს კაცი ლაღობით ბოროტსა და მერმე უკუანაჲსკნელ დაეჩუევის და, დაღაცათუ არღარა უნდეს ყოფად საქმისაჲ მის, არამედ უნდეს

დატევებაჲ, ვერღარა შეუძლოს, ვინაჲთგან ექმნას ჩუეულებაჲ.

თქუა კუალად: არა ჯერ-არს, უკუეთუ ვისმე ჰქონდის ვნებაჲ რაჲმე, რაჲთამცა ევედრა ღმერთსა აღებაჲდ მისგან იგი ჭირისათჳს, არამედ რაჲთა მოიძულნეს ყოველნი საქმენი მისნი, ვითარცა წერილ არს, ვითარმედ: „სიძულილითა სრულითა მოვიძულენ იგინი“ (ფსალმ. 138,22).

თქუა კუალად: შეუძლებელ არს, თუმცა ვინმე განურისხნა მოყუასსა თჳსსა, უკუეთუ პირველად არა აღმადლდეს გული მისი მის ზედა და შეურაცხ-ყოს იგი და უჩნდეს თავი მისი უფროჲს მისსა.

თქუა კუალად: ოდეს ვინ იქმოდის ბოროტსა რასმე და ამხილოს მას ვინმე და მეყსეულად აღიდრას იგი, უწყოდე, რამეთუ ნეფსით თჳსით იქმს ბოროტსა მას. ხოლო რომელი არა აღიდრას მხილებისათჳს, ესევეითარი საცნაურ არს, რამეთუ არა ნეფსით თჳსით იქმს ბოროტსა მას, არამედ ანუ იძლევის ჩუეულებისაგან, ანუ არა უწყის, ვითარმედ ბოროტ არს საქმჳ იგი.

თქუა კუალად: არა დიდ არს, უკუეთუ ვინმე იქმოდის ბოროტსა და შენ ამხილო მას და მეყსეულად შეგივრდეს შენ და შენ არა განიკითხო იგი. არამედ ესე არს დიდ, უკუეთუ ამხილო მას, რომელი იქმოდის ბოროტსა და იგი განრისხნეს და გაგინოს შენ და შენ არა განიკითხო იგი, არამედ ღმობიერ ექმნე და არა ძკრი-უზრახო მას.

თქუა კუალად ნმიდამან დოროთე: ჰ, ძმაო, რომელი-ეგე ხარ მორჩილებასა შინა, ნუ ირწმუნებ, რასა-იგი გული შენი გეტყოდის და ნუ მიენდევები გულისხმისყოფასა შენსა, რაჲთა არა დაჰბრმდე თუალითა გულისა შენისაჲთა. და ნუცა იქმ რას თჳნიერ კითხვისა, და ნუცა მოიგონებ ბოროტსა მას მოგონებასა გულსა შინა შენსა, ვითარმედ ამას რასმე უკეთჳსად გავიგონებო, ვიდრე მამაჲ ჩემი. და ნუ ხარ მსა-

ჯულ საქმეთა მამისა შენისათა, რადთა არა წინააღმდეგომ მცნებათა ქრისტესთა იპოო და წარსწყმდე სრულიად, რამეთუ ესე არს დიდი სიხარული ეშმაკისაჲ, რადთამცა მოგაცთუნა შენ მორჩილებისაგან და ვერმცა ჰპოე ცხორებაჲ იგი კეთილი, რომელი-იგი იქმნების მორჩილებისაგან.

ხოლო უკუეთუ ჰმორჩილებდე შენ მამასა შენსა ყოვლითა გულითა შენითა, უცთომელად ხუალ შენ გზასა მას წმიდათა მამათასა. ისწავე დატევებაჲ ნებისა შენისაჲ მცირე-მცირედ, რადთა ესრეთ გექმნეს ჩუეულებაჲ და ისწაო ძლევაჲ ნებისა შენისაჲ მცირედსა ზედა და მერმე დიდსაცა შეუძლო დატევებაჲ ნებისა შენისაჲ და არარასა ზედა შეგაკლდებოდის გულსა და არცა გინდეს, რადთამცა იქმნა რაჲ ნებისაებრ შენისა, არამედ – ნებისაებრ მამისა შენისა, და ესრეთ ჰპოო უცთომელობაჲ და მშკდობაჲ სულისა შენისაჲ.

ისწრაფე, ძმაო, რადთა არა გარდაჰყდე მცნებათა მამისა შენისათა, ვითარცა ღმრთისათა, და უწყოდე, ოდესცა გარდაჰყდე მცნებათა მამისა შენისათა, ღმრთისათა გარდაჰყედ. დაიმჭირე, ძმაო, ყოვლადვე და ყოველსა ზედა ბრალობაჲ თავისა თვისსაჲ წრფელითა გულითა და ნურად შეგირაჯხიეს თავი შენი, და რაჲცა მოიწიოს შენ ზედა განსაცდელი და გულისკლებაჲ, ცან, ვითარმედ ცოდვათა შენთა საკურნებელი არს ღმრთისა მიერ.

და ესრეთ მოთმინებით და სიხარულით თავს-იდევე ყოველი შენ ზედა მომავალი ჭირი, და შეურაცხებაჲ და გინებაჲ და ყუედრებაჲ გიჩნდინ, ვითარცა წამალი ძლიერი და განმნმედელი შენდა ცოდვათა და ვნებათა შენთაგან და უფროჲსად ვნებისა მაგის დიდისაგან და ბოროტისა, რომელ არს ამპარტავანებაჲ.

გიყუარდინ და ულოცევდი მაგინებელთა შენთა, ვითარცა მკურნალთა სულისა შენისათა. ხოლო ესე უწყოდე, ვი-

თარმედ რომელსა სძულს გინებად, ყუედრებად, მხილებად და შეურაცხებად, მას სძულს სიმდაბლც, და რომელი ივლტის მათგან, იგი ივლტის ცხორებისაგან სულისა თვისისა.

ნუ გნებავს, რადთამცა სცან ბოროტი მოყუსისა თვისისად, და თუ სცნა, ნუ განიკითხავ მას, არამედ მარადის იწსენებდი ცოდვათა შენთა და ცეცხლსა მას საუკუნესა და მოკლედ მომავალსა დღესა მას სიკუდილისასა. და ყოვლითა ძალითა შენითა დაიცევ სჯინდისი შენი და ნუ შეურაცხ-ჰყოფ მას. და ყოველსა ზედა საქმესა და პირველად თქუმად სიტყვსა, გინა ქმნადმდე საქმისა, გამონახე კეთილად, უკუეთუ გულსავსე იქმენ, ვითარმედ არს ნებად ღმრთისად, თქუ, გინა ქმენ. უკუეთუ არა, მოიწსენე, ძმაო, სიტყუად იგი უფლისად და მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტჳსი, ვითარმედ ცუდისა-თვსცა სიტყვსა სიტყუად გინა მიცემად (მათ. 12,36) და ესრეთ მოთმინე იქმენ და წინააღუდეგ სიტყუასა, გინა საქმესა მას.

ხოლო უკუეთუ გნებავს, რადთა იყოს ნებად ღმრთისად ყოველსავე სიტყუასა გინა საქმესა შენსა ზედა, ნუ იქმ მას, რომელი შენ გინდეს, არამედ რომელი იყოს წამებითა და სიტყვთა და ნებითა მამისა შენისადთა, ვითარცა წერილ არს: „ჰკითხე მამასა შენსა, გითხრას შენ, და მოხუცებულთა შენთა გაუწყონ შენ“ (2 სჯ. 32,7). და ესრეთ, ძმაო, ყოვლითა გულითა შენითა და ძალითა შეუდეგ სიტყუასა და ნებასა მამისა შენისასა, რამეთუ ესრეთ ჰნებავს ღმერთსა, და მიანდვე თავი შენი და სული შენი მცნებასა ღმრთისასა და ნებასა მამისა შენისასა სიმდაბლით. და ყოვლადვე აბრალობდი თავსა შენსა, ვითარცა ხარ უძლური და სნეული და ნურას ზედა შეუდგები ნებასა და განზრახვასა შენსა, და ესრეთ შეგენიოს სახიერი ღმერთი, რამეთუ მისი არს დიდებად უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

წერილები

ძმას, რომელიც ეკითხება სულიერი გაგრილებისა და სიყვარულის განვლებების თაობაზე

სულიერ გაგრილებას, ძმაო, განაგდებს საღვთო წერილის და, მასთან ერთად, ღმერთშემოსილ მამათა ღმობიერი სიტყვების განუწყვეტელი კითხვა; აგრეთვე ღვთის საშინელ მსჯავრთა და სხეულიდან სულის გამოსვლის გახსენება; ასევე გახსენება იმისა, რომ სულს ელოდება შეხვედრა საშინელ ძალებთან, რომლებთან ერთადაც ჩაიდინა ბოროტება ამ ხანმოკლე და უბადრუკ ცხოვრებაში; კიდევ, გახსენება იმისა, რომ ქრისტეს შესაძრუნებელი და სამართლიანი სამსჯავროს წინაშე წარდგომა მოუწევს; კიდევ, რომ ღმერთის, მისი ყველა ანგელოზისა და, საერთოდ, მთელი მისგან ქმნილის წინაშე პასუხის გაცემა მოუხდება არა მხოლოდ ქმედებათა, არამედ სიტყვებისა და აზრების გამოც. ხშირ-ხშირად გაიხსენე განაჩენი, რომელსაც უცხადებს საშინელი და სამართლიანი მსაჯული მისგან მარცხნივ მდგომთ: „წარვედით ჩემგან, წყეულნო, ცეცხლსა მას საუკუნესა, რომელი განმზადებულ არს ეშმაკისათვის და ანგელოზთა მისთათვის“ (მათ. 25, 41). კარგია აგრეთვე დიდ ადამიანურ მწუხარებათა გახსენება, რათა ასე, თანდათანობით, დიდი გაჭირვებით მორბილდეს გახევებული და უგრძობელი სული და თავისი ბოროტი მდგომარეობის შეგრძნებაში მოვიდეს.

ძმათა სიყვარულში კი იმიტომ მოიკოჭლებ, რომ [მათ] ეჭვებს აყოლილი განსჯი და საკუთარ გულს ენდობი. ეს იმიტომ გემართება, რომ არაფრის მოთმენა არ გინდა, რაც შენს ნებას ეწინააღმდეგება. პირველ ყოვლისა, ღვთის შეწევნით მოისურვე, საერთოდ არ ენდო საკუთარ

აზრებს და მთელი ძალით დაეშურო შენი ძმების წინაშე თავის დაკნინებას, აგრეთვე უნდა ეცადო, მოილკვეთო მათ წინაშე საკუთარი ნება-სურვილი. თუ რომელიმე მათგანი შეურაცხყოფს და წყენას მოგაყენებს, მხურვალედ ილოცე მისთვის, მამათა სიტყვებით რომ ვთქვათ, როგორც შენი კეთილისმყოფელისთვის და სიამოვნებებისკენ ლტოლვისგან შენი განმკურნებლისთვის. ამ გზით დაოკდება შენი გაღიზიანება, ვინაიდან, წმინდა მამათა მიხედვით, სიყვარული გაღიზიანების ლაგამია. პირველ ყოვლისა ღმერთს ევედრე, მოგცეს მღვიძარება და ჯანსაღი აზრი, რათა გაიგო, „რად-იგი არს ნება ღმრთისაჲ კეთილი, სათნოდ და სრული“ (რომ. 12, 2); ევედრე აგრეთვე, რომ ძალა მოგცეს კეთილ საქმეთათვის კვლავ ფეხზე წამოსადგომად.

განსაცდელისგან შეჭირვებულ ძმას

პირველ რიგში, შვილო, რაკილა არ ვიცით, როგორია ღვთის განგებულება, მოვალენი ვართ მას მივანდოთ ჩვენი საქმეების წარმართვა, მით უმეტეს, სწორედ ახლა უნდა მოვიქცეთ ასე. მართლაც, თუ მოინდომებ, რომ კაცობრივი გონებით განსაჯო ის, რაც შეგემთხვა, და უმაღლვე ღმერთს არ გადააბარებ შენს სანუხარს, განამდები. მაშ, როგორც კი შემოგიტევენ შენი წინააღმდეგომი და შემაინრებელი აზრები, მაშინვე ღმერთს უნდა შელალადო: „უფალო, ისე განაგე ჩემი საქმე, როგორც შენ გინდა და როგორც შენ იცი“. ვინაიდან ბევრ რამეში ღვთის განგება არ ემთხვევა ჩვენეულ გათვლასა და იმედს და ის საქმეები, რაზეც სხვა იმედს ვამყარებდით, სინამდვილეში სხვაგვარნი აღმოჩნდებიან ხოლმე. პირდაპირ და მოკლედ უნდა ითქვას, რომ განსაცდელის დროს საჭიროა სულგრძელობის გამოჩენა და ლოცვა, და

არა ის, რომ გინდოდეს, ადამიანური გათვლებით აჯობო ეშმაკის გათვლებს, როგორც გითხარი, და გეგონოს, რომ ამას შეძლებ. აბბა პიმენი, რომელმაც ეს იცის, ამბობს: სიტყვები „ნუ ჰზრუნავთ ხვალისათვის“ (მათ. 6, 34) განსაცდელში ჩავარდნილ ადამიანზეა ნათქვამიო. დაიჯერე, რომ ეს სიმართლეა, შვილო, განიშორე ყველა საკუთარი განსჯა, გონივრულიც რომ იყოს, და სასოება დაამყარე ღმერთზე, რომელიც განუზომლად მეტს გაგვიკეთებს, ვიდრე ჩვენ ვთხოვთ ან ვიდრე წარმოდგენა შეგვიძლია („რომელი-იგი შემძლებელ არს უფროჲს ყოვლისა ყოფად უმეტეს, რომელსა-იგი ვითხოვთ, გინა-თუ ვსცნობთ ძალისა მისებრ შენევისა ჩუენ შორის“ (ეფეს. 3, 20)). მე შემეძლო პასუხი გამეცა შენთვის ყველაფერზე, რაც მიამბე, მაგრამ არც შენი წინააღდგომა ვინებე და არც საკუთარი თავისა; სხვა რა უნდა გითხრა, თუ არა ის, რომ მეტი სიმტკიცით დაადგე ღვთის იმედისაკენ მიმავალ გზას. ეს გზა ნაკლებ ზრუნვასაც მოითხოვს და უფრო სანდოცაა. უფალი შენთანა.

იმავეს

გაიხსენე, შვილო, ამ სიტყვების მთქმელი: „მრავლათა ჭირითა ჯერ-არს ჩუენდა შესლვად სასუფეველსა ღმრთისასა“ (საქმე 14, 22). მას ზუსტად არ განუსაზღვრავს: „ასეთი და ასეთი ჭირის გავლითო“, არამედ განუსაზღვრელად თქვა: „მრავალი ჭირის გავლითო“. და მაშ, მადლიერებით მიიღე ყველაფერი, რაც თავს მოგენია, წარმოიდგინე, თითქოსდა საამო რამ დაგემართა; ეს იმ შემთხვევაში, თუ ცოდვა გაქვს ჩადენილი, ხოლო თუ ცოდვა არ ჩაგიდენია, მაშინ ისე მიიღე, როგორც შენი ვნებათაგან განმწმენდელი ან ცათა სასუფეველში შენი მანვეარი. კაცთმოყვარე და სახი-

ერი ღმერთი, რომელმაც „შეჰრისხნა ქართა მათ და ზღუასა, და იქმნა მეყსეულად დაყუდება დიდ“ (მათ. 8, 26), შერისხავს შენს განსაცდელს, შვილო, შენს გულს სიფართოვეს მისცემს, რათა გამოიცნო მტრის ბოროტი საქმენი. ამინ.

დიდ უძლურებასა და სხვადასხვა გასაჭირში ჩავარდნილ ძმას

გევედრები, შვილო, მტკიცედ დეგ და მადლობდე ყველა იმ გასაჭირში, რაც უძლურებაში ყოფნისას მოგენია თავს, ამის მთქმელისა არ იყოს, „ყოველივე, რაჲცა მოვიდეს შენ ზედა, დაითმინე“ (ზირ. 2, 4), რათა შენზე მზრუნველობის მიზანი შენდა სასიკეთოდ ასრულდეს, შვილო ჩემო. მართლაც, გამოიჩინე სიმამაცე და გაძლიერდი უფალში და მის შენთან დაკავშირებულ განგებულებაში. უფალი შენთანა.

განსაცდელში ჩავარდნილ ძმას

მშვიდობა შენდა ქრისტეს მიერ, ძმაო. დააჯერე შენი გული, რომ განსაცდელში ჩავარდნის მიზეზი ყველანაირად შენშია, მიუხედავად იმისა, რომ მოცემულ შემთხვევაში ამ მიზეზს ვერ პოულობ. შენს თავს უსაყვედურე, მოითმინე და ილოცე. და მე დარწმუნებული ვარ ჩვენი სახიერი მეუფის, ქრისტეს გულმონყალებაში, რომ ის განგაშორებს განსაცდელს. ხომ თქვა მოციქულმა: „და მშვიდობამან ღმრთისამან, რომელი ჰმატს ყოველთა გონებათა, შეზღუდენინ გულნი თქუენნი“ (ფილიპ. 4, 7).

იმავეს

ნუ გაგიკვირდება, შვილო, თუ ზევით აღმავალ გზაზე დამდგარი ზოგჯერ ეკალ-ბარდებშიც ჩავარდები ან ლაფში ამოისვრები, მერე კი ისევ სწორ გზაზე გახვალ. მართლაც, თავად ღვანლში მყოფნიც ხანდახან ეცემიან ხოლმე, ხან კი უმკლავდებიან დაბრკოლებას. დიდმა იოზმა თქვა: „ან არამე განსაცდელი არს ცხოვრებაჲ კაცისაჲ ქუეყანასა ზედა?“ (იოხ. 7, 1). ერთი სხვა წმინდანიც ამბობს: „კაცი, რომელსაც განსაცდელი არ გამოუვლია, გამოცდილი არაა“. ვინვრთნებით რა რწმენაში, განვიცდებით, რათა გამოცდილ ვიქმნეთ (შდრ. იაკობ. 1,12) და ბრძოლა ვისწავლოთ. როგორც უფალი ამბობს: „მრავლითა ჭირითა ჯერ-არს ჩუენდა შესლვად სასუფეველსა ღმრთისასა“ (საქმე 14, 22). დაე [კეთილი] აღსასრულის იმედი დაგვეხმაროს ყველაფერში, რაც კი [ცხოვრების გზაზე] შეგვემთხვევა. მოთმინებისთვის გვამზადებს წმინდა მოციქული, როცა ამბობს: „ხოლო სარწმუნო არს ღმერთი, რომელმან არა გიტევნეს განცდად უფროჲს ძალისა თქუენისა, არამედ ყოს განსაცდელსა თანა გამოყვანებაჲცა, რაითა შეუძლოთ დათმენად“ (1 კორ. 10, 13). უფალმა ჩვენმა, რომელიც თავად არის ჭეშმარიტება, დაე გაგამხნევოთ თქვენ ამ სიტყვებით: „სოფელსა ამას ჭირი გაქუს, არამედ ნუ გეშინინ, რამეთუ მე მიძლევეის სოფელსა“ (იოან. 16, 33). ამ აზრებით განისწავლებოდე, მათში ჰგიებდე. გაიხსენე უფალი და მისი სიკეთე, შვილო, ის ყოველთვის შენს გვერდით იქნება, იმიტომ, რომ გულმონყალეა და იცის ჩვენი უძლურების ამბავი. კვლავაც შერისხავს ტალღების ლელვას და დაამყარებს სიმშვიდეს შენს სულში მის წმინდანთა ლოცვებით.

იმავეს

როგორც სხეულებს ჩრდილები, ასევე მცნებების შესრულებას განსაცდელები სდევნენ თან. მართლაც, ანტონი დიდი ამბობს, რომ განსაცდელების გადალახვის გარეშე ვერავინ შევა ცათა სასუფეველში. მაშ, ნუ გაგიკვირდება, შვილო, რომ მაშინ, როცა ცხონება მოგინდომებია, განსაცდელებსა და მწუხარებებს გადაეყრები, მაგრამ მოითმინე და ილოცე მადლიერების გრძნობით აღვსილმა; მადლიერმა იმიტომ, რომ განსაცდელში ჩავარდნა მცნებების დაცვის გამო დაიმსახურე შენი სულის გასაწვრთნელად და გამოსაცდელად. სახიერი ღმერთი განსაცდელში ყოფნის დროს სიხარულით მოგცემს შენ მღვიძარებისა და მოთმინების უნარს.

იმავეს

მშვენივრად შენიშნა აბბა პიმენმა, რომ სიტყვები: „ნუ ჰზრუნავთ ხვალისათვის“ (მათ. 6, 34) განსაცდელში ჩავარდნილ ადამიანზეა ნათქვამი. იგივე აზრია ამ სიტყვებიც: „მიუტევე უფალსა ზრუნვად შენი“ (ფსალმ. 54, 23). განაგდე, შვილო, კაცობრივი განსჯა და გაძლიერდი ღვთისადმი სასოებაში, რომელიც გაცილებით მეტს გვიკეთებს, ვიდრე ჩვენ გვგონია. და ეს ღვთისადმი სასოება დაგამშვიდებს შენ. უფალი შეგენევა, შვილო, წმინდანთა ლოცვებით. ჩვენ ჩვენდათავად შორს უნდა დავიჭიროთ თავი ამგვარი გულის-სიტყვებისაგან, ვინაიდან ვერ ვიქნებით გულდაჯერებულნი, რომ ხვალაც ვიცოცხლებთ.


იმავეს

სახიერი და კაცთმოყვარე ღმერთის ნაძერწი და ქმნილნი ვართ, რომელიც ამბობს: „ცხოველ ვარი მე, – იტყვს უფალი, და არა მნებავს მე სიკუდილი უღმრთოვსაჲ, არამედ მოქცევაჲ უღმრთოვსაჲ მის გზისაგან თვისისა და ცხოვრებაჲ მისი“ (ეზეკ. 33, 11). და კიდევ: „არა მოვედ ნოდებად მართალთა, არამედ ცოდვილთა სინანულად“ (მათ. 9, 13). მაშ, თუ ასეა და ასე გვწამს, „მიუტევე უფალსა ზრუნვაჲ შენი და მან გამოგზარდოს შენ“ (ფსალმ. 54, 23), ანუ უფალი გვიხსნის ჩვენ, ვინაიდან ის ზრუნავს ჩვენზე. შენს გულსაც ის დაამშვიდებს, შვილო, წმინდანთა ლოცვებით. ამინ.

ერთ ძმას, დიდ უძღურებაში მყოფს, რომელიც სხვადასხვა სახის [ცუდმა] აზრებმა შეიპყრეს იმათზე, ვინც მის საჭიროებებთან დაკავშირებულ საქმეებს განაგებდა

იესო ქრისტეს სახელით. ძმაო ჩემო, არა გვაქვს უფლება [განვსაჯოთ] მოყვასი. მოვალენი ვართ, ყოველივე ამას სიყვარულით ვაჯობოთ და [ცუდი აზრი] გულში ჩავიკლათ. არავინ ეუბნება ახლობელ ადამიანს: „რაჭომ არ გიყვარვარ?“ არამედ თავად აკეთებს ისეთ რამეს, რაც სიყვარულს იმსახურებს და ამით მოყვასსაც სიყვარულისკენ უბიძგებს. რაც შეეხება ხორციელ საჭიროებებს: თუკი ვინმე ღირსი იქნება შვებისა, მაშინ ღმერთი სარკინოზის გულსაც კი დაარწმუნებს, რომ ქმნას წყალობა შესაბამი მისი საჭიროებისა. მაგრამ თუ კაცი ღირსი არ არის, ან არ შეჭყვედრის მას ნუგეშისცემა მისი განსწავლისათვის, მაშინ მან ახალი ცაჯ და ახალი მიწაც რომ შექმნას, სიმშვიდეს ვერ პოვებს. ხო-

ლო როცა ამბობ, თითქოს ძმებს ტვირთად აწევხარ, ეს შენი თავის მართლებაა, რადგან არც ერთი ადამიანი, რომელიც ღვთის მცნების შესრულებაში შეეწევა ცხონების მსურველ მოყვასს, არ ეუბნება მას: „მე ტვირთად განევარ (გამძიმებ) შენ“. ვისაც სძულს თავისი მანყინებელი, მას სძულს სიმშვიდე, ვინც გაურბის თავის შემანუხებელთ, ის გაურბის ქრისტეს მიერ განსვენებას. კაცთმოყვარე ღმერთი, შვილო, დაგვიცავს ჩვენ თავისი მაღლით და წმინდანთა ლოცვებით. ამინ.



ლექსიკონი

ალიზი – გამოუწვავი აგური

აფსინდი – აბზინდა (მწარე სამკურნალო მცენარე)

აყირო – გოგრა; გოგრისგან დამზადებული ჭურჭელი (რომელსა-იგი ეკიდნეს მრავალნი იგი აყირონი)

ბაია – ფინიკი

გამონულილვა – ზედმინევნით გამოძიება (გვნებს ყოველთა ჟამთა გამონულილვად თავთა ჩუენთად)

განზრახება – რჩევა, დარიგება (ნუ უფლებით უბრძანებ, არამედ ლმობიერებით, ვითარმცა **განაზრახებდი**)

განკრძალული – ფრთხილი; ფხიზელი; გულმოდგინე

განრომა – თავის დაღწევა, გადარჩენა (**განვერნეთ** ნაწილისაგან ეშმაკისა)

განფრთხოება – გამოფხიზლება (**განვიფრთხოთ** და ვისწრაფდეთ, ვიდრელა ჟამი გუაქუს)

გმობა – ღმერთის, სარწმუნოების, სინმინდის შეურაცხყოფა; აქ: სინმინდის შეურაცხმყოფელი გულისსიტყვები (ბერსა მას ებრძოდა გმობად)

გრკილი – ქია

გულისკლება – ნუხილი (კუალად მიმეძინის და ფრიად **გულსა-მაკლნ**, ოდეს დამეყოვნის ლოცვასა მისლვად); წყენა (უკუეთუ **გულსა მაკლოს** ძმამან ჩემმან)

დავსება – ჩაქრობა (არარად ესრეთ ეგვევითართა ვნებათა **დაავსებს**, ვითარ უძღურთა მსახურებად)

დაკრება – შეკრება; დადება (რადთა **დაიკრიბოს** ბრალი თავსა თვსსა ზედა)

დანგი – წვრილი ფული

დალაცათუ – თუნდაც; კიდევ რომ; თუმცაღა

დაჭირვება – შეწუხება, გაჭირვება; მოკლება (ხოლო აწ ისწრაფეთ, ძმანო, რადთა არა **დაგჭირდეს** თქუენ ბეჭედი იგი წმიდისა ანგელოზისა)

დრკუ – მრუდე; უკეთური

დაჯსნა – დაშლა, დარღვევა (ხოლო სიმდაბლისა მიერ ყოველი ძალი მტერისა და წინააღდგომისა **დაიჯსნების**)

ვითარმცა – როგორც; თითქოს **თანადება** – მართება, ვალის ქონება (ქრისტვს მკვდარნი ვართ და **თანაგუაც** მოთმენად

ყოველთავე ვნებათა მისთად)
იკონომოსი – მონასტრის სა-
მეურნეო საქმეთა გამგებელი
კადნიერება – გაბედულება,
სითამამე; მოურიდელობა
(ესრეთ არარაჲ განაძებს შიშსა
ღმრთისასა სულისაგან, ვითარ
კადნიერებაჲ)
კალნაბი – კომბოსტო
კაპანი – უფსკრული
კარაკინი – ფარგალი
კაცთმოთნება – პირფერობა,
მლიქვნელობა
კერატი – ლობიოსებრი მცენა-
რე
კერძო – მხარეს, მხრიდან
(ყოვლით კერძო მოვლენ მის
ზედა განსაცდელნი)
კორიდი – ბალღინჯო
მამათასა შინა – წმ. მამების
სწავლებებში
მამასახლისი – მონასტრის წი-
ნამძღვარი
მილიონი – სიგრძის ერთეული
(დაახლ. 1500 მ.)
მკედი – ძაფი
მოთხე – ყუთი, ზანდუკი
მოსენაკე – მონასტრის საერ-
თო საცხოვრებლიდან მოცი-
ლებით ცალკე მდგომ სენაკში
მცხოვრები ბერი
მსთუად – ადრე, მალე

მტილი – ბალი, ბოსტანი
მღერა – დაცივნა (ემღერდეს
მას უშჯულონი იგი); თამაში
მყოვარჟამ – დიდხანს
მწკრე – ტალახი
მჭურვალემა – სიცხე; სიფიცხე;
მონდომება, გულმოდგინება
ნაოთხალი – მეოთხედი
ნუკევა – თხოვნა (ნუ ენუკევ
სიყუარულსა და პატივსა მო-
ყუსისაგან შენისა); ფუფუნება
ორ-ორით მარხვა – დღეგამომ-
ვებით ჭამა
ოსპნი – ოსპი
ოსტიგანი – მონასტრის საკუჭ-
ნაოსა და სატრაპეზოს გამგე-
ბელი (რომელსა აქუნდეს მსა-
ხურებაჲ **ოსტიგნობისაჲ**)
რეცა – თითქოს
საბურველი – გადასაფარე-
ბელი
საკარცხული – სკამი
სამჭედური – ანკესი
სართული – სახურავი, ჭერი
სასთაული – ბალიში
საურავი – საზრუნავი
საფრწე – მახე, ხაფანგი
საცნაური – ცხადი; ცნობილი
საცნობელი – გრძნობის ორ-
განო
საცხოვარი – ცხვარი, პირ-
უტყვი

საჯელი – სახელო (რად გუმოსია სამოსელი **უსაჯლო**, ვინათგან ყოველთა ასხენ **საჯელნი**?)

სიმინდი – მაღალი ხარისხის ხორბლის ფქვილის პური

სულმოკლე – მოუთმენელი

უდებება – სიზარმაცე (შემინდვე, რამეთუ უდებებისაგან ვერ აღვდევ)

უვნებელობა – ვნებებისაგან თავისუფალი სულიერი მდგომარეობა, სულიერი სიჯანსაღე, დიდი სულიერი სიმინდე

ურვა – ნუხილი, გაჭირვება

უყი – ტალახი, შლამი

ფუდული – ფუფუნების მოყვარე

ქსენადოქი – აქ: მონასტრის მესტუმრე; სასტუმროს მოსამსახურე, გამგე; სასტუმრო

შური – შური; დიდი მისწრაფება, გულმოდგინება (ქებად სათნოებისად წინამძღუარ არს შურისა, ხოლო შური მოატყუებს სათნოებასა)

ცოფი – გიჟი

ძალი – ძალა; აზრი (გულისხმავათ ძალი სიტყვსად ამის); სასწაული; ერი

ძკრისზრახვა – ლანძღვა, ავის თქმა (აჰა, ამან **ძკრი უზრახა**,

რამეთუ თქუა ვნებულად ცოდვა იგი მისი); ავის განზრახვა

ძკრისჯსენება – წყენის გულში დამარხვა, გულღრძობა (რისხვად, უკუეთუ დადგრეს, იქმნების ძკრისჯსენებად)

ძკრუჯსენებელი – არაგულღრძო, შემნდობი, წყენის დამვიწყებელი (რომელი ულოცვიდეს მტერთა თვსთა, იგი ძკრუჯსენებელ არს)

წარტყუნვა – ტყვედ წაყვანა (უკუეთუმცა არა **წარიტყუნვოდა** გონება მათგან); გაძარცვა; მოხრება

ნებული – ღვინით დამბალი პური

ნუელი – თივის, ბალახის ნამცეცი

ჭილი – ჭილობი

ჭირი – გაჭირვება, ნუხილი

ხორშაკი – გვალვა

ხუასტაგი – ქონება

ჯელი – ხელი; ხელობა (ისწავებდეს **ჯელსა** რასმე)

ჯელისმიყოფა – შეხება (არს კადნიერებად სიტყვთ და ჯელისმიყოფით და შეხედვით); დაწყება (შეუძღვებელობად ჩემი არა მიტევენს ჯელისმიყოფად საქმისა ამის)

შენიშვნებისთვის



გამომცემლობა
პეტანია

დაიბეჭდა
შპს „ფავორიტი სტილში“